

ვალდებულებითი და მემკვიდრეობითი სამართალი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე
2014, №6

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)
2014, №6

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)
2014, №6

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)
2014, №6

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 298 21 03; www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

**ზიანი, რომელზეც ვრცელდება ანაზღაურების
მოვალეობა**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელმწიფო**

№ას-899-845-2012

22 ნოემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი**

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. ჩ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ა-სა“ და შპს „ა+-ის“ წინააღმდეგ და მოითხოვა შპს „ა-ის“ ლ. ჩ-ის სასარგებლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისის – 36 727 ევროს (ძირითადი თანხის – 27 722 ევროს, სესხის სარგებლის 9005 ევროს), მიუღებელი შემოსავლის – 6653.28 ევროსა და განუული ხარჯის 2000 ლარის დაკისრება, ასევე მოითხოვა – ლ. ჩ-სა და შპს „ა+-ს“ შორის 2008 წლის 19 მაისს დადებული სესხის ხელშეკრულების შეწყვეტა შემდეგი დასაბუთებით: მოსარჩელის განმარტებით, 2008 წლის 19 მაისს ლ. ჩ-სა და შპს „ა-ს“ შორის დაიდო წინარე ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც შპს „ა-ი“ ვალდებული იყო, მოსარჩელის მიერ 27 722 ევროს გადახდის სანაცვლოდ, თბილისში, კ-ას ქ. №10-ში აეშენებინა საცხოვრებელი სახლი და მოსარჩელესთვის აღნიშნულ საცხოვრებელ სახლში საკუთრებაში გადაეცა 1-ლ სადარბაზოში მე-3 სართულზე მდებარე 52.24 კვ.მ №21 ბინა. ხელშეკრულების მიხედვით, ქონებაზე უფლების გადაცემა უნდა განხორციელებულიყო სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ, არა უგვიანეს 2011 წლის ივნისისა. შპს „ა-მა“ დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება. აღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შპს „ა-ის“ მიერ ვალდებულების შესრულების ერთგვარ გარანტორს წარმოადგენდა შპს „ა+“, ვინაიდან შპს „ა-ი“ იძლეოდა განვადებით გადახდის პირობას, ხოლო რეალურად სესხის აღება ხორციელდებოდა შპს „ა+-დან“. 2008 წლის 19 მაისს ლ. ჩ-ესა და შპს „ა+-ს“ შორის დაიდო სესხის ხელშეკრულება. მოსარჩელე უსაფუძვლოდ იხდის სესხს, ვინაიდან სესხის

ხელშეკრულების დადების ერთადერთ მიზანს წარმოადგენდა შპს „ა-ის“ მიმართ ნაკისრი ვალდებულების შესრულება, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების შექმნის მიზნით. ამასთან, შპს „ა-ი“ და შპს „ა+“, მათი ქმედებიდან გამომდინარე, ერთიან სუბიექტად აღიქმება, რაც ცხადყოფს, რომ დაუშვებელია, მოსარჩელე დამატებით ხარჯს იღებდეს და დამატებით თანხას იხდინდეს კომპანიისთვის, რომელსაც მის მიმართ შეუსრულებელი საპასუხო ვალდებულება გააჩნია.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ 2008 წლის 19 მაისს ლ. ჩ-სა და შპს „ა-ს“ შორის დადებული წინარე ხელშეკრულების პირობების მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 2012 წლის ივნისი. ამდენად, შპს „ა-ს“ ხელშეკრულების პირობები არ დაურღვევია. 2008 წლის 19 მაისს წინარე ხელშეკრულება დაიდო ლ. ჩ-სა და შპს „ა-ს“ შორის, შპს „ა+“ არ წარმოადგენდა მითითებული ხელშეკრულების მხარეს. შპს „ა+“ არც გარანტორს არ წარმოადგენდა შპს „ა-ის“ მხრიდან ვალდებულების შესრულებაზე. სესხის ხელშეკრულება სრულიად დამოუკიდებელია 2008 წლის 19 მაისს ლ. ჩ-ესა და შპს „ა-ს“ შორის დადებული წინარე ხელშეკრულებისგან და დადებულია მხარეთა მიერ თავისუფალი ნების გამოვლენის შედეგად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით ლ. ჩ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, შპს „ა-ს“ ლ. ჩ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 27 722 ევროსა და 2000 ლარის ანაზღაურება, რომლის გადახდაც შპს „ა-ის“ მიერ უნდა განხორციელებულიყო სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი წლის შემდეგ; ლ. ჩ-ის სარჩელი შპს „ა-ზე“ 14836.28 ევროს ანაზღაურების დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს შპს „ა-მა“ და ლ. ჩ-ემ.

შპს „ა-მა“ სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება, ლ. ჩ-ის სასარგებლოდ 27 722 ევროსა და 2000 ლარის ანაზღაურების, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაკისრებული სახელმწიფო ბაჟის – 1954.16 ლარის ნაწილში.

ლ. ჩ-ემ სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2012 წლის 19 აპრილის განჩინებით შპს „ა-სა“ და ლ. ჩ-ის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2008 წლის 19 მაისს ლ. ჩ-სა და შპს „ა-ს“ შორის დაიდო წინარე ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც შპს „ა-ი“ ვალდებული იყო, მოსარჩელის მიერ 27 722 ევროს გადახდის სანაცვლოდ თბილისში, კ-ას ქ. №10-ში აეშენებინა საცხოვრებელი სახლი და მოსარჩელისათვის აღნიშნულ საცხოვრებელ სახლში საკუთრებაში გადაეცა 1-ლ სადარბაზოში მე-3 სართულზე მდებარე 52.24 კვ.მ ფართის №21 ბინა. ხელშეკრულების 2.3. პუნქტის მიხედვით, შპს „ა-ს“ ლ. ჩ-ის უნდა გადაეცა ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ქონება. ამასთან, 2.4. პუნქტით განიმარტა, რომ ნივთობრივად უნაკლო ქონების ქვეშ იგულისხმებოდა საცხოვრებელი ბინა დანართი №1-ით განსაზღვრულ სტადიაზე. ამავე ხელშეკრულების 4.2. პუნქტის თანახმად, ქონებაზე უფლების გადაცემა უნდა განხორციელებულიყო დანართი №1-ით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების შემდგომ, არაუგვიანეს 2011 წლის ივნისისა.

შპს „ა-ს“ არ შეუსრულებია 2008 წლის 19 მაისს დადებული წინარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

2008 წლის 19 მაისს ლ. ჩ-სა და შპს „ა+-ს“ შორის დაიდო სესხის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც შპს „ა+-მა“, როგორც გამსესხებელმა ლ. ჩ-ეს, როგორც მსესხებელს საკუთრებაში გადასცა თანხა 19 222 ევროს ოდენობით 120 თვის ვადით, წლიური 18%-იანი სარგებლით. ამასთან, ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდნენ, რომ სესხი მსესხებელზე გაიცემოდა თანხის შპს „ა-ზე“ გადაცემის გზით.

მოსარჩელემ ჯეროვნად შეასრულა 2008 წლის 19 მაისს წინარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება. მოსარჩელის მიერ 2008 წლის 19 მაისს დადებული სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შპს „ა+-ის“ სასარგებლოდ სარგებლის სახით გადახდილ იქნა 9005 ევრო.

სააპელაციო სასამართლოში სააპელაციო საჩივრის წარდგენისას ლ. ჩ-მ შპს „ა+-ის“ წინააღმდეგ მოთხოვნა მოხსნა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სამართლებრივად სწორად შეაფასა საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მართებულად იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე, 54-ე, 61-ე, 62-ე, 316-ე, 317-ე, 352-ე, 400-ე, 405-ე, 408-ე, 411-ე და 412-ე მუხლებით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361.2-ე მუხლზე და განმარტა, რომ, განსახილველ შემთხვევაში, ვალდებულება დადგენილ დროს არ შესრულებულა და შპს „ა-მა“ დაარღვია მშენებლობისა და აშენებული ბინის საკუთრებაში გადაცემის ვადა.

სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის მე-400 მუხლის „ა“ ქვეუბნებისა და 405.1-ე მუხლის თანახმად, მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, სადავო ურთიერთობაში იკვეთებოდა კრედიტორის მხრიდან როგორც დამატებითი ვადის განსაზღვრა, ასევე გაფრთხილება. მოსარჩელემ სასამართლოში სარჩელი აღძრა 2011 წლის 25 ივლისს, ხოლო ხელშეკრულების თანახმად, მოპასუხეს სახლი უნდა ჩაებარებინა არა უგვიანეს 2011 წლის ივნისისა. მოსარჩელემ სარჩელში აღნიშნა, რომ მოპასუხემ არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, რის საფუძველზეც მან მოითხოვა შესრულების დაბრუნება, რაშიც გამოიხატა მისი ნება ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე. ამდენად, პალატამ აღნიშნა, რომ მოპასუხისათვის სარჩელის ჩაბარების მომენტიდან ცნობილი იყო მოსარჩელის მოთხოვნა ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ. მიუხედავად ამისა, მოპასუხეს არ შეუსრულებია ვალდებულება, შესაბამისად, მოპასუხეს მოსარჩელის მიერ სარჩელის აღძვრიდან ხელშეკრულებით განსაზღვრული დროის მოსვლამდე, საკმარისი დრო ჰქონდა, გამოესწორებინა დარღვეული ვალდებულება. აქედან გამომდინარე, კრედიტორის მიერ მოვალისათვის ვალდებულების შესასრულებლად დამატებით კიდევ ვადის მიცემა აშკარად გამოინვევდა შემკვეთის უფლებების უხემ დარღვევას.

პალატის განმარტებით, 2008 წლის 19 მაისს ლ.ჩ-სა და შპს „ა-ს“ შორის დადებული წინარე ხელშეკრულების 8.6. პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ 2011 წლის ივნისში არ დასრულდება დანართი №1-ით გათვალისწინებული სამუშაოები, ვადაგადაცილებამ შეადგინა 12 თვე და წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე მყიდველი უარს აცხადებს წინამდებარე ხელშეკრულებაზე, იგი უფლებამოსილია სრულად მოითხოვოს მის მიერ, ფაქტობრივად გადახდილი თანხის უკან დაბრუნება, რაც ცხადყოფს, რომ ამ შეთანხმებით განისაზღვრა ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადა. იმის გათვალისწინებით, რომ მოვალის მიერ განსაზღვრული იყო ხელშეკრულებიდან გასვლის ვადა, თუმცა, ვინაიდან ხელშეკრულებაში არ აღინიშნა მისი განსაზღვრის დასაბუთება და ის გამოაკლისი მიზეზი, რამაც განაპირობა მისი დადგენის აუცილებლობა, სასამართლომ მიიჩნია,

რომ აღნიშნული პირობა, პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად განმარტა, როგორც ზნეობრივი ნორმების საწინააღმდეგო, ვინაიდან აღნიშნული შეთანხმებით უსაფუძვლოდ ენიჭებოდა უპირატესობა ურთიერთობის მონაწილე ერთ-ერთ მხარეს, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე, 61-ე და 62-ე მუხლების მიხედვით, წარმოადგენდა მისი ბათილად მიჩნევის უდავო საფუძველს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიაჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის 1-ლი ნაწილის და მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე ლ. ჩ-ე უფლებამოსილი იყო უარი ეთქვა 2008 წლის 19 დადებულ წინარე ხელშეკრულებაზე.

სამოქალაქო კოდექსის 24.1-ე მუხლზე მითითებით, სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ შპს „ა-ი“ და შპს „ა+“ წარმოადგენდნენ დამოუკიდებელ მენარმე სუბიექტებს, რაც დასტურდებოდა საქმეში არსებული ამონაწერებით მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მოსარჩელეს ურთიერთობა დამყარებული ჰქონდა ორ დამოუკიდებელ სამართლის სუბიექტთან, შესაბამისად, შპს „ა-ის“ მიერ ვალდებულების არაჯეროვნად შესრულება მოსარჩელესა და შპს „ა+ს“ შორის არსებულ ურთიერთობაზე ზეგავლენას ვერ იქონიებდა.

იმის გათვალისწინებით, რომ ლ. ჩ-ემ ორ დამოუკიდებელ სამართლის სუბიექტთან დაამყარა სამართლებრივი ურთიერთობა, კერძოდ, შპს „ა-ან“ ნარდობის ხელშეკრულება, ხოლო შპს „ა+თან“ სესხის ხელშეკრულება, ამასთან პროცენტის გადახდის ვალდებულება მას წარმოეშვა სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ხოლო აღნიშნული ხელშეკრულებები წარმოადგენენ დამოუკიდებელ ხელშეკრულებებს და მოსარჩელის მიერ შპს „ა+ის“ წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულება დამოკიდებული არ იყო მასსა და შპს „ა-ან“ დადებულ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება მასზე, რომ მას მიადგა ზიანი, რაც გამოიხატა შპს „ა+ის“ სასარგებლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლის გადახდაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. ჩ-ემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით:

კასატორის განმარტებით, სასამართლომ არასწორად გამოიყენა სსკ-ის 24-ე მუხლი, რადგანაც სადავო სიტუაციაში ფაქტობრივი გარემოებების ანალიზი ცხადყოფდა, რომ შპს „ა-ან“ სესხის მიღება განპირობებული იყო შპს „ა-ის“ მითითებით, მისივე წინასწარ გათვლითი მიზნებისთვის, რათა შემდგომში ლ.ჩ-ე დაეზარალებინათ არა მხოლოდ იმ თანხით, რაც გაღებულ იქნა ჩ-ის მიერ პირადი სახსრებიდან, არამედ სესხის თანხითაც, რადგანაც ლ. ჩ-ე უკვე წლებია იხდის სარგებლის პროცენტს იმ სესხში, რომელიც, ფაქტობრივად, მას არც მიუღია და პირდაპირ გადაირიცხა შპს „ა-ის“ ანგარიშზე. სხვაგვარად როგორ აიხსნება ის ფაქტი, რომ შპს „ა-ი“ თავად სთავაზობდა 10-წლიანი განვადებით ბინებს და ლ. ჩ-ემ კი სხვაგან დაიწყო კრედიტორის ძებნა. ეს ხომ შპს „ა-ის“ ინტერესებსაც ეწინააღმდეგებოდა, სარგებლის პროცენტი დაეთმო უცხო ფირმისათვის. სასამართლოს იმ ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას, როდესაც აშკარა იყო შპს „ა-სა“ და შპს „ა+-ის“ ერთობლივი შეთანხმებული მოქმედებები ლ.ჩ-ის წინააღმდეგ, დაუშვებელი იყო მიეთითებინა, რომ ეს ორი სუბიექტი სრულიად დამოუკიდებელი სამენარმეო სუბიექტი იყო და დაესკვნა, რომ შპს „ა-ის“ ვალდებულების არაფეროვანი შესრულება ზეგავლენას ვერ მოახდენდა შპს „ა+-სა“ და ლ. ჩ-ის შორის არსებულ ურთიერთობაზე.

კასატორის აზრით, სასამართლომ, ასევე, არასწორად მიიჩნია, რომ ადგილი არ ჰქონია ლ. ჩ-ის მხრიდან რაიმე სახის ზიანის მიღებას, რომელიც გამოხატული იყო შპს „ა+-ის“ სასარგებლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლის გადახდაში. სასამართლომ აღნიშნული გარემოების ფაქტობრივ-სამართლებრივი ანალიზისას შეგნებულად აუარა გვერდი სამოქალაქო კოდექსის 404-ე და 407-ე მუხლებს. სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 411-ე და 412-ე მუხლები, დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას და მიუთითა, რომ გაურკვეველი იყო თუ რა სახის ფულად შემოსავალს მიიღებდა მოსარჩელე სამოქალაქო ბრუნვის ნორმალურად განვითარების პირობებში. სასამართლომ აღნიშნული სამართლებრივი ნორმები განმარტა უსწოროდ და ამავედროულად არასწორად მიიჩნია იმის საფუძველად, რომ არ არსებობდა მიუღებელი შემოსავლის დაკმაყოფილების საფუძველი. მაშინ როდესაც „საქმეში არსებული მტკიცებულებით – ეროვნული ბანკის მიერ გადაცემული ცნობით დასტურდებოდა, თუ რამდენს შეადგენდა მიახლოებითი წლიური საპროცენტო სარგებელი ფიზიკური პირების ანაბარისათვის იმ პერიოდში, როდესაც მოსარჩელემ თანხა გადაცა შპს „ა-ს“. დადასტურებული იყო მო-

სარჩელის მხრიდან შპს „ა-ის“ თანხის გადაცემის ფაქტი და მისი ოდენობა; დადასტურებული იყო შპს „ა-ის“ მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი. საინტერესოა კიდევ რა სახის გარემოებების არსებობა იქნებოდა საჭირო იმისათვის, რომ ნათელი და სასამართლოსათვის გარკვეული ყოფილიყო, თუ რა სახის ფულად შემოსავალს მიიღებდა ლ. ჩ-ე თუ იმ თანხას, რაც გადასცა შპს „ა-ს“, სულ მინიმუმ განათავსებდა საბანკო ანაბარზე.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ მიზანმიმართულად აარიდა თავი მისი სააპელაციო საჩივრის ძირითად საკითხს – გადაწყვეტილების აღსრულების „ერთი წლის შემდეგ“ ვადით გადადების თემას და შემოიფარგლა მხოლოდ ზოგადად იმით, რომ ეთანხმებოდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითებებს. გარდა ამისა, სასამართლომ იმ მიზნით, რომ არ ყოფილიყო განსაზღვრული აღსრულების კონკრეტული ვადა, გადაწყვეტილების აღსრულების გადადების ვადად მიუთითა ტერმინი „ერთი წლის შემდეგ“ რაც ბუნდოვანი და ზოგადია და მოიცავს რამდენიმე წელსაც, რითაც შეიძლება პრაქტიკულად პრობლემა შეექმნას გადაწყვეტილების აღსრულებას მოსარჩელის მხრიდან, მით უმეტეს მაშინ როდესაც კანონმდებლობა არ იცნობს ტერმინს „ერთი წლის შემდეგ“ სსკ 123,124 მუხლები. სააპელაციო სასამართლო არასწორად დაეთანხმა, რომ მოცემული დავის დროს პირველი ინსტანციის სასამართლოს მხრიდან მიზანშეწონილი იყო აღსრულების წესის განსაზღვრა და აღსრულების გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 1 წლით გადავადება და არ გაითვალისწინა რომ პირველი ინსტანციის სასამართლო წინააღმდეგობაში მოვიდა თავისივე დადგენილ გადაწყვეტილების 3.2.2. პუნქტში დადგენილ გარემოებასთან, რომლითაც ბათილად ცნო სახელშეკრულებო დათქმა ვადაგადაცილებიდან 12 თვის შემდეგ ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადასთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მიკერძოებულად და სუბიექტურად, ყოველგვარი სათანადო ანალიზის გარეშე არასწორად დადგინა თითქოსდა აღსრულების 1 წლით გადავადება მიმართული იყო არა მხოლოდ მოპასუხის თანხის მოძიებისთვის, არამედ გარკვეულწილად მოსარჩელის ინტერესებისთვისაც, რომელ მოსარჩელის ინტერესების დაცვაზეა სასამართლოს მხრიდან საუბარი, როდესაც ისედაც მატერიალურად დაზარალებული მოსარჩელე სასამართლომ უარესად დააზარალა გადაწყვეტილების აღსრულების გადადებით, რადგანაც თუ შპს „ა-ი“ ლ. ჩ-

ეს გადაუხდოდა თანხას, ამ შემთხვევაში ლ. ჩ-ე თავის მხრივ შპს „ა+-ს“ გადაუხდოდა სესხის დარჩენილ ნაწილს და გათავისუფლდებოდა პროცენტის გადახდის ვალდებულებისაგან. სასამართლომ გადაწყვეტილების აღსრულების გადავადებას საფუძვლად დაუდო ყოველგვარი არგუმენტაციისა და მტკიცებულების გარეშე არსებული ვარაუდი, თითქოსდა „კეთილსინდისიერი“ მენარმე სუბიექტი ამ პერიოდში შეძლებდა ვალდებულების შესრულებას.

სასამართლომ არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ იმ ფონზე, როდესაც დღეისათვის შპს „ა-ი“ თუნდაც სატელევიზიო სარეკლამო საშუალებებით მომხმარებლებს სთავაზობს უკვე აშენებულ ბინებს 15%-იანი ფასდაკლებით. სავსებით შესაძლებელი და დასაშვები იყო მოპასუხეს გადაწყვეტილების აღსრულების გადადების გარეშეც დაეკმაყოფილებინა მოსარჩელე ალტერნატიული ბინით, ვინაიდან მას დღეისათვის გააჩნდა სათანადო აქტივები. გარდა ამისა, როგორც სასამართლოსთვის ცნობილია, ჩვენი მხარე თანახმა იყო მორიგებოდა მოპასუხეს, თუ ის შესთავაზებდა ალტერნატიული ფართის უძრავ ქონებას, მაგრამ მოპასუხე ბოროტად არიდებდა თავს ვალდებულების შესრულებას, რაც სასამართლომ გადაუდო კიდევ ერთი წლით.

პირველი ინსტანციის სასამართლომ არასიღრმისეულად და ზედაპირულად შეაფასა ფაქტობრივი გარემოებები, არასრულყოფილად აღიქვა მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის რეალურად არსებული ურთიერთობა, რომ მოპასუხე მხარეს იმთავითვე ჯერ კიდევ ხელშეკრულების გაფორმების დროს დაგეგმილი ჰქონდა არაკეთილსინდისიერად ესარგებლა მოსარჩელის ნდობით და არ შეესრულებინა თავისი ვალდებულება.

სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა მოსარჩელის, როგორც მატერიალური, ასევე, მორალური მდგომარეობა, რომ მოქალაქე, რომელმაც წლების დანაზოგი თანხა გადასცა მოპასუხეს, მოქალაქე რომელიც წლებია ელის მოპასუხის მხრიდან ვალდებულების შესრულებას, ელის საცხოვრებელი სახლის აშენებასა და ოჯახის დაბინავებას, რომელმაც არაერთხელ მისცა დრო და ვადა მოპასუხეს საჭირო თანხების მოსაძიებლად, არაერთხელ დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომის გადადებას იმ მიზნით, რომ რაიმე რეალური მორიგების პირობა მოესმინა მისგან, მისცა ყველა შანსი მოპასუხეს ვალდებულების შესასრულებლად, მაგრამ სანაცვლოდ მოპასუხისგან მიიღო სიცრუე და არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება, აღარ იმსახურებდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მხრიდან გადაწყვეტილების აღსრულების გადადებას,

ასევე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 აპრილის განჩინება შპს „ა-თვის“ ლ. ჩ-ის სასარგებლოდ დაკისრებული თანხის აღსრულების, კერძოდ, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი წლის შემდეგ გადადების ნაწილში, ხოლო დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2008 წლის 19 მაისს ლ. ჩ-ესა და შპს „ა-ს“ შორის დაიდო წინარე ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც შპს „ა-ი“ ვალდებული იყო მოსარჩელის მიერ 27 722 ევროს გადახდის სანაცვლოდ თბილისი, კ-ას ქ. №10-ში აეშენებინა საცხოვრებელი სახლი და მოსარჩელესათვის აღნიშნულ საცხოვრებელ სახლში საკუთრებაში გადაეცა 1 სადარბაზოში მე-3 სართულზე მდებარე 52.24 კვ.მ. ბ. №21. ხელშეკრულების 2.3 პუნქტის მიხედვით, შპს „ა-ს“ ლ. ჩ-ის უნდა გადაეცა უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ქონება. ამასთან 2.4. პუნქტით განიმარტა, რომ ნივთობრივად უნაკლო ქონების ქვეშ იგულისხმებოდა საცხოვრებელი ბინა დანართი №1-ით განსაზღვრულ სტადიაზე. ამავე ხელშეკრულების 4.2 პუნქტის თანახმად, ქონებაზე უფლების გადაცემა უნდა განხორციელებულიყო დანართი №1-ით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების შემდგომ არაუგვიანეს 2011 წლის ივნისისა.

სააპელაციო სასამართლომ, ასევე დაადგინა, რომ შპს „ა-მა“ არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2008 წლის 19 მაისს ლ. ჩ-სა და შპს „ა+-ს“ შორის დაიდო სესხის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც შპს „ა+-მა“, როგორც გამსესხებელმა ლ. ჩ-ეს, როგორც მსესხებელს საკუთრებაში გადასცა თანხა 19222 ევროს ოდენობით 120 თვის ვადით, წლიური 18%-იანი სარგებლით. ამასთან, ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდნენ, რომ სესხის გაცემა მსესხებელზე მოხდებოდა თანხის შპს „ა-ზე“ გადაცემის გზით.

სააპელაციო სასამართლომ, ასევე დაადგინა, რომ მოსარჩელე ლ. ჩ-ემ ჯეროვნად შეასრულა 2008 წლის 19 მაისის წინარე

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება. მოსარჩელის მიერ 2008 წლის 19 მაისს დადებული სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შპს „ა+-ის“ სასარგებლოდ სარგებლის სახით გადახდილ იქნა 9005 ევრო.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკასაციო სასამართლოში დავას ინვესს მოსარჩელის მიერ 2008 წლის 19 მაისს დადებული სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შპს „ა+-ის“ სასარგებლოდ სარგებლის სახით გადახდილ 9005 ევროსა და მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოთხოვნას მიუღებელი შემოსავლის შპს „ა-ის“ დაკისრების თაობაზე.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა და განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი, რომლის თანახმად ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.

მითითებული ნორმის გათვალისწინებით, აღსანიშნავია, რომ 2008 წლის 19 მაისს ლ. ჩ-სა და შპს „ა+-ს“ შორის დაიდო სესხის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც შპს „ა+-მა“, როგორც გამსესხებელმა ლ. ჩ-ეს, როგორც მსესხებელს საკუთრებაში გადასცა ფულადი სახსრები, რაც აუცილებელი იყო 2008 წლის 19 მაისს შპს „ა-სა“ და ლ. ჩ-ის შორის დადებული წინარე ხელშეკრულებით ამ უკანასკნელის მიერ ნაკისრი ვალდებულების, 27 722 ევროს გადახდის უზრუნველსაყოფად, შესაბამისად, ლ. ჩ-ე შპს „ა+-ან“ სესხად მიღებულ თანხას სხვა მიზნით, გარდა შპს „ა-ის მისი გადახდისა“, ვერ გამოიყენებდა.

ამდენად, კონკრეტულ შემთხვევაში მიუღებელ შემოსავალს წარმოადგენს ის შემოსავალი, რომელიც შეეძლო მიეღო ლ. ჩ-ეს შპს „ა-ის“ მიერ 2008 წლის 19 მაისს ლ. ჩ-სა და შპს „ა-ს“ შორის წინარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შემთხვევაში. იმის გათვალისწინებით, რომ წინარე ხელშეკრულება ვალდებულებით-სამართლებრივია (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის მე-3 ნაწილი), მიუღებელი შემოსავლის (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი) სამართლებრივი წინაპირობები შემოიფარგლება კონკრეტული ვალდებულებითი ურთიერთობით და დამოკიდებულია ზემოაღნიშნული წინარე ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულების შედეგად მისაღებ სარგებელზე. ამ ხელშეკრულების

1.1. პუნქტის თანახმად მხარეები შეთანხმდნენ თბილისში, კ-ას ქ. №10-ში ასაშენებელი საცხოვრებელი სახლში, 1 სადარბაზოში მე-3 სართულზე მდებარე 52.24 კვ.მ. ბინა №21-ის საკუთრებაში გადაეცეს ვალდებულებაზე ამ წინარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის კონტექსტის გათვალისწინებით, მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებებს, რომლებიც მიუთითებენ შპს „ა-ის“ მიერ ზემოაღნიშნული ფართის გადაცემასთან ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში რა შემოსავალს მიიღებდა და ვალდებულების დარღვევის შედეგად არ მიიღო ლ. ჩ-ემ. ანუ, არა ფულადი სახსრების, არამედ ამ ბინის გადაცემასთან დაკავშირებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში რა ოდენობის შემოსავალს მიიღებდა კასატორი და რაში გამოიხატებოდა ყოველივე აღნიშნული. მითითებულ ფაქტებზე კასატორი არ უთითებს, ხოლო, რაც შეეხება კასატორის მიერ ფულადი სახსრების გამოყენებაზე, საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ დასძენს, რომ შპს „ა+-ან“ მიღებული სახსრებს კასატორი სხვაგვარად ვერ გამოიყენებდა მისი მიზნობრივი დანიშნულებიდან გამომდინარე, ხოლო შპს „ა-ის“ მიერ ვალდებულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში კასატორი მიიღებდა ბინას და არა ფულად სახსრებს.

საკასაციო პალატა, ასევე, იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას სარგებლის სახით მოსარჩელის მოთხოვნის უსაფუძვლობასთან მიმართებაში.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

კონკრეტულ შემთხვევაში ისმის კითხვა თუ რამდენად სავარაუდო იყო შპს „ა-ის“ ზიანი, რომელიც მიადგა ლ. ჩ-ეს და რამდენად არსებობს მიზეზობრივი კავშირი შპს „ა-ის“ მიერ ვალდებულების შეუსრულებლობასა და დამდგარ ზიანს შორის.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სავარაუდოა სახეზეა თუ შედეგის დაშვება შეგნებული მოვალის პერსპექტივიდან ობიექტურად შესაძლებელი იყო. ამდენად, გასათვალისწინებელია არა კონკრეტული მოვალის (შპს „ა-ი“), არამედ ზოგადად გონიერი და შეგნებული მოვალის მიერ იმ შედეგების გაცნობიერება, რაც განპირობებული შეიძლება იყოს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრუ-

ლებით, ანუ გასათვალისწინებელია ობიექტურად არსებული კრიტერიუმები. ამასთან ერთად, ზიანი, გამომწვევი ქმედების უშუალო, აუცილებელი და პირდაპირი შედეგი უნდა იყოს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, „მოვალისათვის წინასწარ სავარაუდო ზიანი“ არ უნდა გავიგოთ მოვალის სუბიექტური შესაძლებლობების მიხედვით. გონივრულად სავარაუდო ზიანი ფასდება ობიექტური კრიტერიუმებით. ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ის, რომ მითითებული ნორმის მიხედვით გათვალისწინებულია პირდაპირი ზიანი, რადგან ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ პირდაპირი ზიანი და არა არაპირდაპირი ზიანი.

კონკრეტულ შემთხვევაში განსახილველი საკითხი ეხება სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობას. აქედან გამომდინარე, გათვალისწინებელი უნდა იყოს ამ ხელშეკრულების სპეციფიკიდან გამომდინარე, ვალდებულების დარღვევის შედეგად, რამდენად სავარაუდოა კრედიტორის მიერ მითითებული ზიანი, და რამდენადაა ამ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის უშუალო, აუცილებელი და პირდაპირი შედეგი.

ამდენად, იმ შემთხვევაშიც თუ მივიჩნევთ, რომ კასატორის მიერ საკასაციო საჩივარში მითითებულ ფაქტებს ჰქონდა ადგილი (მაგალითად, მასთან მოლაპარაკებებს, როგორც ნარდობის, ასევე სესხის ხელშეკრულებების დასადებად ანარმოებდა ერთი და იგივე პირი და, ასევე უთითებდა იმ ფაქტზე, რომ შპს „ა-ი“, ნარდობის ხელშეკრულების დადების მიზნით მას სთავაზობდა ე.წ. „შიდა განვადება“, რაც გამოიხატებოდა შპს „ა+თან“ სესხის ხელშეკრულების დადებაში), დაუშვებელია შპს „ა-ს“ დაეკისროს შპს „ა+-ის“ სასარგებლოდ გადახდილი სარგებელის ანაზღაურება, რადგან 2008 წლის 19 მაისის შპს „ა-სა“ და ლ. ჩ-ის შორის დადებული საცხოვრებელი ბინის ნასყიდობის შესახებ წინარე ხელშეკრულებიდან არ ირკვევა, რომ შპს „ა-ის“ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება განპირობებული იყო ლ. ჩ-სა და შპს „ა+-ს“ შორის დადებული სასესხო ხელშეკრულებით. ის ფაქტი, რომ თუნდაც შპს „ა-ის“ შემოთავაზებით ლ. ჩ-ემ ისესხა გარკვეული თანხა შპს „ა-ან“ შპს „ა-ან“ დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად, და სესხად მიღებული თანხა შპს „ა-ის“ მიერ პირდაპირ გადაირიცხა შპს „ა-ის“ ანგარიშზე (2008 წლის 19 მაისის ლ. ჩ-სა და შპს „ა+-ს“ შორის დადებული სესხის ხელშეკრულების 1.2 პუნქტი) არ შეიძლება გამოიწვიოს შპს „ა-ის“ პასუხისმგებლობა შპს „ა+-თვის“ გადახდილი სარგებლის გამო.

ლ. ჩემ, თუნდაც შპს „ა-ის“ მითითებით, მაგრამ ნებაყოფლობით იკისრა სესხის აღება შპს „ა+-გან“, რაც არ უკავშირდებოდა შპს „ა-ის“ მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას (კასატორის შეედლო როგორც შპს „ა+-გან“, ისე სხვა პირისაგან ან მის საკუთრებაში არსებული სხვა სახსრები შეეტანა შპს „ა-ში“), შესაბამისად, არც შპს „ა-ან“ დადებული ხელშეკრულებით არ იყო დაცული აღნიშნული ინტერესი.

ამდენად, სესხის ხელშეკრულების საფუძველზე გადახდილი პროცენტი არ წარმოადგენს პირდაპირ ზიანს და, ასევე შპს „ა-ის“ მიერ ვალდებულების დარღვევის სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის უშუალო, აუცილებელ და პირდაპირ შედეგს.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომლითაც მან გაიზიარა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება, ლ.ჩ-ის მოთხოვნის დაკმაყოფილებულ ნაწილში შპს „ა-ის“ დაკისრებული თანხის სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი წლით გადავადების შესახებ, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში აღნიშნულია, რომ 2008 წლის 19 მაისს ლ. ჩ-სა და შპს „ა-ს“ შორის დადებული წინარე ხელშეკრულების 8.6. პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ 2011 წლის ივნისის თვეში არ დასრულდება დანართი №1-ით გათვალისწინებული სამუშაოები, ვადაგადაცილებამ შეადგინა 12 თვე და წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე მყიდველი უარს აცხადებს წინამდებარე ხელშეკრულებაზე, იგი უფლებამოსილია სრულად მოითხოვოს მის მიერ ფაქტობრივად გადახდილი თანხის უკან დაბრუნება. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული პირობა, წარმოადგენს ზნეობრივი ნორმების საწინააღმდეგოს, ვინაიდან აღნიშნული შეთანხმებით უსაფუძვლოდ ენიჭება უპირატესობა ურთიერთობის მონაწილე ერთ-ერთ მხარეს, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე, 61-ე და 62-ე მუხლების მიხედვით წარმოადგენს მისი ბათილად მიჩნევის უდავო საფუძველს. ამასთან მიმართებაში სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის ვადა უნდა იყოს გონივრული, რაც თავის მხრივ გულისხმობს, რომ ვადის დადგენით უსაფუძვლოდ არ უნდა ილაზხებოდეს ურთიერთობის მონაწილე მხარის ინტერესი. ამასთან, ხელშეკრულებიდან გასვლის ვადის განსაზღვრისას, აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ის გარემოება, თუ, რა საპატიო საფუძველით დგინდება მოცემული ვადა და მისი განსაზღვრის დასაბუთება, ვინაიდან აღნიშნუ-

ლით იზღუდება კრედიტორის უფლება მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის მიუხედავად ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე.

მიუხედავად ამ განმარტებისა, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 251-ე მუხლის თანახმად შპს „ა-ის“ ლ. ჩ-ის სასარგებლოდ დაკისრებული თანხის აღსრულების გადადება სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი წლის შემდეგ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 251-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლო დაადგენს გადაწყვეტილების აღსრულების განსაზღვრულ წესსა და ვადას, ან მიიღებს ზომებს გადამწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად, ამის შესახებ მითითებულ უნდა იქნეს გადაწყვეტილებაში.

აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქმეში არსებული მასალების მიხედვით, არ არსებობს ვალდებულების შესრულების გადავადების ზემოაღნიშნული წესის გამოყენების წინაპირობები, პირიქით, სააპელაციო სასამართლომ 2008 წლის 19 მაისს ლ. ჩ-სა და შპს „ა-ს“ შორის დადებული წინაორე ხელშეკრულების 8.6. პუნქტით გათვალისწინებული პირობა (ვალდებულების დარღვევიდან 12 თვის შემდეგ კრედიტორის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე) მიიჩნია ზნეობრივი ნორმების საწინააღმდეგო, და შესაბამისად, ბათილ პირობად, რაც მიუთითებს იმაზე, რომ კრედიტორს (ლ. ჩ-ემ) შეუძლია ისარგებლოს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებით, რაც ითვალისწინებს მიღებული შესრულებისა და სარგებლის დაბრუნებას, კერძოდ, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის თანახმად თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ლ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 19 აპრილის განჩინება შპს „ა“-ის ლ. ჩ-ის სასარგებლოდ დაკისრებული თანხის აღსრულების, კერძოდ, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი წლის შემდეგ გადადების ნაწილში;

3. გასაჩივრებული განჩინება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად;

4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ვალდებულების დარღვევა

გადანყვეთილება საქართველოს სახელით

№ას-476-450-2012

18 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე**

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. რ-მა სარჩელი აღძრა გორის რაიონულ სასამართლოში მოპასუხე გ. რ-ის მიმართ თანხის – 7400 შშ დოლარის დაკისრების მოთხოვნით შემდეგი გარემოებების გამო:

2010 წლის 4 ოქტომბერს ნ. რ-მა სარჩელი აღძრა გორის რაიონულ სასამართლოში გ. რ-ის მიმართ ქ. გორში, ს-ის ქ. №21/25-ში მდებარე ბინის ნაწილის ანდერძისმიერ მემკვიდრედ და მფლობელად ცნობის მოთხოვნით. საქმის განხილვის დროს, სადავო ბინის მესაკუთრე (საკუთრების მონმობა №...) გ. რ-ი მოსარჩელეს დაპირდა უძრავი ქონების სადავო ნაწილის ღირებულების (7400 აშშ დოლარის) გადახდას ნ. რ-ის მიერ ბინაზე ყადაღას მოხსნის შემთხვევაში. 2011 წლის 10 მარტს გ. რ-ი გამოცხადდა ნოტარიუს ლ. გ-თან, შეადგინა ე.წ ხელწერილი, რითაც იკისრა ვალდებულება, რომ იგი ნ. რ-ის მიერ სადავო ბინაზე ყადაღის მოხსნისა და შეთანხმების აქტის შედგენისთანა-

ვე, აღნიშნულ ბინას დატვირთავდა იპოთეკით მოსარჩელის სასარგებლოდ, 2012 წლის ბოლომდე ამ უკანასკნელისათვის 7400 აშშ დოლარის გადახდის უზრუნველსაყოფად. ნ. რ-მა ხელწერილის ჩაბარებისთანავე მიიღო ზემოაღნიშნული წინადადება და გორის რაიონული სასამართლოდან 2012 წლის 4 ოქტომბერს გამოიხბო სარჩელი. 2011 წლის 10 მარტის განჩინებით, ნ. რ-ის მიერ აღძრული სარჩელი დარჩა განუხილველად, ასევე, გაუქმდა 2010 წლის 28 სექტემბრის განჩინებით დადგენილი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და მოესხნა ყადაღა უძრავ ქონებას. მოსარჩელემ წერილობით აცნობა მოპასუხეს პირობის შესრულების თაობაზე და სანაცვლოდ მოითხოვა, გამოცხადებულიყო სანოტარო ბიუროში იპოთეკის ხელშეკრულების გასაფორმებლად. 2011 წლის 18 მარტის №23 წერილით, გ. რ-ის წარმომადგენელმა მოსარჩელეს შეატყობინა, რომ აღარ იყო თანახმა, შეესრულებინა ნაკისრი ვალდებულებები.

მოპასუხე გ. რ-მა სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა შემდეგი საფუძვლებით:

2011 წლის 9 მარტის სასამართლო სხდომაზე მხარეები სიტყვიერად შეთანხმდნენ მორიგების თაობაზე, რის გამოც სასამართლო სხდომა გადაიდო 2011 წლის 15 მარტს. მორიგების პირობა იყო საქმის წარმოების შეწყვეტა, რის სანაცვლოდაც, გ. რ-ს უნდა აეღო ვალდებულება მოსარჩელისათვის გადაეცა 7400 აშშ დოლარი, აღნიშნულის უზრუნველსაყოფად მოპასუხეს იპოთეკით უნდა დაეტვირთა საკუთარი ბინა. აღნიშნულ პირობას გ. რ-ი შესარულებდა იმ შემთხვევაში, თუკი მეორე მხარეს არ მიეცემოდა შესაძლებლობა, ხელახლა განეცხადებინა სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები, იმავე საფუძველზე, აგრეთვე, სადავო არ გაეხადა სხვა გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი საფუძვლები, რის თაობაზეც მხარეებს უნდა დაედოთ შეთანხმების აქტი. მოცემული შეზღუდვების დაწესება შეუძლებელია საქმის შეწყვეტის შესახებ განჩინების გამოტანის გარეშე, რითაც გ. რ-ი მიიღებდა გარანტიას, რომ, ერთი მხრივ, ნ. რ-ი ვეღარ იდავებდა იმავე საგანზე, იმავე საფუძვლით და, მეორე მხრივ, იგი სადავოდ არ გახდიდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2010 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებას, რომლითაც დაკმაყოფილდა 2010 წლის 30 ნოემბრის №... საჩივარი და ბათილად იქნა ცნობილი ნ. რ-ის რეგისტრაცია მისამართზე: ქ. გორი, ს-ის ქ. №21/25. სწორედ, მოცემულ რეგისტრაციას ეყრდნობა ნ. რ-ის ერთ-ერთი სასარჩელო მოთხოვნა ბინის თანამესაკუთრედ ცნობის თაობაზე. 2010 წლის 10 მარტის ხელწერილში, მოპასუხემ ვალდე-

ბულების აღების აუცილებელ პირობად დაასახელა შეთანხმების აქტის შედგენა, რისი წინაპირობაც თავად მოსარჩელემ მოსპო სარჩელის გამოხმობით, რომლითაც ნ. რ-მა დაიტოვა უფლება სასამართლოში განაცხადოს იგივე სასარჩელო მოთხოვნები, იმავე საფუძველზე. მოპასუხის წარმომადგენელმა ნ. რ-ის რწმუნებულს 2011 წლის 18 მარტს წერილობით აცნობა ხელწერილით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის თაობაზე, რადგანაც მოსარჩელემ, სარჩელის გამოხმობით, თავადვე დაარღვია შესასრულებელი ვალდებულება. მოპასუხე, ასევე, არ დაეთანხმა სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე და 361-ე მუხლების მითითებას, ამავე კოდექსის 327-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მხარეთა შორის ხელშეკრულების არარსებობის გამო.

გორის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. რ-ის სარჩელი გ. რ-ის მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. რ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. რ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გორის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. რ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, გ. რ-ს ნ. რ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 7400 აშშ დოლარისა და სასამართლო ხარჯების ანაზღაურება შემდეგი დასაბუთებით:

პალატამ დადგინილად მიიჩნია, რომ გორის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1965 წლის 2 თებერვლის №35 გადაწყვეტილების (ოქმი №3) საფუძველზე, აპელანტის ბებია (მონინალმდევე მხარის დედა) ქ. ა-ე განევრიანდა ბინათმშენებლობის კოოპერატივ „ძმობაში“ და გახდა ამ კოოპერატივის მეპაიე. კოოპერატივ „ძმობას“ მიერ 1977 წლის 7 აგვისტოს გაცემული ცნობის თანახმად, ქ. ა-ემ დაფარა კოოპერატივის სესხი. 2007 წლის 30 მაისს ქ. გორში, ს-ის გამზირის №21-ში მდებარე ქ. ა-ის კუთვნილ №25 ბინაზე საჯარო რეეტრში და რეგისტრირდა კოოპერატივ „ძმობას“ საკუთრების უფლება, სადაც დაცულია ასევე დოკუმენტი – ქ. ა-ის 2007 წლის 30 აპრილის განცხადება ამ უძრავი ქონების კოოპერატივი „ძმობას“ საკუთრებაში პირველადი რეგისტრაციის შესახებ, ამასთან, სიცოცხლეში ქ. ა-ეს მფლობელობაში არსებულ ამ ბინაზე თავისი საკუთრების უფლება არ დაურეგისტრირებია, თუმცა, უდავოა, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993

წლის 5 ივლისის №519 დადგენილების საფუძველზე, ქ. ა-ეს მოპოვებული ჰქონდა ამ ბინაზე საკუთრების უფლება და მას ნებისმიერ დროს შეეძლო ამ უფლების დარეგისტრირება საჯარო რეესტრში. 2007 წლის 6 ნოემბრს სანოტარო წესით დადასტურებული ანდერძით (რეესტრის რეგისტრაციის №3-4) ქ. ა-ემ უფლება სადავო ბინაზე განკარგა შვილის – გ. რ-ისა და შვილიშვილის – ნ. რ-ის სასარგებლოდ, კერძოდ, სამოთახიანი ბინიდან ორი ოთახი უანდერძა შვილს – გ. რ-ს, ხოლო ერთ ოთახი – შვილიშვილს ნ. რ-ს. ქ. ა-ე გარდაიცვალა 2010 წლის 8 აგვისტოს. 2010 წლის 13 აგვისტოს, მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 5 ივლისის №519 დადგენილების საფუძველზე, გ. რ-მა აიღო საკუთრების მონაწილეობა სადავო ბინაზე, რაც იმავე დღეს წარადგინა საჯარო რეესტრში, სადაც 19 აგვისტოს ქ. გორში, ს-ის ქ. №21/25-ში მდებარე უძრავი ქონება საკუთრების უფლებით დარეგისტრირდა გ. რ-ის სახელზე (საკადასტრო კოდით №66.05.19.185.01.025). 2010 წლის 14 სექტემბერს ნოტარიუსმა ლ. გ-მა გამოაქვეყნა ქ. ა-ის სანოტარო წესით გაცემული და დალუქული ანდერძი. გორის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 28 სექტემბრის განჩინებით ნ. რ-ის მოთხოვნა სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა და ყადაღა დაედო ქ. გორში, ს-ის ქ. №21/25-ში მდებარე გ. რ-ის საკუთრებაში არსებულ სადავო საცხოვრებელ სახლს. 2010 წლის 4 ოქტომბერს გორის რაიონულ სასამართლოში სარჩელი აღძრა ნ. რ-მა გ. რ-ის მიმართ ქ. გორში, ს-ის ქ. №21/25-ში მდებარე ბინის 1/3 ნაწილზე მესაკუთრედ ცნობისა და 2010 წლის 13 აგვისტოს გაცემული საკუთრების მონაწილის 1/3 ნაწილში ბათილად ცნობის თაობაზე. სასამართლო განხილვის მიმდინარეობისას, 2011 წლის 9 მარტს მხარეთა მორიგების მიზნით გადადებული იქნა სასამართლო სხდომა. 2011 წლის 10 მარტს გ. რ-მა შეადგინა და სანოტარო წესით დაამონა ხელწერილი, რომლითაც აიღო ვალდებულება ნ. რ-ის მიერ ქ. გორში, ს-ის ქ. №21/25 მდებარე სადავო ბინაზე ყადაღის მოხსნისა და მხარეებს შორის შეთანხმების აქტის შედგენისთანავე, საკუთრებაში არსებულ ზემოაღნიშნულ ბინას დატვირთავდა იპოთეკით ნ. რ-ის სასარგებლოდ მისთვის 7400 აშშ დოლარს გადახდის უზრუნველსაყოფად 2012 წლის ბოლომდე გადახდის პირობით. ამავე ხელწერილის ბოლო აბზაცით, შეთანხმებაში მკაფიოდ უნდა ყოფილიყო ხაზგასმული, რომ თანხის გადახდის შემდეგ ნ. რ-ი სამუდამოდ უარს იტყოდა ყველანაირ ქონებრივ და სხვა სახის დავაზე, რომელიც შეეხებოდა ბინას, მდებარე ს-ის 21/25-ში, აგრეთვე სამემკვიდრეო დავებზე, რომელიც ეხება გ. რ-ის ქონებრივ ინტერესებს. ამ ხელწე-

რილში მითითებული პირობებს დაეთანხმა ნ. რ-ი და მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულების მიზნით, იმავე დღეს (2011 წლის 10 მარტს) მოსარჩელე ნ. რ-ის წარმომადგენელმა ე. პ-მა განცხადებით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს ზემოთ ხსენებული სარჩელის გამოხმობისა და მათი მოთხოვნით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ. 2011 წლის 10 მარტს გორის რაიონული სასამართლოს განჩინებით მოსარჩელე მხარის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, ნ. რ-ის სარჩელი გ. რ-ის მიმართ დარჩა განუხილველად, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გაუქმდა და ყადაღა მოეხსნა გ. რ-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, პალატამ ჩათვალა, რომ ნ. რ-მა შეასრულა 2011 წლის 10 მარტის ხელწერილით განსაზღვრული პირობა, რაც გამოიხატა გ. რ-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებზე ყადაღის მოხსნაში. გ. რ-მა ხელწერილით ნაკისრი ვალდებულება (სადავო ბინაზე ყადაღის მოხსნისას, მის საკუთრებაში არსებულ ბინას დატვირთავდა იპოთეკით ნ. რ-ის სასარგებლოდ, მისთვის 7400 აშშ დოლარის გადახდის უზრუნველყოფად 2012 წლის ბოლომდე გადახდის პირობით) არ შეასრულა, უფრო მეტიც, იგი, მიუხედავად ნ. რ-ის ადვოკატის არა ერთი წერილობითი შეტყობინებისა, არ გამოცხადდა ნოტარიუსთან 2010 წლის 10 მარტის ხელწერილში მითითებული შეთანხმების შესადგენად, ხოლო სადავო უძრავი ქონება, მდებარე ს-ის ქ. №21/25-ში ყადაღის მოხსნის შემდეგ გაყიდა. სასამართლომ მიუთითა გ. რ-ის განმარტებაზე, რომლის თანახმადაც, იგი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობას ვეღარ შეასრულებდა, ვინაიდან, თავის დროზე ბინაზე ყადაღის არსებობის გამო, მან ვერ შეძლო ბინის მაღალ ფასად გაყიდვა, რის გამოც ყადაღის მოხსნის შემდეგ მოუწია ბინის დაბალ ფასად გასხვისება თავისი შვილის ბრალით. მისივე განმარტებით, შექმნილი აქვს სხვა ოჯახი, რის გამოც თანხის ნაწილსაც ვერ გადაუხდის გ. რ-ს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პალატა არ დაეთანხმა გასაჩივრებული გადანყვეტილების მსჯელობას, რომ 2010 წლის 10 მარტის ხელწერილში მითითებული პირობები დარღვეული იქნა ნ. რ-ის მიერ, რადგან რაიონული სასამართლოს ეს დასკვნა არ გამომდინარეობდა საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან, რომელთა შეფასებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის საფუძველზე, პალატამ შეთანხმებული პირობები გ. რ-ის მიერ დარღვეულად მიიჩნია, რამაც ნ. რ-ს მისცა კანონიერი საფუძველი, ზიანის ანაზღაურების სახით მოეთხოვა მოპასუხისათვის 7400 აშშ დოლარის დაკისრება. წინამდებ-

რე საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა 2010 წლის ხელწერილის სამართლებრივი ბუნების განსაზღვრას და რაიონულ სასამართლოს ამ საკითხზე ვრცელი მსჯელობის ნაცვლად, უნდა დაედგინა არსებობდა თუ არა მოპასუხისათვის ზიანის დაკისრების წინაპირობები. პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 1328-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, და განმარტა შემდეგი: უდავოდ დადგენილია, რომ 2010 წლის 8 აგვისტოს გარდაცვლილი ქ. ა-ის სამკვიდრო აქტივში შედიოდა სადავო ბინაზე საკუთრების უფლება, რომელიც მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 5 ივლისის №519 დადგენილების საფუძველზე. სამკვიდრო აქტივი ქ. ა-ემ განკარგა 2007 წლის 6 ნოემბერს სანოტარო წესით დადასტურებული ანდერძით (რეესტრის რეგისტრაციის №3-4), რომლითაც ამ აქტივის 1/3 მიაკუთვნა შვილიშვილ ნ. რ-ის, ხოლო 2/3 – შვილ გ. რ-ს. ნ. რ-მა გ. რ-ის ბრალით ვერ შეძლო კონსტიტუციით აღიარებული მემკვიდრეობის უფლების რეალიზაცია და სამკვიდროს მიღება. სამოქალაქო კოდექსის 408-ე და 409-ე მუხლების მიხედვით, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია, სამკვიდრო ქონება გ. რ-ის მიერ გასხვისებულია, პალატამ ჩათვალა, რომ მოსარჩელეს უნდა მიეცეს სამკვიდროში მისი წილის შესაბამისი ფულადი ანაზღაურება, რაც მხარეთა მიერ განსაზღვრულია 7 400 აშშ დოლარით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. რ-მა, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება შემდეგი საფუძველებით:

გასაჩივრებული გადაწყვეტილება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის შესაბამისად, გამოტანილია კანონის დარღვევით, კერძოდ, პალატა მოცემული დავის ფარგლებში მსჯელობს სამემკვიდრეო დავაზე, რაც არ წარმოადგენს მოცემული დავის საგანს. აღნიშნულმა, ერთი მხრივ, გამოიწვია ფაქტების არასწორად გადმოცემა, ხოლო, მეორე მხრივ, შეეხო ისეთ საკითხებს რაც არ შედიოდა მის კომპეტენციაში. გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულადაც არ არის საკმარისად დასაბუთებული და მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. პალატამ არასწორად მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსისა და მატერიალური კანონმდებლობის მოთხოვ-

ნები დარღვეულად. სასამართლო არ უთითებს და ვერ ასაბუთებს, თუ რომელი ფაქტობრივი გარემოებები იქნა არასწორად დადგენილი, რომელი კანონი გამოიყენა არასწორად, ან რომელი ნორმა არ უნდა გამოეყენებინა. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ დასაბუთებაში სასამართლო მსჯელობს საკითხებზე, რომლებიც დავის საგანს არ წარმოადგენს, არამედ წარმოადგენდა ნ. რ-ის მიერ 2011 წლის 10 მარტს გამოხმობილი სარჩელის საგანს, რაზედაც მოსარჩელემ ცალმხივად, საკუთარი ნებით თქვა უარი. მემკვიდრეობის საკითხი არსებობდა მხარეებს შორის და მოპასუხეს ჰქონდა სარჩელის ცნობაზე უარის თქმის საფუძველი, რაც დაფიქსირდა შესაგებელში სათანადო მტკიცებულებებით. სამემკვიდრეო საკითხებზე მსჯელობით პალატამ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლი და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 5 ივლისის №519 დადგენილება. არასწორია, ასევე, პალატის მითითება, რომ ნ. რ-მა გ. რ-ის ბრალით ვერ შეძლო კონსტიტუციით აღიარებული მემკვიდრეობის უფლების რეალიზაცია და სამემკვიდროს მიღება. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით პალატამ მოსარჩელეს მიანიჭა ის, რაც მას არ მოუთხოვია. ნ.რ-მა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83¹ მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გამოიხმო სარჩელი სამემკვიდრეო დავაზე, შესაბამისად, მას უარი არ უთქვამს თავის მოთხოვნაზე და მას აქვს ამ მოთხოვნის რეალიზაციის უფლება. სასამართლო შეეხო რა ნ. რ-ის მიერ სარჩელის გამოხმობას და შედეგად მიღებული განჩინების საფუძველზე სარჩელის უზრუნველყოფის ყადაღის მოხსნას, გადაწყვეტილებაში არასწორად აღნიშნა, რომ უძრავ ქონებაზე ყადაღის მოხსნით, მოსარჩელემ შეასრულა 2011 წლის 10 მარტის ხელწერილით განსაზღვრული პირობა, რაც არ შეესაბამება სიმართლეს, კერძოდ, სარჩელის გამოხმობა და განჩინების გამოტანა ყადაღის მოხსნის თაობაზე არის მხოლოდ წინაპირობა ყადაღის მოხსნისა. 2011 წლის 14 მარტს, ე. პ-მა მიმართა გ. რ-ს წერილით და შეახსენა რა 2011 წლის 10 მარტის ხელწერილის თაობაზე, მოსთხოვა ნოტარიუსთან გამოცხადება და შეთანხმების დადება, ამ დროისთვის ყადაღა მოხსნილი არ იყო, 2011 წლის 31 მარტს ე. პ-მა განმეორებით მიმართა გ. რ-ს და კვლავ მოსთხოვა შეთანხმების გაფორმება, აგრეთვე, მითითა, რომ ყადაღა მოხსნილია, თუმცა აღნიშნულის დასადასტურებლად არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება, ე. პ-ის მითითებაზე გ. რ-მა დეტალურად განუმარტა მოწინააღმდეგე მხარეს ვალდებულების დარღვევის თაობაზე, ყადაღის მოხსნა,

როგორც ოფერტის ერთ-ერთი პირობა, დადასტურებულ ფაქტადაც რომ ჩაითვალოს, გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზემოაღნიშნული მსჯელობა მაინც უსაფუძვლოა, ვინაიდან არ შეიძლება დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად ჩაითვალოს ნ. რის მიერ 2011 წლის 10 მარტის ხელწერილით განსაზღვრული პირობები შესრულებულად, 2011 წლის 18 მარტის წერილში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ გ. რ-მა ივალდებულა მის საკუთრებაში არსებული ბინის იპოთეკით დატვირთვა გარკვეული წინაპირობით და არა ბინის იპოთეკით დატვირთვა და შეთანხმების დადება ერთდროულად, როგორც ამას მოწინააღმდეგე მხარე არასწორად წარმოაჩენს, შესაბამისად, სასამართლოს მსჯელობა, რომ გ. რ-მა არ შეასრულა ხელწერილით ნაკისრი ვალდებულება, ყოველგვარ საფუძველსა და დასაბუთებასაა მოკლებული. ბუნდოვანია პალატის განმარტება, რომლითაც არ იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას ხელწერილში მითითებული პირობების ნ. რ-ის მიერ დარღვევის თაობაზე, რადგანაც თავად სააპელაციო პალატა არ უთითებს, თუ რა საფუძველს ემყარება ზემოაღნიშნული მსჯელობა. აღსანიშნავია 2011 წლის 9 მარტის სასამართლო სხდომის ოქმი, რომელსაც სრული იგნორირება გაუკეთა სააპელაციო სასამართლომ, სარჩელის გამოხმობის შესახებ შუამდგომლობას კასატორი არ ეთანხმებოდა, მაგრამ ამ უკანასკნელს არ ჰქონდა უფლება, მხარისთვის აეკრძალა სარჩელის გამოხმობა, ვინაიდან სხდომა იყო მოსამზადებელი. მხარეთა შორის მიღწეულ მორიგებას უნდა მოჰყოლოდა საქმის შეწყვეტა და ის წინაპირობები, რაც ხელწერილით იყო განსაზღვრული უნდა ჩადებულყო მორიგების აქტში, აღნიშნული კი გახდებოდა საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი. ხელწერილის შინაარსიდან გამომდინარე, ყადაღის მოხსნის პირობასთან ერთად, აუცილებელ პირობას წარმოადგენდა შეთანხმების დადების შეთავაზება, შეთავაზებულ 2 პირობას შორის გამოყენებულია „და“ კავშირი, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს პირობები უნდა შესრულებულიყო კუმულაციურად და არა ალტერნატიულად. სამოქალაქო კოდექსის 329-ე მუხლის შესაბამისად, ნ. რ-მა მიიღო რა ხელწერილით განსაზღვრული პირობები, მოწინააღმდეგე მხარე ელოდებოდა ბინაზე ყადაღის მოხსნასა და შეთანხმების დადებას, რასაც უნდა მოჰყოლოდა სამოქალაქო საქმის შეწყვეტა, რის შემდეგაც, მხარეს აღარ შეეძლებოდა ხელახლა განეცხადებინა სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები, იმავე საფუძველზე ან სადავო გაეხადა სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი. სააპელაციო სასა-

მართლოს გამარტება, რომ ნ.რ-ს ხელწერილით ნაკისრი პირობა არ დაურღვევია, სრულად ბათილდება სამოქალაქო კოდექსის 333-ე მუხლის მე-2 ნაწილით. პალატამ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები, 328-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 329-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 333-ე მუხლის მე-2 ნაწილი და 334-ე მუხლი. სასამართლომ, ასევე, არ გაითვალისწინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3, 83¹ და 272-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი. არასწორია გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა, რომ წინამდებარე საქმის გადაწყვეტისათვის, არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა 2010 წლის ხელწერილის სამართლებრივი ბუნების განსაზღვრას, რადგანაც შეუძლებელია, მოცემული ხელწერილის ბუნების განსაზღვრის გარეშე საერთოდ საქმეზე მსჯელობა. სწორედ, ხელწერილის ბუნების განუსაზღვრელობამ და ამ საკითხზე ვრცელი მსჯელობის არარსებობამ გამოიწვია უკანონო გადაწყვეტილების მიღება. არასწორია ასევე სასამართლოს მითითება მოწინააღმდეგე მხარე გ. რ-ის განმარტებაზე, რომ იგი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობას ვეღარ შეასრულებს. სასამართლოს აღნიშნული დასკვნა სხდომის ოქმში არსებული განმარტების სწორი ინტერპრეტაციიდან არ გამომდინარეობს, პალატა გადანყვეტილების დასაბუთებისას უსაფუძვლოდ მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლზე, ვინაიდან, გ. რ-ს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოშობია. ასევე უსაფუძვლოა ამავე კოდექსის 409-ე მუხლის მოხმობა, რადგანაც საქმეში არ არის მტკიცებულება, რომლითაც სადავო ქონების გასხვისების ფაქტი დადასტურდებოდა. ხელწერილში არსებული ქონების სამკვიდრო ქონებად მიჩნევა აბსურდია, რადგან 2011 წლის 10 მარტის ხელწერილში მითითებული ქონება უნდა გამოყენებულიყო შეთანხმებაში აღნიშნული თანხის უზრუნველყოფის საშუალებად, თუკი ასეთი დაიდებოდა, სასამართლოს მსჯელობა, რომ მოსარჩელეს უნდა მიეცეს სამკვიდროში მისი წილის შესაბამისი ფულადი ანაზღაურება, რაც მხარეთა მიერ განსაზღვრულია 7400 აშშ დოლარით, არასწორია, აღნიშნულით სასამართლო უსაფუძვლოდ განსაზღვრავს სამკვიდროდან მხარის წილს 1/3-ით, ასევე არ დასტურდება საქმის მასალებით მხარეთა მიერ წილის საკომპენსაციო თანხის განსაზღვრის წინაპირობები. სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას დაარღვია კანონი, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 408-ე, 409-ე, 316-ე და 317-ე მუხლები, ამასთანავე, სასამართლომ თანხა ისე დააკისრა მხარეს, რომ შეფასება არ მიუცია აპელანტის მოთხოვნისათვის – თანხის დაკისრება 2012 წლის ბოლომდე.

კასატორმა, ასევე, წარმოადგინა მტკიცებულებები და იშუამდგომლა მათი საქმისათვის დართვის თაობაზე, ასევე, საქმის საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისათვის გადაცემა განსახილველად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 აპრილის განჩინებით გ. რ-ის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობისა და გ. რ-ის საკასაციო საჩივრის საფუძვლების ანალიზის შედეგად მიიჩნევს, რომ მოცემული საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონეა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2010 წლის 13 აგვისტოს, მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 5 ივლისის №519 დადგენილების საფუძველზე, გ. რ-მა აიღო საკუთრების მონაძლეა ქ.გორში, ს-ის ქ. №21/25-ში მდებარე უძრავ ქონებაზე და 19 აგვისტოს დარეგისტრირდა აღნიშნული ქონების მესაკუთრედ (საკადასტრო კოდით №66.05.19.185.01.025).

გორის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 28 სექტემბრის განჩინებით ნ. რ-ის მოთხოვნა სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა და ყადაღა დაედო ქ.გორში, ს-ის ქ. №21/25-ში მდებარე გ. რ-ის საკუთრებაში არსებულ სადავო საცხოვრებელ სახლს.

2010 წლის 4 ოქტომბერს გორის რაიონულ სასამართლოში სარჩელი აღძრა ნ. რ-მა გ. რ-ის მიმართ ქ.გორში, ს-ის ქ. №21/25-ში მდებარე ბინის 1/3 ნაწილზე მესაკუთრედ ცნობისა და 2010 წლის 13 აგვისტოს გაცემული საკუთრების მონაძლეობის 1/3 ნაწილში ბათილად ცნობის თაობაზე.

სასამართლო განხილვის მიმდინარეობისას, 2011 წლის 9 მარტს მხარეთა მორიგების მიზნით გადადებული იქნა სასამართლო სხდომა. 2011 წლის 10 მარტს გ. რ-მა შეადგინა და სანოტარო წესით დაამონმა ხელწერილი, რომლითაც აიღო ვალდებულება, რომ ნ. რ-ის მიერ ქ.გორში, ს-ის ქ. №21/25 მდებარე სადავო ბინაზე ყადაღის მოხსნისა და მხარეებს შორის შეთანხმების აქტის შედგენისთანავე, საკუთრებაში არსებულ ზემოაღნიშნულ ბინას დატვირთავდა იპოთეკით ნ. რ-ის სასარგებლოდ მისთვის 7400 აშშ დოლარის გადახდის უზრუნველსაყოფად, 2012 წლის ბოლომდე გადახდის პირობით. იმავე ხელწერილის ბოლო აბზაცით, შეთანხმებაში მკაფიოდ უნდა ყოფილიყო ხაზგასმული, რომ თანხის გადახდის შემდეგ ნ. რ-ი სამუდამოდ უარს იტყოდა ყველანაირ ქონებრივ და სხვა სახის დავაზე, რომელიც შეეხებოდა ბინას, მდებარე ს-ის 21/25-ში, აგრეთვე სამემკვიდრეო დავებზე, რომელიც ეხება გ. რ-ის ქონებრივ ინტერესებს. ხელწერილში მითითებულ პირობებს დაეთანხმა ნ. რ-ი და მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულების მიზნით, იმავე დღეს (2011 წლის 10 მარტს) მოსარჩელე ნ. რ-ის წარმომადგენელმა ე. პ-მა განცხადებით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს ზემოთ ხსენებული სარჩელის გამოხმობისა და მათი მოთხოვნით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ.

2011 წლის 10 მარტს ნ. რ-ის სარჩელი გ. რ-ის მიმართ დარჩა განუხილველად, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გაუქმდა და ყადაღა მოეხსნა გ. რ-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას. ამით ნ. რ-მა შეასრულა 2011 წლის 10 მარტის ხელწერილით განსაზღვრული პირობა,

გ. რ-მა ხელწერილით ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა, უფრო მეტიც, იგი, მიუხედავად ნ. რ-ის ადვოკატის არა ერთი წერილობითი შეტყობინებისა, არ გამოცხადდა ნოტარიუსთან 2010 წლის 10 მარტის ხელწერილში მითითებული შეთანხმების შესადგენად, ხოლო სადავო უძრავი ქონება, მდებარე ს-ის ქ. №21/25-ში ყადაღის მოხსნის შემდეგ გაყიდა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადანყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით დადგენილია ის წინაპირობები, თუ რა მიიჩნევა როგორც მატერიალური კანონის, ასევე საპროცესო კანონის დარღვევად. სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ – არ გამოიყენა კანონი, რო-

მელიც უნდა გამოეყენებინა; გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; არასწორად განმარტა კანონი. ამასთან, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს იმ მსჯელობას, რომლითაც სასამართლო საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონედ არ მიიჩნევს 2010 წლის 10 მარტის ხელწერილის სამართლებრივი ბუნების განსაზღვრას. საკასაციო სასამართლო კასატორის ამ პოზიციას იზიარებს და მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის არსებულ ფაქტობრივ-სამართლებრივ ურთიერთობას უნდა მიეცეს შესაბამისი სამართლებრივი შეფასება, რათა დადგენილი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველები სწორად იქნეს განსაზღვრული.

განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მხარეებს შორის გორის რაიონულ სასამართლოში მიმდინარეობდა სხვა დავა, სადაც დავის საგანს წარმოადგენდა გ. რ-ის საკუთრებაში არსებული ქ.გორში, ს-ის ქ. №21/25-ში მდებარე უძრავი ქონების (ბინა) 1/3 ნაწილში ნ. რ-ის საკუთრების უფლების აღიარება. სწორედ აღნიშნული დავის ფარგლებში მხარეებმა დავის მორიგებით დასრულების მიზნით შესთავაზეს ერთმანეთს პირობები. როგორც სააპელაციო სასამართლოს ფაქტობრივ დასაბუთებაშია აღნიშნული, მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე: გ. რ-მა აიღო ვალდებულება, რომ ნ. რ-ის მიერ ქ.გორში, ს-ის ქ. №21/25 მდებარე სადავო ბინაზე ყადაღის მოხსნისა და მხარეებს შორის შეთანხმების აქტის შედგენისთანავე, საკუთრებაში არსებულ ზემოაღნიშნულ ბინას დატვირთავდა იპოთეკით ნ. რ-ის სასარგებლოდ, მისთვის 7400 აშშ დოლარის გადახდის უზრუნველსაყოფად 2012 წლის ბოლომდე გადახდის პირობით. შეთანხმებაში მკაფიოდ უნდა ყოფილიყო ხაზგასმული, რომ თანხის გადახდის შემდეგ ნ. რ-ი სამუდამოდ უარს იტყოდა ყველანაირ ქონებრივ და სხვა სახის დავაზე, რომელიც შეეხებოდა ბინას, მდებარე ს-ის 21/25-ში, აგრეთვე სამემკვიდრეო დავებზე, რომელიც ეხება გ. რ-ის ქონებრივ ინტერესებს.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის მიხედვითაც, კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი

ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას. მოცემული ნორმის ანალიზისა და საქმეზე დადაგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის არსებობდა ვალდებულებითსამართლებრივი, კერძოდ სახელშეკრულებო ურთიერთობა. მართალია, მხარეთა მიერ შეთანხმებული პირობების დამტკიცება არ მომხდარა სასამართლოს მიერ, თუმცა ამ ფაქტის არარსებობა არ ცვლის ვალდებულების არსს.

კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს დასკვნას, რომლითაც დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ გ. რ-მა არ შეასრულა ხელწერილით ნაკისრი ვალდებულება. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა ემყარება ფაქტობრივი გარემოებების არასწორ დადგენას, ვინაიდან არ შეიძლება დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად ჩაითვალოს ნ. რ-ის მიერ 2011 წლის 10 მარტის ხელწერილით განსაზღვრული პირობები შესრულებულად, 2011 წლის 18 მარტის წერილში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ გ. რ-მა ივალდებულა მის საკუთრებაში არსებული ბინის იპოთეკით დატვირთვა გარკვეული წინაპირობით და არა ბინის იპოთეკით დატვირთვა და შეთანხმებების დადება ერთდროულად, მხარეთა შორის მიღწეულ მორიგებას უნდა მოჰყოლოდა საქმის შეწყვეტა და ის წინაპირობები, რაც ხელწერილით იყო განსაზღვრული უნდა ჩადებულყო მორიგების აქტში, აღნიშნული კი გახდებოდა საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი. სამოქალაქო კოდექსის 329-ე მუხლის შესაბამისად, ნ. რ-მა მიიღო რა ხელწერილით განსაზღვრული პირობები, მონინააღმდეგე მხარე ელოდებოდა ბინაზე ყადაღის მოხსნასა და შეთანხმების დადებას, რასაც უნდა მოჰყოლოდა სამოქალაქო საქმის შეწყვეტა. კასატორის აღნიშნულ პრეტენზიასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს რამდენიმე საკითხზე:

სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ. საქმის მასალებით დადგენილია, რომ კასატორის მიერ ნ. რ-ის მისამართით შეთავაზებულ იქნა წინადადება, რომელიც ისე მიიღო ამ უკანასკნელმა, რომ მისი მხრიდან სხვა სახის შეთავაზებას (ახალ ოფერტს) ადგილი არ

ჰქონია. აქედან გამომდინარე, კასატორის აპელირება იმ გარემოებაზე, რომ მხარეთა შორის უნდა დადებულიყო დამატებითი შეთანხმება ვერ აბათილებს მხარეებს შორის ორმხრივი ვალდებულების წარმოშობის ფაქტს. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ერთის მხრივ გ. რ-მა აიღო ვალდებულება 2012 წლის ბოლომდე ნ. რ-ისთვის გადაეხადა 7400 აშშ დოლარი, ხოლო მეორეს მხრივ ნ. რ-მა აიღო ვალდებულება უარი ეთქვა ყველანაირ ქონებრივ და სხვა სახის დავაზე, რომელიც შეეხებოდა ბინას, მდებარე ქ.გორში, ს-ის 21/25-ში, აგრეთვე სამემკვიდრეო დავებზე, რომელიც შეეხებოდა გ. რ-ის ქონებრივ ინტერესებს. ამასთან, სადავო ბინაზე უნდა მოხსნილიყო ყადაღა და გ. რ-ის მიერ ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად გამოყენებული უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფის ისეთი ღონისძიება, როგორცაა იპოთეკა.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ნ. რ-მა შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა, რაც გამოიხატა მასში, რომ 2011 წლის 10 მარტს ნ. რ-მა გამოიხმო სარჩელი და მისივე მოთხოვნით გაუქმდა გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება – ყადაღა. საკასაციო პალატა იზიარებს რა კასატორის არგუმენტებს, მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მოცემული შეფასება არასწორია, ვინაიდან სარჩელის გამოსმობა არ წარმოადგენდა მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმების პირობას. ამასთან, მხედველობაშია მისაღები კასატორის ის ინტერესი, რაც მან დაუკავშირა მისი მხრიდან ვალდებულების შესრულებას, კერძოდ, ნ. რ-ის მიერ სარჩელზე უარის თქმა, რასაც შედეგად მოჰყვებოდა საქმის შეწყვეტა და მხარეებს შორის ყველანაირი დავის დასრულება. საქმის მასალებით არ არის დადგენილი, რომ ნ. რ-მა ამ კუთხით შეასრულა რაიმე მოქმედება (უარი თქვა კასატორის მიმართ ყველანაირ დავაზე). საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83¹ მუხლის 1-ლი ნაწილის პირველ წინადადებაზე, რომლის თანახმადაც, მოსარჩელეს უფლება აქვს, გამოიხმოს სარჩელი ისე, რომ უარი არ თქვას თავის მოთხოვნაზე. სარჩელის გამოსმობა სამართლებრივად არ შეიძლება გაიგივებულ იქნას ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის ინსტიტუტთან, რადგანაც მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმა საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველია, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტისა, რა დროსაც, 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო-სათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის,

იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება. ამდენად, ის გარემოება, რომ ნ. რ-მა მასზე დაკისრებული ვალდებულება შეასრულა, ემყარება საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებათა არასწორ შეფასებას, შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში კასატორმა წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული შედავება (პრეტენზია).

სამოქალაქო კოდექსის 369-ე მუხლის მიხედვით, იმ პირს, რომელსაც ვალდებულება აკისრია ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი ვალდებული იყო თავისი ვალდებულება წინასწარ შეესრულებინა. განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან კასატორის მოწინააღმდეგე მხარის მიერ ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით კასატორმა წარმოადგინა დასაბუთებული პრეტენზია, კასატორის არგუმენტი, რომ საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე მას არ ეკისრებოდა ვალდებულების შესრულება საფუძვლიანია და გაზიარებულ უნდა იქნეს.

სააპელაციო პალატა გ. რ-ის მხრიდან ვალდებულების დარღვევად მიიჩნევს აგრეთვე იმას, რომ სადავო უძრავი ქონება, მდებარე ს-ის ქ. №21/25-ში ყადაღის მოხსნის შემდეგ გაიყიდა. აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით საკასაციო პალატა განმარტავს შემდეგს: საქმის მასალებით დადგენილია, რომ მხარეებმა 2010 წლის 10 მარტის შეთანხმებით ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაითვალისწინეს ისეთი სახის უზრუნველყოფის ღონისძიება, როგორცაა იპოთეკა. ამასთან, მხარეებს შორის ქონებაზე დავის სასამართლო წესით განხილვისას სასამართლოს განჩინების საფუძველზე გამოყენებული იყო ყადაღა. საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ ხაზს გაუსვამს იმ ფაქტს, რომ სარჩელის გამოხმობა არ ყოფილა მხარეთა შეთანხმების საგანი, ამასთან, კასატორის მოწინააღმდეგე მხარის რისკი იყო ის, რომ მან სასამართლოს მეშვეობით არ მოითხოვა მორიგების დამტკიცება და უკვე გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების – ყადაღის შეცვლა მეორე სახის უზრუნველყოფის ღონისძიებით – იპოთეკით. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის მოწინააღმდეგე მხარის მიერ განეული რისკის უარყოფითი შედეგები ამ უკანასკნელმა უნდა იტვირთოს.

საკასაციო პალატა არ ეთანხმება გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებას იმ ნაწილში, რომლითაც სასამართლომ სამკვიდრო წილის კომპენსაციის სანაცვლოდ, ზიანის ანაზღა-

ურების სახით, აპელანტს მიაკუთვნა სარჩელში მითითებული თანხა, პალატა მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი, ასევე, დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიას შეიცავს, რადგანაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა, ხოლო 377-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმპერატიულადაა განსაზღვრული, რომ სააპელაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. განსახილველი დავის საგანი გარიგებით (ხელწერილით) ნაკისრი ფულადი ვალდებულების შესრულებაა. მოცემული დავა არ ეხება სამკვიდროდან კუთვნილი წილის მიღებას, აქედან გამომდინარე, კასატორის პოზიცია, რომ სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლი გაზიარებულ უნდა იქნეს.

სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია, მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც, ამავე კოდექსის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილია, რომ ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. განსახილველ შემთხვევაში, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ გ. რ-ს ვალდებულება არ წარმოშობია, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს ნ. რ-ის მოთხოვნის მართებულად მიჩნევის წინაპირობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ კასატორმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება), ამასთან, საქმეზე დადგენილი სხვა ფაქტობრივი გარემოებები არ არის საკმარისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის. საკასაციო პალატა თვლის, რომ საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, კერძოდ, უნდა გაუქ-

მდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით ნ. რ-ს უარი უნდა ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლობის გამო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა. ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შეაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

ვინაიდან საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულია ახალი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, პალატა მიიჩნევს, რომ ნ. რ-ს გ. რ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საქმის განხილვისას გაღებული სახელმწიფო ბაჟი, კერძოდ, საკასაციო საჩივარზე გადახდილი 600 ლარი, ხოლო გ. რ-ის მიერ გადახდილი თანხა უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

რაც შეეხება კასატორის შუამდგომლობას საქმის უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისათვის გადაცემის თაობაზე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული უსაფუძვლოა და არ გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391¹ მუხლის მოთხოვნებიდან, ასევე, უსაფუძვლოა გ. რ-ის შუამდგომლობა მტკიცებულებათა მიღებისა და საქმისათვის დართვის თაობაზე, რადგანაც, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სა-

სამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესულურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება, შესაბამისად, ახალი მტკიცებულებები ვერც სასამართლოს მიერ იქნება გაზიარებული მიუხედავად იმისა, მხარეს ობიექტურად ჰქონდა თუ არა შესაძლებლობა, სასამართლოსათვის მანამდე წარმოედგინა ისინი. აღნიშნული გარემოება საკასაციო პალატის მიერ მტკიცებულებათა საქმისათვის დართვაზე უარის თქმის საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები 16 ფურცლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. გ. რ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.
3. ნ. რ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.
4. ნ. რ-ს გ. რ-ის სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელი მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 600 ლარის ანაზღაურება.
5. გ. რ-ს შუამდგომლობა საქმის საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის მიერ განხილვისა და მტკიცებულებათა საქმეზე დართვის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.
6. გ. რ-ს დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე დართული მტკიცებულებები 16 ფურცლად.
7. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება

განჩინება

№ას-370-352-2013 8 ნოემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. მ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლისა“ და შპს „კ. ს-ოს“ წინააღმდეგ და მოითხოვა მორალური და მატერიალური ზიანის – 10000 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით ლ. მ-ის სარჩელი მოპასუხეების: სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლისა“ და შპს „კ. ს-ოს“ მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელსა“ და შპს „კ. ს-ოს“, მოსარჩელე ლ. მ-ის სასარგებლოდ, სოლიდარულად დაეკისრათ მორალური ზიანის – 4000 ლარის ანაზღაურება. მოსარჩელე ლ. მ-ეს სხვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ეთქვა უარი უსაფუძვლობის გამო.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს შპს „კ. ს-ომ“ და სსიპ „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 21 თებერვლის განჩინებით შპს „კ. ს-სა“ და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მხარეთა შორის სადავო ფაქტობრივ გარემოებას არ წარმოადგენს ის, რომ 2012 წლის 6 თებერვალს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლობის“ ეთერში გავიდა გადაცემა „აუდიტორია“,

რომლის თემა იყო „ეპატაჟი ქართულად“, სადაც გამოყენებული იყო ლ. მ-ის სურათები.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ლ. მ-ის გამოსახულება, სურათები გამოქვეყნებული იყო მისი თანხმობის გარეშე, ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა არ გამოკვეთილა და არ გაიზიარა აპელანტი სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ლ. მ-ის ფოტოები გამოყენებული იყო კანონიერად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნათა დაცვით, კერძოდ, ფოტოები გადაღებული იყო სასწავლო და კულტურული მიზნით და მისი გამოყენება არ საჭიროებდა მოსარჩელის თანხმობას.

პალატამ აღნიშნა, რომ, აპელანტი (მოპასუხე) საქართველოს სსკ-ის მე-4 და 102-ე მუხლების შესაბამისად, ვერ ადასტურებდა იმ გარემოებას, რომ ფოტოგადაღება დაკავშირებული იყო კულტურულ მიზნებთან. ამასთან, რომ ფოტოგადაღება იყო საცდელი ფოტოსესია, რასაც, შედეგად არ მოჰყოლია რაიმე ხელშეკრულების გაფორმება მოსარჩელესა და მოპასუხე „კ. ს-ოს“ შორის, რაც შესაძლებლობას მისცემდა მოპასუხეს, აღნიშნული სურათები გამოეყენებინა თავისი შეხედულებისამებრ. იმ ფაქტს, რომ მხარეთა შორის შეთანხმება არ შედგა ადასტურებს ასევე ის გარემოება, რომ აპელანტმა შპს „კ. ს-ომ“ ლ. მ-ეს თავად გადასცა დისკი, რომელზეც ეს სურათები იყო ჩანერილი.

პალატამ არ გაიზიარა აპელანტი შპს „კ. ს-ოს“ სააპელაციო საჩივრის ფაქტობრივ საფუძვლად მითითებული ის გარემოება, რომ საქალაქო სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ ლ. მ-ემ სურათები შპს „კ. ს-ი“ გადაიღო და შპს „კ. ს-ომ“ საზოგადოებრივ მაუწყებელს გამოყენების მიზნით გადასცა.

პალატის მითითებით, ის, რომ ლ. მ-ემ სურათები გადაიღო შპს „კ. ს-ი“ ადასტურებდა იმ ფაქტს, რომ მთელი ფოტომასალა ჩანერილი იყო ამავე ს-ის საფირმო დისკზე, შესაბამისად, პალატამ საფუძვლიანად მიიჩნია ის გარემოებაც, რომ სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ სწორედ შპს „კ. ს-ომ“ გადასცა სურათები, რაც ასევე დაადასტურეს საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენლებმა.

პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო საჩივრების სამართლებრივ საფუძვლად მითითებული გარემოებები საქართველოს სსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების მოთხოვნათა დარღვევაზე.

სასამართლოს მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობა გადაწყვიტა მა-

ტერიალური სამართლის ნორმათა სწორი გამოყენებისა და განმარტების შესაბამისად. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შორის დავის საგანი არ გამომდინარეობდა საავტორო უფლებიდან. დავის საგანი გამომდინარეობდა პირის თანხმობის გარეშე საკუთარი გამოსახულების გამოქვეყნების მართლზომიერებიდან, რაც დაცულია სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით. ამდენად, პალატის მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობდა „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ნორმების გამოყენების საფუძველი.

მორალური ზიანის მიყენების ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით, რასაც სადავოდ ხდიდნენ აპელანტები, პალატამ მიუთითა, რომ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება მოსარჩელეს ჩამოყალიბებული ჰქონდა სასარჩელო განცხადებაში. სასამართლომ მოისმინა მხარის ახსნა-განმარტება, შეაფასა თავად მორალური ზიანის გამომწვევი ფაქტობრივი გარემოება, მხედველობაში მიიღო ზიანის მიმყენებლის ბრალის ხარისხი და მართებულიად მიიჩნია, რომ მოპასუხეებს უნდა დაკისრებოდათ მოსარჩელის სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურება.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების საფუძველზე, პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხემ დაარღვია ლ. მ-ის პატივი, ღირსება, უფლება გამოსახულებაზე.

პალატამ მიუთითა სსკ-ის 992-ე, მე-18.6-ე, 413.1-ე მუხლებზე და განმარტა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მოსარჩელე ლ. მ-ის სასარგებლოდ, მოპასუხეებისათვის მორალური ზიანის – 4000 ლარის ანაზღაურება გონივრული და სამართლიანი იყო და არსებობდა აღნიშნული თანხის მოპასუხეებისათვის სოლიდარულად დაკისრების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 21 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ და შპს „კ. ს-ომ“, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადანყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ განმარტებით, სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო ნორმების დარღვევით დაადგინა ფაქტობრივი გარემოება ლ. მ-ის მორალური ზიანის მიყენების შესახებ, მაშინ, როდესაც საქმეში არ ყოფილა წარმოდგენილი აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, შესაბამისად, კასატორის მოსაზრე-

ბით, სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 18.5-ე მუხლი და არასწორადვე დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია აღნიშნული მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს.

კასატორის აზრით, სასამართლომ გამოიყენა კანონი (სსკ-ის 18.2), რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა (სსკ-ის 412-ე მუხლი), ამასთან, არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 18.5-ე, 18.6-ე, 413-ე და 992-ე მუხლები.

კასატორ შპს „კ. ს-ოს“ განმარტებით, სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება მასზე, რომ ლ. მ-ეს სურათები გადაუღეს შპს „კ. ს-ი“, ლ.მ-ის სურათების არც გადაღება და არც გადაღებული მასალების შემდგომი საჯარო ჩვენება შპს „კ. ს-ოს“ არ განუხორციელებია. თავად მოსარჩელისვე განმარტებით, ხსენებული სურათების გადაღებას აწარმოებდა შპს „რ. და კ-ა“ ჟურნალ „ფლეი ბოი“-ში გამოყენების მიზნით, რომელსაც, თავის მხრივ, იჯარით ჰქონდა აღებული შპს „კ. ს-ა“, ხოლო ფოტოგრაფი გახლდათ გ. დ-ი (იგივე ჯ. რ-ი), რომელიც არ არის შპს „კ. ს-ოს“ თანამშრომელი.

კასატორის აზრით, სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება მასზე, რომ შპს „კ. ს-ომ“ გამოყენების მიზნით გადასცა სურათები საზოგადოებრივ მაუწყებელს. არ არსებობდა „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 და 42-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით დადებული ხელშეკრულება, რაც ცხადყოფს, რომ უსაფუძვლოა მითითება იმ გარემოებაზე, რომ შპს „კ. ს-ომ“ ფოტოები გადასცა საზოგადოებრივ მაუწყებელს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლისა“ და შპს „კ. ს-ოს“ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის სადავო ფაქტობრივ გარემოებას არ წარმოადგენს ის, რომ 2012 წლის 6 თებერვალს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლისა“ და შპს „კ. ს-ოს“ შორის დადგინდა ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინების შესრულებას.

ყებლობის“ ეთერში გავიდა გადაცემა „აუდიტორია“, რომლის თემა იყო „ეპატაჟი ქართულად“, სადაც გამოყენებული იყო ლ. მ-ის სურათები.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ლ. მ-ის გამოსახულება – სურათები გამოქვეყნებული იყო მისი თანხმობის გარეშე.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ლ. მ-ის ფოტოები გამოყენებული იყო კანონიერად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნათა დაცვით, კერძოდ, ფოტოები გადაღებული იყო სასწავლო და კულტურული მიზნით და მისი გამოყენება არ საჭიროებდა მოსარჩელის თანხმობას.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქმეში არსებული მასალებით არ დასტურდება ის ფაქტი, რომ ფოტოგადაღება დაკავშირებული იყო კულტურულ მიზნებთან. სააპელაციო სასამართლოს მიერ, ასევე დადგენილია, რომ ფოტოგადაღება იყო საცდელი ფოტოსესია, რასაც, შედეგად არ მოჰყოლია რაიმე ხელშეკრულების გაფორმება მოსარჩელესა და მოპასუხე „კ. ს-ოს“ შორის, რაც შესაძლებლობას მისცემდა მოპასუხეს სურათები გამოყენებინა თავისი შეხედულებისამებრ. იმ ფაქტს, რომ მხარეთა შორის შეთანხმება არ შედგა, ადასტურებს ასევე ის გარემოება, რომ შპს „კ. ს-ომ“ ლ. მ-ეს თავად გადასცა დისკი, რომელზეც ეს სურათები იყო ჩანერილი.

სააპელაციო სასამართლომ, ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „კ. ს-ი“ ლ. მ-ის სურათების გადაღების ფაქტი დასტურდებოდა იმითაც, რომ მთელი ფოტომასალა ჩანერილი იყო „კ. ს-ოს“ საფირმო დისკზე, შესაბამისად, პალატამ საფუძვლიანად მიიჩნია ის გარემოებაც, რომ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელს“ სწორედ შპს „კ. ს-ომ“ გადასცა სურათები, რაც ასევე ადასტურებს საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენლებმა.

ზემოაღნიშნულ ფაქტებთან მიმართებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორების მიერ წარმოდგენილი არ არის დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ

შემთხვევაში დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა.

ამდენად, საკასაციო პალატის შემოწმების საგანს წარმოადგენს ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება.

უპირველეს ყოვლისა, უნდა გაეცეს პასუხი კითხვას, დაირღვა თუ არა ლ. მ-ის უფლება, მისი თანხმობის გარეშე, მისი გამოსახულებით ფოტოსურათების გავრცელებით და შეუძლია თუ არა ამისათვის მან მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურება, რაზეც პასუხი დადებითია.

შპს „კ. ს-ო“ საკასაციო საჩივარში უთითებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს სადავო ურთიერთობაზე უნდა გამოეყენებინა „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი.

საკასაციო პალატა არ იზიარებს ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და განმარტავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, განხილვის საგანს წარმოადგენს არა ფოტოგრაფიული წესით შექმნილ ნაწარმოებზე საავტორო უფლების დაცვა, არამედ ამ ფოტოსურათებში საკუთარი გამოსახულების უფლების დაცვა, რომლის ობიექტია ინდივიდის თავისუფლება და არა ინტელექტუალურ შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად შექმნილი ნაწარმოები. საკუთარი გამოსახულების საჯაროდ გავრცელების უფლება მისთვის სასურველი ფორმითა და შინაარსით არის პიროვნულობის განუყოფელი ნაწილი, რაც არ განეკუთვნება ავტორის განსაკუთრებულ უფლებათა კატეგორიას, რაც დაცულია „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, საქართველოს კანონით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად გაავრცელა სადავო ურთიერთობაზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის დანაწესი.

შპს „კ. ს-ო“ საკასაციო საჩივარში, ასევე უთითებს, რომ შპს „კ. ს-ოს“ არც ფოტოები გადაუღია და არც საჯაროდ გაუვრცელებია. ამდენად, კასატორი მიიჩნევს, რომ მას არ ეკისრება პასუხისმგებლობა.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას და განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, მნიშვნელობა ენიჭება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობ-

რივ გარემოებებს, რომლებიც არ არის შედავებული დასაბუთებული საკასაციო პრეტენზიით (სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილი). კერძოდ, დადგენილია, რომ ლ. მ-ეს სურათები გადაუღეს შპს „კ. ს-ი“, რაც დასტურდებოდა იმით, რომ მთელი ფოტომასალა ჩანერილი იყო „კ. ს-ოს“ საფირმო დისკზე. ასევე, მნიშვნელოვანია ის, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ სწორედ შპს „კ. ს-ომ“ გადასცა სურათები. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იმ შემთხვევაშიც, თუ დაუშვებთ, რომ შპს „კ. ს-ოს“ უშუალოდ არ გადაუღია ფოტოები, მნიშვნელოვანია ის, რომ ფოტოსურათები სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ გასავრცელებლად შპს „კ. ს-ომ“ ლ. მ-ის თანხმობის გარეშე გადასცა, რითაც დაირღვა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნა, შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს შპს „კ. ს-ის“ პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლობა“ საკასაციო საჩივარში უთითებს ორ სამართლებრივ კრიტერიუმზე. პირველი ეხება პირადი არაქონებრივი უფლების დარღვევის ფაქტის არსებობას, ხოლო მეორე – მორალური ზიანის არსებობის ფაქტს.

კასატორი სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლობა“ საკასაციო საჩივარში უთითებს, რომ ლ. მ-ემ ფოტოები გადაიღო შპს „კ. ს-ი“ შურნალ „ფლებიზისათვის“ იმ მიზნით, რომ ბედი ეცადა ფოტომოდელის კარიერაში, რაც კულტურულ მიზნებთან ფოტოგადაღების კავშირზე მიუთითებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის 1-ლ და მე-2 ნაწილებში გათვალისწინებული მოთხოვნის უფლება აქვს პირს მაშინაც, როცა მისი გამოსახულება (ფოტოსურათი, კინოფილმი, ვიდეოფილმი და ა.შ.) გამოქვეყნდება მისი თანხმობის გარეშე. პირის თანხმობა არ არის საჭირო, როცა ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) დაკავშირებულია მის საზოგადოებრივ აღიარებასთან, დაკავებულ თანამდებობასთან, მართლმსაჯულების ან პოლიციის მოთხოვნებთან, სამეცნიერო, სასწავლო, ან კულტურულ მიზნებთან, ანდა ფოტოები (ვიდეო და ა.შ.) საზოგადო ვითარებაში გადაიღეს, ანდა პირმა პოზირებისათვის მიიღო საზღაური.

განსახილველი ნორმა კრძალავს პირის გამოსახულების (ამ შემთხვევაში მის გამოსახულებას ფოტოსურათზე) გამოქვეყნებას მისი თანხმობის გარეშე. ამ პირის თანხმობა არის ცალმხრივი გარიგება, რომლისთვისაც აუცილებელია ნების გამოვლენა და ამ ნების მისვლა მეორე მხარისათვის. ამავე დროს კა-

ნონი უშვებს გამონაკლისებს, რა დროსაც არ არის საჭირო ამ პირის თანხმობა:

1. როცა ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) დაკავშირებულია მის საზოგადოებრივ აღიარებასთან, დაკავებულ თანამდებობასთან;

2. მართლმსაჯულების ან პოლიციის მოთხოვნებთან, სამეცნიერო, სასწავლო, ან კულტურულ მიზნებთან,

3. ფოტოები (ვიდეო და ა.შ.) საზოგადო ვითარებაში გადაიღეს;

4. პირმა პოზირებისათვის მიიღო საზღაური.

მითითებული გამომრიცხავი გარემოებებიდან კასატორი უთითებს იმაზე, რომ ფოტოგადაღება უკავშირდებოდა კულტურულ მიზნებს. ამ გარემოებას კასატორი ასაბუთებს იმით, რომ ლ. მ-ემ ფოტოები გადაიღო შპს „კ. ს-ი“ ჟურნალ „ფლეიბოსისათვის“ იმ მიზნით, რომ ეცადა ბედი ფოტომოდელის კარიერაში.

აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა: შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ, რომ ლ. მ-ის მიერ შპს „კ. ს-ი“ ჟურნალ ფლეიბოსისათვის“ გადაღებული ფოტოგადაღება უკავშირდებოდა კულტურულ მიზნებს, რა იგულისხმება ამ ნორმაში მითითებულ ტერმინში „დაკავშირებულია ... კულტურულ მიზნებთან“.

ამ ტერმინში უნდა ვიგულისხმოთ მოქმედებები, რომლებიც ისახავენ ადამიანთა ფსიქიკასა და გონებაზე ისეთი ზემოქმედებას, რომელიც ატარებს გარკვეული ფორმით ინფორმაციას იდეალიზებული, სულიერი თუ სხვა ფასეულობების შესახებ, და დასახული მიზნის მიღწევის საუკეთესო გზაა. მაგრამ, ყურადღება უნდა გავამახვილოთ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ ფოტოგადაღება იყო საცდელი ფოტოსესია, რასაც, შედეგად არ მოჰყოლია რაიმე ხელშეკრულების გაფორმება მოსარჩელესა და მოპასუხე „კ. ს-ოს“ შორის (ამ ფაქტების საწინააღმდეგოს არ უთითებენ კასატორები), შესაბამისად, ლ. მ-ეს ფოტოები არ გამოუყენებია, რაც გამორიცხავს ამ ფოტოების ნებისმიერი მიზნით, მათ შორის კულტურულ მიზნებისათვის გამოყენებას.

ასევე გასათვალისწინებელია ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ ლ. მ-ე პოზირებდა იმისათვის, რომ ფოტომოდელის კარიერაში ეცადა ბედი. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კანონის ზემომითითებული დანაწესი დაზუსტებულია, როდესაც ამავე ნორმით ადგენს, რომ პირის გამოსახულების გამოქვეყნებას არ სჭირდება პირის თანხმობა, იმ შემთხვევაშიც თუ პირმა პოზირებისათვის მიიღო საზღაური.

როგორც უკვე აღინიშნა, ფოტოების გადაღება ცნობილი ყურნალისათვის შეიძლება, უკავშირდებოდეს კულტურულ მიზნებს, მაგრამ კანონი აზუსტებს შემთხვევებს, როდესაც, მაგალითად, ფოტოგადაღება ან ვიდეოგადაღება არ უკავშირდება კულტურულ მიზნებს, მიუხედავად ამისა, ამ პირის თანხმობა გამოსახულების გამოქვეყნებაზე არ იყოს საჭირო, კერძოდ, პოზირებისათვის, ანუ თავისი ნებით, როდესაც პირი მონაწილეობს ფოტო, ვიდეოგადაღებაში და ა.შ. მისი გამოსახულების გამოქვეყნება მისი თანხმობის გარეშე შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირმა პოზირებისათვის მიიღო საზღაური. ამით იგულისხმება, რომ პირი თანახმაა ეს ფოტოები საზოგადოების ფართო წრისათვის გახდეს ცნობილი.

საკასაციო პალატა, კიდევ ერთხელ დასძინს, რომ კასატორები სადავოდ არ ხდიან, რომ შპს „კ. ს-სა“ და ლ. მ-ეს შორის ხელშეკრულება არ დადებულა და ამ უკანასკნელს არ მიუღია საზღაური (სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ამდენად, ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რომ პირს გააჩნია პოზირების უფლება და თავის გამოსახულების გავრცელების უფლება. მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ ლ. მ-ეს არ გამოუთქვამს ნება მათი გავრცელებისათვის. როგორც აღინიშნა, ფოტოგადაღება იყო საცდელი ფოტოსესია და მისი გასაჯაროების, გამოქვეყნების უფლება ჰქონდა მხოლოდ ლ. მ-ეს. ამდენად, გადაღებული ფოტოების გამოყენება წარმოადგენს ლ. მ-ის უფლებას და მხოლოდ მის მიერ ამ ფოტოსურათების გამოქვეყნებაზე თანხმობის მიცემის ან საზღაურის მიღების შემთხვევაში აღნიშნული ფოტოები განკუთვნილი იქნებოდა საზოგადოების ფართო წრისათვის (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ერთ-ერთ გადანყვეტილებაში საქმეზე *Von Hannover v. Germany* აღნიშნა, რომ კონვენციის მე-8 მუხლის გავრცელების ფარგლების განსაზღვრისათვის მნიშვნელობა ენიჭება იმის დადგენას გადაღებული ფოტოები განეკუთვნებოდა პირად მიზნებს, თუ გათვლილი იყო საზოგადოების ფართო წრისათვის). იმის გათვალისწინებით, რომ სადავო ფოტოსურათები გადაღებული იყო საცდელ ფოტოსესიაზე, მიუთითებს იმაზე, რომ მათ საჯარო გავრცელებაზე გადანყვეტილება არ იყო მიღებული.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ კასატორებმა დაარღვიეს ლ. მ-ის უფლება თანხმობის გარეშე მისი გამოსახულებით ფოტოების გამოქვეყნებით.

როგორც უკვე აღინიშნა, კასატორი, ასევე ასაჩივრებს სააპელაციო გადანყვეტილების კანონიერებას მორალური ზიანის

დაკისრების ნაწილში, კერძოდ, კასატორი აღნიშნავს, რომ საქმეში არ არსებობს რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მორალური ზიანის ფაქტს. ლ. მ-ე ხშირად იღებდა მონაწილეობას მსგავს კონკურსებში და დაჯილდოებულია პრიზებით, შესაბამისად, კასატორის მოსაზრებით, ის ვერ განიცდიდა სულიერ ტანჯვას. ხოლო კონტრაქტი არ გაფორმდა არა იმიტომ, რომ მას პრობლემა ჰქონდა ფოტოების საჯაროდ გამოქვეყნებასთან, არამედ იმიტომ, რომ მხრეებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას გარკვეულ საკითხებზე.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მორალურ ზიანთან დაკავშირებული დავები განსხვავდებიან თავისი სპეციფიკით, რადგან ეხება დაზარალებულის შინაგან მდგომარეობას, მის განცდებსა და ფსიქოფიზიკურ მდგომარეობას, რაც დაკავშირებულია მის სულიერ ტანჯვასთან და ა.შ. ამ დავების თავისებურებები, ასევე ვლინდება მტკიცების ტვირთის განაწილებაში.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა მორალური ზიანის მიყენების ფაქტი და განმარტავს, რომ კონკრეტული დავის სპეციფიკის გათვალისწინებით, რომელიც ეხება პირის თანხმობის გარეშე მისი ფოტოსურათების გავრცელებას, მისი სულიერი ტანჯვა (მორალური ზიანი) დასტურდება, უპირველეს ყოვლისა, იმ ფაქტობრივი გარემოებებით, რომლებიც ინვევენ პირის პასუხისმგებლობას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებით. პირის ახსნა-განმარტება, წარმოადგენს მტკიცებულებას ამ ფაქტების (პირის თანხმობის გარეშე მისი ფოტოსურათის გავრცელებისას) შედეგად მისი უარყოფითი ემოციების თაობაზე. საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს ფოტოსურათების შინაარსობრივ მხარეს და ამ ფოტოსურათების გავრცელებისას გადაცემაში (გადაცემა „აუდიტორია“, რომლის თემა იყო „ეპატაჟი ქართულად“) გამოყენებულ კონტექსტს. ეპატაჟი ნიშნავს ყურადღების მიპყრობის მიზნით პირის გამომწვევ, სკანდალურ საქციელს, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოებაში მიღებულ სამართლებრივ, ზნეობრივ, სოციალურ და სხვა ნორმებს, შესაბამისად, მითითებული ნორმებით პასუხისმგებლობის განსაზღვრის წინაპირობების არსებობა მიგვიჩვენებს მორალური ზიანის არსებობის პრეზუმფციაზე, რაც უნდა გააქარნლოს მეორე მხარემ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ამ მუხლით გათვალისწინებული სიკეთის დაცვა ხორციელდება, მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა, ხო-

ლო, თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია, მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურებაც. ზიანის ანაზღაურება შეიძლება, მოთხოვილ იქნეს იმ მოგების სახით, რომელიც წარმოექმნა ხელმყოფს. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც. მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად. ამდენად, ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კასატორები არ უთითებენ თავიანთი ბრალის გამომრიცხავ გარემოებებზე. შესაბამისად, ორივე კასატორს უნდა სცოდნოდა, რომ აუცილებელი იყო ლ. მ-ის თანხმობა ამ ფოტოსურათების გავრცელებაზე, რასაც ადგილი არ ჰქონდა.

აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა უთითებს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომლითაც დგინდება მორალური ზიანის არსებობის ფაქტი:

1. ლ. მ-ის თანხმობის გარეშე გავრცელდა მისი ფოტოსურათები, რაც მიუთითებს მოპასუხეების მხრიდან მართლსაწინააღმდეგო მოქმედებაზე;

2. მოპასუხეებს უნდა სცოდნოდათ, რომ ამ ფოტოსურათების გავრცელებისათვის აუცილებელი იყო ლ. მ-ის თანხმობა, რასაც ადგილი არ ჰქონია, უნებართვოდ გავრცელება კი, მიუთითებს მოპასუხეების ბრალეულ მოქმედებაზე;

3. არსებობს მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო მოქმედებებსა (თანხმობის გარეშე მისი გამოსახულების საჯარო ჩვენება) და მიღებულ შედეგს შორის (ნებართვის გარეშე გამოქვეყნებული ფოტოსურათების შედეგად მოსარჩელის სულიერი მდგომარეობა, მისი ახლობლების მიერ ამ ფაქტის უარყოფითი შეფასება და ა.შ).

კასატორი, ასევე უთითებს იმაზე, რომ ლ. მ-ე ხშირად იღებდა მონაწილეობას მსგავს კონკურსებში და დაჯილდოებულია პრიზებით, შესაბამისად, კასატორის მოსაზრებით, ის ვერ განიცდიდა სულიერ ტანჯვას. აღნიშნული გარემოებას კასატორი ადასტურებს პირველ ინსტანციის სასამართლოში ლ. მ-ის მიერ მიცემული ახსნა-განმარტებით (18.09.12 სხდომის ოქმის 11.28.22 ჩანაწერი). ლ. მ-ის ახსნა-განმარტებაში მითითებულია, რომ ის მონაწილეობდა ფოტოგადაღებებში, მაგრამ აქვე აღსანიშნავია, რომ მისივე ახსნა-განმარტებაში (14.02.13 სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმის 14.06.44 ჩანაწერი) აღნიშ-

ნულია, რომ ასეთ კონკურსებში ის მონაწილეობდა გათხოვებაზე, ხოლო შპს „კ. ს-ი“ კი, მან მხოლოდ საცდელი ფოტოები გადაიღო.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ შპს „კ. ს-ი“ გაიმართა საცდელი ფოტოსესია, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მოსარჩელეს უნდა გადაენწყვიტა, თუ რამდენად იყო მისთვის მისაღები ამ კონკრეტული ფოტოსურათების გამოქვეყნება, რაც მისი სუბიექტური აღქმის საგანია. ამდენად, კასატორის მითითება, რომ ლ. მ-ე მონაწილეობდა მსგავს კონკურსებში, არ გამორიცხავს სულიერი ტანჯვის ფაქტს, რომელიც გამოწვეული იყო სადავო ფოტოსურათების გამოქვეყნებით იმ ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორების (მოსარჩელის შეფასება ამ კონკრეტული ფოტოების, საზოგადოების თუ ოჯახის წევრების დამოკიდებულების მოლოდინი, რამდენად შეესაბამებოდა ამ ფოტოების გამოქვეყნება მის მიზნებს და ა.შ) გათვალისწინებით, რაც არსებობდა ამ მომენტში. საკუთარი გამოცხადების, მისი ფორმის, შინაარსის, ადგილისა და გამოქვეყნების დროის არჩევა ამ პირის უფლებას წარმოადგენს, რაც დაცულია კანონით.

აღნიშნული თავისებურების გათვალისწინებით ადამიანის პიროვნული ღირებულებების ხელყოფის ფაქტის შემთხვევაში მორალური ზიანის შინაარსსა და მოცულობას (რომელსაც არ გააჩნია მატერიალური გამოხატულება) განსაზღვრავს სასამართლო გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსია 413-ე მუხლი). ამ შემთხვევაში ზიანის მოცულობის შეფასებისას მნიშვნელობა ენიჭება გარკვეული სოციალური ფაქტორების გათვალისწინებას. ფულადი კომპენსაცია ამ შემთხვევაში უზრუნველყოფს იმ დადებით ემოციას, რომელიც ეხმარება დაზარალებულს, სრულფასოვნად ჩაერთოს სოციალურ ურთიერთობებში. ეს ის შედეგია, რომელიც საბოლოოდ ითვალისწინებს მორალური ზიანის კომპენსაციას და არა ხელყოფილი უფლების რესტიტუციას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.

ამდენად, საკასაციო პალატის აზრით, მოპასუხებებზე დაკისრებული მორალური ზიანის ოდენობა არის გონივრული და სამართლიანი. სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მორალური ზიან-

ნის 4000 ლარამდე შემცირება გონივრულ და სამართლიან ოდენობად, კერძოდ, საკასაციო პალატა ითვალისწინებს, რომ კასატორების მოქმედებებში არ არის განზრახი ბრალი. ფოტოსურათები არ არის დამახინჯებული ფორმით გავრცელებული. არ დასტურდება მატერიალური ზიანის მიყენების ფაქტი. ამასთან ერთად, საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ სადავო ფოტოსურათები გავრცელდა მოსარჩელის თანხმობის გარეშე. საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს ფოტოსურათების შინაარსობრივ მხარეს და ამ ფოტოსურათების გავრცელებას (გადაცემა „აუდიტორიაში“, რომლის თემა იყო „ეპატაჟი ქართულად“) გამოყენებულ კონტექსტს („ეპატაჟი ქართულად“) და მიიჩნევს, რომ კასატორებზე დაკისრებული თანხა არის გონივრული და სამართლიანი.

მორალური ზიანის შეფასებისას შეუძლებელია ეკვივალენტური პრინციპის გამოყენება, რადგან მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სულიერი ტანჯვის კომპენსირება სრულად, შეუძლებელია. ამდენად, მორალური ზიანის ანაზღაურება უნდა იყოს ადეკვატური და შეესაბამებოდეს ამ პასუხისმგებლობის განსაზღვრის ყველა წინაპირობებს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. შპს „კ. ს-ოს“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
3. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 21 თებერვლის განჩინება;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქონლის მიყიდვა რამდენიმე პირისათვის

განცხადება

№ას-287-273-2013

25 ივნისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: წილის უფლების ნასყიდობის ხელშეკრულები
ბის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ქ. ჭ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ჯ. შ-სა და ფ. გ-ის მიმართ ფ. გ-სა და ჯ. შ-ს შორის 2010 წლის 8 თებერვალს გაფორმებული წილის უფლების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

2008 წლის 30 დეკემბერს გაფორმდა ხელშეკრულება ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „მ. 3/5-ის“ დაფუძნებისა და ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. ხელშეკრულების თანახმად, ამხანაგობის დამფუძნებელმა წევრებმა 2003-2006 წლებში ქ.თბილისში, მ-ის (ყოფილი ო-ოს) ქ. №3-სა და №7-ში მდებარე 624 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ერთობლივად ააშენეს საცხოვრებელი კორპუსი, საიდანაც ქ.თბილისში, მ-ის №3-ში მდებარე 223 კვ.მ მიწის ნაკვეთი, წარმოადგენდა ვ. მ-ის საკუთრებას და მან სადამფუძნებლო ხელშეკრულების საფუძველზე უძრავი ქონება გადასცა ამხანაგობას. ხელშეკრულებით ამხანაგობის თითოეული წევრის მიერ განხორციელებული შენატანის შესაბამისად, განისაზღვრა ამხანაგობის წევრების კუთვნილი წილი, 7.1. მუხლის თანახმად, განისაზღვრა ვ. მ-ის წილი და ამ უკანასკნელს ამხანაგობაში განხორციელებული შენატანის სანაცვლოდ უნდა მიეღო 310 კვ.მ საერთო ფართი, აქედან 100 კვ.მ საოფისე ფართს მიიღებდა ნულოვან (მიწიდან პირველ) სართულზე „კარკასის“ სახით, 95 კვ.მ საერთო ფართის ბინას მიიღებდა მიწიდან მეოთხე სართულზე მ-ის ქუჩის მხარესა და 115 კვ.მ საერთო ფართის ბინას მიიღებდა მიწიდან მეორე სართულზე ეზოს მხრიდან. 2008 წლის 30 დეკემბერს იმა „მ. 3/5-ის“ დაფუძნების შესახებ ხელშეკრულებით ამხანაგობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ფ. გ-ი. 11.1 მუხლით ამხანაგობის თითოეულ წევრს მიენიჭა

უფლება, სხვა წევრების თანხმობის გარეშე გაესხვისებინა მათი კუთვნილი წილი ან წილის ნაწილი, ხოლო მე-5 მუხლის განისაზღვრა ფ. გ-ის უფლებამოსილება, გაესხვისებინა ამხანაგობის საერთო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, გარდა ხელშეკრულების 7.1. მუხლით გათვალისწინებული ბინებისა და იმ ფართებისა, რომლებიც განაწილებული იყო ამხანაგობის დამფუძნებელ წევრებზე. 2009 წლის 13 ნოემბერს ამხანაგობის წევრ ვ. მ-სა და კ. ჭ-ს შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება მშენებარე მრავალბინიანი სახლის ნაწილზე სამომავლო საკუთრების უფლების შესახებ და ვ. მ-ემ მისი კუთვნილი სამომავლო საკუთრების უფლებიდან 310 კვ.მ საერთო ფართიდან – 95 კვ.მ ფართზე 42750 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ სამომავლო საკუთრების უფლება გადასცა კ. ჭ-ს. 2009 წლის 13 ნოემბერს შემდგენის საკუთრების უფლება აღირიცხა საჯარო რეესტრში. 2010 წლის 8 თებერვალს ამხანაგობის თავმჯდომარე ფ. გ-სა და ჯ. შ-ს შორის გაფორმდა წილის უფლების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც ფ. გ-მა გაასხვისა ვ. მ-ის მიერ უკვე გასხვისებული და კ. ჭ-ის სახელზე რეგისტრირებული ფართი, კერძოდ, მან ქ.თბილისში, მ-ის №3-სა და №7-ში მდებარე მშენებარე კორპუსში, მიწის ზედაპირიდან მეოთხე სართულზე, 90 კვ.მ შავი კარკასის მდგომარეობაში მყოფ ფართი სამომავლო საკუთრების უფლებით გადასცა ჯ. შ-ს. ამ უკანასკნელმა წილის უფლების ნასყიდობის ხელშეკრულება დაარეგისტრირა საჯარო რეესტრში. ფ. გ-სა და ჯ. შ-ს შორის გაფორმებული წილის უფლების ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილია, რადგან გამყიდველმა, 2008 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულების 7.1. მუხლის თანახმად, იცოდა, რომ ასხვისებდა სხვის საკუთრებას, რისი უფლებამოსილებაც არ ჰქონდა, ჯ. შ-ის ასევე ცნობილი იყო, რომ ნივთის გამსხვისებელი არ იყო მისი მესაკუთრე და რომ ქონება წარმოადგენდა კ. ჭ-ის საკუთრებას, რადგან იგი უნდა გაცნობოდა ხელშეკრულებაზე თანდართულ ამხანაგობის დაფუძნების დოკუმენტებს, რომლითაც მისთვის ცნობილი გახდებოდა, თუ რა ფართზე გააჩნდა უფლება ამხანაგობის თავმჯდომარეს და რისი განკარგვის უფლება ჰქონდა მას, კ. ჭ-მა და ჯ. შ-მა სხვადასხვა დროს შეიძინეს ერთი და იგივე ქონება. ჯ. შ-ის საკუთრების უფლება რეგისტრირებულ იქნა 2010 წლის 12 თებერვალს. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ეყრდნობა მხოლოდ თბილისში, მ-ის ქ. №7-ში მდებარე უძრავი ქონების რეგისტრაციას. ხელშეკრულებით ჯ. შ-მა კი შეიძინა ქ.თბილისში, მ-ის ქ. №3-სა და №7-ში მდებარე უძრავი ქონება. იგი მოვალე იყო, ნოტარიუსისათვის წარედგინა საჯარო

რეესტრის ამონაწერი არა მხოლოდ მ-ის ქ. №7-ში, არამედ მ-ის ქ. №3-ში არსებული რეგისტრაციის თაობაზე. ჯ. შ-ის ცნობილი იყო, რომ მ-ის ქ. №3-ში არსებული ქონება რეგისტრირებული იყო კ. ჭ-ის სახელზე და სწორედ ამიტომ არ წარადგინა ნოტარიუსთან საჯარო რეესტრის ამონაწერი მ-ის ქ. №3-ში რეგისტრაციის თაობაზე. ის გარემოება, რომ ჯ. შ-ი მოქმედებდა წინასწარი შეცნობით და ქონებას იძენდა პირისაგან, რომელსაც არ ჰქონდა გასხვისების უფლება, დასტურდება იმითაც, რომ თანხა 17100 აშშ დოლარი გადახდილი სადავო ბინაში ჯ. შ-ის მიერ არ შეესაბამება ყიდვა-გაყიდვის დადების დროისათვის არსებულ რეალურ საბაზრო ღირებულებას, მოსარჩელემ იგივე ბინა იყიდა 42 750 აშშ დოლარად.

მოპასუხე ფ. გ-ს სარჩელის წინააღმდეგ შესაგებელი არ წარუდგენია, ხოლო ჯ. შ-მა სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:

2003-2006 წლებში ქ.თბილისში, მ-ის ქ. №3-სა და №7-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსი არა ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „მ. 3/5-ის“ წევრების, არამედ ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „რ.-2002-ის“ წევრების აშენებულია, ხოლო „მ. 3/5-ის“ დაფუძნება განხორციელდა დამამთავრებელი სამუშაოების შესრულების მიზნით. 2009 წლის 13 ნოემბერს ვ. მ-სა და კ. ჭ-ს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული ნასყიდობის საგანი და ჯ. შ-ის მიერ 2010 წლის 8 თებერვალს ფ. გ-ან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილი ფართი არ წარმოადგენენ ერთსა და იმავე ქონებას და სადავო ხელშეკრულების დადების შემდგომ ქონება საჯარო რეესტრშია რეგისტრირებული კანონის სრული დაცვით. ფ. გ-ან ხელშეკრულების გაფორმების საფუძველს წარმოადგენდა ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „რ.-2002-თან“ არსებული ურთიერთობები. მოპასუხე ფლობს და სარგებლობს ქ.თბილისში, მ-ის ქ. №3-სა და №7-ში მდებარე მის სახელზე რეგისტრირებულ ქონებას. ვ. მ-სა და კ. ჭ-ს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, რადგან მოსარჩელეს ბინა გადაეცა არა მიწიდან მეოთხე სართულზე, არამედ მესამე სართულზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით კ. ჭ-ის სარჩელი, ჯ. შ-სა და ფ. გ-ის მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით კ. ჭ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც კ. ჭ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი 2010 წლის 8 თებერვალს ფ. გ-სა და ჯ. შ-ს შორის დადებული ხელშეკრულება ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „მ. 3/5-ში“ წილის უფლების ნასყიდობის შესახებ შემდეგი საფუძვლებით:

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ წილზე უფლების ნასყიდობის ორივე ხელშეკრულება შეეხებოდა ერთსა და იმავე ნივთზე არსებულ უფლებას. ეს გარემოება სასამართლომ დადგენილად გარიგებების შინაარსზე დაყრდნობით მიიჩნია, კერძოდ, კ.ჭ-სა და ვ.მ-ეს შორის 2009 წლის 13 ნოემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების მიხედვით ნასყიდობის საგანს წარმოადგენდა ქ.თბილისში, მ-ის ქ. №3-სა და №7-ში იმა „მ. 3/5-ის“ კუთვნილ მშენებარე მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში ვ. მ-ის კუთვნილი სამომავლო საკუთრების უფლებიდან – 310 კვ.მ საერთო ფართიდან 95 კვ.მ საერთო ფართზე კუთვნილი სამომავლო საკუთრების უფლება. 2008 წლის 25 დეკემბრის ინდივიდუალური მენაშენეთა ამხანაგობა „მ. 3/5-ის“ დაფუძნებისა და ურთიერთშეთანხმების შესახებ ხელშეკრულების 7.1 მუხლით დაფუძნებულ წევრ ვალოდია მაისურაძის სახელზე უნდა განაწილებულიყო ერთ-ერთი ბინა შემდეგი მახასიათებლებით „95 კვ.მ საერთო ფართის ბინას მიიღებს მიწიდან მეოთხე სართულზე მიროტაძის ქუჩის მხარეს“. ამავე პუნქტით ეს ფართი არ შედიოდა ფ. გ-ის გადაცემულ სხვა დანარჩენ ფართებში. 2010 წლის 8 თებერვლის წილის უფლების ნასყიდობის ხელშეკრულების პირველი მუხლის მიხედვით, ფიზიკურმა პირმა ფ.გ-მა გაყიდა, ხოლო ჯ.შ-მა შეიძინა „გამყიდველის წილის უფლებას ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „მ. 3/5-ის“ კუთვნილ ქ.თბილისში, მ-ის ქ. №3-სა და №7-ში მდებარე მშენებარე კორპუსში, მინის ზედაპირიდან IV (მეოთხე) სართულზე, მ-ის ქუჩის მხარეს, ასასვლელი კიბიდან მარჯვენა მხარეს საერთო ფართზე 90 კვ. მეტრზე“. აღნიშნულის გათვალისწინებით, პალატამ ჩათვალა, რომ ერთმანეთს ემთხვეოდა: ა) მისამართი – მ-ის №3 და №7, ბ) ამხანაგობის სახელწოდება, გ) სართული, დ) ქუჩის მხარე. პალატის შეფასებით, ფართების ოდენობად, ერთგან აღნიშნული იყო 95 კვ.მ, ხოლო მეორეგან – 90 კვ.მ, რაც ასევე მიუთითებდა ამ ფართების იგივეობაზე. ფარ-

თების იმავებობას, ასევე ადასტურებდა ნახაზები და, რაც ყველაზე საგულისხმოა, მხარეებსაც ფართის სხვადასხვაობა სადავოდ არ გაუხდიათ, შესაბამისად, დადგინლად იქნა მიჩნეული, რომ ერთი და იგივე უფლება ორმა სხვადასხვა პირმა ჯერ ვ. მ-ემ, შემდეგ ფ. გ-მა გაასხვისეს. ორივე მათგანი მოქმედებდა 2008 წლის 25 დეკემბრის სადამფუძნებლო ხელშეკრულებიდან გამომდინარე. სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 50-ე, 54-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ ეს ორი ნორმა არ გამოიყენა პირველი ინსტანციის სასამართლომ, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილი. პალატის განმარტებით, როგორც 2008 წლის 25 დეკემბრის ამხანაგობის სადამფუძნებლო ხელშეკრულების მე-5 მუხლიდან ირკვევოდა, ამხანაგობის წევრები იყოფოდნენ ორ ჯგუფად: „დამფუძნებელი წევრები“ და „ჩვეულებრივი წევრები“. დამფუძნებელ წევრებს თავად ამავე ხელშეკრულებით განესაზღვრათ გადასაცემი ფართების მოცულობა და ადგილმდებარეობა, მათ შორის ვ.მ-აც, რომელსაც 7.1. მუხლით გამოეყო 310 კვ.მ, საიდანაც 100 კვ.მ იყო საოფისე ფართზე უფლება, 95 კვ.მ ჭ-ის გადაცემული უფლება, 115 კვ.მ მიწიდან მეორე სართულზე. ამავე ხელშეკრულებით განისაზღვრა, რომ ამხანაგობის თავმჯდომარედ არჩეული იქნა ფ.გ-ი და მას მიენიჭა უფლება, განეკარგა ყველა ფართი, გარდა 7.1. მუხლით გათვალისწინებული ფართისა. ფ. გ-მა მოაწერა რა ხელი სადამფუძნებლო ხელშეკრულებას, მისთვის ცნობილი იყო რომ მე-4 სართულზე მდებარე 90 კვ.მ ფართზე უფლებას ფლობდა ვ. მ-ე. მიუხედავად აღნიშნულისა და სახელშეკრულებო დათქმისა, 2010 წლის 8 თებერვალს იმავე ფართზე უფლება ფ. გ-მა მიჰყიდა ჯ. შ-ს. ფ. გ-მა გაასხვისა ის უფლება, რომელიც მას არ ეკუთვნოდა და ხელშეკრულებით მისი გასხვისება პირდაპირ ჰქონდა აკრძალული. გარიგება, რომლითაც – ა) პირი (ფ. გ-ი) ჰყიდდა უფლებას, რომელიც მას არ გააჩნდა და ბ) უფლების მფლობელი (თავდაპირველად ვ. მ-ე, ხოლო შემდეგ კ.ჭ-ი) არ გამოხატავდა გასხვისების ნებას, პალატის შეფასებით, არღვევდა კანონით დადგინლ წესსა და აკრძალვებს (სამოქალაქო კოდექსის 50-ე და 198-ე მუხლებს), რის გამოც ასეთი გარიგება ბათილად იქნა მიჩნეული. სასამართლოს შეფასებით, სამოქალაქო კოდექსის 50-ე და 198-ე მუხლების დარღვევა გამოიხატა იმაში, რომ არ იქნა გამოხატული უფლების მფლობელის (ვ. მ-ის ან კ. ჭ-ის) ნება უფლების გასხვისებაზე და ეს უფლება სრულიად სხვა პირმა (ფ. გ-მა) გაასხვისა. მონინაალმდევე მხარე განმარტავდა ჯ. შ-ის კეთილსინდისიერების შესახებ, ვინაიდან ფ. გ-ან ნაყიდი უფლება მან საჯარო რე-

ესტრში დაარეგისტრირა. პალატის მითითებით, მართალია, სამოქალაქო კოდექსის 185-ე და 312-ე მუხლები, იცავენ კეთილსინდისიერ შემძენს, მაგრამ, მოცემულ შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონდა შემძენის კეთილსინდისიერებას, ვინაიდან გარიგების დადებისას უფლების მფლობელ ვ.მ-ეს ან მოგვიანებით კ.ჭ-ს ასეთი ნება არ გამოუხატავთ. სასამართლოს მოსაზრებით, გარიგება, სადაც მესაკუთრის (უფლების ნამდვილი მფლობელის) ნება არ იყო გამოხატული, ბათილად ითვლებოდა, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა შემძენი კეთილსინდისიერი. საქმის მასალებით ირკვეოდა ის, რომ ჯერ კიდევ ამხანაგობა „რ. 2002-ის“ არსებობისას კ.ჭ-აც (2007 წელს) და ჯ.შ-აც (2009 წელს) გააჩნდათ მათი განწევრიანების შესახებ ოქმები, სადაც მათი წილის უფლება იმავე შინაარსითა და მოცულებით იყო მითითებული, როგორც ეს იყო ამხანაგობა „მ. 3/5-ში“, იმ განსხვავებით, რომ სართულად აღნიშნული იყო მე-3 სართული. მოგვიანებით, როდესაც დაფუძნდა ამხანაგობა „მ. 3/5“ და მხარეებმა სამართლებრივი ურთიერთობები ამ ამხანაგობის საქმიანობიდან გამომდინარე უფლებებზე განახორციელეს, კ.ჭ-ის უფლება დარეგისტრირდა ო-ოს №3-ში, ხოლო ჯ.შ-ის უფლება – ო-ოს №3/მ-ის №5/მ-ის №7, საჯარო რეესტრმა ერთსა და იმავე ნივთზე ორი სამომავლო უფლება რეგისტრაციაში გაატარა სხვადასხვა მისამართზე, რამაც განაპირობა ორივე მხარის უფლების რეგისტრაცია. პალატამ მიუთითა საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უფლების უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციაზე, თუმცა ის ფაქტი, რომ ერთსა და იმავე ნივთზე რეგისტრაციაში გატარდა ორი სამომავლო უფლება, სასამართლოს შეფასებით, წარმოადგენდა რეგისტრაციის ჩანაწერის ხარვეზს, რომელიც, თავის მხრივ, გამორიცხავდა კანონისმიერი პრეზუმფციიდან გამომდინარე იურიდიული ფიქციის არსებობას, შესაბამისად, პალატამ ჩათვალა, რომ მოკლებული იყო შესაძლებლობას, მოცემული ურთიერთობების კვალიფიკაციისათვის გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 312-ე და 185-ე მუხლებით განმტკიცებული კეთილსინდისიერი შემძენის დაცვის პირობები. არსებული ვითარება განსხვავდებოდა სხვა დანარჩენი შემთხვევებისაგან, ვინაიდან ერთსა და იმავე ნივთის მიმართ რეგისტრაციაში გატარდა ორი პირის სამომავლო საკუთრების უფლება, რის მიმართაც არ არსებობდა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციის დამკვიდრებული პრაქტიკის გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიიჩნია, რომ სადავო გარიგება უცი-

ლოდ ბათილ გარიგებას წარმოადგენდა, რის გამოც იგი ბათილი იყო დადების მომენტიდან და არ შეიძლება მოჰყოლოდა ნასყიდობისათვის დამახასიათებელი შედეგი. სასამართლომ დადგინილად მიიჩნია ასევე, რომ დავის საგნის მიმართ აპელანტს (მოსარჩელეს) გააჩნდა ნამდვილი იურიდიული ინტერესი, რადგან გარიგების ბათილად ცნობით მიიღწეოდა კ. ქ-ის უფლების აღდგენის სამართლებრივი შედეგი.

პალატა არ დაეთანხმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მითითებას სამოქალაქო კოდექსის 485-ე მუხლის გამოყენებასთან მიმართებაში და ჩათვალა, რომ ამ ნორმის გამოყენებით, ასევე დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილი. პალატამ მიუთითა მუხლის დისპოზიციაზე და აღნიშნა, რომ ეს ნორმა გამოიყენება მოძრავი ნივთების თაობაზე გარიგებების დადებისას და უძრავი ნივთებზე უფლების შესახებ დადებული გარიგებაზე მარტოოდენ სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლთან (კანონის ანალოგია) ერთობლიობაში უნდა იქნეს გამოყენებული. მიუხედავად ამისა, ადგილი არ ჰქონდა ამ ნორმით განსაზღვრულ ვითარებას, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში გამყიდველი არაა ერთი და იგივე პირი (ანუ ერთი და იგივე უფლება გაასხვისა ვ. მ-ემ და ფ. გ-მა). გარდა ამისა, გარიგების საგანი იყო უფლება და არა საქონელი. ამასთან, უფლება პირველად საჯარო რეესტრში გაატარა კ. ქ-მა 2009 წლის 30 ნოემბერს, ხოლო, ჯ. შ-მა 2010 წლის 12 თებერვალს. უფლებაზე მფლობელობის მოპოვების ერთ-ერთ გზად კი მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაციაც განიხილება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ჯ. შ-მა, მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა შემდეგი საფუძვლებით:

გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით, სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმეში არსებული მტკიცებულებები, რის გამოც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნები. აღნიშნულის გათვალისწინებით, არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, ასევე 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლები. მხარეთა სახელზე რეგისტრირებული ფართები არ არის იდენტური, არამედ ორივე შემთხვევაში განკარგვის საგანს სხვადასხვა ფართები წარმოადგენს, რადგანაც გამორიც-

ხავს სარჩელის საფუძვლიანობას. კასატორი ფართების იდენტიფიკაციის ფაქტს არც პირველი ინსტანციის და არც სააპელაციო წესით საქმის განხილვისას არ ეთანხმებოდა, რაც თავისთავად დაუსაბუთებელს ხდის ამ საკითხზე გასაჩივრებული გადაწყვეტილების განმარტებას, სასამართლოს მსჯელობა, ასევე უსაფუძვლოა იმ ნაწილში, როდესაც 90 კვ.მ და 95 კვ.მ ფართებს მიიჩნევს იდენტიურად. ამ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ იმა „მ. 3/5-ის“ სადამფუძნებლო კრების ოქმით ვ. მ-ეს გადაეცა 100, 95 და 115 კვ.მ ფართები, განისაზღვრა მათი ფუნქციური დანიშნულება, კ.ჭ-ან გაფორმებული ხელშეკრულებით არ დაკონკრეტებულა ვ. მ-ემ რომელი ფართი გადასცა, ამ თვალსაზრისით სასამართლოს მითითება სართულსა და ქუჩის მხარეზე არასწორია, რადგანაც ტექნიკური თვალსაზრისით ერთ მხარეს რამდენიმე ბინის მდებარეობა გამორიცხული არ არის. რაც შეეხება საქმეში არსებულ ნახაზს, რომელსაც ასევე დაეყრდნო სასამართლო, აღნიშნული მტკიცებულებით არ ირკვევა, თუ რა ფართია ასახული მასზე. სადავო ფართების იდენტიფიკაციის შემთხვევაში კი, სარჩელის დაკმაყოფილებას არ ექვემდებარებოდა, რადგანაც, სამოქალაქო კოდექსის 485-ე მუხლიდან გამომდინარე, ფართის გადაცემის გამო, უპირატესობა კასატორს ენიჭება. სააპელაციო პალატამ დაარღვია კანონი, როდესაც გადაწყვეტილების გამოტანისას არ იხელმძღვანელა ზემოაღნიშნული ნორმით, ამასთანავე, არასწორია პალატის მსჯელობა, რომ ნორმის დანაწესი ვრცელდება მხოლოდ მოძრავი ნივთების მიმართ, ამასთანავე, სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია დადგენილად, რომ სადავო ქონება არა ამხანაგობამ, არამედ სხვადასხვა პირმა განკარგა. გარდა აღნიშნულისა, სამოქალაქო კოდექსის 485-ე მუხლის არასწორ განმარტებას ადასტურებს ასევე პალატის მსჯელობა, რომ ნივთის გამსხვივებელთან მიმართებაში, რადგანაც ნორმის მიზანს წარმოადგენს იმ შემდგენილი ინტერესების დაცვა, რომელსაც უკეთესი უფლება გააჩნია. კასატორი ასევე არ დაეთანხმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას ჯ. შ-ის, როგორც კეთილსინდისიერი შემდგენილი თაობაზე. საქმეში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერით კასატორის მიერ შექმნილ ფართზე სხვა პირის უფლება არ არის ასახული, ხოლო ამხანაგობის სადამფუძნებლო დოკუმენტიდან გამომდინარე, ფ. გ-ს ქონების განკარგვის უფლება გააჩნდა. არასწორია ასევე გადაწყვეტილება სასამართლო ხარჯების განსაზღვრის ნაწილში, რადგანაც კასატორისათვის დაკისრებული სახელმწიფო ბაჟი მოიცავს ასევე პირველი ინსტანციის წესით საქმის განხილვი-

სას გადახდილ 3000 ლარს, აპელანტმა სააპელაციო საჩივარზე დავის საგნის ღირებულების შემცირების გამო ნაკლები ოდენობის ბაჟი გადაიხადა, რაც სასამართლომ ხარვეზის დადგენის საფუძველად არ მიიჩნია, ამასთანავე, არც საქალაქო სასამართლოში ზედმეტად გადახდილი ბაჟი დაუბრუნა მოსარჩელეს.

მოგვიანებით კასატორმა დაზუსტებული საკასაციო საჩივრით მომართა სასამართლოს, სადაც ვრცლად მიუთითა ამავე გარემოებებზე და დამატებით აღნიშნა მატერიალური სამართლის ნორმის დარღვევებზე, კერძოდ, კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 56-ე, 81-ე და 82-ე მუხლები, ვერ დაასაბუთა კასატორის მიერ სამოქალაქო კოდექსის 182-ე მუხლის დარღვევა, პალატამ არასწორად ჩათვალა სადავო გარიგება უცილოდ ბათილ გარიგებად და არ დაუდგენია ამავე კოდექსის 79-ე მუხლით გათვალისწინებული შეცდომების ხანდაზმულობა. არასწორია გადანყვეტილების მსჯელობა ფართის ფ. გ-ის, როგორც ფიზიკური პირის მიერ გასხვისებაზე, რადგანაც ამ უკანასკნელს, როგორც ამხანაგობის თავმჯდომარეს, ფართის განკარგვის უფლება გააჩნდა, ამ ვითარებისაგან სრულად განსხვავდება ვ. მ-სა და კ. ჭ-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულება. სასამართლოს უფლება არ ჰქონდა კასატორის არაკეთილსინდისიერებაზე ემსჯეულა, თუმცა გარიგების ბათილად ცნობის შემთხვევაში, ასევე უნდა შეეფასებინა ჯ. შ-ის მიერ შენატანის სახით გადახდილი თანხა და ბინის რემონტის ხარჯები. სააპელაციო პალატამ არ გამოიკვლია კასატორის კეთილსინდისიერი მფლობელობის ფაქტი, ასევე არ გაითვალისწინა სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლის დანაწესი, ხოლო ამავე კოდექსის 312-ე მუხლის არასწორი ინტერპრეტაციის გზით კანონიერ ძალაში მყოფი ადმინისტრაციული აქტი – რეესტრის ჩანაწერი, იურიდიული ძალის არმქონედ მიიჩნია. ჯ.შ-ის კეთილსინდისიერ მფლობელობას ადასტურებს მისი კუთვნილი ფართისათვის სარეგისტრაციო ნომრის მინიჭება, ასევე ამხანაგობა „რ. – 2002-ის“ საერთო კრების №85 ოქმი. სააპელაციო პალატამ გადანყვეტილების გამოტანისას არ გაითვალისწინა ამხანაგობა „მ. 3/5-ის“ შექმნის მიზანი – დანებებული მშენებლობის დასრულება, კეთილმონყობა და ბინის ექსპლოატაციაში მიღება. პალატა არ დაელოდა საქმის განხილვის დასრულებას საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, რომლის გადანყვეტილებაც პრიუდიციულია და 2013 წლის 15 თებერვალს ამხანაგობას სახლის ლეგალიზაციაზე ეთქვა უარი. აღნიშნულით სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი მე-

2 ნაწილი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 30 მაისის განჩინებით ჯ. შ-ის საკასაციო საჩივარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ცნობილ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე, თანახმად ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილისა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება და თვლის, რომ ჯ. შ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2008 წლის 30 დეკემბერს გაფორმდა ხელშეკრულება ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „მ. 3/5-ის“ დაფუძნებისა და ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

ხელშეკრულების 2.1. მუხლის თანახმად, ამხანაგობის მიზანი ამხანაგობის დამფუძნებელი წევრების მიერ 2003-2006 წლებში ქ.თბილისში, მ-ის (ყოფილი ო-ოს) ქ. №3-ში, №5-სა და №7-ში ერთობლივად აშენებული, კარკასის მდგომარეობაში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მოსაპირკეთებელი სამუშაოების საბოლოო დასრულება, საკომუნიკაციო ქსელების მონყობა, ლეგალიზაცია და ამ შენობის, როგორც ამხანაგობის წევრთა წილობრივი თანასაკუთრების, მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის განხორციელება იყო. იმავე ხელშეკრულების 12.1 მუხლის შესაბამისად, ამხანაგობა შეიქმნა მშენებლობის საბოლოო დასრულების, ლეგალიზაციისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ვადით, ხოლო მე-5 მუხლის თანახმად, სამართლებრივი უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრის თვალსაზრისით, ამხანაგობის წევრები დაიყვნენ ორ ჯგუფად: დამფუძნებელი წევრები და ჩვეულებრივი წევრები. დამფუძნებელ წევრებს განეკუთვნებოდნენ ხელშეკრულების

ხელმომწერი პირები, ჩვეულებრივ წევრებს კი პირები, რომლებიც ამხანაგობის წევრები გახდებოდნენ შემდგომში.

დამფუძნებელი წევრები შეთანხმდნენ, რომ ამხანაგობის საქმიანობას უხელმძღვანელებდა ამხანაგობის თავმჯდომარე. ამხანაგობის თავმჯდომარედ კი დამფუძნებლებმა აირჩიეს ფ. გ-ი.

2008 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულების მე-7 მუხლით განისაზღვრა ამხანაგობის დამფუძნებელ წევრებს შორის ბინების განაწილების წესი. 7.1. მუხლის თანახმად, ერთ-ერთ დამფუძნებელ წევრს წარმოადგენდა ვ. მ-ე, რომელსაც მის მიერ ამხანაგობაში განხორცილებული შენატანის სანაცვლოდ უნდა მიეღო 310 კვ.მ საერთო ფართი, აქედან 100 კვ.მ საოფისე ფართს მიიღებდა ნულოვან (მიწიდან პირველ) სართულზე, კარკასის სახით, 95 კვ.მ საერთო ფართის ბინას მიიღებდა მიწიდან მეოთხე სართულზე მ-ის ქუჩის მხარეს და 115 კვ.მ საერთო ფართის ბინას მიიღებდა მიწიდან მეორე სართულზე ეზოს მხრიდან.

2008 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულების მე-5 მუხლით ფ. გ-ს მიენიჭა უფლებამოსილება, გაესხვისებინა ამხანაგობის საერთო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, გარდა ხელშეკრულების 7.1. მუხლით გათვალისწინებული ბინებისა და ფართებისა, ანუ იმ ფართებისა, რომლებიც განაწილებული იყო ამხანაგობის დამფუძნებელ წევრებზე.

2009 წლის 13 ნოემბერს ამხანაგობის წევრ ვ. მ-სა და კ. ჭ-ის წარმომადგენელ დ. ნ-ეს შორის სანოტარო წესით გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება მშენებარე მრავალბინიანი სახლის ნაწილზე სამომავლო საკუთრების უფლების შესახებ, რომლითაც ვ. მ-ემ მისი კუთვნილი სამომავლო საკუთრების უფლებიდან, ქ.თბილისში, მ-ის ქ. №3-სა და №7-ში მდებარე საცხოვრებელ კორპუსში არსებული 310 კვ.მ საერთო ფართიდან 95 კვ.მეტრზე, მიწიდან მეოთხე სართულზე, მ-ის ქუჩის მხარეს საერთო ფართზე ღირებულების – 42750 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ, სამომავლო საკუთრების უფლება გადახცა კ. ჭ-ს, რომელმაც საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაცია განახორციელა 2009 წლის 30 ნოემბერს.

ვ. მ-სა და კ. ჭ-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ქ.თბილისში, მ-ის ქ. №3-სა და №7-ში ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „მ. 3/5-ის“ საკუთრებაში არსებული ფართი, რომელზეც ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „მ. 3/5-ის“ დაფუძნებისა და ურთიერთთანამშრომლობის შესახებ 2008 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულების საფუძველზე, სამომავლო საკუთრების უფლება გადაცემული ჰქონ-

და ვ. მ-ეს.

2010 წლის 8 თებერვალს ფ. გ-სა და ჯ. შ-ს შორის სანოტარო წესით გაფორმდა წილის უფლების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც ფ. გ-მა გაასხვისა ინდივიდუალური მენაშენეთა ამხანაგობა „მ. 3/5-ის“ საკუთრებაში არსებულ ქონებაზე ვ. მ-ის მიერ უკვე გასხვისებული და კ. ჭ-ის სახელზე რეგისტრირებული სამომავლო საკუთრების უფლება, კერძოდ, ფ. გ-მა ქ.თბილისში, მ-ის ქ. №3-სა და №7-ში მდებარე მშენებარე კორპუსში, მიწის ზედაპირიდან მეოთხე სართულზე, 90 კვ.მ შავი კარკასის მდგომარეობაში ფართზე სამომავლო საკუთრების უფლება გადასცა ჯ. შ-ს, რომელმაც წილის უფლების ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილი სამომავლო საკუთრების უფლება 2010 წლის 12 თებერვალს აღრიცხა საჯარო რეესტრში.

ქ.თბილისში, მ-ის ქ. №3-ში, №5-სა და №7-ში მდებარე ფართების მესაკუთრე არის იმა „მ. 3/5“. საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია მისი ვალდებულება, მოსაპირკეთებელი სამუშაოების დასრულების შემდეგ, კონკრეტულ პირებს რეალურად გადასცეს ფართები საკუთრებაში, რომლებსაც პირიქით გააჩინათ უფლება, მოსაპირკეთებელი სამუშაოების დასრულების შემდეგ, მოითხოვონ ამხანაგობისაგან ფართების მათ საკუთრებაში გადაცემა საჯარო რეესტრში რეგისტრირებული სამომავლო საკუთრების უფლების ფარგლებში.

მიუხედავად იმისა, რომ კ. ჭ-ს 2009 წლის 13 ნოემბრის ხელშეკრულებით გადაეცა ქ.თბილისში, მ-ის ქ. №3-სა და №7-ში მდებარე მშენებარე კორპუსში მიწის ზედაპირიდან მეოთხე სართულზე მდებარე 95 კვ.მ ფართზე სამომავლო საკუთრების უფლება, იგი 2010 წლის 8 თებერვლის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სადავოდ ხდიდა ქ.თბილისში, მ-ის ქ. №3-სა და №7-ში მდებარე მშენებარე კორპუსში, მიწის ზედაპირიდან მეოთხე სართულზე მდებარე მხოლოდ 90 კვ.მ ფართზე ჯ. შ-ის სამომავლო საკუთრების უფლების გადაცემის ფაქტს.

დადგენილია, რომ წილზე უფლების ნასყიდობის ორივე ხელშეკრულება შეეხება ერთსა და იმავე ნივთზე არსებულ უფლებას.

საკასაციო პალატა ამ თვალსაზრისით ვერ გაიზიარებს ჯ. შ-ის მოსაზრებას, რომ სასამართლომ ფართების იდენტიფიკაციის საკითხი არასწორად მიიჩნია დადგენილად. დავის საგნის იმავლობის საკითხი სასამართლომ დაამყარა როგორც ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „მ. 3/5-ის“ სადამფუძნებლო დოკუმენტს, ისე ფ. გ-სა და ჯ. შ-ს შორის გაფორმებულ წილის უფლების ნასყიდობის ხელშეკრულებას, საქმეში წარმოდგენილ ნა-

ხაზსა და ამხანაგობა „რ. 2002-ის“ კრების ოქმებს (კ.ჭ-აც (2007 წელს) და ჯ. შ-აც (2009 წელს) გააჩნდათ მათი განწევრიანების შესახებ ოქმები, სადაც მათი წილის უფლება იმავე შინაარსითა და მოცულობით იყო მითითებული, როგორც ეს იყო ამხანაგობა „მ. 3/5-ში“, იმ განსხვავებით, რომ სართულად აღნიშნული იყო მე-3 სართული. მოგვიანებით, როდესაც დაფუძნდა ამხანაგობა „მ. 3/5“ და მხარეებმა სამართლებრივი ურთიერთობები ამ ამხანაგობის საქმიანობიდან გამომდინარე უფლებებზე განახორციელეს, კ.ჭ-ის უფლება დარეგისტრირდა ო-ს №3-ში, ხოლო ჯ. შ-ის უფლება – ო-ოს №3-ში, მ-ის №5-სა და №7-ში).

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით კანონმდებლის მიერ დადგენილ მტკიცების ტვირთის სტანდარტზე, რომლის თანახმადაც თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს (სსსკ 102.1 მუხლი). განსახილველ შემთხვევაში, მართალია, კასატორი საქმის განხილვის არც ერთ ეტაპზე არ დათანხმებია სადავო ფართების იდენტიფიკაციის ფაქტს, თუმცა ჯ. შ-ის მტკიცება შემოიფარგლა მხოლოდ სასამართლოს მსჯელობის საწინააღმდეგო მოსაზრებებით, ისე, რომ მხარეს ამავე ნორმის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვები მტკიცებულება, რომელიც საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებს გააქარწყლებდა, არ წარმოუდგენია, ამდენად, ამ კუთხით დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიას ჯ. შ-ის საკასაციო საჩივარი არ შეიცავს.

ასევე, დაუსაბუთებელია კასატორის მსჯელობა სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი იმ ფაქტობრივი გარემოების თაობაზე, რომ ერთი და იგივე უფლება ორმა სხვადასხვა პირმა: ჯერ ვ. მ-ემ, შემდეგ ფ. გ-მა გაასხვისა და, რომ ორივე მათგანი მოქმედებდა 2008 წლის 25 დეკემბრის სადამფუძნებლო ხელშეკრულებიდან გამომდინარე.

სააპელაციო სასამართლომ, საქმეში არსებული მტკიცებულებების შესწავლით, დადგენილად მიიჩნია, რომ იმა „მ. 3/5-ის“ სადამფუძნებლო დოკუმენტით დამფუძნებელი წევრის – ვ. მ-ის გადაცემული უფლება (რომელიც ამ უკანასკნელმა 2009 წლის 13 ნოემბერს მიჰყიდა კ.ჭ-ს) 2010 წლის 8 თებერვალს გაასხვისა ფ. გ-მა, რომელსაც 2008 წლის 25 დეკემბრის ხელშეკრულების 5.6 პუნქტით ამ ფართზე უფლების გასხვისების ნებართვა არ გააჩნდა. საყურადღებოა, რომ სადავო ფართზე უფლება თავდაპირველად ამ უფლების მქონე სუბიექტმა, ვ. მ-ემ გაასხვისა და წინამდებარე დავის ფარგლებში ამ გარიგების ნამდვილობა სადავო არ გამხდარა, საქმეში არსებული 2010 წლის 8 თებერ-

ვლის ხელშეკრულებით კი დადგენილია, რომ იმავე ფართზე უფლება ფ. გ-მა მიჰყიდა ჯ. შ-ს. აღნიშნული ფაქტი თავისთავად გამორიცხავს კასატორის მტკიცების გაზიარების, რომ ორივე შემთხვევაში უფლების გასხვისება ამხანაგობის სახელით მოხდა. საკასაციო პალატა სავსებით ეთანხმება გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივ შეფასებას, რომ 2010 წლის 8 თებერვალს სანოტარო წესით დამონმებული წილის გასხვისების ხელშეკრულება ბათილ გარიგებას წარმოადგენდა სამოქალაქო ბრუნვის ობიექტის – ნივთზე უფლების არაუფლებამოსილი პირის მიერ გასხვისების გამო. ამ ფაქტის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა დადგენილ გარემოებას და სწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლით, რომლის თანახმადაც ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ შემძენი ჯ. შ-ი არ იყო კეთილსინდისიერი. კასატორი არ ეთანხმება ამ გარემოებას და თვლის, რომ სასამართლომ ამ კუთხით დაარღვია კანონი. სააპელაციო სასამართლომ არაკეთილსინდისიერების ფაქტი უმთავრესად დაუკავშირა არაუფლებამოსილი პირის მიერ ნივთის გასხვისებას და განმარტა, რომ მესაკუთრის მიერ ნების გამოხატვის არარსებობის პირობებში, გარიგება ბათილად მიიჩნევა, მიუხედავად იმისა, შემძენი კეთილსინდისიერი იყო თუ არა. სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა არ გამომდინარეობს კანონის სწორი განმარტებიდან, თუმცა ეს დარღვევა (სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლისა და 312-ე მუხლის არასწორი განმარტება) ვერ გახდება გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ისეთ ვითარებაში, როდესაც დადგენილია მართლსაწინააღმდეგო გარიგების დადების ფაქტი – გარიგება დადებულია არაუფლებამოსილი გამყიდველი მიერ, ამასთან, სადავო ხელშეკრულების დანართში მითითებულია გამყიდველის უფლების შემზღუდავი დოკუმენტიც (ამხანაგობის დაფუძნებისა და ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება, რომლის 7.1 მუხლით სამომავლო უფლება სადავო ბინაზე უკვე გადაცემული ჰქონდა ვ. მ-ს, რის გამოც, ამ ფართზე უფლების გასხვისება აღარ შეეძლო ფ. გ-ს), სააპელაციო პალატამ ჯ. შ-ი მართებულად არ მიიჩნია კეთილსინდისიერად, რადგანაც აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები უდავოდ მიუთითებს შემძენ-

ნის ობიექტურ შესაძლებლობაზე, ხელშეკრულების დადებამდე ან მისი დადების მომენტში შეეცყო გამსხვისებლის უფლების ნამდვილობა, ამდენად, სახეზეა სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის დათქმა, რომ კეთილსინდისიერად არ ჩაითვლება შემძენი, როცა შემძენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას, რომ ფ. გ-სა და ჯ. შ-ს შორის დადებულ გარიგებას სამართლებრივი შედეგი არ მოჰყოლია და თვლის, რომ სასამართლომ სწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 61-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რომლის თანახმადაც, უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება ბათილად ითვლება მისი დადების მომენტიდან.

საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება მხარის არგუმენტს, რომ გარიგების ბათილობის საფუძვლის დადგენის შემთხვევაში სასამართლოს უნდა ემსჯელა ბინის მშენებლობის გამო კასატორის მიერ ამხანაგობაში შეტანილ თანხასა და მის მიერ რემონტზე განუღებულ ხარჯებზე, რადგანაც უდავოა, რომ საქმის განხილვისას აღნიშნული მოთხოვნა მოსარჩელეს არ დაუყენებია, არც მოპასუხეს მიუმართავს შეგებებული სარჩელით სასამართლოსათვის რომლითაც მის მიერ გაღებული ხარჯების ანაზღაურებას მოითხოვდა, შესაბამისად, სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, საკუთარი ინიციატივით ემსჯელა და გადაეწყვიტა საკითხი, რაც მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა, ამასთანავე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით იმპერატიულადაა განსაზღვრული საკასაციო სასამართლოს მსჯელობის ფარგლები და დადგენილია, რომ საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები (სსსკ 407.1 მუხლი), ამდენად, განუვლი ხარჯების ანაზღაურების საკითხის შეუფასებლობა საკასაციო პალატის მსჯელობის ფარგლებს სცდება. ამავე საფუძვლიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ იმსჯელებს და სამართლებრივი თვალსაზრისით ვერ შეამონწმებს ჯ. შ-ის პრეტენზიას, რომ სასამართლომ საქმე დაჩქარებული წესით გა-

ნიხილა და არ დაელოდა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებას საცხოვრებელი კორპუსის ლეგალიზაციის თაობაზე.

რაც შეეხება კასატორის მოსაზრებას, სასამართლოს მიერ სამართლის ნორმის არასწორ განმარტებასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა სავსებით ეთანხმება ამ არგუმენტს და თვლის, რომ მხარემ ამ კუთხით დასაშვები შედაგება წარმოადგინა (სსსკ 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი), კერძოდ, სააპელაციო პალატამ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისას განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 485-ე მუხლის მოქმედება მხოლოდ მოძრავი ნივთის მიმართ გამოიყენება და უძრავი ქონების თაობაზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების რეგულირებისათვის მისი გამოყენება მხოლოდ ანალოგიის წესითაა შესაძლებელი. სასამართლომ ეს პოზიცია დაამყარა, ასევე იმას, რომ მოცემულ შემთხვევაში გარიგების საგანი იყო არა საქონელი, არამედ უფლება.

საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება გასაჩივრებული გადაწყვეტილების ამ დასკვნას, რადგანაც ის არც ნორმის სწორი განმარტებიდან და არც საკასაციო პალატის მიერ დადგენილი ერთგვაროვანი პრაქტიკიდან გამომდინარეობს.

სამოქალაქო კოდექსის 485-ე მუხლით რეგულირებულია შემთხვევა, როდესაც გამყიდველმა ერთი და იგივე საქონელი რამდენიმე პირს მიჰყიდა. ასეთ შემთხვევაში კანონმდებელმა უპირატესობა იმ მყიდველს მიანიჭა, რომლის მფლობელობაშიც პირველად გადავიდა იგი, ხოლო, თუ საქონელი არც ერთს არ გადასცემია, მაშინ – მას, ვისთანაც ხელშეკრულება უფრო ადრე დაიდო. ნორმაში გამოყენებული „საქონლის“ ცნება გაგებულ იქნა იქნას ამავე კოდექსის 147-ე მუხლის კონტექსტში და შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, კანონის ამ დანაწესით რეგულირებას ექვემდებარება როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონებისა თუ უფლების რეალიზაციის საკითხი, ნორმის ამგვარი განმარტებაა ასახული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ ერთგვაროვან პრაქტიკაშიც (იხ. სუსგ №ას-719-678-2011, 3 იანვარი, 2012 წელი; №ას-1274-1512-05, 26 იანვარი, 2006 წელი). საკასაციო სასამართლო იზიარებს ჯ. შ-ის იმ მოსაზრებასაც, რომ ნორმის მიზანი შემძენის ინტერესების დაცვაა, თუმცა, ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ სამოქალაქო კოდექსის 485-ე მუხლის რეგულაციის ფარგლებში კანონმდებელი დაცვის უფლებით აღჭურავს სამოქალაქო ბრუნვის მხოლოდ და მხოლოდ იმ სუბიექ-

ტებს, რომლებიც ნასყიდობის სამართლებრივ ურთიერთობაში კეთილსინდისიერად გვევლინებიან. მოცემულ შემთხვევაში, პალატა ყურადღებას გაამახვილებს წინამდებარე დავის ფარგლებში დადგენილ ისეთ გარემოებებზე, როგორცაა: სადავო უძრავ ქონებაზე უფლების გასხვისება თავდაპირველად ნამდვილი გარიგების საფუძველზე განხორციელდა, ხოლო კასატორთან მიმართებაში დადგენილია უცილოდ ბათილი გარიგების დადების ფაქტი, არ არის დადგენილი ნივთის ერთი და იმავე პირის (იმა „მ-ე 3/5-ის“) მიერ გასხვისება და არც შემძენის კეთილსინდისიერება ამ გარემოებებთან მიმართებაში, შესაბამისად, სააპელაციო პალატამ, მიუხედავად ნორმის არასწორი განმარტებისა, მოცემულ ფაქტობრივ ვითარებაში დავის გადანყვეტისას სავსებით მართებულად არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 485-ე მუხლი, რის გამოც არ არსებობს გადანყვეტილების გაუქმების საფუძველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს კასატორის პრეტენზიაზე გასაჩივრებული გადანყვეტილებით სასამართლო ხარჯების არასწორ განაწილებასთან დაკავშირებით. კასატორი აღნიშნავს, რომ მას გასაჩივრებული გადანყვეტილებით დაეკისრა პირველი ინსტანციის წესით საქმის განხილვისას მოსარჩელის მიერ გადახდილი 3000 ლარი და სააპელაციო წესით განხილვისას გადახდილი სახელმწიფო ბაჟიც, რომლის ოდენობაც გაცილებით ნაკლები იყო და სააპელაციო პალატა ვალდებული იყო, დავის საგნის ღირებულების შემცირების გამო სააპელაციო საჩივარზე დაედგინა ხარვეზი. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მხარის ამ პრეტენზიის მართებულობა არც საქმის მასალებით და არც გასაჩივრებული გადანყვეტილებით არ დასტურდება, რადგანაც სააპელაციო პალატამ სრულად დააკმაყოფილა რა სააპელაციო საჩივარი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის სწორი განმარტების გზით მოწინააღმდეგე მხარეს აპელანტის სასარგებლოდ მართებულად დააკისრა საქალაქო სასამართლოში სარჩელისა და უზრუნველყოფის ღონისძიების გამო გადახდილი ბაჟი – 881,85 და 50 ლარი,

ასევე სააპელაციო საჩივრის გამო გადახდილი 2878,8 ლარი. სა-
ნინაალმდეგო ვითარებაშიც კი, სააპელაციო საჩივრის წარმოე-
ბაში მიღების მართებულობის საკითხი საკასაციო პალატის
მსჯელობის საგანი ვერ გახდებოდა, რადგანაც ეს განჩინება,
კასატორს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის
მე-2 ნაწილით დადგენილი წესით არ გაუსაჩივრებია, ხოლო ამა-
ვე ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამარ-
თლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარ-
გლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიცია-
ტივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხ-
ლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა
თვლის, რომ სააპელაციო პალატამ სწორად დაადგინა საქმის
გარემოებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ,
ხოლო ჯ. შ-ის საკასაციო საჩივარი არ შეიცავდა იმგვარ დასაშ-
ვებ პრეტენზიას, რაც ამ გადაწყვეტილების გაუქმების საფუძ-
ველი გახდებოდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპრო-
ცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ჯ. შ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქ-
მეთა პალატის 2013 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება დარჩეს
უცლელად.
3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივ-
რდება.

ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება

ბანჩინება

№ას-863-809-2012

30 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება, პირგასამტეხლოს დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ი-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ბ-ს“ მიმართ ნასყიდობის ფასის გადაუხდელი ნაწილის ანაზღაურებისა და პირგასამტეხლოს გადახდის დაკისრების მოთხოვნით შემდეგი დასაბუთებით: მხარეთა შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მოსარჩელემ მხარეთა შორის შეთანხმებული პირობებით იკისრა მოპასუხისათვის ლაბორატორიული დანადგარებისა და ლაბორატორიისათვის საჭირო მასალების მიწოდების ვალდებულება. მოპასუხემ ნასყიდობის საფასურის მხოლოდ ნაწილი გადაიხადა და უარს აცხადებს დარჩენილი ნაწილის, 9600 აშშ დოლარის, გადახდაზე. ხელშეკრულებით შეთანხმებული იყო, ასევე პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება მოპასუხის მიერ ნასყიდობის ფასის გადახდის ვადის გადაცილებისათვის.

შპს „ბ-მ“ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის საქონლის მიწოდებამდე გამოგზავნილ ინვოისში მითითებული 26 365 აშშ დოლარი ნასყიდობის საგნის საორიენტაციო ღირებულებას წარმოადგენდა. ნასყიდობის საგანს, რომელიც მოპასუხემ მიიღო, მოჰყვა ახალი ინვოისი, რომლითაც ნასყიდობის ფასი დაზუსტდა და შეადგინა 17350 შვეიცარული ფრანკი. აღნიშნული თანხა მოპასუხემ მოსარჩელეს სრულად აუნაზღაურა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილებით შპს „ი-ს“ სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს „ბ-ს“ შპს „ი-ს“ სასარგებლოდ დაეკისრა ნასყიდობის ფასის გადაუხდელი ნაწილის – 9 600 აშშ დოლარის გადახდა. შპს „ბ-ს“ შპს

„ი-ს“ სასარგებლოდ დაეკისრა პირგასამტეხლოს – ყოველ ვადაგადაცილებულ კვირაზე დავალიანების ძირითადი თანხის – 9 600 აშშ დოლარის 0,1%-ს – 9,6 აშშ დოლარის გადახდა 2010 წლის 4 სექტემბრიდან დავალიანების ძირითადი თანხის – 9 600 აშშ დოლარის დაფარვამდე, მაგრამ არა უმეტეს 2 636,5 აშშ დოლარისა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „ბ-მ“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 აპრილის განჩინებით შპს „ბ-ს“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2010 წლის 21 ივლისს, შპს „ი-სა“ და შპს „ბ-ს“ შორის გაფორმდა №01/10 ხელშეკრულება, რომლის პირველი მუხლის თანახმად, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „გამყიდველი“ აწვდის, ხოლო „მყიდველი“ ყიდულობს ლაბორატორიულ დანადგარებსა და ლაბორატორიისათვის საჭირო მასალებს, შემდგომში „საქონლად“ ნოდებული, ინვოისების ან პროფორმა-ინვოისების თანახმად, „მყიდველთან“ წერილობითი ფორმით, ან ელფოსტით, ან ფაქსით წინასწარ შეთანხმებული ნომენკლატურით, რაოდენობითა და ფასად, რის შემდეგაც ისინი ხდებიან წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი. 2010 წლის 21 ივლისის №01/10 ხელშეკრულების 7.1. პუნქტის მიხედვით, გამყიდველის ან მყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დამრღვევი მხარე დაზარალებულ მხარეს უხდის საქონლის ღირებულების 0,1%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ კვირაზე, მაგრამ საქონლის საერთო ღირებულების არა უმეტეს 10%-ისა. 2010 წლის 19 ივლისს შპს „ი-ს“ მიერ შპს „ბ-თვის“ გამოგზავნილი №398 ინვოისის მიხედვით, მოსარჩელემ კვლავ განაცხადა თანხმობა, მოპასუხისთვის მიენოდებინა ორი ლაბორატორიული დანადგარი, რომელთა ჯამური ღირებულება შეადგენდა 26 365 აშშ დოლარს. ამავე ინვოისში მითითებულია ნასყიდობის ფასის გადახდის წესი, კერძოდ, ნასყიდობის ფასის 50% მოპასუხეს წინასწარ უნდა გადაეხადა, ხოლო 50% კი, საქონლის მიღებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში. 2010 წლის 26 ივლისს შპს „ბ-ს“ მიერ შპს „ი-ს“ საბანკო ანგარიშზე გადაირიცხა მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 50% – 13 182,50 აშშ დოლარი.

2010 წლის 24 აგვისტოს შპს „ბ-მ“ მიიღო 2010 წლის 19 ივლისის №398 ინვოისით გათვალისწინებული დანადგარები. ამასთან, ტვირთს თან ახლდა 2010 წლის 12 აგვისტოს №69102 ინვოისი, რომლის გამგზავნად მითითებული იყო შვეიცარიული

კომპანია „მ. ა.“, ხოლო ადრესატად კი – შპს „ი-ი“. აღნიშნულ ინვოისში ლაბორატორიული დანადგარის ღირებულებად მითითებულია 17 350 შვეიცარიული ფრანკი. 2010 წლის 30 სექტემბერს შპს „ბ-ს“ მიერ შპს „ი-ს“ საბანკო ანგარიშზე მიწოდებული საქონლის ღირებულების ანგარიშში გადაირიცხა 3 582,50 აშშ დოლარი. შპს „ი-ი“ წარმოადგენს შვეიცარიული კომპანია „მ-ს“ ექსკლუზიურ აგენტს უკრაინაში, ბელორუსიასა და საქართველოში. ლაბორატორიულ დანადგარს, რომელიც შპს „ი-მა“ შპს „ბ-ს“ მიჰყიდა, კომპანია „მ-ი“ აწარმოებს და იგი შპს „ბ-თვის“, შპს „ი-ს“ მოთხოვნით, შვეიცარიიდან მწარმოებელმა კომპანია „მ-მა“ გამოგზავნა. შპს „ბ-ს“ კომპანია „მ-თან“ უშუალოდ რაიმე სახის, მათ შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა, არ ჰქონია. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მან სრულად გადაიხადა მხარეთა შორის შეთანხმებული ნასყიდობის საგნის ღირებულება.

სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. არსებით პირობებად ჩაითვლება ის პირობები, რომლებზეც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულია შეთანხმება. ამდენად, კანონი ხელშეკრულებას დადებულად მიიჩნევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეები ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდებიან საამისოდ დადგენილი ფორმით. ხელშეკრულების არსებითი პირობების ჩამონათვალს კანონი არ განსაზღვრავს, ამ პირობებს თვითონ მხარეები განსაზღვრავენ და ასეთად ხელშეკრულების მხოლოდ ის პირობები ჩაითვლება, რომლებზეც მხარეები უნდა შეთანხმდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელშეკრულება არ დაიდება. ხელშეკრულების არსებით პირობებს შეიძლება, მიეკუთვნოს ხელშეკრულების საგანი, ფასი, გადახდის პირობა და ა.შ. განსახილველ შემთხვევაში, ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ კონკრეტული საქონლის საჭიროებისას მისი ხარისხის, რაოდენობისა და ფასის განსაზღვრის წესზე, კერძოდ, მოპასუხის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ამა თუ იმ სახის საქონლის შესყიდვის წესის გამოვლენისას, მოსარჩელე გამოუგზავნიდა მას ინვოისს, სადაც კონკრეტულად იქნებოდა აღწერილი მის მიერ შემოთავაზებული საქონლის ხარისხი და ფასი. 2010 წლის 19 ივლისს შპს „ი-ს“ მიერ გამოგზავნილ №398 ინვოისით დგინდება, რომ მასში დეტალურად იქნა მითითებული ნასყიდობის საგნის დასახელება, ხარისხი, რაოდენობა, ფასი და მისი გადახდის წესი, ანუ ყველა ის არსებითი პირობა, რაც აუცილებ-

ბელი იყო კონკრეტულ საქონელზე ნასყიდობის ხელშეკრულების დასაღებად. შესაბამისად, მხარეები შპს „ი-ი“ და შპს „ბ-ა“, ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის არსებით პირობებზე, მათ შორის ნასყიდობის ფასზე შეთანხმდნენ 2010 წლის 19 ივლისის №398 ინვოისით. მხარეთა შორის შეთანხმებული არსებითი პირობების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ ხელშეკრულების მხარეთა მიერ. შესაბამისად, სადავო გარემოების დასტურად ვერ განიხილება მხარის მიერ მითითებული 2010 წლის 12 აგვისტოს №69102 ინვოისი, რადგან მასში გამგზავნად მითითებულია შვეიცარიული კომპანია „მ. ა.“, ხოლო ადრესატად – შპს „ი-ი“. საქმეში წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებებით ხელშეკრულების მხარეებს შორის მსგავსი შეთანხმების არსებობა არ დასტურდება. მითითებული გარემოების დადასტურება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლებიდან გამომდინარე, მოპასუხის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა. ამდენად, მხარეთა შორის ნასყიდობის საგნის ღირებულება განსაზღვრული იყო 26 365 აშშ დოლარით. შპს „ბ-მ“ შპს „ი-ს“ ნასყიდობის ფასის მხოლოდ ნაწილი – 16 765 აშშ დოლარი აუნაზღაურა და 9600 აშშ დოლარი კი, ასანაზღაურებელი აქვს.

სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია, მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. ამავე კოდექსის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთი საფუძველი არის ხელშეკრულება. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, მხარეთა შორის არსებობდა ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა. სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა, გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი. მყიდველი მოვალეა, გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მხარეთა შეთანხმებით ნასყიდობის საგნის ღირებულება განისაზღვრა 26 365 აშშ დოლარით. მოსარჩელემ შეასრულა ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება და მყიდველს – შპს „ბ-ს“ მიაწოდა ნასყიდობის საგანი. მოპასუხემ გამყიდველს – მოსარჩელე შპს „ი-ს“ გადაუხადა შეთანხმებული ფასის მხო-

ლოდ ნაწილი 16 765 აშშ დოლარი, ანუ ნაწილობრივ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლო დასკვნა მასზე, რომ მოპასუხე ვალდებულია, მოსარჩელეს აუნაზღაუროს შეთანხმებული ფასის დარჩენილი ნაწილი – 9600 აშშ დოლარი.

სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. ამავე კოდექსის 418-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ, თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს. შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას. დასახელებული ნორმების დანაწესიდან გამომდინარე, პირგასამტეხლო წარმოადგენს სახელშეკრულებო მოთხოვნის შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებულია სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევასთან. პირგასამტეხლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა ყოფილიყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება ამ ვალდებულების შესრულებამდე. როგორც დადგენილ იქნა, 2010 წლის 21 ივლისის ხელშეკრულებით მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევისათვის გათვალისწინებულია პირგასამტეხლო საქონლის ღირებულების 0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ კვირაზე, მაგრამ „საქონლის“ საერთო ღირებულების არა უმეტეს 10%-სა. ამასთან, დადგენილია, რომ 2010 წლის 19 ივლისის ინვოისის თანახმად, მოპასუხეს ნასყიდობის ფასის 50% უნდა გადაეხადა წინასწარ, ხოლო დარჩენილი 50% კი – საქონლის მიღებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში. დადგენილია, რომ მყიდველმა საქონელი მიიღო 2010 წლის 24 აგვისტოს. შესაბამისად, შპს „ბ-ს“ ნასყიდობის ფასის დარჩენილი ნაწილი 13 182,5 აშშ დოლარი უნდა გადაეხადა არა უგვიანეს 2010 წლის 3 სექტემბრისა. მოპასუხეს აღნიშნულ ვადაში ნასყიდობის ფასის ნაწილი 9600 აშშ დოლარი არ გადაუხდია. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა, მოპასუხისთვის პირგასამტეხლოს სახით 2010 წლის 4 სექტემბრიდან ყოველ ვადაგადაცილებულ კვირაზე 9600 აშშ დოლარის 0,1% – ის (მაგრამ არა უმეტეს ნასყიდობის საგნის საერთო ღირებულების 26365 აშშ დოლარის 10%-

ისა) გადახდის დაკისრების თაობაზე, საფუძვლიანია და პირველი ინსტანციის სასამართლომ იგი მართებულად დააკმაყოფილა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 აპრილის განჩინება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა შპს „ბ-მ“ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება შემდეგი დასაბუთებით: 2010 წლის 19 ივლისს შპს „ი-მა“ შპს „ბ-ს“ გამოუგზავნა ინვოისი №398. აღნიშნულ ინვოისში მითითებულ იქნა შესასყიდი საქონელი და მისი ფასი 26 365.00 აშშ დოლარი, თუმცა, ტვირთის მიმღებად აღნიშნულია შპს „ბ-ა“, გამყიდველი შპს „ი-ი“ და ტვირთის გამომგზავნი „მ. ა.“. 2010 წლის 21 ივლისს შპს „ბ-სა“ და შპს „ი-ს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება №01/10. აღნიშნული ხელშეკრულების 11.4 პუნქტის შესაბამისად, ერთმნიშვნელოვნად დადგინდა, რომ შპს „ბ-სა“ და შპს „ი-ს“ შორის ხელშეკრულების ხელმოწერამდე არსებული ყველა შეთანხმება, მოლაპარაკება, მიწერ-მოწერა ხელმოწერის დღიდან კარგავდა ძალას და უქმდებოდა. შესაბამისად, უდავოა, რომ 2010 წლის 21 ივლისის ხელშეკრულებამ იმთავითვე გააუქმა 2010 წელს მიღებული ინვოისი. 2010 წლის 21 ივლისის ხელშეკრულება იყო ის ერთადერთი დოკუმენტი, რომელიც მხარეთა შორის არსებობდა იმ ეტაპზე. ხელშეკრულებაში მითითებულ იქნა ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება 100 000 შვეიცარიული ფრანკი, განისაზღვრა მასალები, რომლებიც შპს „ი-ს“ უნდა მიეწოდებინა, ასევე აღინიშნა, რომ საქონლის ღირებულება ხელშეკრულების ინვოისებსა და პროფორმა-ინვოისებში მითითებული პირობებით უნდა ანაზღაურებულიყო, თუმცა პროდუქციის ღირებულება იქნებოდა არა უმეტეს 100 000 შვეიცარიული ფრანკისა, ასევე ინვოისები და პროფორმა ინვოისები ხდებოდა ხელშეკრულების არსებითი შემადგენელი ნაწილი.

2010 წლის 26 ივლისს, 2010 წლის 21 ივლისის ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „ბ-მ“ შპს „ი-ს“ გადაურიცხა 13 182,5 აშშ დოლარი. ვინაიდან, მხარეთა შორის 2010 წლის 21 ივლისის ხელშეკრულებით განსაზღვრულ საქონელზე შპს „ი-ს“ მიერ მისაწოდებელი პროდუქციის ფასი არ იქნებოდა გადარიცხულ თანხაზე ნაკლები, პროდუქციის ღირებულებას შპს „ი-ი“ დაახუსტებდა ინვოისისა და პროფორმა-ინვოისის გამოგზავნით. 2010 წლის 12 აგვისტოს შპს „ი-მა“ განაცხადა რა კონკლუდენტური თანხმობა ხელშეკრულების დადებაზე, გამოაგზავნა პროდუქცია, რომელსაც 2010 წლის 21 ივლისის ხელშეკრულების შესაბამის

სად, მოჰყვა ინვოისი №69102, სადაც მითითებულია ტვირთის მიმღებად შპს „ბ-ა“, ტვირთის გამომგზავნად შპს „მ. ა.“, ხოლო მიმწოდებლად – შპს „ი-ი“. აღნიშნული ინვოისით შპს „ი-მა“ და-აზუსტა პროდუქციის სახე და მისი ღირებულება, რომელიც განისაზღვრა 17 350,45 შვეიცარული ფრანკით, ანუ 16765 აშშ დოლარით. 2010 წლის 12 აგვისტოს №69102 ინვოისის შესაბამისად, შპს „ბ-მ“ განაბაჟა რა შპს „ი-ს“ მიერ მიწოდებული ტვირთი, სახელმწიფოსთან ანგარიშსწორებისას ტვირთის განბაჟებისას, ნასყიდობის ფასი 16 765 აშშ დოლარი მიეთითა, საიდანაც შპს „ბ-მ“ საბაჟო მოსაკრებელი გადაიხადა. მხარეთა შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების საუძველზე 2010 წლის 30 სექტემბერს შპს „ბ-მ“ შპს „ი-ს“ აუნაზღაურა პროდუქციის დარჩენილი ღირებულება 3 582.50 აშშ დოლარი. 2010 წლის 19 ივლისს შპს „ი-ს“ მიერ გამოგზავნილი №398 ინვოისი გაუქმდა 2010 წლის 21 ივლისიდან, ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან, იგი არ წარმოადგენდა №01/10 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, ხოლო აღნიშნული ინვოისის მოქმედებასთან დაკავშირებით გამონაკლისის სახით არც რაიმე დათქმა არსებულა მითითებულ ხელშეკრულებაში.

შპს „ბ-ს“ მიერ 26 ივლისს გადარიცხული თანხა წარმოადგენდა არა ნასყიდობის საგნის ღირებულების 50%-ს, არამედ სამომავლოდ იანგარიშებოდა ინვოისით განსაზღვრულ ნასყიდობის ფასში. იქიდან გამომდინარე, რომ მყიდველისათვის შპს „ბ-თვის“, როგორც მენარმე სუბიექტისთვის, რომელიც უკვე მრავალი წელია დაკავებული სამენარმეო საქმიანობით და იცნობს ბაზარზე არსებულ ფასებსა და სტანდარტებს ცნობილი იყო, რომ ნასყიდობის საგნის ღირებულება არ იქნებოდა ავანსის სახით გადახდილ თანხაზე მცირე, მან წინასწარ გადაიხადა ნასყიდობის ფასის გარკვეული ნაწილი. აღნიშნული ქმედების განხორციელების საშუალებას შპს „ბ-ს“ აძლევდა შპს „ი-თან“ 2010 წლის 21 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულებით განსაზღვრული იყო პროდუქციის სახე, რომელიც შპს „ი-ს“ მაქსიმუმ 100.000 შვეიცარული ფრანკის ფარგლებში უნდა მიენოდებინა შპს „ბ-თვის“, ასევე 2010 წლის 21 ივლისის ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ პროდუქციის საბოლოო, ზუსტი ოდენობა განისაზღვრებოდა ინვოისებისა და პროფორმა ინვოისების მეშვეობით.

2010 წლის 12 აგვისტოს ინვოისი წარმოადგენდა 2010 წლის 21 ივლისის ხელშეკრულების საფუძველზე მიღწეულ ერთადერთ შეთანხმებას და იგი მხარეებს სწორედ იმ უფლებებსა და ვალდებულებებს აკისრებდათ, რაც მასში იყო მითითებუ-

ლი, კერძოდ, შპს „ბ-ა“ ვალდებული იყო, მიეღო ნასყიდობის საგანი და გადაეხადა მხოლოდ და მხოლოდ პროდუქციაზე თანდართულ ინვოისში მითითებული ნასყიდობის ლირებულება 16 765 აშშ დოლარი. იქიდან გამომდინარე, რომ შპს „ბ-ს“ ჯერონად აქვს შესრულებული მის მიერ 2010 წლის 21 ივლისის ხელშეკრულებითა და 2010 წლის 12 აგვისტოს ინვოისით ნაკისრი ვალდებულება, დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა, როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოს, ასევე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილშიც.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „ბ-ს“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 410-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა. საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად სწორად შეაფასა დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და საკასაციო საჩივარში მითითებული კანონის დარღვევა არ დგინდება.

მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს წარმოადგენს შემდეგი: 2010 წლის 21 ივლისს, შპს „ი-სა“ და შპს „ბ-ს“ შორის გაფორმდა №01/10 ხელშეკრულება, რომლის პირველი მუხლის თანახმად, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „გამყიდველი“ აწვდის, ხოლო „მყიდველი“ ყიდულობს ლაბორატორიულ დანადგარებსა და ლაბორატორიისათვის საჭირო მასალებს, შემდგომში „საქონლად“ წოდებული, ინვოისების ან პროფორმა-ინვოისების თანახმად, „მყიდველთან“ წერილობითი ფორმით, ან ელფოსტით, ან ფაქსით წინასწარ შეთანხმებული ნომენკლატურით, რაოდენობითა და ფასად, რის შემდეგაც ისინი ხდებიან წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი. 2010 წლის 21 ივლისის №01/10 ხელშეკრულების 7.1. პუნქტის მიხედვით, გამყიდველის ან მყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დამრღვევი მხარე დაზარალებულ

მხარეს უხდის საქონლის ღირებულების 0,1%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ კვირაზე, მაგრამ საქონლის საერთო ღირებულების არა უმეტეს 10%-ისა. 2010 წლის 19 ივლისს შპს „ი-ს“ მიერ შპს „ბ-თვის“ გამოგზავნილი №398 ინვოისის მიხედვით, მოსარჩელემ თანხმობა განაცხადა, მოპასუხისთვის მიენოდებინა ორი ლაბორატორიული დანადგარი, რომელთა ჯამური ღირებულება შეადგენდა 26 365 აშშ დოლარს. ამავე ინვოისში მითითებულია ნასყიდობის ფასის გადახდის წესი, კერძოდ, ნასყიდობის ფასის 50% მოპასუხეს წინასწარ უნდა გადაეხადა, ხოლო 50% – საქონლის მიღებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში. 2010 წლის 26 ივლისს შპს „ბ-ს“ მიერ შპს „ი-ს“ საბანკო ანგარიშზე გადაირიცხა მისანოდებელი საქონლის ღირებულების 50% – 13 182,50 აშშ დოლარი. 2010 წლის 24 აგვისტოს შპს „ბ-მ“ მიიღო 2010 წლის 19 ივლისის №398 ინვოისით გათვალისწინებული დანადგარები. ამასთან, ტვირთს თან ახლდა 2010 წლის 12 აგვისტოს №69102 ინვოისი, რომლის გამგზავნად მითითებული იყო შვეიცარიული კომპანია „მ. ა.“, ხოლო ადრესატად კი – შპს „ი-ი“. ინვოისში ლაბორატორიული დანადგარის ღირებულებად მითითებულია 17 350 შვეიცარიული ფრანკი. 2010 წლის 30 სექტემბერს შპს „ბ-ს“ მიერ შპს „ი-ს“ საბანკო ანგარიშზე მიწოდებული საქონლის ღირებულების ანგარიშში გადაირიცხა 3 582,50 აშშ დოლარი. შპს „ი-ი“ წარმოადგენს შვეიცარიული კომპანია „მ-ს“ ექსკლუზიურ აგენტს უკრაინაში, ბელორუსიასა და საქართველოში. ლაბორატორიულ დანადგარს, რომელიც შპს „ი-მა“, შპს „ბ-ს“ მიჰყიდა, კომპანია „მ-ი“ აწარმოებს და იგი შპს „ბ-თვის“, შპს „ი-ის“ მოთხოვნით, შვეიცარიიდან მწარმოებელმა კომპანია „მ-მა“ გამოგზავნა. შპს „ბ-ს“ კომპანია „მ-თან“ უშუალოდ რაიმე სახის, მათ შორის, სახელშეკრულებო ურთიერთობა არ ჰქონია.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ, ნასყიდობის საგანზე თანდართული 2010 წლის 12 აგვისტოს №69102 ინვოისის შესაბამისად, ნასყიდობის ფასი 16 765 აშშ დოლარით უნდა განისაზღვროს, რაც მყიდველმა უკვე გადაიხადა. კასატორი ამ მოსაზრებას აყრდნობს მხარეთა შორის გაფორმებული 2010 წლის 21 ივლისის №01/10 ხელშეკრულების 11.4 პუნქტს. ამ პუნქტის შესაბამისად, შპს „ბ-სა“ და შპს „ი-ს“ შორის ხელშეკრულების ხელმოწერამდე არსებული ყველა შეთანხმება, მოლაპარაკება, მინერ-მონერა ხელმოწერის დღიდან კარგავდა ძალას და უქმდებოდა. კასატორის მოსაზრებით, 2010 წლის 21 ივლისის ხელშეკრულებამ გააუქმა 2010 წლის 19 ივლისის №398 ინვოისი.

მხარეთა შორის ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიშვა. ნასყიდობის ხელშეკრულება ორმხრივი, კონსესუალური და სასყიდლიანი ხელშეკრულებაა. იგი დადებულიად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც მხარეები მის ყველა არსებით პირობებზე შეთანხმდებიან კანონით გათვალისწინებული ფორმით. ნასყიდობის ხელშეკრულებით მყიდველის ძირითადი ვალდებულებაა, მიიღოს ნაყიდი საქონელი და და გამყიდველს გადაუხადოს შეთანხმებული ფასი. ამდენად, ხელშეკრულების ერთ-ერთი არსებითი, კანონით გათვალისწინებული პირობა ფასზე შეთანხმებაა (სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 477-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები). ამ ხელშეკრულებისთვის აუცილებელია რა საგანსა და ფასზე შეთანხმება, მხარეებმა შეიძლება ღიად დატოვონ ესა თუ ის პირობა, მაგრამ უნდა შეთანხმდნენ მომავალში მისი განსაზღვრის საშუალებაზე. გასაყიდი ნივთის ფასი საბაზრო ეკონომიკის პირობებში შეიძლება შეიცვალოს და იგი მხარეთა შეთანხმებით, ნასყიდობის საგნის გადაცემის დროს არსებულ საბაზრო ღირებულებასთან შესაბამისად დადგინდეს. ამდენად, ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, ნასყიდობის ხელშეკრულებისთვის საკმარისია მის სასყიდლიანობაზე და არა ზუსტ ფასზე შეთანხმება, რაც მას განასხვავებს ქონების საკუთრებაში გადაცემის სხვა ხელშეკრულებებისაგან.

მოცემულ შემთხვევაში მხარეები ნასყიდობის ხელშეკრულების პირველი და მესამე პუნქტებით შეთანხმდნენ ხელშეკრულების მთლიან ღირებულებაზე და ნასყიდობის საგნის ნაწილ-ნაწილ მიწოდებისას, მიწოდებული ნივთის ღირებულების გადახდის წესზე. უდავოა, რომ 2010 წლის 24 აგვისტოს შპს „ბმ“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დანადგარები მიიღო. ასევე უდავოა, რომ ნასყიდობის საგნის მიღებამდე 2010 წლის 26 ივლისს, შპს „ბ-ს“ მიერ შპს „ი-ს“ საბანკო ანგარიშზე წინასწარ გადაირიცხა მისწოდებელი საქონლის ღირებულების ნაწილი – 13 182,50 აშშ დოლარი. საკასაციო სასამართლო მხარეთა ყურადღებას მიაქცევს საქმეში წარმოდგენილ 2010 წლის 26 ივლისის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტზე, რომლითაც გადამხდელი – შპს „ბ-ა“ გადახდის საფუძველად უთითებს მხარეთა შორის შეთანხმებულ 2010 წლის 19 ივლისის №398 ინვოისს. აღნიშნული მტკიცებულების შეფასება იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ, მიუხედავად 2010 წლის 21 ივლისის ხელშეკრულების 11.4 პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმებისა (მხარეთა შორის ხელშეკრულების ხელმოწერამდე არსებული ყვე-

ლა შეთანხმება, მოლაპარაკება, მინერ-მონერა ხელმოწერის დღიდან ძალას კარგავს და უქმდება) შპს „ბ-მ“ №398 ინვოისით შეთანხმებული ფასი გადაიხადა, ხოლო შპს „ი-მა“ პრეტენზიის გარეშე მიიღო თანხა, რაც ადასტურებს, რომ მხარეები ხელშეკრულების დადების შემდეგ ამავე ხელშეკრულების ფარგლებში ნასყიდობის საგნის ნაწილის ოდენობასა და ფასზე №398 ინვოისით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შეთანხმდნენ. მხარეთა მიერ გამოვლენილი ნება შესაბამისია მათ მიერ შეთანხმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებასთან და არ ეწინააღმდეგება მას, რადგან ხელშეკრულების შინაარსის ანალიზით, ხელშეკრულების მთლიანი ფასის ფარგლებში ნასყიდობის საგნის – ლაბორატორიული დანადგარების ნაწილის ნასყიდობა „წინასწარ შეთანხმებული ნომენკლატურით, რაოდენობითა და ფასად (ხელშეკრულების პირველი პუნქტი) – №398 ინვოისის შესაბამისად განხორციელდა.

ამდენად, შპს „ბ-ა“ 2010 წლის 21 ივლისის ხელშეკრულებით გააუქმებული 2010 წლის 19 ივლისის №398 ინვოისით გათვალისწინებულ საქონლის რაოდენობასა და ფასს დაეთანხმა, რისი უფლებაც სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში მას გააჩნდა. სასამართლოს ეს დასკვნა ეყრდნობა სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებასაც, რომ 2010 წლის 24 აგვისტოს შპს „ბ-მ“, სწორედ, №398 ინვოისით გათვალისწინებული დანადგარები მიიღო.

რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ 2010 წლის 24 აგვისტოს შპს „ბ-ს“ მიერ მიღებულ ტვირტს თან ახლდა 2010 წლის 12 აგვისტოს №69102 ინვოისი, რომლითაც ლაბორატორიული დანადგარის ღირებულებად მითითებულია 17 350 შვეიცარიული ფრანკი (16 765 აშშ დოლარის ეკვივალენტი), უდავოა, რომ ამავე ინვოისით გამგზავნად მითითებულია შვეიცარიული კომპანია „მ. ა.“, ხოლო ადრესატად – შპს „ი-ი“. კომპანია „მ-მ აგ-სა“ და შპს „ბ-ს“ შორის ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა არ შემდგარა.

სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია, მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. აღნიშნული ნორმის ანალიზით ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა კერძო სამართლის სუბიექტებს – კრედიტორსა და მოვალეს შორის ურთიერთობაა, შესაბამისად, მოთხოვნაზე უფლებამოსილი და შესრულებაზე ვალდებული, სწორედ, ეს პირები არიან. იგივე დანაწესია ნასყიდობის ხელშეკრულების მარეგულირებელ ნორმებშიც (სამოქალაქო კოდექსის 477-504-ე მუხ-

ლები), რომლითაც ამ ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობანი სწორედ ამ მხარეებს – მყიდველსა და გამყიდველს გააჩნიათ. სხვა პირისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობათა გადაცემა მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით ან კანონით განსაზღვრული წესით შეიძლება მოხდეს. შპს „ი-ს“, კომპანია „მ. ა.“-სა და შპს „ბ-ს“ შორის ამგვარი შეთანხმება არ შემდგარა. შპს „ბ-ა“ ნასყიდობის საგნის ღირებულების განსაზღვრას 2010 წლის 21 ივლისის ხელშეკრულების საფუძველზე ითხოვს, ამ ხელშეკრულების მხარეს კომპანია „მ. ა.“ არ წარმოადგენს და ეს უკანასკნელი ნასყიდობის საგნის ღირებულების განსაზღვრაში უფლებამოსილი არ არის.

აღნიშნულიდან გამომდინარე შპს „ბ-ს“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 17 აპრილის გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

შპს „ბ-ს“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 17 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საიჯარო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება

განმარტება

№ას-1260-1280-2011

2 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. სულხანიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: საიჯარო ხელშეკრულების შეჩერებისა და
შენწყვეტის გადაწყვეტილების გაუქმება, საიჯარო ხელშეკრუ-
ლების მოქმედების აღდგენა, ზიანის ანაზღაურება, საიჯარო
ქირის დავალიანებისა და საურავის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 22 ოქტომბერს შპს „პ. ჯ-ამ“ ფოთის საქალაქო
სასამართლოში კორპორაცია ... ნავსადგურის წინააღმდეგ სარ-
ჩელი აღძრა. მოსარჩელემ მოითხოვა მხარეთა შორის 2003 წლის
19 ივლისს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების შეჩერები-
სა და შეწყვეტის შესახებ მოპასუხის გადაწყვეტილების გაუქ-
მება, ხელშეკრულების მოქმედების აღდგენა, მოპასუხისათვის
ზიანის ანაზღაურების სახით 1 667 221 ლარის დაკისრება, ასე-
ვე სარჩელის შემოტანის დღიდან გადაწყვეტილების კანონიერ
ძალაში შესვალამდე ყოველთვიურად 416 805 ლარის გადახდის
დაკისრება.

მოსარჩელის განმარტებით, 2003 წლის 19 ივლისს შპს „პ. ჯ-
ასა“ და „... ნავსადგურს“ შორის ნავმისადგომების 10 წლის ვა-
დით იჯარის ხელშეკრულება გაფორმდა. მოგვიანებით, მხარე-
თა შეთანხმებით, აღნიშნული ვადა 25 წლამდე გაიზარდა. 2010
წლის 17 ივნისს შპს „ჯ-ს“ წერილის პასუხად, მოპასუხემ შპს „პ.
ჯ-ას“ იჯარით გაცემული ამწეების ტექნიკური დათვალიერე-
ბის აქტები გაუგზავნა და მოითხოვა მათში მითითებული დე-
ფექტების აღმოფხვრის გრაფიკის წარდგენა. 2010 წლის 30 ივ-
ნისს მოპასუხემ განმეორებით მოითხოვა 45 დღის ვადაში ვალ-
დებულების შესრულება, ამასთან, ამ პერიოდით შეუჩერა №3-
4 ნავმისადგომების მომსახურების უფლება. 2010 წლის 27 ივ-
ლისს კი, ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება, რითაც უხე-
შად დაარღვია ხელშეკრულების პირობები.

2010 წლის 8 დეკემბერს კორპორაცია ... ნავსადგურმა ფოთის საქალაქო სასამართლოში შპს „პ. ჯ-ას“ წინააღმდეგ სარჩელი აღძრა. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების სახით 3 200 000 ევროს ეკვივალენტი ლარის, ასევე 2010 წლის ივნისის, ივლისისა და აგვისტოს საიჯარო ქირის, მასზე დარიცხული საურავითურთ – 722 977 ლარის დაკისრება.

მოსარჩელის განმარტებით, შპს „პ. ჯ-ას“ უნდა უზრუნველყო იჯარით გაცემული ქონების გამოყენებისას ტექნიკური უსაფრთხოების ყველა ნორმის დაცვა და ნებისმიერი დეფექტი აღმოფხვრა დამოუკიდებლადაც, რაც მას არ შეუსრულებია. ხელშეკრულების 2009 წლის 9 თებერვალს შეტანილი ცვლილებების მიხედვით, თუ მოიჯარე ობიექტური მიზეზის გარეშე ვერ ახორციელებს კონტრაქტით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებების შესრულებას, ნავსადგურს შეუძლია არა ნაკლებ ორი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემდეგ შეაჩეროს მოიჯარის უფლება განიოს მე-3-მე-4 ნავმისადგომების მომსახურება. მოპასუხეს პირველი შეტყობინება 2010 წლის 17 ივნისს გაეგზავნა, რომელსაც ამწეების დათვალიერების აქტები ერთვოდა. 2010 წლის 30 ივნისს მას მეორე შეტყობინება გაეგზავნა, 45 დღის ვადაში დარღვევების აღმოფხვრის მოთხოვნით და ამავე ვადით შეუჩერდა ნავმისადგომის მომსახურების უფლება. ხელშეკრულების IV თავის მე-3 მუხლის თანახმად, მისი დროებით შეჩერება მოიჯარეს საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულებისაგან არ ათავისუფლებს.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 14 დეკემბრის საოქმო განჩინებით ზემოაღნიშნული ორი სარჩელი ერთ წარმოებად გაერთიანდა.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებით შპს „პ. ჯ-ას“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, კორპორაცია ... ნავსადგურის სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს „პ. ჯ-ას“ კორპორაცია ... ნავსადგურის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურების სახით 4071379 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და საიჯარო ქირის დავალიანების – 722977 ლარის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება შპს „პ. ჯ-ამ“ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ივნისის განჩინებით შპს „პ. ჯ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ფოთის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1. შპს „პ. ჯ-ასა“ და ... ნავსადგურს შორის 2003 წლის 19 ივლისს დაიდო ხელშეკრულება, ... ნავსადგურის №3-4 ტერმინალის 10 წლის ვადით შპს „პ. ჯ-ისათვის“ იჯარით გადაცემის შესახებ;

2. შპს „პ. ჯ-ასა“ და ... ნავსადგურს შორის 2003 წლის 1 სექტემბერს დაიდო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არსასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარის ხელშეკრულება, შპს „პ. ჯ-ისათვის“ 0.6593 ჰა ფართობის მიწის ნაკვეთის გადაცემის თაობაზე, რომელიც ... ნავსადგურის სარეჟიმო ტერიტორიაზე №3-4 ნავმისადგომების ზურგში მდებარეობს;

3. შპს „პ. ჯ-ასა“ და კორპორაცია „... ნავსადგურს“ შორის 2003 წლის 19 ივლისს დადებული იჯარის ხელშეკრულების მე-2 თავის მე-4 მუხლის „ა“ პუნქტის 1-ლი ქვეპუნქტის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარე ობიექტური მიზეზების გარეშე ვერ ახორციელებს გემის მიღებისა და დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის სამუშაოების ჩატარებას, კონტრაქტი გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულების შესრულებას, ნავსადგურს შეუძლია მოიჯარისათვის არა უმცირეს ორი წერილობითი შეტყობინების შემდგომ, დროებით შეაჩეროს მოიჯარის უფლება – განიოს ნავმისადგომით მომსახურება;

4. 2005 წლის 9 თებერვლის შპს „პ. ჯ-ასა“ და ... ნავსადგურს შორის დადებული საიჯარო კონტრაქტის დამატებით, ზემოაღნიშნულ ორ წერილობით შეტყობინებას შორის შუალედი განისაზღვრა 5 სამუშაო დღით;

5. იჯარის ხელშეკრულების მეორე თავის მე-5 მუხლის პირველი მე-2, მე-3 და მე-13 ნაწილების შესაბამისად, ნავსადგურს უფლება აქვს, საიჯარო კონტრაქტი შეწყვეტოს იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარე ვერ შესძლებს აღმოფხვრას შეტყობინებაში აღნიშნული წარუმატებლობა, იჯარის ხელშეკრულების მე-4 მუხლის მიხედვით, მოიჯარის მიერ შეტყობინების მიღებიდან 45 დღის განმავლობაში ან ამ პერიოდის შემდგომ, თუ ამაზე იქნება ნავსადგურის წერილობითი თანხმობა, ასევე, მიიჯარეს უფლება აქვს, შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ მოიჯარე სათანადოდ, პუნქტუალურად და დროულად ვერ აუნაზღაურებს საიჯარო ან სხვა მოთხოვნილ გადასახდელებს მათი გადახდის ვადის გასვლის შემდეგ 45 დღის განმავლობაში. ამასთან, ნავსადგურს შეუძლია, შეწყვიტოს ხელშეკრულება, კონტრაქტის მე-5

მუხლის შესაბამისად, მოიჯარისათვის შეწყვეტის შესახებ აუცილებელი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე და კონტრაქტი შეწყვეტილად ჩაითვლება აღნიშნული შეტყობინების მიწოდებიდან 30 დღის შემდეგ;

6. 2005 წლის 9 თებერვალს, შპს „პ. ჯ-ასა“ და ... ნავსადგურს შორის, 2003 წლის 19 ივლისს დადებულ იჯარის ხელშეკრულებაში მხარეებმა განახორციელეს მთელი რიგი ცვლილებები. დამატების პირველი მუხლის მე-14 ნაწილის შესაბამისად, მოიჯარეს ყოველთვიურად უნდა გადაეხადა მეიჯარისათვის წლიური ფიქსირებული საიჯარო გადასახადი, ამავე მუხლში მითითებული ფიქსირებული ოდენობის 12-ზე გაყოფის შედეგად, ამასთან, იჯარის ხელშეკრულების მე-4 თავის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, რეაბილიტაციის პერიოდში მოიჯარე ვალდებულია, გადაიხადოს საიჯარო გადასახადი. დამატების მე-2 მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულების მე-3 თავის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევისათვის მოიჯარეს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ეკისრება საურავი გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით;

7. შპს „პ. ჯ-ასა“ და კორპორაცია „... ნავსადგურს“ შორის დადებული 2007 წლის 10 ოქტომბრის იჯარის ხელშეკრულებით, შპს „პ. ჯ-ას“ იჯარით გადაეცა ... ნავსადგურის მეორე სანარმოო რაიონის ტერიტორიაზე არსებული ადმინისტრაციული შენობის პირველ და მეორე სართულზე არსებული არასაცხოვრებელი ფართი. იჯარით გადასაცემი ქონება შპს „პ. ჯ-ას“ გადაეცა გამართულ მდგომარეობაში. იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად, მოიჯარე, ვალდებული იყო უზრუნველყოფილი იჯარით გადაცემული ქონების ექსპლუატაცია ტექნიკური და უსაფრთხოების ყველა ნორმების დაცვით და შეენარჩუნებინა ისინი მუშა მდგომარეობაში;

8. კორპორაცია „... ნავსადგურის“ დირექტორის ბრძანების საფუძველზე, შპს „პ. ჯ-ასათვის“ იჯარით გადაცემულ პორტალურ ამწეებს ჩაუტარდა ტექნიკური დათვალირება, რა დროსაც შემომწებულ ამწეებზე გამოვლენილ იქნა მთელი რიგი დეფექტები. დადგინდა, რომ შპს „პ. ჯ-ასათვის“ საიჯარო ხელშეკრულებით გადაცემული ქონება საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დაზიანდა, აღნიშნული ქონება იმყოფებოდა შპს „პ. ჯ-ას“ მფლობელობაში და მას ექსპლუატაციას უწევდა შპს „პ. ჯ-ა“;

9. 2010 წლის 17 ივნისს შპს „პ. ჯ-ას“ ადმინისტრაციას კორპორაცია „... ნავსადგურმა“ გაუგზავნა იჯარის ხელშეკრულებით გადაცემული პორტალური ამწეების ტექნიკური დათვალი-

ერების აქტები და მოსთხოვა აქტში მითითებული დეფექტების აღმოფხვრის გრაფიკის დაუყოვნებლივ გაგზავნა;

10. 2010 წლის 30 ივნისსკორპორაცია „... ნავსადგურმა“ შპს „პ. ჯ-ას“ დროებით შეუჩერა საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული №3-4 ნავმისადგომებით მომსახურების უფლება და ვალდებულების შესრულებისათვის განუსაზღვრა 45 დღის ვადა;

11. 2010 წლის 1 ივლისს, კორპორაცია „... ნავსადგურმა“ შპს „პ. ჯ-ას“ მიმართა მოთხოვნით, დაუყოვნებლივ წარმოედგინა სრულყოფილი ინფორმაცია მოსალოდნელი ტვირთებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის შესახებ;

12. 2010 წლის 2 ივლისს, შპს „პ. ჯ-ამ“ 2010 წლის 1 ივლისის წერილის პასუხად კორპორაცია „... ნავსადგურს“ მიაწოდა ინფორმაცია მოსალოდნელი ტვირთებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის შესახებ;

13. 2010 წლის 14 ივლისს შპს „პ. ჯ-ას“ გაეგზავნა კორპორაცია „... ნავსადგურს“ 2010 წლის 14 ივლისის წერილი – გაფრთხილება, რომლითაც შპს „პ. ჯ-ას“ ვალდებულების შესასრულებლად მიეცა ვადა 2010 წლის 25 ივლისამდე და გაფრთხილებულ იქნა იმის შესახებ, რომ განსაზღვრულ ვადაში ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შპს „პ. ჯ-ასა“ და კორპორაცია „... ნავსადგურს“ შორის დადებული იჯარის ხელშეკრულება ჩაითვლებოდა გაუქმებულად;

14. კორპორაცია „... ნავსადგურმა“ 2010 წლის 27 ივლისს გაუგზავნა შპს „პ. ჯ-ას“ შეტყობინება 2003 წლის 19 ივლისს დადებული იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

15. შპს „პ. ჯ-ამ“ კორპორაცია „... ნავსადგურის“ 2010 წლის 27 ივლისის წერილი იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე ჩაიბარა 2010 წლის 27 ივლისს;

16. „... ნავსადგურის“ 2010 წლის 30 ივნისის წერილის მიღებიდან 45 დღის ვადაში, შპს „პ. ჯ-ას“ არ წარუდგენია პორტალურ ამწეებზე არსებული დეფექტების აღმოფხვრის გრაფიკი;

17. „პ. ჯ-ასა“ და კორპორაცია „... ნავსადგურს“ შორის 2003 წლის 19 ივლისს დადებული იჯარის ხელშეკრულების მეორე თავის მე-5 მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, ნავსადგურს შეუძლია, შეწყვიტოს კონტრაქტი მე-5 მუხლის შესაბამისად, მოიჯარისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აუცილებელი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე და კონტრაქტის შეწყვეტა განხორციელდება აღნიშნული შეტყობინების მიწოდებიდან 30 დღის შემდეგ. ვინაიდან, შეტყობინება იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მოიჯარეს ჩაბარდა 2010 წლის

27 ივლისს, იჯარის ხელშეკრულება შეწყდა 2010 წლის 26 აგვისტოს;

18. შპს „პ. ჯ-ას“ კორპორაცია „... ნავსადგურისათვის“ არ გადაუხდია 2010 წლის ივნისის, ივლისისა და აგვისტოს თვის საიჯარო გადასახადი ალსულ – 677278 ლარი. შპს „პ. ჯ-ას“ მიერ კორპორაცია „... ნავსადგურისათვის,“ გადაუხდელ საიჯარო ქირის დავალიანებაზე – 677278 ლარზე დარიცხული საურავი დავალიანების წარმოშობის დღიდან აგვისტოს ჩათვლით შეადგენს 45699 ლარს;

19. იჯარით გადაცემული ქონების დაზიანების გამო, კორპორაცია „... ნავსადგურს“ მიადგა 4071379 აშშ დოლარის ოდენობით ზიანი;

20. დაზიანებული პორტალური №4, №15, №16, №28, №25, №26, №32, №36 ამწეების შეკეთებას კერძოდ, დაზიანებული ნაწილების შესყიდვისა და მათი შეცვლისათვის საჭიროა 4054004 აშშ დოლარი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, შპს „პ. ჯ-ამ“ ვერ დაამტკიცა ის გარემოება, რომ საიჯარო ქონება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არ დაზიანებულა ან მას უკვე დაზიანებული გადაეცა.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მხარეთა შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების დამატების მე-2 თავის მე-3 მუხლის მე-17 პუნქტის მიხედვით, რეაბილიტაციის პერიოდში მოიჯარე ვალდებულია გადაიხადოს საიჯარო ქირა. აღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „პ. ჯ-ა“ ვალდებული იყო ხელშეკრულების მოქმედების შეჩერების პერიოდისათვის საიჯარო ქირა გადაეხადა.

აღნიშნული განჩინება შპს „პ. ჯ-ამ“ საკასაციო წესით გაასაჩივრა, მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით: სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ საიჯარო ქონება დაზიანდა იჯარის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ემყარება მონინალმდეგე მხარის მიერ წარდგენილ ტექნიკური დათვალიერების აქტებს, რაც თავისთავად არასაკმარისი მტკიცებულებაა იმისათვის, რომ ზიანის მიმყენებლად ქონების ფაქტობრივი მფლობელი ჩაითვალოს. ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებისას გადამწყვეტია ბრალის საკითხი, რაც სასამართლოს არ გამოუყვევია. სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ გააიგივა ერთმანეთთან რეაბილიტაცია და ხელშეკრულების მოქმედების შეჩერება. ხელშეკრულების შეჩერების შემდეგ კასატორს ქონებით სარგებლობის საშუალება აღარ ჰქონ-

და, რის გამოც ამ პერიოდისათვის საიჯარო ქირის დაკისრება უსაფუძვლოა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეინაწესა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნია, რომ შპს „პ. ჯ-ის“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ დადგინილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. შპს „პ. ჯ-ასა“ და ... ნავსადგურს შორის 2003 წლის 19 ივლისს დაიდო ხელშეკრულება, ... ნავსადგურის №3-4 ტერმინალის 10 წლის ვადით შპს „პ. ჯ-ისათვის“ იჯარით გადაცემის შესახებ;

2. შპს „პ. ჯ-ასა“ და ... ნავსადგურს შორის 2003 წლის 1 სექტემბერს დაიდო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარის ხელშეკრულება, შპს „პ. ჯ-ისათვის“ 0.6593 ჰა ფართობის მიწის ნაკვეთის გადაცემის თაობაზე, რომელიც ... ნავსადგურის სარეჟიმო ტერიტორიაზე №3-4 ნავმისადგომების ზურგში მდებარეობს;

3. შპს „პ. ჯ-ასა“ და კორპორაცია „... ნავსადგურს“ შორის 2003 წლის 19 ივლისს დადებული იჯარის ხელშეკრულების მე-2 თავის მე-4 მუხლის „ა“ პუნქტის 1-ლი ქვეპუნქტის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარე ობიექტური მიზეზების გარეშე ვერ ახორციელებს გემის მიღებისა და დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის სამუშაოების ჩატარებას, კონტრაქტით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულების შესრულებას, ნავსადგურს შეუძლია მოიჯარისათვის არა უმცირეს ორი წერილობითი შეტყობინების შემდგომ, დროებით შეაჩეროს მოიჯარის უფლება – განიოს ნავმისადგომით მომსახურება;

4. 2005 წლის 9 თებერვლის შპს „პ. ჯ-ასა“ და ... ნავსადგურს შორის დადებული საიჯარო კონტრაქტის დამატებით, ზემოაღნიშნულ ორ წერილობით შეტყობინებას შორის შუალედი განისაზღვრა 5 სამუშაო დღით;

5. იჯარის ხელშეკრულების მეორე თავის მე-5 მუხლის პირველი მე-2, მე-3 და მე-13 ნაწილების შესაბამისად, ნავსადგურს უფლება აქვს, საიჯარო კონტრაქტი შეწყვეტოს იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარე ვერ შესძლებს, აღმოფხვრას შეტყობინებაში აღნიშნული წარუმატებლობა, იჯარის ხელშეკრულების მე-4

მუხლის მიხედვით, მოიჯარის მიერ შეტყობინების მიღებიდან 45 დღის განმავლობაში ან ამ პერიოდის შემდგომ, თუ ამაზე იქნება ნავსადგურის წერილობითი თანხმობა, ასევე, მეიჯარეს უფლება აქვს, შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ მოიჯარე სათანადოდ, პუნქტუალურად და დროულად ვერ აუნაზღაურებს საიჯარო ან სხვა მოთხოვნილ გადასახდელებს მათი გადახდის ვადის გასვლის შემდეგ 45 დღის განმავლობაში. ამასთან, ნავსადგურს შეუძლია, შეწყვიტოს ხელშეკრულება, კონტრაქტის მე-5 მუხლის შესაბამისად, მოიჯარისათვის შეწყვეტის შესახებ აუცილებელი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე და კონტრაქტის შეწყვეტილად ჩაითვლება აღნიშნული შეტყობინების მიწოდებიდან 30 დღის შემდეგ;

6. 2005 წლის 9 თებერვალს, შპს „პ. ჯ-ასა“ და ... ნავსადგურს შორის, 2003 წლის 19 ივლისს დადებულ იჯარის ხელშეკრულებაში მხარეებმა განახორციელეს მთელი რიგი ცვლილებები. დამატების პირველი მუხლის მე-14 ნაწილის შესაბამისად, მოიჯარეს ყოველთვიურად უნდა გადაეხადა მეიჯარისათვის წლიური ფიქსირებული საიჯარო გადასახადი, ამავე მუხლში მითითებული ფიქსირებული ოდენობის 12-ზე გაყოფის შედეგად, ამასთან, იჯარის ხელშეკრულების მე-4 თავის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, რეაბილიტაციის პერიოდში მოიჯარე ვალდებულია გადაიხადოს საიჯარო გადასახადი. დამატების მე-2 მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულების მე-3 თავის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევისათვის მოიჯარეს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ეკისრება საურავი გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით;

7. შპს „პ. ჯ-ასა“ და კორპორაცია „... ნავსადგურს“ შორის დადებული 2007 წლის 10 ოქტომბრის იჯარის ხელშეკრულებით, შპს „პ. ჯ-ას“ იჯარით გადაეცა ... ნავსადგურის მეორე სანარმოო რაიონის ტერიტორიაზე არსებული ადმინისტრაციული შენობის პირველ და მეორე სართულზე არსებული არასაცხოვრებელი ფართი. იჯარით გადასაცემი ქონება შპს „პ. ჯ-ას“ გადაეცა გამართულ მდგომარეობაში. იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად, მოიჯარე, ვალდებული იყო უზრუნველყოფო იჯარით გადაცემული ქონების ექსპლუატაცია ტექნიკური და უსაფრთხოების ყველა ნორმების დაცვით და შეენარჩუნებინა ისინი მუშა მდგომარეობაში;

8. კორპორაცია „... ნავსადგურის“ დირექტორის ბრძანების საფუძველზე, შპს „პ. ჯ-ასათვის“ იჯარით გადაცემულ პორტულურ ამწეებს ჩაუტარდა ტექნიკური დათვალირება, რა დროსაც შემომწებულ ამწეებზე გამოვლენილ იქნა მთელი რიგი დე-

ფექტები. დადგინდა, რომ შპს „პ. ჯ-ასათვის“ საიჯარო ხელშეკრულებით გადაცემული ქონება საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დაზიანდა. აღნიშნული ქონება იმყოფებოდა შპს „პ. ჯ-ას“ მფლობელობაში და მას ექსპლუატაციას უწევდა შპს „პ. ჯ-ა“;

9. 2010 წლის 17 ივნისს შპს „პ. ჯ-ას“ ადმინისტრაციას კორპორაცია „... ნავსადგურმა“ გაუგზავნა იჯარის ხელშეკრულებით გადაცემული პორტალური ამწეების ტექნიკური დათვალიერების აქტები და მოსთხოვა აქტში მითითებული დეფექტების აღმოფხვრის გრაფიკის დაუყოვნებლივ გაგზავნა;

10. 2010 წლის 30 ივნისს კორპორაცია „... ნავსადგურმა“ შპს „პ. ჯ-ას“ დროებით შეუჩერა საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული №3-4 ნავმისადგომებით მომსახურების უფლება და ვალდებულების შესრულებისათვის განუსაზღვრა 45 დღის ვადა;

11. 2010 წლის 1 ივლისს, კორპორაცია „... ნავსადგურმა“ შპს „პ. ჯ-ას“ მიმართა მოთხოვნით, დაუყოვნებლივ წარმოედგინა სრულყოფილი ინფორმაცია მოსალოდნელი ტვირთებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის შესახებ;

12. 2010 წლის 2 ივლისს, შპს „პ. ჯ-ამ“ 2010 წლის 1 ივლისის წერილის პასუხად კორპორაცია „... ნავსადგურს“ მიაწოდა ინფორმაცია მოსალოდნელი ტვირთებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის შესახებ;

13. 2010 წლის 14 ივლისს შპს „პ. ჯ-ას“ გაეგზავნა კორპორაცია „... ნავსადგურის“ 2010 წლის 14 ივლისის წერილი, გაფრთხილება, რომლითაც შპს „პ. ჯ-ას“ ვალდებულების შესასრულებლად მიეცა ვადა 2010 წლის 25 ივლისამდე და გაფრთხილებულ იქნა იმის შესახებ, რომ განსაზღვრულ ვადაში ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შპს „პ. ჯ-ასა“ და კორპორაცია „... ნავსადგურს“ შორის დადებული იჯარის ხელშეკრულება ჩაითვლებოდა გაუქმებულად;

14. კორპორაცია „... ნავსადგურმა“ 2010 წლის 27 ივლისს გაუგზავნა შპს „პ. ჯ-ას“ შეტყობინება 2003 წლის 19 ივლისს დადებული იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

15. შპს „პ. ჯ-ამ“ კორპორაცია „... ნავსადგურის“ 2010 წლის 27 ივლისის წერილი იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე ჩაიბარა 2010 წლის 27 ივლისს;

16. „... ნავსადგურის“ 2010 წლის 30 ივნისის წერილის მიღებიდან 45 დღის ვადაში, შპს „პ. ჯ-ას“ არ წარუდგენია პორტალურ ამწეებზე არსებული დეფექტების აღმოფხვრის გრაფიკი;

17. „პ. ჯ-ასა“ და კორპორაცია „... ნავსადგურს“ შორის 2003

წლის 19 ივლისს დადებული იჯარის ხელშეკრულების მეორე თავის მე-5 მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, ნავსადგურს შეუძლია, შეწყვიტოს კონტრაქტი მე-5 მუხლის შესაბამისად, მოიჯარისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აუცილებელი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე და კონტრაქტის შეწყვეტა განხორციელდება აღნიშნული შეტყობინების მიწოდებიდან 30 დღის შემდეგ. ვინაიდან, შეტყობინება იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მოიჯარეს ჩაბარდა 2010 წლის 27 ივლისს, იჯარის ხელშეკრულება შეწყდა 2010 წლის 26 აგვისტოს;

18. შპს „პ. ჯ-ას“ კორპორაცია „... ნავსადგურისათვის“ არ გადაუხდია 2010 წლის ივნისის, ივლისისა და აგვისტოს საიჯარო გადასახადი სულ – 677278 ლარი. შპს „პ. ჯ-ას“ მიერ კორპორაცია „... ნავსადგურისათვის“ გადაუხდელ საიჯარო ქირის დავალიანებაზე – 677278 ლარზე დარიცხული საურავი დავალიანების წარმოშობის დღიდან აგვისტოს თვის ჩათვლით შეადგენს 45699 ლარს;

19. იჯარით გადაცემული ქონების დაზიანების გამო, კორპორაცია „... ნავსადგურს“ მიადგა 4071379 აშშ დოლარის ოდენობით ზიანი;

20. დაზიანებული პორტალური №4, №15, №16, №28, №25, №26, №32, №36 ამწეების შეკეთებას, კერძოდ, დაზიანებული ნაწილების შესყიდვის და მათი შეცვლისათვის საჭიროა 4054004 აშშ დოლარი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). „დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია“ გულისხმობს მითითებას პროცესუალურ დარღვევებზე, რის შედეგადაც საქმის ფაქტობრივი გარემოებები არასწორად დადგინდა. კასატორს ამგვარი პრეტენზია არ წარმოუდგენია, ამდენად, მითითებული ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევია შპს „პ. ჯ-ის“ ბრალეულობა იჯარით გადაცემული ქონების დაზიანებაში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების საფუძველი არის არა დელიქტი, არამედ სა-

იჯარო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

მხარეებს შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად, მოიჯარე, ვალდებული იყო უზრუნველყო იჯარით გადაცემული ქონების ექსპლუატაცია ტექნიკური და უსაფრთხოების ყველა ნორმების დაცვით და შეენარჩუნებინა ისინი მუშა მდგომარეობაში.

მითითებული ხელშეკრულების მე-4 თავის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, მოიჯარის ან ქვემოიჯარის მიზეზით გამოწვეული იჯარით გადაცემული ქონების ნებისმიერი დაზიანება, განადგურება (რამაც გამოიწვია ან შეიძლება მომავალში გამოიწვიოს იჯარით გადაცემული ქონების მთლიანად ან ნაწილობრივ გამოუყენებლობა), ექვემდებარება მოიჯარის მიერ უპირობო ანაზღაურებას.

აღნიშნული პირობების გათვალისწინებით, მოიჯარეს ევალებოდა გადაცემული ქონების ტექნიკურ გამართულობაზე ზრუნვა. ქონების ფლობის პერიოდში, მოპასუხეს უნდა აღმოეფხვრა ამნეების და სხვა დანადგარების ფუნქციონირებისას წარმოშობილი ნებისმიერი გაუმართაობა. ქონების ნებისმიერი დაზიანება კი, რომელიც არასათანადო მოპყრობითაა გამოწვეული, მოიჯარის მიზეზით გამოწვეულად უნდა ჩაითვალოს. განსახილველ შემთხვევაში, მოიჯარეს დათვალა იერების შედეგად აღმოჩენილი დაზიანებების გამოსწორება არ უცდია, უფრო მეტიც, ხელშეკრულების შეჩერებამდე იგი დაზიანებული ქონების გამოყენებას აგრძელებდა, რაც „ტექნიკური და უსაფრთხოების ნორმების დაცვად“ ნამდვილად ვერ ჩაითვლება.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ მოპასუხეს არ წარუდგენია ქონების მის მფლობელობაში გადაცემამდე დაზიანების დამადასტურებელი მტკიცებულება. მხარეს არც პასუხისმგებლობის გამომრიცხავ სხვა გარემოებებზე, მაგალითად, დაუძლეველი ძალის მოქმედებაზე, მიუთითებია.

მოცემულ შემთხვევაში, წერილობითი გაფრთხილების შემდეგ, შპს „პ. ჯ-ას“ მოსარჩელისათვის ნაკისრი ვალდებულების დარღვევის აღმოფხვრის გეგმა არ წარუდგენია, რაც, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, „... ნავსადგურს“ ხელშეკრულების მოშლისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას აძლევდა.

საკასაციო სასამართლო კასატორის ვერც იმ მოსაზრებას გაიზიარებს, რომ ხელშეკრულების შეჩერების პერიოდისათვის საიჯარო ქირის გადახდა არ უნდა დაჰკისრებოდა.

იჯარის ხელშეკრულების მე-4 თავის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, რეაბილიტაციის პერიოდში მოიჯარე ვალდებულია, გადაიხადოს ფიქსირებული საიჯარო გადასახადი. რეაბილიტაცია კი, ხელშეკრულების შეჩერების ანალოგიური პროცედურაა, რომელიც ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას უკავშირდება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „პ. ჯ-ის“ საკასაციო საჩივარში არ არის მითითებული ისეთ სამართლებრივ უსწორობაზე, რომელსაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება შეიძლებოდა გამოეწვია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არ აქვს ადგილი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „პ. ჯ-ას“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
 2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ივნისის განჩინება;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**საიჯარო ქონების დაუზრუნავლობით წარმოშობილი
ზიანის ანაზღაურება**

განჩინება

№ას-744-700-2012

26 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ჯ. მ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ნ-ის“ მიმართ და მოითხოვა მოპასუხის მიერ მოსარჩელის კუთვნილი ფართის 2008 წლის 1 აპრილიდან 2011 წლის 15 იანვრამდე უკანონოდ სარგებლობით მიყენებული ზიანის – 80650,68 აშშ დოლარის, 2006 წლის 10 ივლისიდან 2011 წლის 15 იანვრამდე მიწის ნაკვეთის უკანონოდ სარგებლობისათვის 40095 აშშ დოლარისა და შპს „ნ-ის“ მიერ ჯ. მ-ის კუთვნილი ფართის უკანონოდ ქვექირავნობით მიღებული შემოსავლის – 20 000 ლარის ანაზღაურება შემდეგი საფუძვლებით:

2006 წლის 10 ივლისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსაგან მოსარჩელემ შეიძინა 39731 კვ.მ მიწის ნაკვეთის და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობა ქ.ბათუმში, ა-ის ქ. №13-ში.

აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე განლაგებულია მშენებარე სატრანსფორმატორო ქვესადგურისა და მშენებარე საწარმოს აღმინისტრაციული კორპუსის დაუმთავრებელი შენობა, რომლის პირველი სართული 2003 წლის 25 მარტის ხელშეკრულებით 2008 წლის 1 აპრილამდე ნაქირავები ჰქონდა შპს „ნ-ს“ ყოველთვიურად 500 ლარის გადახდის სანაცვლოდ.

მოპასუხე რეგულარულად არღვევდა ხელშეკრულების პირობებს, არასრულად და დაგვიანებით იხდიდა ქირას. ნაქირავები ფართი შეადგენდა შენობის 488,792 კვ.მ-ს, თუმცა შპს „ნ-ი“ თვითნებურად სარგებლობდა დამატებით 148 კვ.მ მიწის ნაკვეთით.

მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულება შპს „ნ-ს“ მესაკუთრესთან შეუთანხმებლად ქვექირავნობის უფლების გამო-

ყენების შესაძლებლობას არ ითვალისწინებდა. აღნიშნულის მიუხედავად, მოპასუხეს უკანონოდ ჰქონდა გაქირავებული ფართი ინდივიდუალურ მენარმე ჯ. ფ-ისათვის თვეში 500 ლარად, რომელსაც ჰქონდა მარმარილოს საამქრო, რაც 2012 წლიდან ჩამოყალიბდა შპს „გ. 2012-ად“. მოპასუხემ მოსარჩელის კუთვნილი ფართი უკანონო ქვექირავებით დატვირთა ასევე ინდივიდუალურ მენარმე ზ. გ-ის სასარგებლოდ, რომელსაც ჰქონდა პლასტმასის ნანარმის მალაზია.

2008 წლის 1 აპრილის შემდეგ ჯ.მ-მ მიმართა შპს „ნ-ს“ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ და მოსთხოვა ნივთის გამოთავისუფლება, ხოლო 2008 წლის 21 აპრილს მხარემ მიმართა აღნიშნულისათვის პოლიციას. საბოლოოდ მოპასუხის გამოსახლება მოხერხდა მხოლოდ 2011 წლის 15 იანვარს სამართალდამცავი ორგანოების ჩარევით.

მოპასუხემ სარჩელი მხოლოდ იჯარის ქირის დავალიანების – 16500 ლარის ნაწილში ცნო დღგ-ს გადასახადის გამოკლებით, დანარჩენ ნაწილში კი მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი დასაბუთებით:

საიჯარო ხელშეკრულების გასვლის შემდეგ მოსარჩელეს ხელშეკრულების შეწყვეტა არ მოუთხოვია, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ გარიგების მოქმედება გაგრძელდა.

შპს „ნ-მა“ ჯ. მ-ის მიერ სადავო უძრავი ნივთის შეძენამდე გააუმჯობესა შენობა, რის გამოც მას უნდა ანაზღაურებოდა გაუმჯობესებისათვის განეული თანხა.

იჯარის საგნის დაბრუნება დაყოვნდა კანონიერი საფუძვლით, იჯარის საგნის სარგებლობის გაგრძელების გამო, შესაბამისად, მოთხოვნა მიყენებული ზიანის საბაზრო ფასებით ანაზღაურების თაობაზე უკანონოა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით ჯ. მ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „ნ-ს“ ჯ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 22740 ლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში კი სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში – მოსარჩელემ, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში, ნაცვლად გადაწყვეტილებით დაკისრებული 22740 ლარისა, ჯ. მ-ის სასარგებლოდ შპს „ნ-ისათვის“ 15905 ლარის გადახდის დაკისრების მოთხოვნით, მოპასუხემ გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებით შპს „ნ-ის“ სა-

აპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ჯ. მ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გასაჩივრებული გადან-ყვეტილება გაუქმდა და შპს „ნ-ს“ ჯ. მ-ის სასარგებლოდ დაე-კისრა 100 900,68 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასა-მართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებე-ბი:

2003 წლის 25 მარტს საქართველოს სუბტროპიკული ნედ-ლეულის შენახვა-გადამუშავების სამეცნიერო კვლევით ინსტი-ტუტს (საქსკი), როგორც გამქირავებელსა და შპს „ნ-ს“, როგორც დამქირავებელს შორის დაიდო ქირავნობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით გამქირავებელმა გადასცა, ხოლო დამქირა-ველმა მიიღო სარგებლობაში ინსტიტუტის მშენებარე სატ-რანსფორმატორო ქვესადგურისა და მშენებარე სანარმოს ად-მინისტრაციული კორპუსის პირველი სართული სამეწარმეო და სავაჭრო საქმიანობისათვის. ხელშეკრულება გაფორმდა 2003 წლის 1 აპრილიდან 2008 წლის 1 აპრილამდე.

დამქირავებელი გამქირავებელს უხდის ქირას – ყოველთვი-ურად 500 ლარს დღგ-ს ჩათვლით. ამ ხელშეკრულების მე-4 მუხ-ლის 4.2 ქვეპუნქტის თანახმად, ხელშეკრულების ვადის გას-ვლის შემდეგ, დამქირავებელს ეძლევა უპირატესობა სხვა პი-რებთან შედარებით ახალი ხელშეკრულების გაფორმებაზე. თუ მხარეები არ მოითხოვენ მის მოშლას, იგი ითვლება გაგრძელე-ბულად.

2006 წლის ივლისში ჯ. მ-მ გაიმარჯვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ გა-მოცხადებულ საპრივატიზაციო აუქციონში და მოიპოვა ქ.ბა-თუმში, ა-ის ქ. №13-ში მდებარე 39700 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მოდულის ტიპის 1409 კვ.მ შენობა-ნაგებობების საკუთრების უფლება. ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდა 2006 წლის 10 ივლისს. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, ქ.ბათუმში, ა-ის ქ. №13-ში მდებარე 39731 კვ.მ მიწის ნაკვეთი (დაზუსტე-ბული ფართი) და მასზე არსებული 1409 კვ.მ შენობა-ნაგებობა 2006 წლიდან საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია ჯ. მ-ის სახელზე (მიწის საკადასტრო კოდი №...).

2006 წლის 13 დეკემბერს ჯ. მ-მ შეგებებული სარჩელი აღ-ძრა სასამართლოში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინან-სთა და ეკონომიკის სამინისტროსა და შპს „ნ-ის“ მიმართ და მოითხოვა ქ.ბათუმში, ა-ის ქ. №13-ში მდებარე შენობა-ნაგებო-ბიდან შპს „ნ-ის“ გამოსახლება და შენობის თავისუფალ მდგო-

მარეობაში ჩაბარება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ჯ. მ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილება, ჯ. მ-ის შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და შპს „ნ-ს“ ჯ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 15 თვის (2006 წლის 10 ივლისიდან 2007 წლის 10 ოქტომბრამდე) საიჯარო ქირა – 6500 ლარი. გამოსახლებისა და ფართის გამოთავისუფლების ნაწილში შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

2011 წლის 15 იანვარს შპს „ნ-მა“ იძულების წესით გამოათავისუფლა ჯ. მ-ის საკუთრებაში არსებული დაქირავებული ფართი, რაზეც ქ. ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის პირველი განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებელმა ვ. თ-მ 2011 წლის 15 იანვარს შეადგინა ჯ. მ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ოქმი.

შპს „დ.-ა-ის“ დირექტორ-აუდიტორ ჯ. ძ-ის 2011 წლის 8 თებერვლის დასკვნის მიხედვით, ქ. ბათუმში, ა-ის ქ. №13-ში მდებარე საიჯარო ფართის 1 კვ.მ-ს ღირებულება თვეში შეადგენს 5.3 აშშ დოლარს.

პალატამ დამატებით განმარტა, რომ მხარეთა განმარტებებით, მონმე ჯ. ფ-ის ჩვენებით, საქმეზე წარმოდგენილი იჯარის ხელშეკრულებით, გეგმა-ნახაზითა და ფოტოსურათებით ირკვევა, რომ 2005 წლიდან ქ. ბათუმში, ა-ის ქ. №13-ში მდებარე უძრავ ქონებაში შპს „ნ-თან“ ზეპირი ფორმით დადებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ჯ. ფ-ე ფლობდა შენობა-ნაგებობაში განთავსებულ ერთ ოთახს მიმდებარე ეზოთი, სადაც ახორციელებდა სამეწარმეო საქმიანობას, ამუშავებდა გრანიტის საამქროს და იჯარის ქირას უხდიდა შპს „ნ-ს“.

2009 წლის 1 აგვისტოს, შპს „ნ-თან“, როგორც ინდივიდუალურმა მენარმემ გააფორმა წერილობითი ხელშეკრულება ერთი წლის ვადით ქონების სარგებლობაზე. ხელშეკრულებით იჯარის ქირა განისაზღვრა 500 ლარით სრული თვისათვის დღგ-ს ჩათვლით.

2009-2010 წლის იჯარის ქირას – 500 ლარს ჯ. ფ-ე უხდიდა კვლავ შპს „ნ-ს“.

უძრავი ქონების შეძენის შემდგომ ჯ. მ-მ მოსთხოვა ჯ. ფ-ს იჯარის ხელშეკრულების მასთან გაფორმება, რომელმაც უარი განუცხადა იმ მიზეზით, რომ შპს „ნ-ის“ დირექტორი წყლისა და

დენის მიწოდების შეწყვეტით დაემუქრა, რაც ხელს შეუშლიდა ამ ფართში სამენარმეო საქმიანობის განხორციელებას.

სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა პ. ა-მ განმარტა, რომ ჯ. მ-ის მიერ უძრავი ქონების შეძენის შემდომ, იჯარასთან დაკავშირებული საკითხების გარკვევის მიზნით, ჯ. მ-ის დავალებით იმყოფებოდა ჯ. ფ-სთან. ჯ. მ-ს არ სურდა, რომ შპს „ნ-ის“ მიერ ფართი იჯარით ყოფილიყო გაცემული. იმ დროისათვის ჯ. ფ-ე სამენარმეო საქმიანობისათვის ელექტროენერგიას იღებდა შპს „ნ-საგან“.

2011 წელს ჯ. მ-მ იჯარის ხელშეკრულება გააფორმა შპს „გ-თან“ ქ. ბათუმში, ა-ის ქ. №13-ში მდებარე მის კუთვნილ შენობა-ნაგებობაში განთავსებულ 71,767 კვ.მ ოთახზე და 74 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (სულ 150 კვ.მ). იჯარის ქირა განისაზღვრა ყოველთვიურად 750 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარით, რომლის მიხედვითაც 1 კვ.მ-ის ღირებულება შეადგენს 5 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს ($750 : 150 = 5$).

დღეისათვის შპს „გ-ი“, იჯარის ქირას უხდის ჯ. მ-ს, მასთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად. მხარეთა განმარტებებითა და მოწმე ჯ. ფ-ის ჩვენებით ირკვევა, რომ 2011 წლის იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „გ-ის“ სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონება წარმოადგენს ზუსტად იმ ქონებას, რასაც 2005 წლიდან ფლობდა ინდივიდუალური მენარმე ჯ. ფ-ე და 2009 წლის 1 აგვისტოს შპს „ნ-თან“, როგორც ინდივიდუალურმა მენარმემ გააფორმა წერილობითი ხელშეკრულება.

2011 წლის 23 მარტს ჯ. მ-მ იჯარის ხელშეკრულება გააფორმა კ. მ-სთან ქ. ბათუმში, ა-ის ქ. №13-ში მდებარე მის კუთვნილ შენობა-ნაგებობაში განთავსებული 30 კვ.მ-ის სარგებლობაზე. ხელშეკრულებით იჯარის ქირა განისაზღვრა ყოველთვიურად 220 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარით, რომლის მიხედვითაც 1 კვ.მ ფართის ქირის ფასი შეადგენდას 7.33 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს ($220 : 30 = 7,33$). მხარეთა განმარტებებით ირკვევა, რომ კ. მ-ისათვის იჯარით გადაცემული ფართი წარმოადგენდა იმავე ფართს, რაც 2010 წლის 28 სექტემბერის იჯარის ხელშეკრულებით სარგებლობაში ჰქონდა ზ. გ-ს.

ქ.ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის პირველი განყოფილების უზნის ინსპექტორ-გამომძიებელ ვ. თ-ის მიერ 2011 წლის 15 იანვარს შედგენილი საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ოქმითა და საქმის მასალებით ირკვევა, რომ ქ. ბათუმში, ა-ის ქ. №13-ში მდებარე, ჯ. მ-ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთისა და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობების მფლობე-

ლობასა და სარგებლობაში მესაკუთრისათვის ხელშეშლას ახორციელებდა შპს „ნ-ი“, მიუხედავად მესაკუთრის მოთხოვნისა, უნებართვოდ სარგებლობდა და განკარგავდა ამ ქონებას და ნე-ბაყოფილობით არ ათავისუფლებდა.

სამოქალაქო კოდექსის 317-ე, 581-ე 567-ე, მუხლების შესაბამისად, სასამართლომ განმარტა, რომ 2003 წლის 25 მარტის იჯარის ხელშეკრულებით, იჯარის საგანს წარმოადგენდა ქ. ბათუმში, ა-ის ქ. №13-ში მდებარე 488,792 კვ.მ შენობა-ნაგებობა. ამ ხელშეკრულების ვადის დასრულების დროიდან – 2008 წლის 25 მარტიდან, შპს „ნ-ი“ ვალდებული იყო, მესაკუთრისათვის, ჯ. მ-ისათვის დაებრუნებია იჯარის საგანი, რაც ნებაყოფილობით არ შეასრულა და მხოლოდ 2011 წლის 15 იანვარს, პოლიციის მეშვეობით, იძულების წესით მოხდა მესაკუთრისათვის ხელშეშლის აღკვეთა.

ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობს შპს „ნ-ის“ მიერ სამოქალაქო კოდექსის 567-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა, რაც იჯარის საგნის (488,792 კვ.მ შენობა-ნაგებობის) დაყოვნების მთელი პერიოდისათვის, 33 თვის განმავლობაში, ზიანის ანაზღაურების საფუძველია.

სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეზე წარმოდგენილი შპს „დ.-ა-ის“ დირექტორ-აუდიტორ ჯ.ძ-ის 2011 წლის 8 თებერვლის დასკვნით, ქ.ბათუმში, ა-ის ქ. №13-ში მდებარე საიჯარო ფართის 1 კვ.მ-ს ღირებულება თვეში შეადგენს 5.3 აშშ დოლარს. 2011 წლის 23 მარტს ჯ. მ-სა და კ. მ-ს შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით, ასევე 2011 წელს ჯ. მ-სა და შპს „გ-თან“ გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით ირკვევა, რომ ქ. ბათუმში, ა-ის ქ. №13-ში მდებარე, ჯ. მ-ის კუთვნილი შენობა-ნაგებობისა და მიწის ნაკვეთის 1. კვ.მ-ის ღირებულება შეადგენს არანაკლებ 5 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს. მითითებული მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე პალატამ განმარტა, რომ თუკი შპს „ნ-ი“, იჯარის ხელშეკრულების ვადის დასრულების შემდეგ, გამოათავისუფლებდა ჯ. მ-ის კუთვნილ შენობა-ნაგებობას, ჯ. მ-ე ამ ქონებას კვლავ გააქირავებდა და ყოველთვიურად 1 კვ.მ ნაგებობის ფართზე მიიღებდა შემოსავალს 5 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს, ხოლო მთლიანი 488,792 კვ.მ შენობიდან – 2443,96 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს (5X.488,792=2443,96).

იმის გათვალისწინებით, რომ საიჯარო ურთიერთობის დასრულების შემდეგ, 33 თვის განმავლობაში შპს „ნ-მა“ არ დააბ-

რუნა ნაქირავეები ნივთი, პალატამ მიიჩნია, რომ დაყოვნების განმავლობაში წარმოშობილი ზიანის, როგორც მიუღებელი ქირის, 80650,68 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის (2443,96 ხ 33 = 80650,68) ანაზღაურების თობაზე სასარჩელო მოთხოვნა საფუძვლიანია.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით და ჩათვალა, რომ საქმის მასალებით, მათ შორის, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, ასევე ქ.ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის პირველი განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებელ ვ. თ-ის მიერ 2010 წლის 21 დეკემბერს შედგენილი საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის შესახებ გაფრთხილებითა და სასამართლო სხდომაზე დაკითხული მონმეთა ჩვენებებით ირკვევა, რომ შპს „ნ-ი“ ხელს უშლიდა ვ. თ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მათ შორის 75 კვ.მ იმ მიწის ნაკვეთის განკარგვაში, რომელსაც შპს „ნ-ის“ თანხმობით, ფაქტობრივად ფლობდა ინდივიდუალური მენარმე ვ. მ-ე.

სასამართლოს მითითებით, ხელშეშლა გამოიხატებოდა იმაში, რომ შპს „ნ-ი“ ხელს უშლიდა ამ ფართში ვ. მ-ის დაშვებას, ასევე ელექტროენერგიის შეწყვეტის მუქარით ფართის მოსარგებლესა და მესაკუთრეს შორის ხელშეკრულების დადებას. ქ. ბათუმში, ა-ის ქ. № 13-ში მდებარე 75 კვ.მ მიწის ნაკვეთი არ წარმოადგენდა 2003 წლის 25 მარტის იჯარის ხელშეკრულების საგანს, ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ შპს „ნ-ის“ მიერ ამ მიწის ნაკვეთის სარგებლობასა და განკარგვაში მესაკუთრისათვის ხელშეშლის სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა არ დაფიქსირდა.

საქმის მასალებით დგინდება, რომ ვ. მ-მ საკუთრების უფლების რეგისტრაციის შემდეგ, 2006 წლის 10 ივლისიდან მოსთხოვა შპს „ნ-ს“ ხელშეშლის აღკვეთა, რაც მოპასუხემ 2011 წლის 15 იანვრამდე, ანუ 54 თვის განმავლობაში ნებაყოფილობით არ განახორციელა.

შპს „ნ-ისაგან“ ქონების გამოთხოვის შემდეგ მესაკუთრე ვ. მ-მ განკარგა ეს მიწის ნაკვეთი და შპს „გ-თან“ გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით, შენობა-ნაგებობის ნაწილთან ერთად, ამ მიწის ნაკვეთის 1 კვ.მ-ის ღირებულება განისაზღვრა 5 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარით, პალატამ ჩათვალა, რომ შპს „ნ-ის“ მხრიდან ხელშეშლა არ განხორციელებულა, ვ. მ-ე ამ ქონების გაქირავეებით მიიღებდა სარგებელს, ყოველთვიურად 375

აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს. (75 ხ 5 = 375), ხოლო ხელშეშლის მთელი დროის – 54 თვის განმავლობაში 20250 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს. ამდენად, სასარჩელო მოთხოვნა 75 კვ.მ მიწის ნაკვეთის სარგებლობასა და განკარგვაში ხელშეშლის გამო ზიანის ანაზღაურების თაობაზე საფუძვლიანია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილის, 102-ე მუხლის თანახმად, პალატამ დამატებით აღნიშნა, რომ მოცემული ნორმა შეიცავს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის (მოვალეობების) განაწილების ზოგად წესს. მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნას, ხოლო მოპასუხემ – გარემოებები, რომელზეც იგი ამყარებს თავის შესაგებელს. მტკიცების ვალდებულება (ტვირთი) მხარეთა შორის ნაწილდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით დადგენილი ზოგადი წესისა და მატერიალური კოდექსის ნორმებში არსებული კერძო (სპეციალური) წესების საფუძველზე.

მართალია, საჯარო რეესტრში 2006 წლიდან ჯ. მ-ის სახელზე რეგისტრირებულია ქ. ბათუმში, ა-ის ქ. №13-ში მდებარე 39731.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი (დაზუსტებული ფართი) და მასზე არსებული 1409 კვ.მ შენობა-ნაგებობა, მაგრამ პალატამ დაუსაბუთებლად მიიჩნია აპელანტის მითითება შპს „ნ-ის“ მიერ 39731.00 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 148 კვ.მ მიწის ნაკვეთით სარგებლობასთან დაკავშირებით, ვინაიდან საქმის მასალები, 75 კვ.მ-ს გარდა, არ შეიცავენ ინფორმაციას, თუ სად მდებარეობს 148 კვ.მ-დან დარჩენილი ნაწილი (73 კვ.მ), რაში გამოიხატა ამ ფართით სარგებლობა და შესაძლებელი იქნებოდა თუ არა ანაზღაურების სანაცვლოდ მისით სარგებლობა. ამდენად, სასარჩელო მოთხოვნა 148 კვ.მ მთლიანი მიწის ნაკვეთის სარგებლობასთან დაკავშირებით სასამართლომ არ გაიზიარა.

სამოქალაქო კოდექსის 587-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასარჩელო განცხადებითა და მხარის განმარტებით ირკვევა, რომ ჯ.მ. ასევე ითხოვდა 2003 წლის 23 მარტის იჯარის ხელშეკრულებით გადაცემული შენობა-ნაგებობის ცალკეული ნაწილის გაქირავებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. ვინაიდან, საქმის მასალებით არ დასტურდება ამ ქონების ნაწილის ქვეიჯარით გაცემის გამო მესაკუთრისათვის ზიანის მიყენების ფაქტი, პალატამ დაუსაბუთებლად მიიჩნა ჯ. მ-ის მოთხოვნა, იჯარის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, 2006 წლის 10 ივლისიდან 2008 წლის 1 აპრილამდე ქვეიჯარის წესით აღებული ქირის ანაზღაურების თაობაზე, რაც მოსარჩელეს მითითებით 20000 ლარს შეადგენს.

შპს „ნ-ის“ სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით პალატამ განმარტა, რომ 2006 წლის 10 ივლისიდან 2011 წლის 15 იანვრამდე შპს „ნ-ი“ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ფლობდა ჯ. მ-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთს, ასევე 2008 წლის 25 მარტიდან 2011 წლის 15 იანვრამდე შენობა-ნაგებობებს, ამდენად, ამ პერიოდის ზიანის თანხის გაანგარიშებისას შპს „ნ-ის“ საგადასახადო ვალდებულებების გათვალისწინება და ზიანის თანხის შემცირებული ოდენობით დაკისრება არ გამომდინარეობს კანონის მოთხოვნებიდან, რაც უსაფუძვლოს ხდის შპს „ნ-ის“ სააპელაციო საჩივარს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება შპს „ნ-მა“ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა ჯ. მ-ის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების ნაწილში მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებანი ეწინააღმდეგება მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების 4.2 პუნქტსა და სამოქალაქო კოდექსის 567-ე მუხლის მოთხოვნას. ამავე კოდექსის 342-ე მუხლისა და მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების 4.2 პუნქტის შესაბამისად, მხარეთა შორის ხელშეკრულება გაგრძელდება ვადის გასვლის შემდეგ, თუ მხარეები არ მოითხოვენ მის გაგრძელებას, რასაც უპირატესი ძალა აქვს ჯ. მ-ის მოთხოვნის მიმართ.

ჯ. მ-ს არც 2008 წლის 1 აპრილამდე და არც აპრილში არ მოუთხოვია ხელშეკრულების მოშლა, ამდენად, იგი ითვლება გაგრძელებულად განუსაზღვრელი ვადით.

სასამართლომ არ გამოიკვლია 2003 წლის 25 მარტის ხელშეკრულების შინაარსი და არ გამოარკვია, სარგებლობდა თუ არა არამართლობიერად შპს „ნ-ი“ ჯ. მ-ის ქონებით მაშინ, როცა ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელებული იყო და საბანკო ამონაწერით დასტურდება, რომ 2011 წლამდე ჯ. მ-ე იღებდა საიჯარო ქირას – 500 ლარს შპს „ნ-ისაგან“.

სასამართლომ არ გამოიკვლია, რა ოდენობის ფართით სარგებლობდა შპს „ნ-ი“ და დაეყრდნო მხოლოდ ჯ. მ-ის განმარტებას. საქმეში არსებული წერილობითი მტკიცებულებით – კანონიერ ძალაში შეუღლი გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ მხარე სარგებლობდა 400 კვ.მ-ით.

გაქირავებული ნივთის დაბრუნების დაყოვნებით კასატორმა გაუქვითა ჯ. მ-ს სადავო ქონების გაუმჯობესებისათვის გაღებული და მისგან მიღებული თანხა.

სასამართლომ არასწორად გაიზიარა 2011 წლის 8 თებერვლის აუდიტორული დასკვნა და თავად ჯ. მ-ის მიერ წარდგენილი, ფორმალურად მაღალ ფასად გაფორმებული 2011 წლის 23 მარტის იჯარის ხელშეკრულება.

დასკვნის შინაარსით დგინდება, რომ შენობა არის დაუმთავრებელი და ამორტიზირებული. მისი სადავო ფასად გაქირავება შეუძლებელია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ შპს „ნ-ის“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

ამავე კოდექსის 404-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ საკასაციო საჩივრის ფარგლებში შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიიჩნევს, რომ იგი მიღებულია კანონის დაცვით.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაადგინა და კასატორს დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ წარუდგენია შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

2003 წლის 25 მარტს საქართველოს სუბტროპიკული ნედლეულის შენახვა-გადამუშავების სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს (საქსკი), როგორც გამქირავებელსა და შპს „ნ-ს“, როგორც დამქირავებელს შორის დაიდო ქირავნობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით გამქირავებელმა გადასცა, ხოლო დამქირავებელმა მიიღო სარგებლობაში ინსტიტუტის მშენებარე სატრანსფორმატორო ქვესადგურისა და მშენებარე ხანარმოს ადმინისტრაციული კორპუსის პირველი სართული სამენარმეო და სავაჭრო საქმიანობისათვის. ხელშეკრულება გაფორმდა 2003 წლის 1 აპრილიდან 2008 წლის 1 აპრილამდე.

დამქირავებელი გამქირავებელს უხდის ქირას – ყოველთვიურად 500 ლარს დღე-ს ჩათვლით. ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2 ქვეპუნქტის თანახმად, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, დამქირავებელს ეძლევა უპირატესობა სხვა პი-

რებთან შედარებით ახალი ხელშეკრულების გაფორმებაზე. თუ მხარეები არ მოითხოვენ მის მოშლას, იგი ითვლება გაგრძელებულად.

2006 წლის ივლისში ჯ. მ-მ გაიმარჯვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ საპრივატიზაციო აუქციონში და მოიპოვა ქ.ბათუმში, ა-ის ქ. №13-ში მდებარე 39700 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მოდულის ტიპის 1409 კვ.მ შენობა-ნაგებობების საკუთრების უფლება. ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდა 2006 წლის 10 ივლისს. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, ქ.ბათუმში, ა-ის ქ. №13-ში მდებარე 39731 კვ.მ მიწის ნაკვეთი (დაზუსტებული ფართი) და მასზე არსებული 1409 კვ.მ შენობა-ნაგებობა 2006 წლიდან საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია ჯ. მ-ის სახელზე (მიწის საკადასტრო კოდი №...).

ამდენად, ჯ. მ-ე გახდა 2003 წლის 25 მარტის ხელშეკრულების მხარე.

საკაცაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ არსებობს სამოქალაქო კოდექსის 581-ე და 567-ე მუხლების გამოყენების საფუძველი, რომელთა თანახმად, იჯარის ხელშეკრულებით მეიჯარე მოვალეა გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გაძღოლის შედეგად შემოსავლის სახით. მოიჯარე მოვალეა გადაუხადოს მეიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა. საიჯარო ქირა შეიძლება განისაზღვროს როგორც ფულით, ისე ნატურით. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საიჯარო ქირის განსაზღვრის სხვა საშუალებებზედაც. იჯარის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების წესები, თუ 581-606-ე მუხლებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. თუ დამქირავებელი ქირავნობის ურთიერთობის დამთავრების შემდეგ უკან არ აბრუნებს გაქირავებულ ნივთს, მაშინ დამქირავებელს უფლება აქვს მოითხოვოს დაყოვნების განმავლობაში დადგენილი ქირის გადახდა, როგორც ზიანის ანაზღაურება. ბათილია შეთანხმება, რომლითაც დამქირავებელს ეკისრება ზიანის ანაზღაურება იმაზე მეტი ოდენობით, ვიდრე მიყენებული იყო.

ხსენებულ ნორმათა ანალიზი ცხადყოფს, რომ მოიჯარე ვალდებულია, საიჯარო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ნივთი დაუბრუნოს მეიჯარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში კანონმდებელი აკისრებს ვალდებულების დამრღვევ მხარეს ზიანის ანაზღაურების მოვალეობას.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ საიჯარო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ შპს „ნ-ს“ სადავო ფართი ნებაყოფლობით ჯ. მ-ისათვის არ დაუბრუნებია.

2011 წლის 15 იანვარს შპს „ნ-მა“ იძულების წესით გამოათავისუფლა ჯ. მ-ის საკუთრებაში არსებული დაქირავებული ფართი, რაზეც ქ.ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის პირველი განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებელმა ვ. თ-მ 2011 წლის 15 იანვარს შეადგინა ჯ. მ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ოქმი.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის არგუმენტს, რომ მხარეთა შორის არსებული საიჯარო ხელშეკრულება 2008 წელს გაგრძელდა განუსაზღვრელი ვადით, ვინაიდან ჯ. მ-ს არც 2008 წლის 1 აპრილამდე და არც აპრილში ხელშეკრულების მოშლა არ მოუთხოვია.

სააპელაციო პალატამ სავესებით სწორად დაადგინა, რომ 2006 წლის 13 დეკემბერს ჯ. მ-მ სასამართლო წესით მოითხოვა ქ.ბათუმში, ა-ის ქ. №13-ში მდებარე შენობა-ნაგებობიდან შპს „ნ-ის“ გამოსახლება და შენობის თავისუფალ მდგომარეობაში ჩაბარება, რაზეც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ეთქვა უარი. გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

აღნიშნულის შემდეგ ჯ. მ-მ არაერთხელ გამოითხოვა შპს „ნ-ის“ უკანონო მფლობელობიდან კუთვნილი სადავო უძრავი ქონება, რაც, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, დასრულდა შპს „ნ-ის“ იძულებითი გამოსახლებით.

ყოველივე აღნიშნული ცხადად მეტყველებს, რომ მეიჯარემ არაორაზროვნად გამოხატა საკუთარი ნება შპს „ნ-თან“ საიჯარო ხელშეკრულების მოშლასთან დაკავშირებით და ამ უკანასკნელს არავითარი საფუძველი არ გააჩნდა, ევარაუდა, რომ სადავო საიჯარო ხელშეკრულების მოქმედება გაგრძელდა განუსაზღვრელი ვადით.

ამდენად, 2008 წლის 1 აპრილიდან 2011 წლის 15 იანვრამდე შპს „ნ-ი“ არამართლზომიერად ფლობდა ჯ. მ-ის კუთვნილ ფართს და აღნიშნულისათვის ზიანის ანაზღაურება სრულიად დასაბუთებულად დაეკისრა.

მოცემული დავის საგანს არ წარმოადგენს და, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ვერ იმსჯელებს კასატორის მითითებაზე, რომ შპს „ნ-ი“ 2008 წლის 1 აპრილის შემდეგაც უხდიდა ჯ.

მ-ს თანხას, რომელიც, მხარის განმარტებით, საიჯარო ქირას წარმოადგენდა. მართალია, საქმეში წარმოდგენილია საბანკო ამონაწერი, სადაც ასახულია შპს „ნ-ის“ მიერ ჯ. მ-ისათვის საიჯარო ქირის სახით გარკვეული თანხის გადახდა, მაგრამ ხსენებული თანხის დაბრუნების შესახებ მოთხოვნა მოპასუხეს სასამართლოსათვის სათანადო წესით არ წარუდგენია. შესაბამისად, იმის გარკვევა, თუ რა მიზნით და რა რაოდენობის თანხა გადაუხადა შპს „ნ-მა“ ჯ. მ-ს 2008 წლის 1 აპრილის, ანუ სადავო საიჯარო ხელშეკრულების მოშლის შემდეგ ცალკე განხილვის საგანია.

ამავე მიზეზით დაუსაბუთებელია კასატორის არგუმენტი, რომ ჯ. მ-ს გააჩნდა მის მიმართ სადავო უძრავი ნივთის გაუმჯობესებისათვის განეული ხარჯის ანაზღაურების ვალდებულება, ვინაიდან აღნიშნული საკითხი წარმოდგენილი სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს სცდება.

საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება საკასაციო საჩივრის მითითებას, რომ სადავო საიჯარო ხელშეკრულების ფარგლებში შპს „ნ-ი“ ფლობდა არა 488,792 კვ.მ-ს, როგორც ეს სასამართლომ დაადგინა, არამედ 400 კვ.მ ფართს.

უპირველესად აღსანიშნავია, რომ ხსენებული ფაქტობრივი გარემოება შპს „ნ-ს“ სააპელაციო საჩივრით სადავოდ არ გაუხდია და, შესაბამისად, არც სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი გამხდარა. საკასაციო პალატის კომპეტენცია კი, მოცემულ საქმეზე შეზღუდულია გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფარგლებით.

ასეც რომ არ იყოს, შპს „ნ-ი“ ჯ.მ-ის სარჩელზე შეტანილ შესაგებელში თავად უთითებს, რომ ფლობდა 436 კვ.მ-ს, რაც, ცხადია, საკასაციო საჩივარში მოხსენიებულ 400 კვ.მ-ზე მეტია, რაც უსაფუძვლოს ხდის მხარის მითითებას კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებითა თუ სხვა სასამართლო აქტით დადგენილ გარემოებებზე.

ამასთან, შპს „ნ-ს“ არ უცდია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის დაცვით რაიმე მტკიცებულების წარდგენის გზით დაესაბუთებინა სადავო ფართის ოდენობა მაშინ, როცა საქმეში წარმოდგენილია ჯ. მ-ის მიერ წარდგენილი ნახაზი, რომელსაც სასამართლო დაეყრდნო კიდევ.

საკასაციო პალატა არ ეთანხმება კასატორის პრეტენზიას, რომ სააპელაციო სასამართლომ სადავო ფართის ღირებულება დაადგინა ჯ. მ-ის მხრიდან ხელოვნურად მომატებული ფასების გათვალისწინებით.

სააპელაციო სასამართლომ დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ

საქმეზე წარმოდგენილი შპს „დ.-ა-ის“ დირექტორ-აუდიტორ ჯ.ძ-ის 2011 წლის 8 თებერვლის დასკვნით, ქ.ბათუმში, ა-ის ქ. №13-ში მდებარე საიჯარო ფართის 1 კვ.მ-ს ღირებულება თვე-ში შეადგენს 5.3 აშშ დოლარს. 2011 წლის 23 მარტს ჯ. მ-სა და კ. მ-ს შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით, ასევე 2011 წელს ჯ. მ-სა და შპს „გ-თან“ გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით ირკვევა, რომ ქ. ბათუმში, ა-ის ქ. №13-ში მდებარე, ჯ. მ-ის კუთვნილი შენობა-ნაგებობისა და მიწის ნაკვეთის 1 კვ.მ-ის ღირებულება შეადგენს არანაკლებ 5 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს.

ამდენად ცხადია, რომ თუკი შპს „ნ-ი“ იჯარის ხელშეკრულების ვადის დასრულების შემდეგ გამოათავისუფლებდა ჯ. მ-ის კუთვნილ შენობა-ნაგებობას, ჯ. მ-ე ამ ქონებას კვლავ გააქირავებდა და ყოველთვიურად 1 კვ.მ ნაგებობის ფართზე მიიღებდა შემოსავალს 5 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს, ხოლო მთლიანი 488,792 კვ.მ შენობიდან – 2443,96 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

შპს „ნ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

იჯარის ხელშეკრულების მოხლა

ბანკინება

№ას-169-162-2013

4 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: იჯარის ხელშეკრულებიდან თანხის დაკის-
რება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ს. რ-ამ“ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ი-ს“ წი-
ნააღმდეგ და მოითხოვა: შპს „ი-ს“ შპს „ს. რ-ის“ სასარგებლოდ,
მათ შორის 2006 წლის 27 ივლისის დადებული იჯარის ხელშეკ-
რულებიდან გამომდინარე, დაეკისროს მიუღებელი შემოსავლის
სახით 2 189 858, 39 აშშ დოლარის გადახდა; შპს „ი-ს“ შპს „ს. რ-
ის“ სასარგებლოდ 2006 წლის 27 ივლისის დადებული იჯარის ხელ-
შეკრულებიდან გამომდინარე დაეკისროს 2011 წლის 01 იანვრი-
დან 2011 წლის 1 მაისამდე საიჯარო დავალიანების თანხის, 89
838,39 აშშ დოლარის გადახდა; შპს „ი-ს“ შპს „ს. რ-ის“ სასარ-
გებლოდ, 2007 წლის 10 სექტემბერს დადებული ხელშეკრულე-
ბიდან გამომდინარე (ე.წ. „ფითინგებით“ სარგებლობისათვის)
დაეკისროს 23 556.89 ლარის გადახდა.

მოსარჩელემ განმარტა, რომ შპს „ს. რ-სა“ და შპს „ი-ს“ შო-
რის 2006 წლის 27 ივლისის დაიდო იჯარის ხელშეკრულება 10
წლის ვადით. ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, მოპა-
სუხის დავალიანებამ ჯამში (გადაუხდელი ქირა, პირგასამტეხ-
ლო) შეადგინა 89 838,39 აშშ დოლარი, ხელშეკრულების ვადამ-
დე შეწყვეტით გამოწვეულმა ზიანმა კი – 2 189 858,39 აშშ დო-
ლარი. გარდა ამისა, მხარეებს შორის 2007 წლის 10 სექტემბერს
დაიდო იჯარის ხელშეკრულება. მოცემულ შემთხვევაშიც, მო-
პასუხე არ ასრულებდა თავის ვალდებულებას და აქედან გა-
მომდინარე დავალიანებამ შეადგინა 23 556.89 ლარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 7 მარტის გა-
დაწყვეტილებით შპს „ს. რ-ის“ სარჩელის მოთხოვნა დაკმაყო-
ფილდა ნაწილობრივ; შპს „ი-ს“ მოსარჩელე შპს „ს. რ-ის“ სასარ-
გებლოდ, 2006 წლის 27 ივლისის დადებული იჯარის ხელშეკრუ-

ლებიდან გამომდინარე, დაეკისრა მიუღებელი შემოსავლის სახით 1 033 343.46 აშშ დოლარის გადახდა (დღგ-ს გარეშე); შპს „ი-ს“ შპს „ს. რ-ის“ სასარგებლოდ, 2006 წლის 27 ივლისს დადებული იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დაეკისრა 2011 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 1 მაისამდე საიჯარო დავალიანების თანხა – 7 524 აშშ დოლარის გადახდა, ასევე, საიჯარო ქირის დაგვიანებით გადახდისათვის პირგასამტეხლოს სახით – 4 562.74 აშშ დოლარის გადახდა; არ დაკმაყოფილდა შპს „ს. რ-ის“ სარჩელის მოთხოვნა 2007 წლის 10 სექტემბერს დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე (ე.წ. „ფითინგებით“ სარგებლობისათვის) შპს „ი-ის“ მიმართ 23 556.89 ლარის გადახდის თაობაზე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ, სს „ს. რ-ამ“ სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და გაუქმებულ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

აპელანტმა შპს „ი-მა“ სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და გაუქმებულ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით სს „ს. რ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შპს „ი-ის“ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 7 მარტის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1.2. პუნქტის შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, შპს „ი-ს“ სს „ს. რ-ის“ სასარგებლოდ, 2006 წლის 27 ივლისს დადებული იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დაეკისრა 2011 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 1 მაისამდე საიჯარო დავალიანების – 7 524 აშშ დოლარის გადახდა, ასევე, საიჯარო ქირის დაგვიანებით გადახდისათვის პირგასამტეხლოს სახით – 1000 აშშ დოლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „ს. რ-სა“ და შპს „ი-ს“ შორის 2006 წლის 27 ივლისს დაიდო იჯარის ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად, მოიჯარეს გადაეცა მეიჯარის კუთვნილი „სადგურ თბილისი-სატვირთოს“ სა-

კონტინენტო მოედანი, რომელიც მოიცავს 19 305 კვ.მ. მიწის ფართს და მასზე განლაგებულ ტექნიკურ საშუალებებს. საიჯარო ქირა შეადგენდა 400 004 აშშ დოლარს (დღგ-ს გარეშე). იჯარის პერიოდი განისაზღვრა 10 წლით. 2009 წლის 1 მაისის ურთიერთშეთანხმების შედეგად 2006 წლის 27 ივლისის ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება და ნაცვლად 400 004 აშშ დოლარისა შპს „ი-ს“ უნდა გადაეხადა ყოველწლიურად საიჯარო ქირა 200 002 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 317-ე და აღნიშნა, რომ შპს „რ-სა“ და შპს „ი-ს“ შორის არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საფუძველი იყო მხარეთა შორის 2006 წლის 27 ივლისსა და 2007 წლის 10 სექტემბერს შედგენილი იჯარის ხელშეკრულებები. სადავო არ იყო, რომ საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში – 2011 წლის 1 იანვრიდან იმავე წლის 1 მაისამდე პერიოდის იჯარის ქირა შპს „ი-ის“ მიერ ჯეროვნად გადახდილი არ ყოფილა. ამდენად, პალატამ სასამართლოს გადანყევტილება შპს „ი-ის“ საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში გადაუხდელი ქირის 2011 წლის მაისამდე დაკისრების ნაწილში კანონიერად ჩათვალა, რაც მეიჯარისათვის წინასწარ გადახდილი „ბე“ – 50000 აშშ დოლარის გათვალისწინებით, შეადგენდა 7 524 აშშ დოლარს.

სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლზე მითითებით და იქედან გამომდინარე, რომ არსებობდა მხარეების მიერ დადებული წერილობითი გარიგება, რომელიც ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ადგენდა პირგასამტეხლოს და დადასტურებული იყო ასევე, რომ მოვალემ ვალდებულება არ შეასრულა დადგენილ ვადაში, პალატის მოსაზრებით, არსებობდა ყველა პირობა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ დაკმაყოფილებულიყო.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 420-ე და 418.1-ე მუხლებით და აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალი იყო (ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ყოველთვიური საიჯარო ქირის 0,2% – წლიური 73%), ვადის გადაცილების პერიოდის და პირგასამტეხლოს დანიშნულების გათვალისწინებით, შეუსრულებელი ვალდებულების ფარგლებში, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე შპს „ი-ს“ მოსარჩელის სასარგებლოდ პირგასამტეხლოს სახით უნდა დაკისრებდა 1000 აშშ დოლარი.

სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 408-ე,

411-ე და 412-ე მუხლებზე მითითებით, გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხის მიერ ხელშეკრულების პირობების სათანადო შესრულებისას, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დარჩენილ ვადაში (2011 წლის 1 მაისიდან 2016 წლის 27 ივლისის პერიოდში) მოსარჩელე, საიჯარო ქირის 200 002 აშშ დოლარის გათვალისწინებით, მიიღებდა 1 033 343.46 აშშ დოლარს, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენდა ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. შესაბამისად, პალატის აზრით, შპს „ი-ს“ მოსარჩელე შპს „ს. რ-ის“ სასარგებლოდ, 2006 წლის 27 ივლისს დადებული იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, უნდა დაეკისროს მიუღებელი შემოსავლის სახით 1 033 343.46 აშშ დოლარის გადახდა (დღგ-ს გარეშე).

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

სს „ს. რ-ამ“ საკასაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოთვალა დავალიანება და უსაფუძვლოდ შეამცირა პირგასამტეხლო. მათი მოთხოვნა გამყარებული იყო იმით, რომ მხარეთა შორის 2006 წლის 27 ივლისს დადებული ხელშეკრულების 2.1 პუნქტის საფუძველზე, წლიური საიჯარო ქირა განისაზღვრა 400 004 აშშ დოლარის ოდენობით, რომელიც, მართალია, 2009 წლის 1 მაისს გაფორმებული ურთიერთშედარების აქტით შემცირდა 200 002 აშშ დოლარამდე, მაგრამ იმავე აქტის მე-3 პუნქტით შპს „ს. რ-ის“ მინიჭებული უფლებამოსილებით, ისევე გაიზარდა და წლიური საიჯარო ქირა გახდა 400 004 აშშ დოლარი. სწორედ ეს იყო საფუძველი შპს „ს. რ-ის“ მიერ მიუღებელი შემოსავლის 2 189 858.39 აშშ დოლარის ოდენობით მოთხოვნისა, რაც სასამართლომ არამართებულად გაანახევრა. სასამართლომ უსაფუძვლოდ არ გაიზიარა მხარეთა შორის ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე წლიური საიჯარო ქირის გაზრდის შესაძლებლობა. სააპელაციო სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა საქმეში არსებული აუდიტის დასკვნით და 2011 წლის 1 იანვრიდან 1 მაისამდე დარიცხული დავალიანების, ასევე პირგასამტეხლოს სახით მოპასუხისათვის 89 838,39 აშშ დოლარი უნდა დაეკისრებინა. ასევე სასამართლომ უსაფუძვლოდ უთხრა უარი მოსარჩელეს 2007 წლის 10 სექტემბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების დაკისრებაზე.

შპს „ი-მა“ საკასაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული

გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა შემდეგი დასაბუთებით: 2006 წლის 27 ივლისის იჯარის ხელშეკრულების მოშლა არ მომხდარა შპს „ი-ის“ მხრიდან საიჯარო ქირის გადაუხდელობის გამო. ხელშეკრულების 5.1.4 პუნქტის თანახმად, მოიჯარეს, ანუ შპს „ს. რ-ას“ უფლება ჰქონდა მოეთხოვა ხელშეკრულების ვადამდე მოშლა, თუ „ი-ი“ არ გადაიხდიდა საიჯარო ქირას სამი თვის განმავლობაში. 2.2 პუნქტის მიხედვით კი, მეიჯარისათვის წინასწარ გადახდილი „ბე“ – 50000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში ჩაითვლებოდა ხელშეკრულების მოქმედების ბოლო შესაბამისი თვეების საიჯარო გადასახადში, იმ დროისათვის არსებული სავალუტო კურსის შესაბამისად. 2009 წლის 1 მაისიდან საიჯარო ქირა ყოველთვიურად შეადგენდა 19 666.86 აშშ დოლარს ეკვივალენტს ლარში. ვინაიდან რკინიგზას 2011 წლის 1 მარტიდან სურდა ხელშეკრულების მოშლა, გასათვალისწინებელი იყო იანვრისა და თებერვლის თვეების საიჯარო ქირა. ამდენად, გამომდინარე იქედან, რომ მოიჯარეს წინასწარ გადახდილი ჰქონდა 50000 აშშ დოლარი, საიჯარო ურთიერთობის მოშლა საიჯარო ქირის გადაუხდელობის მოტივით მართლზომიერად ვერ მიიჩნეოდა. ასევე, სასამართლომ არ გაითვალისწინა იჯარის ხელშეკრულების 2.6 პუნქტი, რომლის ფარგლებშიც, სახელშეკრულებო პირობის დარღვევის შემთხვევაში, რ-ას ი-ის უნდა გაეგზავნა გაფრთხილების წერილი და განესაზღვრა ვადა, 30 დღე, დარღვევის აღმოსაფხვრელად. შესაბამისად, ვინაიდან მოსარჩელეს სათანადოდ არ გაუფრთხილებია მოპასუხე, ხელშეკრულების შეწყვეტა, ხელშეკრულების პირობების მიხედვით, ვერ ჩაითვლებოდა მართლზომიერად და შესაბამისად, უსაფუძვლოა იყო მოთხოვნა მიუღებელი შეოსავლის დაკისრების თაობაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივრები, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ სს „ს. რ-სა“ და შპს „ი-ის“ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „ს.რ-სა“ და შპს „ი-ს“ შორის 2006 წლის 27 ივლისს დაიდო იჯარის ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად, მოიჯარეს გადაეცა მეიჯარის კუთვნილი „სადგურ თბილისი-სატვირთოს“ საკონტინერო მოედანი, რომელიც მოიცავს 19 305 კვ.მ. მიწის

ფართს და მასზე განლაგებულ ტექნიკურ საშუალებებს. საიჯარო ქირა შეადგენდა 400 004 აშშ დოლარს (დღგ-ს გარეშე). იჯარის პერიოდი განისაზღვრა 10 წლით. 2009 წლის 1 მაისის ურთიერთშეთანხმების შედეგად 2006 წლის 27 ივლისის ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება და ნაცვლად 400 004 აშშ დოლარისა შპს „ი-ს“ უნდა გადაეხადა ყოველწლიურად საიჯარო ქირა 200 002 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სს „ს. რ-ის“ პრეტენზიას შპს „ი-ს“ 2007 წლის 10 სექტემბრის იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების დაკისრების შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს აღნიშნავს, რომ მოსარჩელეს არასოდეს მიუთითებია კონკრეტული საფუძველი, რის გამოც მოპასუხეს ზემოაღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე 23 556,89 ლარი უნდა დაკისრებოდა. არც საკასაციო საჩივარი შეიცავს მითითებას იმის თაობაზე, თუ რა მიზეზითაა ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არასწორი, შესაბამისად, კასატორის მოთხოვნა დაუსაბუთებელია და გაზიარებული ვერ იქნება.

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს სს „ს. რ-ის“ პრეტენზიას მიუღებელი შემოსავლის დაკისრების ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობასთან დაკავშირებით.

კასატორის მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა გაეზიარებინა წლიური საიჯარო ქირის 200 002 აშშ დოლარიდან 400 004 აშშ დოლარამდე გაზრდის ფაქტი და აღნიშნულის გათვალისწინებით დაეკისრებინა მოპასუხისათვის მიუღებელი შემოსავალი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის გაფორმებული 2009 წლის 1 მაისის ურთიერთშეთანხმების აქტის მე-3 პუნქტის თანახმად, წინამდებარე ურთიერთშეთანხმების აქტის ძალაში შესვლიდან ერთი კალდენდარული წლის შემდეგ, მეიჯარე უფლებამოსილი იყო, შეცვლილი მდგომარეობის ადეკვატურად, მოიჯარისათვის საუარესოდ, ცალმხრივად შეეცვალა – გაეზარდა ამ ხელშეკრულებით შეთანხმებული საიჯარო ქირა, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ან/და დაენესებინა მოიჯარესათვის შპს „ს. რ-ით“ „სადგურ თბილისი-სატივრთოს“ დანიშნულებით ან ამ სადგურიდან ყოველწლიურად გადასაზიდი კონტინერების გაზრდილი რაოდენობა. აღნიშნულის შესახებ მეიჯარე წერილობით აცხობინებდა მოიჯარეს ასეთი გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 დღისა. ამ შეტ-

ყობინების მიღებიდან 30 საბანკო დღის ვადაში მოიჯარე წარმოადგენდა თავის მოსაზრებას. მეიჯარის წინადადება მიღებულად ჩაითვლებოდა და ახალი (გაზრდილი) საიჯარო ქირა ან/და ყოველწლიურად გადასახიდი კონტინენტების გაზრდილი რაოდენობა ძალაში შევიდოდა მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარე არ დაეთანხმებოდა საიჯარო ქირის ან/და ყოველწლიურად გადასახიდი კონტინენტების რაოდენობის გაზრდას, მეიჯარე უფლებამოსილი იყო ცალმხრივად შეენწყვიტა ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში მოიჯარე კარგავდა უფლებას მოეთხოვა ხელშეკრულების შეწყვეტით გამომდინარე ზიანი. აქტის მე-6 პუნქტის თანახმად, ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ურთიერთშეთანხმების აქტში საჭიროებდა მხარეთა შეთანხმებას და იგი უნდა გაფორმებულიყო წერილობით და დამონშებულიყო ნოტარიულად.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს და მიუთითებს, რომ სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის 1-ლი ნაწილით ხელშეკრულება დადებულიად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. ამავე კოდექსის 328-ე მუხლის თანახმად, თუ კანონით ხელშეკრულების ნამდვილობისთვის დადგენილია განსაზღვრული ფორმა, ან მხარეებმა ხელშეკრულებისათვის გაითვალისწინეს ასეთი ფორმა, მაშინ ხელშეკრულება ძალაში შედის მხოლოდ ამ ფორმის შესახებ მოთხოვნის შესრულების შემდეგ.

განსახილველ შემთხვევაში, მხარეებმა 2006 წლის 27 ივლისის ხელშეკრულება შეადგინეს წერილობითი ფორმით და ამდენად, მასში ნებისმიერი ცვლილების შეტანა დასაშვებია მხოლოდ ორივე მხარის მიერ წერილობითი ფორმით გამოხატული თანხმობის შედეგად. მსგავსი თანხმობა საქმეში არ მოიპოვება, გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, 2009 წლის 1 მაისის ურთიერთშეთანხმების აქტის მე-3 პუნქტის მიხედვით, თუ მოიჯარე საიჯარო ქირის გაზრდას არ დაეთანხმებოდა, მეიჯარეს შეეძლო, ცალმხრივად შეენწყვიტა ხელშეკრულება, რაც ცალსახად ადასტურებს, რომ საიჯარო ქირის გაზრდის შესახებ მეიჯარის გადანწყვეტილება ძალას მოპასუხის თანხმობის შემთხვევაში იძენდა, ხოლო თანხმობის არ არსებობის პირობებში, სს „რ-ას“ შეეძლო, ხელშეკრულება შეენწყვიტა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ შპს „ი-ი“ საიჯარო ქირის გაზრდას არ დაეთანხმა. მოსარჩელეს კი, ამ შესაძლებლობით არ უსარგებლია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო

სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ საიჯარო ქირა არ გაზრდილა და მოსარჩელის მოთხოვნა მიუღებელი შემოსავლის სახით 2 189 853,39 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე უსაფუძვლოა.

კასატორის მომდევნო პრეტენზია შეეხება საიჯარო ქირის დაკისრებასა და პირგასამტეხლოს შემცირებასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებას.

სააპელაციო სასამართლომ მოპასუხეს გადაუხდელი საიჯარო ქირის სახით 7 525 აშშ დოლარის გადახდა დააკისრა, ხოლო პირგასამტეხლო შეამცირა 1000 აშშ დოლარამდე.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მტკიცებას, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა საქმეში არსებული აუდიტის დასკვნით და 2011 წლის 1 იანვრიდან 1 მაისამდე დარიცხული დავალიანების, ასევე პირგასამტეხლოს სახით მოპასუხისათვის 89 838,39 აშშ დოლარი უნდა დაეკისრებინა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ, მართალია, მოსარჩელემ წარმოადგინა აუდიტორული დასკვნა, რომლის თანახმადაც 2011 წლის 1 იანვრიდან 1 მაისამდე შპს „ი-ის“ დავალიანება შეადგენს 89 838,39 ლარს, საიდანაც 4562,74 ლარი პირგასამტეხლოა, ხოლო 85 276,65 აშშ დოლარი გადაუხდელი საიჯარო ქირა, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ; ამდენად, სასამართლო ვალდებულია, სათანადოდ შეისწავლოს მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და მხოლოდ აღნიშნულის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება დავის გადაწყვეტისათვის მათი მნიშვნელობის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, საყურადღებოა ის გარემოება, რომ თავად მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი დაანგარიშების ცხრილის თანახმად, მოპასუხეს იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, 19666,86 აშშ დოლარი უნდა გადაეხადა დღგ-ს ჩათვლით. ასევე, დასაკისრებელი თანხის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მოპასუხემ წარმოდგინა გარკვეული მტკიცებულებები, რაც მის მიერ საიჯარო ქირის ნაწილის გადახდას ადასტურებს, კერძოდ, საქმის მასა-

ლებით დასტურდება, რომ მოპასუხემ 09.02.2011 წელს გადაიხადა იანვრის თვის საიჯარო ქირა 15 000 ლარი, ასევე 21.03.2011 წელს 19881,14 ლარი, რაც, ბუნებრივია, უნდა გამოკლებოდა მისთვის დასაკისრებელ თანხას, ამდენად, კასატორის მოთხოვნა, მოპასუხისათვის 85 276,65 აშშ დოლარის სრულად დაკისრების თაობაზე, უსაფუძვლოა.

რაც შეეხება ბეს სახით გადახდილ 50 000 აშშ დოლარის ჩათვლას საიჯარო ქირაში, აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა არათანმიმდევრულია. სააპელაციო სასამართლომ ჯერ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მის მიერ მეიჯარისათვის წინასწარ გადახდილი ბე 50000 აშშ დოლარი უნდა ჩათვლილიყო საიჯარო ქირაში, შემდეგ მიუთითა, რომ ვინაიდან 2006 წლის 27 ივლისის ხელშეკრულება დაიდო 10 წლის ვადით, 2016 წლის 27 ივლისამდე, მეიჯარისათვის წინასწარ გადახდილი ბე 50000 აშშ დოლარი ჩათვლებოდა 2016 წლის 27 ივლისამდე ბოლო თვეების საიჯარო გადასახადში, ამ მსჯელობის შემდეგ, სასამართლომ აღნიშნა, რომ თუნდაც გაზიარებულ იქნეს მოპასუხის მოსაზრება „ბეს“ ანგარიშში გადახდილი 50000 აშშ დოლარის საიჯარო ქირაში ჩათვლის თაობაზე, იმავდროულად მას წარმოემოზოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის, 50000 აშშ დოლარის, მეიჯარის ანგარიშზე დაუყოვნებლივ განთავსების ვალდებულება, რაც, როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, მოიჯარეს არ განუხორციელებია; საბოლოოოდ კი, სასამართლომ მაინც გამოაკლო მოპასუხისათვის დასაკისრებელ თანხას 50 000 აშშ დოლარი.

საკასაციო სასამართლომ შეხედულებით, სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია, რომ მოპასუხეს ბეს თანხა მოსარჩელის ანგარიშზე არ შეუტანია, ვინაიდან ამ გარემოებას არც მოსარჩელე ხდის სადავოდ, ამასთან, საქმეში წარმოდგენილი ქვითარი ადასტურებს, რომ შპს „ი-მა“ 22.06.2006 წელს გადარიცხა 88 870 ლარი, რომლის დანიშნულებად მითითებულია „კონკურსში მონაწილეობის ბე“.

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ ბე უნდა ჩათვლილიყო 2016 წლის 27 ივლისამდე ბოლო თვეების საიჯარო ქირაში.

იჯარის ხელშეკრულების 2.2 პუნქტის მიხედვით, მეიჯარისათვის წინასწარ გადახდილი „ბე“, 50000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი, ჩათვლება ხელშეკრულების მოქმედების ბოლო შესაბამისი თვეების საიჯარო გადასახადში, იმ დროისათვის არ-

სებული სავალუტო კურსის შესაბამისად. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული პირობა გულისხმობს ხელშეკრულების ფაქტობრივად მოქმედების ბოლო 3 თვეს და არა 10-წლიანი ვადის ბოლო თვეებს. ბუნებრივია, ვალდებულება ვადამდე რომ არ შეწყვეტილიყო, ბე გაიქვითებოდა 10-წლიანი ვადის ბოლო თვეების საიჯარო ქირაში, როგორც ამას სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, მაგრამ ვინაიდან, განსახილველ შემთხვევაში, სს „ს. რ-ამ“ ხელშეკრულების მოშლის თარიღად 2011 წლის 1 მაისი განსაზღვრა, ბე უნდა გამოკლებოდა თებერვალი-მაისის საიჯარო ქირას.

საკასაციო სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ მიუხედავად არასწორი დასაბუთებისა, სააპელაციო სასამართლომ ბეს თანხა გამოაკლო მოპასუხისათვის დასაკისრებელ დავალიანებას, ამდენად, ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია.

რაც შეეხება პირგასამტეხლოს შემცირების თაობაზე კასატორის პრეტენზიას, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

პირგასამტეხლოს შემცირებისას სასამართლო მხედველობაში იღებს მხარის ქონებრივ მდგომარეობასა და სხვა გარემოებებს, კერძოდ, იმას, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან, ასევე, – კრედიტორის ეკონომიური ინტერესი. აღნიშნულ გარემოებებზე სასამართლო მსჯელობს მხოლოდ მხარის მოთხოვნის შესაბამისად და მხოლოდ ამგვარი წინაპირობის არსებობისას შეუძლია გამოიყენოს დისკრეცია, რაც გულისხმობს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირებას (იხ. სუსგ №ას-819-771-2012).

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლო, მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნული დისკრეციის ფარგლებში მოქმედებდა. სასამართლომ მხედველობაში მიიღო ვადაგადაცილების პერიოდი, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა, ასევე ის ფაქტი, რომ სს „ს. რ-ა“ იღებდა როგორც ვალდებულების შესრულებას – საიჯარო ქირას, ასევე მიუღებელ შემოსავალს და მართებულად მიიჩნია, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ყოველთვიური საიჯარო ქირის 0,2% – წლიური 73%, იყო შეუსაბამოდ მაღალი, ამდენად, კასატორის პრეტენზია ამ ნა-

ნილშიც უსაფუძვლოა.

მეორე კასატორი, შპს „ი-ი“, სადავოდ ხდის იჯარის ხელშეკრულების მოშლის მართლზომიერებას, რაც გავლენას ახდენს მიუღებელი შემოსავლის დაკისრების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნაზე.

ამ საკითხთან მიმართებით, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2011 წლის 20 იანვრის წერილით სს „ს. რ-ამ“ შპს „ი-ს“ შეატყობინა 2011 წლის 1 მარტიდან ხელშეკრულების მოშლის თაობაზე. ამასთან დადგენილია, რომ 2011 წლის 21 თებერვლის წერილით მეიჯარემ გაახანგრძლივა ხელშეკრულების მოშლის ვადა და ნაცვლად 2011 წლის 1 მარტისა მიუთითა 2011 წლის 1 მაისი.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ ხელშეკრულების მოშლის მართლზომიერების შემოწმების მიზნებისათვის დასადგენი იყო, 2011 წლის მაისამდე, ანუ თებერვლის, მარტისა და აპრილის თვეებში, არღვევდა თუ არა მოიჯარე ხელშეკრულებას.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას.

იჯარის ხელშეკრულების 5.1.4. პუნქტის მიხედვით, მეიჯარე უფლებამოსილი იყო ხელშეკრულება ვადამდე მოეშალა, თუ მოიჯარე სამი თვის განმავლობაში არ გადაიხდიდა საიჯარო ქირას.

ხელშეკრულების მიხედვით, საიჯარო ქირა „მოიჯარეს“ „მეიჯარისათვის“ უნდა გადაეხადა ყოველთვიურად თანაბარწილად, ყოველი საანგარიშო თვის 5 რიცხვამდე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების ვადამდე მოშლა მართლზომიერი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ იარსებებდა კანონით ან თავად ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფუძველი (საიჯარო ქირის გადაუხდელობა, განსახილველ შემთხვევაში); ამასთან, ამგვარი საფუძველი სახეზე უნდა ყოფილიყო მეიჯარის მიერ ხელშეკრულების მოშლის გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის. მოცემულ შემთხვევაში, მეიჯარემ, სს „ს. რ-ამ“, ხელშეკრულების მოშლის ნება 2011 წლის იანვარში გამოავლინა და მოშლის თარიღად ჯერ 1 მარტი განსაზღვრა, შემდეგ კი, 1 მაისი. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო არა ხელშეკრულების მოქმედების ფაქტობრივად შეწყვეტის პერიოდი, არამედ 2011 წლის იანვარი, როდესაც მეიჯარემ მოჰასუხეს აცნობა თავისი გადაწყვეტილება მოიჯარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ხელშეკრულების

ვადამდე მოშლის თაობაზე, ამდენად, ხელშეკრულების ზემო-აღნიშნული პუნქტიდან გამომდინარე, ვალდებულების ვადამდე ცალმხრივად შეწყვეტა მართლზომიერი იქნებოდა, თუ მოპასუხე ქირას არ იხდიდა 2011 წლის იანვრამდე და ამ საკითხის გადანყვეტიისათვის მნიშვნელობა არ აქვს, ასრულებდა თუ არა მოპასუხე ვალდებულებას 2011 წლის თებერვლიდან აპრილამდე. ბუნებრივია, მოიჯარეს საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულება ეკისრებოდა მანამ, სანამ იგი რეალურად სარგებლობდა იჯარით გადაცემული ქონებით, მაგრამ ხელშეკრულების მოშლის მართლზომიერების შესაფასებლად, მოშლის საფუძველი წარმოშობილი უნდა ყოფილიყო იმ პერიოდისათვის როდესაც მეიჯარემ შესაბამისი ნება გამოავლინა.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

მოსარჩელე, განსახილველ შემთხვევაში, მიუთითებდა, რომ მოიჯარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებას არ ასრულებდა. ვალდებულების დარღვევა დაედო საფუძველად მის მიერ ხელშეკრულების მოშლასაც.

საპროცესო კანონმდებლობაში არსებული მტკიცებების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების პრინციპიდან გამომდინარე, მოპასუხეს უნდა დაემტკიცებინა, რომ იგი ვალდებულებას ჯეროვნად ასრულებდა და სს „ს. რ-ის“ პოზიცია უსაფუძვლო იყო. იმ გარემოების დამტკიცება, რომ შპს „ი-ს“ საიჯარო ქირა არ გადაურიცხავს, სს „ს. რ-ის“ ვალდებულება ვერ იქნებოდა, არამედ პირიქით, სწორედ მოპასუხეს უნდა წარმოედგინა აღნიშნულის გამაბათილებელი მტკიცებულებები, რაც მოცემულ შემთხვევაში შესრულებული არ არის.

იმისათვის, რომ ხელშეკრულების ვადამდე ცალმხრივად მოშლა არამართლზომიერად ჩაითვალოს, შპს „ი-ს“ უნდა წარმოედგინა 2011 წლის იანვარსა და 2010 წლის ნოემბერ-დეკემბერში მის მიერ საიჯარო ქირის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულებები. მოპასუხემ კი, მხოლოდ რამდენიმე ქვითარი წარმოდგინა, რომლებიც ამ პერიოდს არ შეეხება. უფრო მეტიც, საქმეში არსებული ქვითარი ადასტურებს, რომ შპს „ი-მა“ დეკემბრის საიჯარო ქირის ნაწილი 2011 წლის 14 იანვარს გადაიხადა, ასევე, თავად საკასაციო საჩივარშია აღნიშნული, რომ მოპასუხე ვალდებულების შესრულების ვადებს არღვევდა. ასეთ პირობებში, მოპასუხის პოზიცია ხელშეკრულების მოშლის არამართლზომიერების თაობაზე დაუსაბუთებელია და გა-

ზიარებული ვერ იქნება.

საკასაციო სასამართლო, ასევე, არ იზიარებს შპს „ი-ის“ მითითებას იჯარის ხელშეკრულების 2.6 პუნქტზე, რომლის ფარგლებშიც, სახელშეკრულებო პირობის დარღვევის შემთხვევაში, რ-ას ი-ის უნდა გაეგზავნა გაფრთხილების წერილი და განესაზღვრა ვადა, 30 დღე, დარღვევის აღმოსაფხვრელად. შესაბამისად, ვინაიდან მოსარჩელეს სათანადოდ არ გაუფრთხილებია მოპასუხე, ხელშეკრულების შეწყვეტა, ხელშეკრულების პირობების მიხედვით, ვერ ჩაითვლებოდა მართლზომიერად.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მართალია, გაფრთხილების წერილი საქმეში წარმოდგენილი არ არის, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ხელშეკრულების მიხედვით, გაფრთხილება გათვალისწინებული იყო 1 თვის საიჯარო ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში, ხოლო ხელშეკრულების მოშლა – ქირის ზედიზედ სამჯერ გადაუხდელობისას, ვინაიდან მოსარჩელემ ხელშეკრულების მოშლას საფუძვლად ქირის გადაუხდელობა დაუდო, როგორც ზემოთ აღინიშნა, მოპასუხეს უნდა დაემტკიცებინა, რომ მას ზედიზედ სამჯერ ვალდებულება არ დაურღვევია, გაფრთხილების ფაქტი კი, ხელშეკრულების მოშლაზე, ამ შემთხვევაში, გავლენას ვერ მოახდენდა.

კასატორის შემდეგი პრეტენზია შეეხება ბეს, 50 000 აშშ დოლარის, საიჯარო ქირაში ჩათვლასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს დასაბუთებას, რის შესახებაც საკასაციო სასამართლომ ზემოთ უკვე იმსჯელა.

კასატორი, ასევე მიუთითებს, რომ ვინაიდან მას წინასწარ ჰქონდა შეტანილი 50 000 აშშ დოლარი, ხელშეკრულების მოშლა მართლზომიერად ვერ ჩაითვლება.

საკასაციო სასამართლო ამ არგუმენტს არ იზიარებს და კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ბე უნდა ჩათვლილიყო ხელშეკრულების მოქმედების ბოლო 3 თვის საიჯარო ქირაში, ანუ, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, 2016 წლის მაისი-ივლისის ქირაში, რაც გავლენას არ ახდენს მოიჯარის ვალდებულებაზე, მანამდე ქირა ყოველთვიურად გადაეხადა. მოპასუხის მიერ ზედიზედ სამჯერ საიჯარო ქირის გადაუხდელობა მიიჯარეს ხელშეკრულების მოშლის საფუძველს აძლევდა, ხოლო ბე ჩაითვლებოდა ხელშეკრულების ფაქტობრივად მოქმედების ბოლო 3 თვის ქირის ანგარიშში. კასატორის ლოგიკით, თუ იგი 3 თვის განმავლობაში არ გადაიხდიდა საიჯარო ქირას, 50 000 აშშ დოლარი უნდა გაქვითულიყო და თუ ამის შემდეგ, კიდევ 3 თვის განმავლობაში დაარღვევდა ვალდებულებას, „რ-ას“ ხელშეკრულების

მოშლის უფლება ექნებოდა, რაც ყოველგვარ სამართლებრივი საფუძველსაა მოკლებული და არც ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს. საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ ბეს სახით თანხის შეტანა გავლენას არ ახდენდა, ხელშეკრულების მოშლის საფუძველის წარმოშობაზე, არამედ გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო მოპასუხის დავალიანების განსაზღვრისას, რაც სააპელაციო სასამართლომ განახორციელა კიდევ და საიჯარო ქირა შპს „ი-ს“ ბეს გამოკლებით დააკისრა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად არასწორი დასაბუთებისა, რაც ნიშნავს, რომ სს „ს. რ-სა“ და შპს „ი-ის“ საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სს „ს. რ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. შპს „ი-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
3. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**საკუთრების მინდობის ხელშეკრულებიდან
ნარმოშობილი ვალდებულებები**

ბანკინება

№ას-1300-1227-2012

1 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა**
**შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავეიძე**

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ა. ე-მა სარჩელით მიმართა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების: ზ. გ-სა და ი. გ-ის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე შემდეგი საფუძვლებით:

სარჩელის თანახმად, 2012 წლის 27 მაისს გარდაიცვალა მოსარჩელის დისშვილი – ვ. ხ-ა, რომლის ერთადერთ მემკვიდრეს წარმოადგენს მოსარჩელე ა. ე-ი, თუმცა იგი ვერ იღებს სამკვიდროს, ვინაიდან, როგორც აღმოჩნდა, სამკვიდრო ქონება, მოპასუხეების საბანკო კრედიტის უზრუნველყოფის მიზნით, დატვირთულია იპოთეკით და მიქცეულია სარეალიზაციოდ. მოსარჩელის განმარტებით, 2007 წლის 9 ივლისს ვ. ხ-ა და ზ. გ-ეს შორის გაფორმებული მინდობილობის თანახმად, ზ. გ-ეს მიეცა, ვ. ხ-ას საკუთრებაში არსებული, ქ.ბათუმში, გ-ის ქ. №26-ში მდებარე №10 ბინის განკარგვის უფლება. აღნიშნული მინდობილობის საფუძველზე, ზ. გ-ემ 2007 წლის 11 ივლისს, ვ. ხ-ას საცხოვრებელი ბინა იპოთეკით დატვირთა სს „ბ. რ-ას“ სასარგებლოდ, იმავე დღეს ზ. გ-სა და ი. გ-ეს შორის გაფორმდა თავდებობის ხელშეკრულება, რომლითაც ამ უკანასკნელმა თავის შვილთან, ზ. გ-ან, ერთად იკისრა სოლიდარული პასუხისმგებლობა გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო ბანკმა სარჩელი აღძრა მოვალეების წინააღმდეგ, თუმცა ისინი არ გამოცხადდნენ პროცესზე. მათ წინააღმდეგ გამოვიდა დაუსრულებელი გადაწყვეტილება, რომელიც კანონიერ ძალაში შევიდა და მოპასუხეებს სოლიდარულად დაეკისრათ ბანკის სასარგებლოდ 32990 აშშ დოლარის, სახელმწიფო ბაჟის 1921 ლარისა და ადვოკატის მომსახურების – 3080 ლარის გადახდა, ვ.

ბ-ას საკუთრებაში არსებული, იპოთეკით დატვირთული ბინის რეალიზაციის გზით. მოსარჩელის მითითებით, მოპასუხეების აღნიშნული ქმედების გამო, ის ვერ იღებს კუთვნილ სამკვიდროს, შესაბამისად, მას მიადგა ზიანი 32992 აშშ დოლარისა და 5001 ლარის ოდენობით.

მოპასუხეებმა წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი დაუ-საბუთებლად მიიჩნიეს და მიუთითეს, რომ სარჩელზე საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, ვინაიდან, საქმეში წარმოდგენილი სა-სამართლოს გადაწყვეტილებებით, ნათელია, რომ იმავე საგან-ზე და იმავე სასარჩელო მოთხოვნით უკვე არსებობს სასამარ-თლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 29 დე-კემბრის გადაწყვეტილებით, ა. ე-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკ-მაყოფილდა, ზ. გ-ეს დაეკისრა 32992 აშშ დოლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ, დანარჩენი მოთხოვნების დაკამ-ყოფილებაზე მოსარჩელეს ეთქვა უარი.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წე-სით გაასაჩივრა ორივე მხარემ. ა. ე-მა მოითხოვა გასაჩივრებუ-ლი გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, ხოლო ზ. გ-ემ კი – სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებით ა. ე-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყო-ფილდა, ზ. გ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქ-მდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 29 დე-კემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ზ. გ-ეს დაე-კისრა ა. ე-ის სასარგებლოდ 32992 აშშ დოლარის შესაბამისი ეკ-ვივალენტი ლარის გადახდა, გადახდის დროისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შე-საბამისად და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილე-ბა, ა. ე-ის სარჩელი ზ. და ი. გ-ის ზიანის – 32992 აშშ დოლარისა და 5001 ლარის (ადვოკატის მომსახურებისა და სასამართლოს ხარჯების თანხის) დაკისრების მოთხოვნის ნაწილში არ დაკმა-ყოფილდა, ა. ე-ს ზ. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მის მიერ გა-დახდილი სახელმწიფო ბაჟი – 2166 ლარი.

პალატამ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობ-რივი გარემოებები:

ქ.ბათუმში, გ-ის ქ. №26/10-ში მდებარე ან გარდაცვლილი ვ. ხ-ას ბინა სამკვიდრო მონუმობის საფუძველზე მიიღო მოსარჩე-ლე ა. ე-მა.

საქმეში წარმოდგენილი 1-7230 მინდობილობით დადასტუ-

რებულად იქნა მიჩნეული, რომ 2007 წლის 9 ივლისის გარდაცვლილმა ვ. ხ-ამ, როგორც საკუთრების მიმნდობმა, ზ. გ-ეს, როგორც მინდობილ მესაკუთრეს, მიანიჭა ქ.ბათუმში, გ-ის ქ. №26/10-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის მართვისა და განკარგვის უფლება იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირთან სსენებული უფლებების რეალიზაციის ფარგლებში წარმოადგენდა საკუთრების მიმნდობს – ვ. ხ-ას.

პალატა უდავოდ დადასტურებულად მიიჩნია ის ფაქტობრივ გარემოება, რომ 2007 წლის 9 ივლისის 1-7230 მიმნდობილობა ძალშია და იგი ბათილად ცნობილი არ არის, რაზეც არც მხარეებს უდავიათ.

2007 წლის 11 ივლისს ბ. „რ-ა“ და ზ. გ-ეს შორის დაიდო გენერალური ხელშეკრულება, რომლითაც ამ უკანასკნელმა მიიღო კრედიტი – 20000 აშშ დოლარი.

2007 წლის 18 ივლისს ი. გ-ე გახდა ზ. გ-ის თავდები ბ. „რ-ან“ გაფორმებული გენერალური ხელშეკრულების შესრულებაზე.

2007 წლის 11 ივლისს ბ. „რ-ა“ და ვ. ხ-ას მიმნდობილ პირს, ზ. გ-ეს შორის დაიდო იპოთეკის ხელშეკრულება, რომლითაც სადავო საცხოვრებელი ბინა უზრუნველყოფდა ბანკსა და ზ. გ-ეს შორის დადებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ბანკის მოთხოვნებს.

პალატამ უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული იპოთეკის ხელშეკრულება სადავოდ ვ. ხ-ას არასოდროს გაუხდია და იგი სადავო არც ახლათ.

ზ. გ-ემ დაარღვია ბ. „რ-ან“ 2007 წლის 11 ივლისის დადებული ხელშეკრულება, რის გამოც ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით ზ. და ი. გ-ს სოლიდარულად დაეკისრათ ბანკის სასარგებლოდ 32992.16 აშშ დოლარის გადახდა. ამავე გადაწყვეტილებით ვალდებულია უნდა შესრულდეს იპოთეკით დატვირთული, ან გარდაცვლილი ვ. ხ-ას კუთვნილი, უძრავი ქონების რეალიზაციით.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ა. ე-მა შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა და უარი თქვა მოთხოვნაზე, ზ. და ი. გ-ის 32992 ლარის ყოველთვიურად 3%-ის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე დაკისრების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ 2012 წლის 30 მარტის საოქმო განჩინებით აპელანტ მხარეს ა. ე-ს დაავალა მტკიცებულების წარმოდგენა იმის დასტურად, იყო თუ არა იპოთეკით დატვირთული ქონება აუქციონზე გატანილი და რეალიზებული. აღნიშნულთან დაკავშირებით, მხარეებს მტკიცებულება არ წარმო-

უდგენიათ, თუმცა 2012 წლის 25 აპრილის და 30 მაისის სხდომებზე ორივე მხარემ დაადასტურა, რომ სადავო ქონება არც აუქციონზეა გატანილი არც შეფასებულია და არც რეალიზებული.

პალატამ მიიჩნია, რომ ა. ე-მა ვერ დაადასტურა მისთვის ზ. და ი. გ-ის მიერ ზიანის მიეყენების ფაქტი, შესაბამისად, თუკი არ არსებობს ზიანი, არ არსებობს ზიანის ანაზღაურების მავალ-დებულებელი გარემოებაც.

პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 317.1-ე, 326-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, აპელანტ ა. ე-ის განცხადებით, მას ზიანი იმიტომ მიადგა, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ზ. გ-ემ დაარღვია ბანკის წინაშე აღებული ვალდებულება და დადგინდა მის საკუთრებაში (მემკვიდრეობით) მიღებული უძრავი ქონების რეალიზაცია. ა. ე-ის აღნიშნული პოზიცია პალატამ არ გაიზიარა აპელანტ ა. ე-ის მიერ სააპელაციო სასამართლოში დადასტურებული ფაქტობრივი გარემოების გამო, რომ ბინა რომელიც იპოთეკით იქნა დატვირთული ზ. გ-ის ბანკის წინაშე აღებული ვალის უზრუნველსაყოფად და რომლის იძულებითი რეალიზაციაც დადგინდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, აუქციონზე არც გატანილი, არც შეფასებული და არც რეალიზებული არ არის, ანუ ა. ე-ის საკუთრებაში არსებული ბინა არ გაყიდულა და, შესაბამისად, არ არსებობს ზიანიც.

სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 408-ე, 409-ე მუხლებზე მიუთითებით, პალატამ აღნიშნა, რომ, მოცემულ შემთხვევაში ზ. გ-სა და ი. გ-ის მხრიდან არ დგინდებოდა, რომ მათ ა. ე-ის მიმართ ჩაიდინეს განზრახი ან გაუფრთხილებლობით მართლსაწინააღმდეგო ქმედება და რომ ამ ქმედების გამო, მიადგა ზიანი ა. ე-ს. პალატის განმარტებით, უდავოა, რომ ა. ე-მა ვ.ხ-ას უძრავი ქონება მიიღო მემკვიდრეობით, რაც ნიშნავს იმას, რომ მან მემკვიდრეობით მიიღო როგორც უფლებები ამ ქონებაზე, ასევე მოვალეობები.

პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მამკვიდრებელ ვ. ხ-ას სიცოცხლეში იპოთეკით დაიტვირთა მისი უძრავი ქონება ზ. გ-ის მიერ ბანკის წინაშე ნაკისრი ვალის უზრუნველსაყოფად და იგივე ქონება იპოთეკით დატვირთული მემკვიდრეობით მიიღო მისმა მემკვიდრე ა. ე-მა, შესაბამისად, მან მიიღო არა მართო უფლება ამ ქონებაზე, არამედ ის ვალდებულებაც, რაც ამ ქონებას უნდა შეესრულებინა თუკი ბანკის წინაშე ნაკისრ ვალს ზ. გ-ე არ გაისტუმრებდა მიერ. ე.ი. ა. ე-ი გახდა ვ. ხ-ას უფლება-

მონაცვლე ამ უკანასკნელის მიერ თავის დროზე ნაკისრი ვალდებულებებისათვის.

პალატის განმარტებით, როცა იპოთეკის ხელშეკრულება დაიდო, იგი დაიდო იმ უძრავ ქონებაზე, რომელიც იმჟამად ვ. ხ-ას საკუთრებაში იყო. მართალია, შემდეგ იგი გარდაიცვალა და მისი ქონება მემკვიდრეობით მიიღო ა. ე-მა, მაგრამ მან, როცა სამკვიდრო მიიღო, უკვე იცოდა, რომ სამკვიდროს იღებდა იპოთეკით დატვირთულს. ე.ი. მან თავიდანე იცოდა იმ რისკის თაობაზე, რომ, თუკი ზ. და ი. გ-ი ბანკის წინაშე აღებულ ვალდებულებას ვერ შეასრულებდნენ, ეს ვალი უზრუნველყოფილი იყო მისი მამკვიდრებელ ვერა ხვიჩიას უძრავი ქონებით, ანუ მისთვის ამ ქონების რეალიზაციის რისკი მაშინვე იყო ცნობილი, როცა სამკვიდრო მიიღო. აღნიშნული რისკის შესახებ ცნობილი იყო ვ. ხ-აც სიცოცხლეშივე, რომელიც თავის დროზე ვ. ხ-ას სადავოდ არ გაუხდია და იგი მონაწილეობდა პროცესებში როცა დავა მიმდინარეობდა სასამართლოებში ბ. „რ-ა“ და ზ. და ი. გ-ს შორის. ამ გარემოებიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა ზიანის მიყენების ფაქტი (ე.ი არ არსებობს ზიანიც) ზ. და ი. გ-ის მხრიდან ა. ე-ის, შესაბამისად, არ არსებობს მათზე 32 992 აშშ დოლარის, ანუ ზიანის დაკისრების მოვალეობა. შესაბამისად, ზ. გ-ის სააპელაციო საჩივარი პალატამ საფუძვლიანად ჩათვალა, სადაც ის აცხადებდა, რომ მას ზიანი არ მიუყენებია, შესაბამისად მისთვის არ უნდა დაეკისრებინათ 32 992 აშშ დოლარი.

ვინაიდან პალატამ დაადგინა, რომ არ არსებობდა ზ. გ-ის ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება (ანუ ბ. „რ-ის“ ძირითად მოვალეზე), პალატამ ასევე უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად მიიჩნია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ი. გ-ის მიმართ (რომელიც ზ. გ-ის თავდები იყო მის მიერ ბანკის წინაშე აღებული ვალის გამო).

ვინაიდან დადგინდა, რომ არ არსებობდა ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება ზ. და ი. გ-ის მიმართ, პალატამ ასევე დაუსაბუთებლად და უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელანტ ა. ე-ის მოთხოვნა ზ. და ი. გ-ის 5001 ლარის – სასამართლოს და ადვოკატის მომსახურების ხარჯების დაკისრების თაობაზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. ე-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ დაარღვია მხარეთა თანასწორობის პრინციპი. არასწორია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა მასზე, რომ თითქოსდა ა. ე-ს გის მხრიდან არ განუცდია რეალური ზიანი. აღნიშნული დასკვნით, სააპელაციო სასამართლო, ფაქტობრივად მიუთითებს, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება არანაირი მტკიცებულებითი ძალა არ გააჩნია და კანონიერი მოთხოვნის საფუძველი ვერ გახდება. თუკი სააპელაციო სასამართლოს ერთ შემთხვევაში მიაჩნია, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების არსებობა არ ნიშნავს ზიანის ფაქტის დადგომას, მაშინ რატომ უნდა იყოს უკანონო ისეთივე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების არსებობა გ-ეებისათვის ჩვენს სასარგებლოდ იმ თანხის გადახდის დავალდებულების შესახებ, რასაც განვიცდით მათი ბრალეული ქმედების გამო, რაც ქონების დაკარგვით გამოიხატა.

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ დავის გადაწყვეტისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, ვერა ხვიჩიასა და ზ. გ-ეს შორის სამართლებრივი ურთიერთობები ჩამოყალიბდა ქონების მინდობის ხელშეკრულების საფუძველზე, შესაბამისად, სასამართლო ვალდებული იყო, უპირველეს ყოვლისა, ეხელმძღვანელა ქონების მინდობის მარეგულირებელი ნორმებით, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 724-ე, 725-ე მუხლები.

კასატორის მოსაზრებით, არასწორია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა მასზე, რომ თითქოსდა ვ. ხ-ას და შემდგომ კი, ა. ე-ს იპოთეკისა და ქონების მინდობის ხელშეკრულებები არ გაუსაჩივრებიათ და დღემდე ძალაშია. ამასთან, როგორც პირველი, ისე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა არ შეაფასეს ის ფაქტი, რომ ზ. გ-ან განსხვავებით, მეორე მოპასუხე ი. გ-ეს ვ. ხ-ან რაიმე სამართლებრივი ურთიერთობა არ ჰქონია, რაც ცხადყოფს, რომ სამართლებრივად უსაფუძვლოა ი. გ-ის ბანკის სასარგებლოდ დაკისრებული თანხის ანაზღაურება ვერა ხვიჩიას საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების რეალიზაციის ხარჯზე განხორციელდეს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ე-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სა-

სამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ:

ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა;

ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ საქმეში წარმოდგენილი 1-7230 მინდობილობა, რომლითაც დასტურდება, რომ 2007 წლის ცხრა ივლისს გარდაცვლილმა ვ. ხ-ამ, როგორც საკუთრების მიმნდობმა, ზ. გ-ეს, როგორც მიმნდობელ მე-საკუთრეს, მიანიჭა ქ.ბათუმში, გ-ის ქ. №26/10-ში მდებარე საცხოვრებელ ბინაზე მართვისა და განკარგვის უფლება იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირთან ხსენებული უფლებების რეალიზაციის ფარგლებში წარმოადგენდა საკუთრების მიმნდობს – ვ. ხ-ას.

2007 წლის 11 ივლისს ბ. „რ-ა“ და ზ. გ-ეს შორის დაიდო გენერალური ხელშეკრულება, რომლითაც ამ უკანასკნელმა კრედიტის სახით მიიღო 20000 აშშ დოლარი.

2007 წლის 18 ივლისს ი. გ-ე გახდა ზ. გ-ის თავდები ბ. „რ-ან“ გაფორმებული გენერალური ხელშეკრულების შესრულებაზე.

2007 წლის 11 ივლისს ბ. „რ-ა“ და ვ. ხ-ას მიმნდობელ პირს, ზ. გ-ეს, შორის დაიდო იპოთეკის ხელშეკრულება, რომლითაც სადავო საცხოვრებელი ბინა უზრუნველყოფდა ბანკსა და ზ. გ-ეს შორის დადებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ბანკის მოთხოვნებს.

ზ. გ-ემ დაარღვია ბ. „რ-ან“ 2007 წლის 11 ივლისს დადებული ხელშეკრულება, რის გამოც ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით ზ. და ი. გ-ს სოლიდარულად დაეკისრათ ბანკის სასარგებლოდ 32992.16 აშშ დოლარის გადახდა. ამავე გადაწყვეტილებით ვალი უნდა დაიფაროს იპოთეკით დატვირთული, ან გარდაცვლილი ვ. ხ-ას კუთვნილი, უძრავი ქონების რეალიზაციით.

ზემოთ მითითებული ფაქტებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს ასკვნის, რომ ბინა, რომელიც იპოთეკით იქნა დატვირთული ზ. გ-ის ბანკის წინაშე აღებული ვალის უზრუნველსაყოფად და რომლის იძულებითი რეალიზაციაც იქნა დადგენილი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით გაყიდული არ არის და, შესაბამისად, ზიანიც არ არსებობს.

სააპელაციო სასამართლო სხვა სამართლებრივ ნორმებთან ერთად უთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლზე და აღნიშნავს, რომ ზ. და ი. გ-ის მიერ არ დგინდება ა. ე-ის მიმართ განზრახ ან გაუფრთხილებლობით მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა, რის გამოც ამ უკანასკნელმა, როგორც ვერა ხვიჩიას მემკვიდრემ, მიიღო ზიანი.

კასატორი სადავოდ არ ხდის მითითებული ფაქტების დადგენის კანონიერებას, ამდენად, ეს ფაქტობრივი გარემოებები საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულოა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაამახვილა ყურადღება იურიდიულად მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებზე, რაც სწორი დასკვნის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს, კერძოდ, ისმის კითხვა: რა სახის ურთიერთობა წარმოიშვა მხარეთა შორის, რა უფლება-ვალდებულებები გააჩნდათ გ-ა და ვ. ხ-ას, შესაბამისად, რომელი ვალდებულება არ შესრულებულა.

აღნიშნულთან მიმართებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა საკუთრების მინდობის ხელშეკრულების საფუძველზე ზ. გ-ა და ვ. ხ-ას შორის წარმოშობილი უფლება-ვალდებულებები და მხარეთა შორის წარმოშობილი ურთიერთობა მოანესრიგა დელიქტური ვალდებულებების ინსტიტუტით, ამდენად, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლი).

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის თანახმად ა. ე-მა, როგორც ვ.ხ-ას მემკვიდრემ, მიიღო ამ უკანასკნელის როგორც აქტივი, ასევე – პასივი. ზუსტად, რომ 2007 წლის ცხრა ივლისის ხელშეკრულებამ მიგვიითითებს, თუ რა უფლებები და ვალდებულებები გააჩნდა ვ. ხ-ას სადავო საკითხთან დაკავშირებით და, შესაბამისად, რა უფლება ვალდებულებების უფლებამონაცვლეა

ა. ე-ი.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენი., რომ 2007 წლის ცხრა ივლისს ვ. ხ-ამ, როგორც საკუთრების მიმნდობმა, ზ. გ-ეს, როგორც მინდობილ მესაკუთრეს, მიანიჭა ქ.ბათუმში, გ-ის ქ. №26/10-ში მდებარე საცხოვრებელ ბინაზე მართვისა და განკარგვის უფლება იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირთან ხსენებული უფლებების რეალიზაციის ფარგლებში წარმოადგენდა საკუთრების მიმნდობს – ვ. ხ-ას.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მითითებული ხელშეკრულების თანახმად, მხარეთა შორის დადებულია საკუთრების მიმნდობის ხელშეკრულება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა ხელშეკრულება, შესაბამისად, სადავო ურთიერთობაზე გაავრცელა დელიქტური ვალდებულებების ინსტიტუტი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის), რაც არ გამოიყენება კონკრეტულ შემთხვევაში, რადგან მხარეთა ურთიერთობა წარმოიშვა საკუთრების მიმნდობის ხელშეკრულების საფუძველზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 724-ე მუხლის თანახმად, საკუთრების მიმნდობის ხელშეკრულებით საკუთრების მიმნდობი გადასცემს ქონებას მიმნდობილ მესაკუთრეს, რომელიც იღებს და მართავს მას საკუთრების მიმნდობის ინტერესების შესაბამისად.

განსახილველი მუხლის კონტექსტის გათვალისწინებით, ის უფლებები და ვალდებულებები, რომელიც გააჩნდა ზ. გ-ეს ამ ხელშეკრულების საფუძველზე არ შეიძლება განხორციელდეს საკუთრების მიმნდობის (ვ. ხ-ას) ინტერესების საწინააღმდეგოდ.

ამ ინსტიტუტის მნიშვნელობა გამოიხატება იმაში, რომ ქონების მართვასა და განკარგვას მიმნდობილი მესაკუთრე ახორციელებს, ხოლო ამ ქონების მართვასა და განკარგვის შედეგად მიღებული სარგებელი, ნაყოფი, შემოსავალი და ა.შ. ეკუთვნის საკუთრების მიმნდობს. საკუთრების მიმნდობის ინსტიტუტი წარმოადგენს არაპირდაპირ წარმომადგენლობას, რადგან მიმნდობილი მესაკუთრე მართავს მიმნდობილ საკუთრებას საკუთრების მიმნდობის რისკითა და ხარჯით, მაგრამ თავისი სახელით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 725-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

ამის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტებზე, რომლის თანახმად 2007 წლის 11 ივლისს ბ. „რ-ა“ და ზ.

გ-ეს შორის დაიდო გენერალური ხელშეკრულება, რომლითაც ამ უკანასკნელმა მიიღო კრედიტი – 20000 აშშ დოლარი.

ამდენად, ისმის კითხვა: თუ სააპელაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ ვ. ხ-ას, როგორც საკუთრების მიმდობის და ზ. გ-ეს, როგორც მინდობილ მესაკუთრეს, შორის დადებული იქნა საკუთრების მინდობის ხელშეკრულება, ხოლო ზ. გ-ემ და არა ვ. ხ-ამ ან სხვა პირმა, ამ ხელშეკრულების საფუძველზე მიიღო კრედიტი – 20000 აშშ დოლარი, მაშინ მინდობილი მესაკუთრის მიერ საკუთრების მიმდობის რომელი ინტერესი იქნა დაცული.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საკუთრების მინდობის ინსტიტუტი არ მოითხოვს მინდობილი მესაკუთრის ბრალის შეფასებას. რა თქმა უნდა, სამოქალაქო პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო ქმედება. სახელშეკრულებო ვალდებულებებთან მიმართებით მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში შეიძლება ვიგულისხმოთ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა და არაჯეროვანი შესრულება (სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას). საკუთრების მინდობის ხელშეკრულების ჯეროვანი შესრულება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს მინდობილი მესაკუთრის მიერ მისთვის გადაცემული მინდობილი საკუთრების მართვას საკუთრების მიმდობის ინტერესების შესაბამისად.

ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არასათანადო შესრულება იწვევს მინდობილი მესაკუთრის პასუხისმგებლობას, ე.ი თუ მინდობილი მესაკუთრე, საკუთრების მიმდობის ინტერესების საწინააღმდეგოდ, არ იჩენს ისეთ გულისხმიერებას, როგორც მას საკუთარი საქმეების მიმართ უნდა გამოეჩინა, იგი ვალდებულია, აანაზღაუროს ამ მოქმედებით გამოწვეული ზიანი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 725-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება).

ამდენად, საკუთრების მინდობის ინსტიტუტის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ მინდობილი მესაკუთრის მოქმედებები ყოველთვის უნდა შეფასდეს მინდობილი მესაკუთრის ინტერესების ქრილში.

აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს ის ფაქტობრივი წინაპირობები, რომლებიც დამახასიათებელია არა დელიქტურ ვალდებულებებისათვის, არამედ

იმ ურთიერთობისათვის, რაც წარმოიშვა 2007 წლის ცხრა ივლისის ვ. ხ-ა, როგორც საკუთრების მიმდობისა და ზ. გ-ეს, როგორც მინდობილ მესაკუთრეს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ამასთან ერთად სააპელაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს მითითებული ხელშეკრულება საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებთან ერთად (სსკ-ის 105-ე მუხლი) და გამოიკვილოს ვ. ხ-ს ინტერესი ამ ხელშეკრულების მიხედვით (სსკ-ის 724-729-ე მუხლების გათვალისწინებით), შესაბამისად, გარემოებები, რომლებიც მიუთითებენ მინდობილი მესაკუთრის ინტერესებზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

- 1 ა. ე-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება

გადანყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-1639-1536-2012

15 მაისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავეიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: განუული ხარჯის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

რ. ს-ემ ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში თ. გ-ის წინააღმდეგ სარჩელი აღძრა მოპასუხის რჩენისათვის განუული ხარჯის, 20 000 ლარის, ანაზღაურების მოთხოვნით.

მოსარჩელის განმარტებით, მასსა და თ. გ-ეს შორის 2002 წლის 8 თებერვალს სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის თანახმადაც საკუთრებაში გადაეცა ქ. ზესტაფონში, ნ. ნ-ის 1-ლი შესახვევის №9-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი. ხელშეკრულების თანახმად, მოსარჩელე ვალდებული იყო, სიცოცხლის ბოლომდე ერჩინა მოპასუხე, რაც გულისხმობდა მის უზრუნველყოფას ბინით, კვებით, სამედიცნო მომსახურებითა და მედიკამენტებით. 2011 წლის სექტემბრამდე რ. ს-ე ნაკისრ ვალდებულებას კეთილსინდისიერად ასრულებდა. 2011 წლის სექტემბერში თ. გ-ემ მოულოდნელად გამოუცხადა, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება აღარ სურდა, რადგანაც ბინას ახლო ნათესავს უტოვებდა ანდერძით. თ. გ-ემ ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნით სასამართლოს მიმართა. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილებით, ხელშეკრულება შეწყდა. გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში. სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის არსებული კონფლიქტური ურთიერთობის გათვალისწინებით, ხელშეკრულების მოქმედების გაგრძელება შეუძლებელი იყო, მაგრამ არსად უთითებს, რომ რ. ს-ე ნაკისრ ვალდებულებას არ ასრულებდა. ხელშეკრულების მე-7 მუხლის თანახმად, მისი შეწყვეტის შემთხვევაში, მარჩენალს აუნაზღაურდება სარჩენის სასარგებლოდ განუული ხარჯები, შესაბამისად, თ. გ-ე ვალდებულია აუ-

ნაზღაუროს მისი რჩენისათვის გაღებული ხარჯი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ რ. ს-ისაგან დახმარება არასოდეს მიუღია. იგი ნაკისრ ვალდებულებას არ ასრულებდა, რაც გახდა კიდევ ხელშეკრულების მოშლის მიზეზი. რ. ს-ის ოჯახს თ. გ-ის ვალი აქვს, რადგანაც წლების მანძილზე მისი პენსიით სარგებლობდნენ, ასევე ხარჯავდნენ მის დაწვრილს.

2012 წლის 7 მაისს თ. გ-ემ იმავე სასამართლოში შეგებებული სარჩელი აღძრა რ. ს-თვის 16 502 ლარის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელის განმარტებით, სახლი დაზიანებულია და ესაჭიროება 2562 ლარის ღირებულების რემონტი, გარდა ამისა, რ. ს-ის ოჯახმა მას ჯამში 1650 ლარი გამოართვა, ასევე წაართვა 290 ლარის ღირებულების ნივთები, ასევე, მოსარჩელე 10 წლის მანძილზე მისი კარ-მიდამოთი სარგებლობდა, რის საფასურადაც თ. გ-ეს შეუძლია მოითხოვოს წელიწადში 1200 ლარი, სულ 12000 ლარი.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებით რ. ს-ის სარჩელი და თ. გ-ის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება რ. ს-ემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით რ. ს-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება რ. ს-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებული ახალი გადაწყვეტილებით რ. ს-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თ. გ-ეს რ. ს-ის სასარგებლოდ დაეკისრა 6863 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. 1997 წლის 27 ივნისს თ. გ-ესა და რ. ს-ეს შორის დაიდო სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება. ეს ხელშეკრულება მხარეებმა გააფორმეს ნასყიდობის ხელშეკრულების სახით და, ამის გამო, ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ, 1999 წლის 6 იანვრის გადაწყვეტილებით, იგი ბათილად სცნო;

2. 2002 წლის 8 თებერვალს მხარეებმა სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება ისევ დადეს;

3. ხელშეკრულების მე-2 პუნქტით რ. ს-ემ აიღო ვალდებულება გადაეხადა სარჩო თ. გ-ისათვის ნატურალური სახით, რაც

გულისხმობდა სარჩენის უზრუნველყოფას ბინით, კვებით, სამედიცინო მომსახურებით, მედიკამენტებით, სხვა აუცილებელი დახმარებით და განისაზღვრებოდა ყოველთვიურად. ხელშეკრულების მე-7 პუნქტით მხარეები შეთანხმდნენ, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, სარჩენი, თ. გ-ე ვალდებული იყო მარჩენალის, რ. ს-თვის აენაზღაურებინა ხელშეკრულების შეწყვეტამდე სარჩენის სასარგებლოდ განეული ხარჯი;

4. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 4 ნოემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით 2002 წლის 8 თებერვლის ხელშეკრულება შეწყდა;

5. თ. გ-ე ხელშეკრულების დადების დროს იყო 83 წლის. იგი არის მარტოხელა, სოციალურად დაუცველი პენსიონერი და მისი პენსია, ხელშეკრულების დადების შემდეგ, სხვადასხვა დროს შეადგენდა: 1. 2002 წლის თებერვლიდან 2004 წლის 1 აპრილამდე, ყოველთვიურად – 14 ლარს; 2. 2004 წლის 1 აპრილიდან 2004 წლის 1 მაისამდე – 17 ლარს; 3. 2004 წლის 1 მაისიდან 2004 წლის 1 ივლისამდე, ყოველთვიურად – 18 ლარს; 4. 2004 წლის 1 ივლისიდან 2005 წლის 1 იანვრამდე, ყოველთვიურად – 20 ლარს; 5. 2005 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის 1 მარტამდე, ყოველთვიურად – 28 ლარს; 6. 2006 წლის 1 მარტიდან 2006 წლის 1 სექტემბრამდე, ყოველთვიურად – 33 ლარს; 7. 2006 წლის 1 სექტემბრიდან 2007 წლის 1 დეკემბრამდე, ყოველთვიურად – 38 ლარს; 8. 2007 წლის 1 დეკემბრიდან 2008 წლის 1 აპრილამდე, ყოველთვიურად – 55 ლარს; 9. 2008 წლის 1 აპრილიდან 2009 წლის 1 იანვრამდე, ყოველთვიურად – 70 ლარს; 10. 2009 წლის 1 იანვრიდან 2009 წლის 1 ნოემბრამდე, ყოველთვიურად – 75 ლარს; 11. 2009 წლის 1 ნოემბრიდან 2011 წლის 1 იანვრამდე, ყოველთვიურად – 80 ლარს. გარდა ამისა, 2006 წლის 1 სექტემბრიდან თ. გ-ე იღებს სოციალურ დახმარებას, ყოველთვიურად 30 ლარს;

6. ხელშეკრულების დადებიდან 2011 წლის 1 იანვრამდე თ. გ-ემ პენსიისა და დახმარების სახით სულ მიიღო 5977 ლარი;

7. 2002-2011 წლის 1 იანვრამდე პერიოდში ერთ სულ მოსახლეზე ყოველთვიური საარსებო მინიმუმი შეადგენდა, საშუალოდ, 120 ლარს;

8. 2002 წლის თებერვლიდან 2011 წლის 1 იანვრამდე გავიდა 107 თვე. ე.ი 2002 წლის თებერვლიდან 2011 წლის 1 იანვრამდე თ. გ-ის საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფისათვის საჭირო იქნებოდა: $120 \times 107 = 12840$ ლარი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, თ. გ-ეს არჩენდა მხოლოდ აპელანტის ოჯახი. სხვა გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები თ. გ-ეს სასამართლოსათვის არ წარ-

მოუდგენია, პირიქით, მანვე მიუთითა – სხვები ვერ მეხმარებოდნენ, რადგან ამას მათ რ. ს-ე უკრძალავდაო.

სასამართლომ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტად მიიჩნია ის გარემოება, რომ საარსებო მინიმუმი არის 120 ლარი, შესაბამისად, ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდში, თ. გ-ის, ყოველ შემთხვევაში, მინიმალური ფიზიოლოგიური და სოციალური მოთხოვნილებები მაინც იყო დაკმაყოფილებული, რადგანაც ამის გარეშე ადამიანი ვერ იცოცხლებს, რაც ნიშნავს, რომ რ. ს-ე მას საარსებო მინიმუმით მაინც უზრუნველყოფდა.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილებისა და თ. გ-ის მიერ აღძრული სარჩელის მიხედვით, რ. ს-ე თ. გ-ესთან საცხოვრებლად გადავიდა სარჩელის აღძვრამდე ერთი წლით ადრე, ანუ, დაახლოებით, 2010 წლის აგვისტოში. ამის შემდეგ, მხარეთა შორის ურთიერთობა გამწვავდა, თუმცა, გარკვეული პერიოდი მაინც გრძელდებოდა. იგი შეწყდა მაშინ, როცა თ. გ-ესთან, მისივე თხოვნით, ჩავიდნენ მისი ნათესავები.

აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ მიიჩნია, რომ რ. ს-ემ ვალდებულების შესრულება დაახლოებით 2011 წლის იანვარში შეწყვიტა, ამგვარად, აპელანტი მონინალმდევე მხარეს არჩენდა 2002 წლის 8 თებერვლიდან 2011 წლის იანვრამდე და ამ დროის განმავლობაში, თ. გ-ის შემოსავლის გათვალისწინებით, თ. გ-ის სარჩოდ მის მიერ განეულმა ხარჯმა შეადგინა – 12840-5977=6863 ლარი. სხვა ხარჯის განევის დამადასტურებელი მტკიცებულებები სასამართლოსათვის წარდგენილი არ ყოფილა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით ორივე მხარემ გაასაჩივრა.

რ. ს-ე ითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმებას და საქმეზე მიღებული ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილებას. კასატორის მითითებით, სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ მან 6863 ლარის ხარჯი გასწია. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მან თ. გ-ის რჩენისათვის 20 000 ლარი დახარჯა. აღნიშნულის საპირისპირო მტკიცებულება მოპასუხეს არ წარუდგენია.

თ. გ-ე ითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების რ. ს-ის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გაუქმებას და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებას შემდეგი საფუძვლებით: საქმეში არ არსებობს იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ

რ. ს-ემ რაიმე თანხა გაიღო თ. გ-ის სარჩენად. ხელშეკრულების მიხედვით, სარჩოს ოდენობა მხარეებს ყოველთვიურად უნდა განესაზღვრათ. საქმეში არ არის წარმოდგენილი იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ეს პირობა სრულდებოდა. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ რ. ს-ე ნაკისრ ვალდებულებას არ ასრულებდა, რის გამოც ხელშეკრულება შეწყდა, სააპელაციო სასამართლომ კი, ეს გარემოება არ გაითვალისწინა. სასამართლომ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტად მიიჩნია ის გარემოება, რომ საარსებო მინიმუმი არის 120 ლარი, შესაბამისად, თუ ადამიანს ამ ოდენობის შემოსავალი მაინც არ გააჩნია ყოველთვიურად, იგი ვერ იცოცხლებს. ამგვარი დასკვნა ქვეყანაში არსებული რეალობიდან არ გამომდინარეობს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივრები, შესწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება და მიიჩნევს, რომ რ. ს-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თ. გ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ რ. ს-ე თავის საჩივარში გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ-სამართლებრივ უსწორობაზე არ მიუთითებს. იგი სადავოდ მხოლოდ თ. გ-ისათვის გადასახდელად დაკისრებული თანხის ოდენობას ხდის, აღნიშნული გარემოება კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს არ ქმნის.

საკასაციო სასამართლო იზიარებს თ. გ-ის მტკიცებას, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს არ ემყარება.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. 1997 წლის 27 ივნისს თ. გ-ესა და რ. ს-ეს შორის დაიდო სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება. ეს ხელშეკრულება მხარეებმა გააფორმეს ნასყიდობის ხელშეკრულების სახით და, ამის გამო, ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ, 1999 წლის 6 იანვრის გადაწყვეტილებით, იგი ბათილად სცნო;

2. 2002 წლის 8 თებერვალს მხარეებმა სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება ისევ დადეს;

3. ხელშეკრულების მე-2 პუნქტით რ. ს-ემ აიღო ვალდებულება გადაეხადა სარჩო თ. გ-ისათვის ნატურალური სახით, რაც

გულისხმობდა სარჩენის უზრუნველყოფას ბინით, კვებით, სამედიცინო მომსახურებით, მედიკამენტებით, სხვა აუცილებელი დახმარებით და განისაზღვრებოდა ყოველთვიურად. ხელშეკრულების მე-7 პუნქტით მხარეები შეთანხმდნენ, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, სარჩენი, თ. გ-ე ვალდებული იყო მარჩენალის, რ. ს-თვის აენაზღაურებინა ხელშეკრულების შეწყვეტამდე სარჩენის სასარგებლოდ განეული ხარჯი;

4. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 4 ნოემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით 2002 წლის 8 თებერვლის ხელშეკრულება შეწყდა;

5. თ. გ-ე ხელშეკრულების დადების დროს იყო 83 წლის. იგი არის მარტოხელა, სოციალურად დაუცველი პენსიონერი და მისი პენსია, ხელშეკრულების დადების შემდეგ, სხვადასხვა დროს შეადგენდა: 1. 2002 წლის თებერვლიდან 2004 წლის 1 აპრილამდე, ყოველთვიურად – 14 ლარს; 2. 2004 წლის 1 აპრილიდან 2004 წლის 1 მაისამდე – 17 ლარს; 3. 2004 წლის 1 მაისიდან 2004 წლის 1 ივლისამდე, ყოველთვიურად – 18 ლარს; 4. 2004 წლის 1 ივლისიდან 2005 წლის 1 იანვრამდე, ყოველთვიურად – 20 ლარს; 5. 2005 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის 1 მარტამდე, ყოველთვიურად – 28 ლარს; 6. 2006 წლის 1 მარტიდან 2006 წლის 1 სექტემბრამდე, ყოველთვიურად – 33 ლარს; 7. 2006 წლის 1 სექტემბრიდან 2007 წლის 1 დეკემბრამდე, ყოველთვიურად – 38 ლარს; 8. 2007 წლის 1 დეკემბრიდან 2008 წლის 1 აპრილამდე, ყოველთვიურად – 55 ლარს; 9. 2008 წლის 1 აპრილიდან 2009 წლის 1 იანვრამდე, ყოველთვიურად – 70 ლარს; 10. 2009 წლის 1 იანვრიდან 2009 წლის 1 ნოემბრამდე, ყოველთვიურად – 75 ლარს; 11. 2009 წლის 1 ნოემბრიდან 2011 წლის 1 იანვრამდე, ყოველთვიურად – 80 ლარს. გარდა ამისა, 2006 წლის 1 სექტემბრიდან თ. გ-ე იღებს სოციალურ დახმარებას, ყოველთვიურად 30 ლარს;

6. ხელშეკრულების დადებიდან 2011 წლის 1 იანვრამდე თ. გ-ემ პენსიისა და დახმარების სახით სულ მიიღო 5977 ლარი;

7. 2002-2011 წლის 1 იანვრამდე პერიოდში ერთ სულ მოსახლეზე ყოველთვიური საარსებო მინიმუმი შეადგენდა, საშუალოდ, 120 ლარს;

8. 2002 წლის თებერვლიდან 2011 წლის 1 იანვრამდე გავიდა 107 თვე. ე.ი 2002 წლის თებერვლიდან 2011 წლის 1 იანვრამდე თ. გ-ის საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფისათვის საჭირო იქნებოდა: $120 \times 107 = 12840$ ლარი;

9. თ. გ-ეს არჩენდა მხოლოდ აპელანტის ოჯახი. სხვა გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები თ. გ-ეს სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია, პირიქით, მანვე მიუთითა,

სხვები ვერ მეხმარებოდნენ, რადგან ამას მათ რ. ს-ე უკრძალავდაო.

10. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ საარსებო მინიმუმი არის 120 ლარი, შესაბამისად, ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდში, თ. გ-ის, ყოველ შემთხვევაში, მინიმალური ფიზიოლოგიური და სოციალური მოთხოვნილებები მაინც იყო დაკმაყოფილებული, რადგანაც ამის გარეშე ადამიანი ვერ იცოცხლებს, რაც ნიშნავს, რომ რ. ს-ე მას საარსებო მინიმუმით მაინც უზრუნველყოფდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). აღნიშნული გულისხმობს, მხარის მითითებას საპროცესო კანონმდებლობის დარღვევაზე, ან მტკიცებულებათა არასწორ შეფასებაზე, რის შედეგადაც ფაქტობრივი გარემოებები არასწორად დადგინდა. განსახილველ შემთხვევაში კასატორმა ისარგებლა საპროცესო კანონმდებლობით გარანტირებული შედავების უფლებით და მე-10 პუნქტში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების მიმართ დასაშვები პრეტენზია წარმოადგინა.

საკასაციო სასამართლომ შეამოწმა რა შედავების სამართლებრივი საფუძვლები, მიიჩნევს, რომ კასატორის პრეტენზია გაზიარებულ უნდა იქნეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მონმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით.

იმავე კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლო თავისუფალია მტკიცებულებათა შეფასების პროცესში და შეუძლია, დავის გადანყევტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების შინაგან რწმენაზე დაყრდნობით დადგენა, მაგრამ

აღნიშნული არ გულისხმობს მტკიცებულებების არარსებობის პირობებში გადანყვეტილების ვარაუდზე დაყრდნობით მიღების შესაძლებლობას.

მარტივად რომ ითქვას, სააპელაციო სასამართლომ გადანყვეტილება იმ ვარაუდს დააყრდნო, რომ რადგანაც თ. გ-ე დღემდე ცოცხალია, რ. ს-ე მას საარსებო მინიმუმით მაინც უზრუნველყოფდა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამგვარი მსჯელობა არასწორია.

სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მტკიცებით, მან თ. გ-ის რჩენისათვის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში 20 000 ლარი დახარჯა.

აღნიშნულის საპირისპიროდ, მოპასუხე ამტკიცებდა, რომ რ. ს-ის ოჯახი მას არათუ არ არჩენდა, არამედ მის პირად დანაზოგს ხარჯავდა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ თ. გ-ე იღებს პენსიას და სოციალურ დახმარებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეთა ახსნა-განმარტება ერთ-ერთი მტკიცებულებაა, ამასთან როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის განმარტება თანაბარი იურიდიული ძალის მქონეა და თანაბრად უნდა შეფასდეს სარწმუნოების თვალსაზრისით. მათ შორის წინააღმდეგობის არსებობისას კი, დავის გადანყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტები სხვა მტკიცებულებებზე დაყრდნობით უნდა დადგინდეს.

განსახილველ შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, რ. ს-ე, რომელიც თანხის დაკისრებას ითხოვდა, ვალდებული იყო წარედგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ მან თ. გ-ის რჩენისათვის ეს თანხა გაიღო, რაც მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის თანაბრად განაწილების პირობებში, როდესაც მოსარჩელე საკუთარ მოთხოვნას შესაბამის მტკიცებულებებზე ვერ ამყარებს, აღნიშნული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია, რაც სააპელაციო სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება ფაქტობრივ-სამართლებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებელია, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ და „ე“¹ ქვეპუნქტების თანახმად, მისი გაუქმების საფუძველია.

იმავე კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით კი, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადანყვეტილებას საქმეზე, თუ

არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლითგათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, განსახილველ საქმეზე თავად მიიღოს გადაწყვეტილება, ვინაიდან საქმეში არ არის მტკიცებულება, რომელიც სააპელაციო სასამართლოს არ შეუფასებია, ასევე დავის ფაქტობრივი გარემოებები დადგენას არ საჭიროებს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ რ. ს-ის სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ ორივე მხარე განთავისუფლებულია სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, მაშინ სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით განეულ ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო.

განსახილველ შემთხვევაში, ორივე მხარე განთავისუფლებულია სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, ამდენად სახელმწიფო ბაჟი ბიუჯეტის სასარგებლოდ არ ანაზღაურდება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. რ. ს-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
 2. თ. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
 3. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
 4. რ. ს-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
- საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვით მიღებული სარგებლის მოთხოვნა

განჩინება

№ას-1136-1067-2012

11 თებერვალი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ე. კ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში კ. უ-ის, მ. წ-ის, მესამე პირის – შპს „რ. გ-ის“ წინააღმდეგ და მოითხოვა კ. უ-ისთვის მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვით მიყენებული ზიანის, 255 000 ლარის ანაზღაურების დაკისრება, ასევე, მოითხოვა მ. წ-სა და შპს „რ. გ-ს“ შორის დადებული უძრავი ქონებების ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობა და ქონების 1/2 ნაწილზე მესაკუთრედ აღიარება შემდეგი დასაბუთებით:

მოსარჩელის განმარტებით, მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული, მოპასუხე კ. უ-ის სახელზე რეგისტრირებული, უძრავი ქონება მდებარე ოზურგეთის რაიონში, დაბა უ-ში 400,78 კვ.მ მიწის ნაკვეთი; ბორჯომის რაიონში, დაბა ბ-ში მდებარე 926 კვ.მ მიწის ნაკვეთი; ოზურგეთის რაიონში, დაბა უ-ში 799 კვ.მ მიწის ნაკვეთი; ასევე დუშეთში, სოფელ ც-ში მდებარე უძრავი ქონება გაასხვისა კ. უ-მა, რითაც მოსარჩელეს მიაყენა ზიანი. ე. კ-ემ და კ. უ-მა სამშენებლო კომპანია შპს „რ. გ-ში“ შეიტანეს თანხა უძრავი ქონებების შესაძენად, კერძოდ: ჭ-ის გამზირი 5, მე-5 სართული, 1 ბლოკში მდებარე 148,80 კვ.მ ბინა №11 და 75,20 კვ.მ ბინა №12, ასევე ი. ჭ-ის გამზირი 5, (ბლოკი 1) №26 ავტოსადგომი და ცალკე მდგომი ავტოფარეხი №16. 2010 წლის 9 სექტემბერს აღნიშნულ უძრავ ქონებებზე სამშენებლო კომპანია შპს „რ. გ-სა“ და მ. წ-ს შორის მოჩვენებით დაიდო ხელშეკრულებები.

მოპასუხე კ. უ-მა მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელი არ ცნო.

მოპასუხეებმა მ. ნ-სა და შპს „რ. გ-ს“ შორის დადებული უძრავი ქონებების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და ქონების 1/2 ნაწილზე მესაკუთრედ ცნობის თაობაზე სარჩელი არ ცნეს.

მათი განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებით უდავო ფაქტობრივ გარემოებადაა მიჩნეული, რომ კ. უ-ის მიერ გასხვისებული მიწის ნაკვეთების ღირებულებაა 3000, 8500 და 17000 ლარი, ხოლო დუშეთში, სოფელ ც-ში მდებარე უძრავი ქონების ფასი შეადგენს 40 000 ლარს, შესაბამისად, მოსარჩელის ინიციატივით უძრავ ქონებებზე განხორციელებული აუდიტორული შეფასება არ შესაბამეობა მათ რეალურ ღირებულებას, ამავდროს არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი. რაც შეეხება უძრავი ნივთების – ბინებისა და ავტოფარეხების ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობას, აღნიშნულ ხელშეკრულებებს წინ უძღვოდა მ. ნ-სა და შპს „რ. გ-ს“ შორის დადებული წინარე ხელშეკრულებები, რომლის საფუძველზეც, 2010 წელს გაფორმდა ძირითადი ხელშეკრულებები. კ. უ-ს არ მიუღია მონაწილეობა ხელშეკრულებების გაფორმებისას.

მესამე პირის შპს „რ. გ-ის“ წარმომადგენელმა განმარტა, რომ მ. ნ-თან უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებების დადებას წინ უძღვოდა წინარე ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, 2010 წელს მხარეთა შორის გაფორმდა ძირითადი ხელშეკრულებები. უძრავი ქონებების ღირებულება გადაიხადა მ. ნ-მა და კ. უ-ი არ წარმოადგენდა ხელშეკრულების მონაწილე მხარეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილებით კ. უ-ს ე. კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვით მიყენებული ზიანის, 255 000 ლარის ანაზღაურება; ე. კ-ის სარჩელი მ. ნ-სა და შპს „რ. გ-ს“ შორის დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობისა და ქონების 1/2 წილზე მესაკუთრედ ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა კ. უ-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 30 მაისის განჩინებით კ. უ-ის სააპელა-

ციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა შემდეგი დასაბუთებით: პა-ლატამ აღნიშნა, რომ კ. უ-მა სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება ზიანის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, რაც ცხადყოფდა, რომ სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენდა ზიანის ანაზღაურების ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მართლზომიერება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ე. კ-ის სასარჩელო მოთხოვნა ქორწინების პერიოდში შექმნილი კ. უ-ის სახელზე რეგისტრირებულ შემდეგ უძრავ ქონებაზე: ოზურგეთის რაიონში, დაბა უ-ში მდებარე 400,78 კვ.მ. მიწის ნაკვეთის; ბორჯომის რაიონში, დაბა ბ-ში მდებარე 926 კვ.მ. მიწის ნაკვეთის; ოზურგეთის რაიონში, დაბა უ-ში მდებარე 799 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და დუშეთში, სოფელ ც-ში მდებარე ქონებაზე კ. უ-ის მიერ დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობის თაობაზე. ამავე გადაწყვეტილების 3.1.4. და 3.1.5. პუნქტის შესაბამისად, უძრავი ქონებების ფასი ნასყიდობის ხელშეკრულებების შესაბამისად განსაზღვრულია 68 500 ლარით.

ოზურგეთის რაიონში, დაბა უ-ში მდებარე 401,00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი 26.28.11.020) საბაზრო ღირებულება შეადგენს 32000 აშშ დოლარს; ოზურგეთის რაიონში, დაბა უ-ში მდებარე 799,00 კვ.მ (საკადასტრო კოდი 26.28.11.018) მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება შეადგენს 64 000 აშშ დოლარს; ბორჯომის რაიონში, დაბა ბ-ში მდებარე 926 კვ.მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება შეადგენს 37000 აშშ დოლარს (საკადასტრო კოდი: 64.30.02.040); დუშეთში, სოფელ ც-ში მდებარე უძრავი ქონების (სარეგისტრაციო ზონა დუშეთი-71, სექტორი ანური, კვარტალი №07, ნაკვეთი №059) საბაზრო ღირებულება შეადგენს 289 500 ლარს.

2010 წლის 10 სექტემბერს შპს „რ. გ-სა,“ და მ. ნ-ს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებების საგანს შეადგენს უძრავი ნივთი, მდებარე: ქ. თბილისი, ჭ-ის გამზ. №5, ავტოსადგომი (ბლოკი 1) №26 და იმავე მისამართზე მდებარე ცალკე მდგომი ავტოფარეხი №16.

2010 წლის 10 სექტემბერს შპს „რ. გ-სა,“ და მ. ნ-ს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებების საგანს შეადგენს ქ. თბილისში, ჭ-ის გამზ. №5-ში, მე-5 სართულზე მდებარე ბლოკი 1, ბინა №12 და იმავე მისამართზე მდებარე ბინა №11. მითითებული უძრავი ნივთები საჯარო რეესტრში, ხელშეკრულებების შესაბამისად, აღირიცხა მ. ნ-ის სახელზე.

ქ. თბილისში ჭ-ის გამზ. №5-ში მდებარე №26 ავტოსადგომი (ბლოკი 1) და იმავე მისამართზე მდებარე ცალკე მდგომი №16 ავტოფარეხი, ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია კ. უ-ის სახელზე.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მტკიცება, რომ კ. უ-თან ერთად წარმოადგენდა სადავო უძრავი ქონების (ბინების და ავტოფარეხების) მყიდველს და მ. ნ-სა და შპს „რ. გ-თან“ დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებები ბათილია.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე, 409-ე და 412-ე მუხლები) და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა (სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლი). პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლის 1-ლი ნაწილზე, რომლის თანახმად, პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს ამით მიყენებული ზიანი.

განსახილველ შემთხვევაში, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მიუხედავად იმისა, რომ უძრავი ნივთები: 1. ოზურგეთის რაიონში, დაბა უ-ში მდებარე 401,00 კვ.მ მიწის ნაკვეთი; 2. ოზურგეთის რაიონში, დაბა უ-ში მდებარე 799,00 კვ.მ მიწის ნაკვეთი; 3. ბორჯომის რაიონში, დაბა ბ-ში მდებარე 6926,00 კვ.მ მიწის ნაკვეთი 4. დუშეთის რაიონში, სოფელ ც-ში მდებარე უძრავი ქონება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, წარმოადგენდა მოსარჩელე ე. კ-ისა და მოპასუხე კ. უ-ის თანასაკუთრებას, როგორც მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება, მოპასუხე კ. უ-მა განკარგა დამოუკიდებლად, თანამესაკუთრესთან შეთანხმებლად.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასებებს საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან და-

კავშირებით და მიუთითა, რომ ე. კ-ის მოთხოვნა კ. უ-ის მიმართ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლის მიხედვით, გამართლებული იყო, რადგან მოპასუხემ, როგორც არაუფლებამოსილმა პირმა, განკარგვის გზით – მოსარჩელის საკუთრება გადასცა მესამე პირს – ხელყო ე. კ-ის ქონება.

პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლზე, რომლის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, ანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ამავე კოდექსის 409-ე მუხლის თანახმად, თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია, მაშინ კრედიტორს შეიძლება, მიეცეს ფულადი ანაზღაურება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. ზემოაღნიშნული მუხლების ანალიზიდან გამომდინარე, სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა მასზე, რომ მოპასუხე კ. უ-ს მოსარჩელე ე. კ-ისათვის უნდა აენაზღაურებინა ქონების მისი კუთვნილი 1/2 წილის გასხვისებით მიყენებული ზიანი, კერძოდ – 255 000 ლარი.

პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საქმეში წარდგენილი აუდიტორული დასკვნების თანახმად, გასხვისებული სადავო უძრავი ნივთების საბაზრო ღირებულება განისაზღვრებოდა 133 000 (32000 + 64 000 + 37000) აშშ დოლარით და 289 500 ლარით. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, დასახელებულ გარემოებათა საპირისპირო მტკიცებულება, მოპასუხეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია, შესაბამისად, უძრავი ქონების განკარგვით მიყენებული ზიანი უნდა განისაზღვრულიყო სადავო ქონების მოსარჩელის კუთვნილი 1/2 წილის შესაბამისად – 255 000 ლარით.

პალატამ არ გაიზიარა აპელანტის პოზიციას იმის თაობაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლი. აღნიშნული ნორმის მესამე ნაწილის თანახმად – მეუღლეს, როგორც თანამესაკუთრეს, უფლება აქვს, მოითხოვოს ქონების განკარგვით მიღებული სარგებელი. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელემ დააზუსტა მოთხოვნა და მოითხოვა არა მიღებული სარგებელი, არამედ, ქონების განკარგვით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად შეაფასა საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი

გარემოებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმების შედეგად დაასკვნა, რომ სააპელაციო საჩივარი, დაუსაბუთებლობის გამო, დაკმაყოფილებას არ ექვემდებარებოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 30 მაისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა კ. უ-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის შემდეგი საფუძვლებით:

კასატორის განმარტებით, როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლომ დაარღვიეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნები, ვინაიდან საქმის ფაქტობრივი გარემოებები დადასტურდა არა იმ მტკიცებულებებით, რომლითაც უნდა დადასტურებულიყო, არამედ ისეთი აუდიტორული დასკვნებით, რომელთა სისწორე ეჭვს იწვევს და, რომლებიც აბსოლუტურად სხვა მესაკუთრის ქონებაზეა გაცემული. სასამართლომ ასევე არასწორად შეაფასა, როგორც კასატორის, ასევე მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნები.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ ასევე დაარღვია იმავე კოდექსის 106-ე, მუხლი, მაშინ, როდესაც არ შეაფასა საქმეში არსებული 2010 წლის 9 მარტის იგივე მხარეებს შორის გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, უდავო ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენდა ის, რომ 2009 წელს, სხვადასხვა დროს კ. უ-მა გაასხვისა მეულღეთა თანასაკუთრებაში არსებული ქინება, რომლის საერთო ღირებულება შეადგენდა 68 500 ლარს.

კასატორის აზრით, სააპელაციო პალატამ ასევე დაარღვია იმავე კოდექსის 251-ე, 377-ე მუხლები. სამოქალაქო კოდექსის 1160-ე და 1164-მუხლები, რაც გახდა საფუძველი საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღებისა.

კასატორმა ასევე სადავოდ გახადა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 23 მაისის საოქმო განჩინება, კერძოდ, კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მისი შუამდგომლობა სამოქალაქო საქმის №2/6623-09-ის გამოთხოვაზე. ამასთან, პირველი ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა №2/6623-

09-ის საქმის გამოთხოვის შუამდგომლობა, მაგრამ საქმე მაინც არ იქნა გამოთხოვილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კ. უ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ:

ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა;

ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას 2012 წლის 23 მაისის საოქმო განჩინების არაკანონიერების თაობაზე. კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მისი შუამდგომლობა სამოქალაქო საქმის №2/6623-09-ის გამოთხოვაზე. ამასთან ერთად, კასატორი აღნიშნავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა №2/6623-09-ის საქმის გამოთხოვის შუამდგომლობა, მაგრამ საქმე მაინც არ იქნა გამოთხოვილი.

ამასთან მიმართებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

გასათვალისწინებელია, რომ გამოსათხოვ საქმეზე მიღებული კანონიერ ძალაში შესული 2010 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება ერთვის განსახილველ საქმეს, სადაც მითითებულია კ. უ-ის მიერ გასხვისებული ქონების ღირებულება. კასატორი ვერ ასაბუთებს, თუ რა მნიშვნელობა გააჩნია 2/6623-09-ის საქმეში არსებულ მტკიცებულებებს (რომელ ფაქტებს ადასტურებენ)

და რა გავლენას მოახდენენ ისინი დავის სწორად გადანყვეტაზე იმ პირობებში, როდესაც განსახილველ საქმეში წარმოდგენილია №2/6623-09-ის საქმეზე მიღებული და კანონიერ ძალაში შესული 2010 წლის 9 მარტის გადანყვეტილება. ასევე, მხარეს შეეძლო №2/6623-09-ის საქმეში არსებული მტკიცებულებები წარმოედგინა სასამართლოში, მხარე არ ასაბუთებს თუ რამ განაპირობა მათი წარმოდგენის შეუძლებლობა. აქედან გამომდინარე, არ არსებობს 2012 წლის 23 მაისის საოქმო განჩინების გაუქმების საფუძველი.

ამასთან ერთად საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე. კერძოდ,

სააპელაციო სასამართლომ დადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ უძრავი ნივთები: 1. ოზურგეთის რაიონში, დაბა უ-ში მდებარე 401,00 კვ.მ მიწის ნაკვეთი; 2. ოზურგეთის რაიონში, დაბა უ-ში მდებარე 799,00 კვ.მ მიწის ნაკვეთი; 3. ბორჯომის რაიონში, დაბა ბ-ში მდებარე მ926,00 კვ.მ მიწის ნაკვეთი 4. დუშეთის რაიონში, სოფელ ც-ში მდებარე უძრავი ქონება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, წარმოადგენდა მოსარჩელე ე. კ-ისა და მოპასუხე კ. უ-ის თანასაკუთრებას, როგორც მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება, მოპასუხე კ. უ-მა განკარგა დამოუკიდებლად, თანამესაკუთრესთან შეუთანხმებლად.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საქმეში წარდგენილი აუდიტორული დასკვნების თანახმად, გასხვისებული სადავო უძრავი ნივთების საბაზრო ღირებულება განისაზღვრება 133 000 (32000 + 64 000 + 37000) აშშ დოლარით და 289 500 ლარით. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითებულ გარემოებათა საპირისპირო მტკიცებულება, მოპასუხეს არ წარმოუდგენია, შესაბამისად, უძრავი ქონების განკარგვით მიყენებული ზიანი უნდა განისაზღვროს სადავო ქონების მოსარჩელის კუთვნილი 1/2 წილის შესაბამისად – 255 000 ლარით.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ არის საკმარისი სასამართლოს მიერ მიღებული სამართლებრივი დასკვნებისათვის.

უპირველეს ყოვლისა, ყურადღაღება მოსარჩელის მოთხოვნა. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ დაზუსტდა მოთხოვნა და მოითხოვა არა მიღებული სარგებელი, არამედ – ქო-

ნების განკარგვით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

აღნიშნულთან მიმართებით საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს საკასაციო პრეტენზიაზე, რომელშიც კასატორი უთითებს სასამართლო სხდომის ოქმის 14:36:28 – 14:37:07 ჩანაწერზე. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლოს სხდომის ოქმიდან და საქმეში არსებული მასალებიდან არ არის მკაფიოდ გამოხატული მოსარჩელის მოთხოვნა და საფუძვლები. ზემომითითებული ჩანაწერის მიხედვით ე. კ-ის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ იგი აზუსტებს მოთხოვნას და ითხოვს ზიანის ანაზღაურებას, მაგრამ ის უარს არ ამბობს სარგებლის მოთხოვნაზე. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლო ადგენს, რომ მოსარჩელე სარგებლის ნაცვლად ითხოვს ზიანის ანაზღაურებას. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა განსაზღვროს მოსარჩელის მოთხოვნები და ამ მოთხოვნების საფუძვლები.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაშიც, თუ მოსარჩელე ითხოვს არა სარგებელს, არამედ – ქონების განკარგვით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი მსჯელობა ეხება სარგებლის დაბრუნების დასაბუთებას და, შესაბამისად, ყურადღებას არ ამახვილებს, ზიანის შესაბამისი მატერიალურსამართლებრივი ნორმების საფუძველზე, ზიანთან დაკავშირებულ ფაქტობრივ გარემოებებზე, კერძოდ, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის პირობებში, ზიანს წარმოადგენს აქტივის შემცირება და პასივის გაზრდა. უნდა ვიფიქროთ, რომ კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით ადგილი აქვს მეუღლის მიერ ურთიერთშეთანხმების პრინციპის დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსი იცნობს სხვადასხვა სახის ზიანის ინსტიტუტს, მათ შორის რეალურ ზიანსა და მიუღებელ შემოსავალს. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი მიუხედავად იმისა, რომ ეხება მიუღებელ შემოსავლის ანაზღაურების ინსტიტუტს, მიგვითითებს იმაზე, რომ ზიანი შეიძლება წარმოადგენდეს ფაქტობრივად დამდგარ ქონებრივ დანაკლისსა და მიუღებელ შემოსავალს. კონკრეტული სადავო ურთიერთობის ფარგლებში განმარტებას მოითხოვს ზიანი, როგორც ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისი, რადგან საკითხი ეხება მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების არამართლზომიერი განკარგვით მიყენებულ ზიანს.

ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისი წარმოად-

გენს დადებით, ანუ მატერიალიზებულ ზიანს, რაც ხელყოფის, ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების (და ა.შ.) შედეგია.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, ისმის კითხვა, თუ რაში გამოიხატა ზიანი. თუ ჩვენ მხედველობაში გვაქვს ქონების განკარგვით მიღებული თანხა, მაშინ ეს არა ზიანი, არამედ – სარგებელია. თუ ჩვენ მხედველობაში გვაქვს მეუღლის მიერ თანასაკუთრებაში არსებული ქონების ისეთი განკარგვა, რომლის სარგებელი არის იმაზე ნაკლები, ვიდრე ქონების რეალური ღირებულება, მაშინ ეს შესაძლებელია იყოს ზიანი, მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც კვლევას მოითხოვს ისეთი ფაქტები, როგორიცაა: გასხვისების დროს არსებული ქონების ღირებულება; შემცირებული ღირებულების განპირობებული გარემოებები და ა.შ.

აქედან გამომდინარე, გასაჩივრებული გადაწყვეტილებიდან არ იკვეთება იმ სამართლებრივი წინაპირობების კვლევა (ფაქტობრივი გარემოებები), რომლებიც მიგვითითებს მოთხოვნის საფუძვლიანობაზე.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ურთიერთობაზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლის მე-3 ნაწილის ნაცვლად უნდა გამოყენებულიყო ამავე კოდექსის 982-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 408-ე, 409-ე და 412-ე მუხლები.

საკასაციო პალატა, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მეუღლეს, როგორც თანამესაკუთრეს, უფლება აქვს, მოითხოვოს ქონების განკარგვით მიღებული სარგებელი. აღნიშნული ნორმა უშუალოდ უკავშირდება ამავე მუხლის პირველ და მეორე ნაწილებს. ე.ი. იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ქონების დაბრუნების წინაპირობები, მეუღლეს შეუძლია, მოითხოვოს ქონების განკარგვით მიღებული სარგებელი, რაც, კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება წარმოადგენდეს იმ თანხის ნახევარს (მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების თავისი წილის ღირებულება), რაც ქონების განკარგვით მიიღო ა. უ-მა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადაამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს ამით მიყენებული ზიანი. განსახილველი ნორმით გათვა-

ლისწინებული „ზიანი“ წარმოადგენს არა ზიანის ანაზღაურების შემთხვევას, არამედ, საქმე გვაქვს გამდიდრების გათანაბრებასთან. ამ შემთხვევაში ყურადსაღებია, რომ განსახილველი ნორმა მოცემულია უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტით, რაც მიგვითითებს ამ ნორმით გათვალისწინებული ზიანის გათანაბრებას უსაფუძვლო გამდიდრებასთან, ანუ როგორც ხელყოფის კონდიქციისათვის არის დამახასიათებელი, ამ ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი არის ის, რომ ხელყოფმა უნდა გაუთანაბროს უფლების მქონე პირს მის უფლებაში ჩარევა. მსგავსად შესრულების კონდიქციისა, გათანაბრების მოთხოვნის ოდენობის დადგენისას გამოყენებულ უნდა იქნეს ამავე კოდექსის 979-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები, რომლის ანალიზის თანახმად, მიღებული სარგებელის დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში (სარგებელი „გახარჯულია“ მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განსხვისებით), მიმღებმა უნდა დააბრუნოს მისი ღირებულება (ამ შემთხვევაში მიღებული თანხის ნახევარი).

როგორც ვხედავთ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლის მე-3 ნაწილი იმავე სამართლებრივ შედეგს ითვალისწინებს, რადგან ამ ნორმის კონტექსტში „სარგებელს“ წარმოადგენს არა უშუალოდ გასხვისებული ქონების დაბრუნება, არამედ გასხვისების შედეგად მიღებული სეკეთე. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლის 1-ლი ნაწილში მითითებულ ზიანში იგულისხმება მიღებულის დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში მისი ღირებულების ანაზღაურება.

უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის გათვალისწინებით, კრედიტორს შეუძლია, მოითხოვოს მოგება, რომელიც აღემატება ქონებრივ დანაკლისს ამავე კოდექსის 985-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კერძოდ, თუ ხელმოყოფმა განზრახ არ გაითვალისწინა სხვა პირის უფლებამოსილება, მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლია, მოითხოვოს ის მოგება, რომელიც აღემატება ქონებრივ დანაკლისს. მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში, გასაჩივრებული გადაწყვეტილების თანახმად, ხელყოფის განზრახვის ფორმა არ არსებობს. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ განსხვავებით 985-ე მუხლისაგან სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი ზიანის ანაზღაურებას აკისრებს მოვალეს მიუხედავად იმისა, ეს უკანასკნელი კეთილსინდისიერი იყო თუ არა.

ამადენად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სარგებლის დაბრუნების მოთხოვნასა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნ-

ნას გააჩნია სხვადასხვა საფუძვლები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლის მე-3 ნაწილი, როგორც აღინიშნა, აძლევს უფლებას დაზარალებულ მეუღლეს, მოითხოვოს მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვით მიღებული სარგებელი, იმ პირობებში, როდესაც შეუძლებელია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა. სარგებელს წარმოადგენს ის აქტივი, რაც მიიღო მეუღლემ (კ. უ-მა) და რომლის ნახევრის მიღების უფლება აქვს მეორე მეუღლეს, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ მეორე მეუღლემ ამით მიიღო ზიანი (გაეზარდა პასივი), მას, ასევე შეუძლია, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რაზედაც უნდა დამატებით მიუთითებდნენ შესაბამისი ფაქტები.

კონკრეტულ შემთხვევაში, დადგენილია და დავას არ იწვევს ის ფაქტობრივი მდგომარეობა, რომ კ. უ-მა მეუღლის თანხმობის გარეშე გაასხვისა მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონება.

სააპელაციო სასამართლომ ზიანის ოდენობის განსაზღვრისას საკმარისად მიიჩნია საქმეში წარდგენილი აუდიტორული დასკვნები, რომლის თანახმად, გასხვისებული სადავო უძრავი ნივთების საბაზრო ღირებულება განისაზღვრება 133 000 (32000 + 64 000 + 37000) აშშ დოლარით და 289 500 ლარით. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითებულ გარემოებათა საპირისპირო მტკიცებულება, მოპასუხის მიერ სასამართლოში წარდგენილი არ ყოფილა, შესაბამისად, უძრავი ქონების განკარგვით მიყენებული ზიანი უნდა განისაზღვროს სადავო ქონების მოსარჩელის კუთვნილი 1/2 წილის შესაბამისად – 255 000 ლარით.

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა საქმეში არსებული 2010 წლის 9 მარტის იმავე მხარეებს შორის გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, კერძოდ, ამ გადაწყვეტილების თანახმად, უდავო ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენდა ის, რომ 2009 წლის სხვადასხვა რიცხვებში კ. უ-მა გაასხვისა მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონება, რომლის საერთო ღირებულება შეადგენდა 68 500 ლარს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხა-

რეები მონაწილეობენ, არ საჭიროებს დამტკიცებას.

ამ ფაქტების პრეიუდიციულ მნიშვნელობას განსაზღვრავს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილია იმავე მხარეების მიმართ. აღნიშნულ ფაქტებში იგულისხმება ისეთი იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, რომლითაც განსაზღვრულია მხარეთა მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები, რაც საფუძვლად დაედო გადაწყვეტილების გამოტანას.

ამდენად, განსახილველი ნორმის თანახმად, ფაქტების პრეიუდიციული მნიშვნელობის შემოწმების დროს მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო იმ პროცესუალურსამართლებრივ კრიტერიუმებს, რომლითაც განისაზღვრება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ფორმალური მოთხოვნები (კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოება თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ), არამედ ამ გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივი გარემოების შინაარსს (რომელი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზეც იქნა მიღებული გადაწყვეტილება). კონკრეტულ შემთხვევაში, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებიდან ვლინდება, რომ უდავოდ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს გასხვისებული ქონების ღირებულება.

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ამ ფაქტებს მნიშვნელობა აქვს არა მარტო სარგებლის, არამედ ზიანის მოთხოვნის საფუძვლების შესამოწმებლად. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მივიჩნევთ, რომ მოსარჩელე ითხოვს არა სარგებელს, არამედ ზიანის ანაზღაურებას, მაშინ შესაბამის შეფასებას მოითხოვს როგორც ზემომითითებული გადაწყვეტილება, ასევე საქმეში წარმოდგენილი აუდიტორული დასკვნები, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს განჩინებიდან არ ირკვევა აუდიტორული დასკვნების მიხედვით გასხვისებული ქონების ღირებულების შეფასების პერიოდი, ანუ რომელი დროის პერიოდს მოიცავს ქონების ღირებულება.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს აუდიტორული დასკვნები, საქმეში არსებულ მასალებთან ერთობლივად და დადგინოს 2009 წლის მდგომარეობით კ. უ-ის მიერ გასხვისებული ქონების საბაზრო ღირებულება და გამოიკვლიოს, თუ რაში გამოიხატა 2009 წელს მიუღწეველი თანასაკუთრებაში არსებული ქონების გასხვისებით მიყენებული ზიანი. ზიანის ინსტიტუტიდან გამომდინ-

ნარე, გადანყვეტილებიდან არ ირკვევა, რომ აუდიტორული დასკვნებით დადგენილი ქონების ღირებულება ეს ის თანხაა, რაც უნდა მიეღო ალექსანდრე უ-ს და არ მიიღო, შესაბამისად, არ იკვეთება, რომ უძრავი ნივთების საბაზრო ღირებულება 133 000 (32000 + 64 000 + 37000) აშშ დოლარი და 289 500 ლარი ეს ის თანხაა, რომლის ღირებულებას შეადგენდა 2009 წლის პერიოდისათვის, ანუ ა. უ-ის მიერ ამ ქონების განსხვავების მომენტში. არ იკვეთება გარემოებები, რომლებმაც განაპირობეს თანხის შემცირება, რაც ასევე მოითხოვს კვლევას. ამდენად, ზიანის ანაზღაურებისათვის უნდა არსებობდეს სამართალდარღვევის შემადგენლობა, რაც მოითხოვს კვლევას, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია, მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის.

ამდენად, საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ, ზემოაღნიშნული დასაბუთების გათვალისწინებით, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით უნდა შეამოწმოს სასარჩელო მოთხოვნა და საფუძველი და თავის გადანყვეტილებაში დაასაბუთოს გამოსაკვლევი მოთხოვნის კანონიერება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. კ. უ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 30 მაისის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამკვიდროს მიღება

ბანრინება

№ას-373-354-2013

23 დეკემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: სამკვიდრო მონუმობის ბათილად აღიარება,
მესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. წ-ამ და ბ. ჭ-ამ ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში ლ. ჭ-ას წინააღმდეგ სარჩელი აღძრეს და მოითხოვეს 2012 წლის 2 აგვისტოს ლ. ჭ-ას სასარგებლოდ ს. ჭ-ას სამკვიდროზე გაცემული სამკვიდრო მონუმობის ბათილად ცნობა და ლ. ჭ-ას საკუთრებაში რეგისტრირებული ქ. ზუგდიდში, ყ-ას ქ. №60-ში მდებარე უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდი ...) მესაკუთრედ ცნობა.

მოსარჩელეთა განმარტებით, ს. ჭ-ა არის მოპასუხის მამა. იგი 1986 წლიდან ცხოვრობდა ქ. ზუგდიდში, ყ-ას ქ. №60-ში. ს. ჭ-ამ კუთვნილი მიწის ნაკვეთი გაუყო ორ ვაჟიშვილს – რ. ჭ-სა და ო. ჭ-ას. მას შემდეგ, ო. ჭ-ა, მეუღლე მ. წ-ან ერთად ცხოვრობდა მამის მიცემულ ნაკვეთზე აშენებულ სახლში. ს. ჭ-ა 2002 წელს გარდაიცვალა. ო. ჭ-ა გარდაიცვალა 2010 წლის 17 ივნისს. მისი გარდაცვალების შემდეგ მ. წ-ა და ბ. ჭ-ა აგრძელებენ ცხოვრებას ს. ჭ-ას მიერ გადაცემულ ნაკვეთზე აშენებულ სახლში. ლ. ჭ-ამ, ნოტარიუსს დაუმალა სხვა მემკვიდრეების არსებობის თაობაზე და მოტყუებით მიიღო სამკვიდრო მონუმობა, როგორც ს. ჭ-ას ერთადერთმა მემკვიდრემ, რაც დასტურდება კანონიერ ძალაში შესული განაჩენით.

მოპასუხის განმარტებით, მან ფაქტობრივი ფლობით მიიღო სამკვიდრო, ხოლო მ. ჭ-ამ და რ. ჭ-ამ სამკვიდროდან კუთვნილი წილი მის სასარგებლოდ დათმეს. მოსარჩელებს სამკვიდრო არ მიუღიათ და არც მუდმივად ცხოვრობდნენ ქ. ზუგდიდში, ყ-ას ქ. №60-ში, როგორც ეს სარჩელშია მითითებული. ამასთან, მოპასუხე აღიარებს მოსარჩელების, როგორც ო. ჭ-ას მემკვიდრეების, უფლებას ს. ჭ-ას სამკვიდროს 1/4-ზე.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 29 ნოემბრის

გადაწყვეტილებით მ. ნ-სა და ბ. ჭ-ას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი 2012 წლის 2 აგვისტოს ლ. ჭ-ას სასარგებლოდ ს. ჭ-ას სამკვიდროზე გაცემული სამკვიდრო მონობა 1/4 ნაწილში და ლ. ჭ-ას საკუთრებაში რეგისტრირებული ქ. ზუგდიდში, ყ-ას ქ. №60-ში მდებარე უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდი ...) 1/4 ნაწილის მესაკუთრედ ცნობილი იქნენ მ. ნ-ა და ბ. ჭ-ა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს, მისი გაუქმებისა და ხალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილების მოთხოვნით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 20 თებერვლის განჩინებით მ. ნ-სა და ბ. ჭ-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. 2012 წლის 2 აგვისტოს ლ. ჭ-ამ მიიღო სამკვიდრო მონობა მისი გარდაცვლილი მამის ს. ჭ-ას სამკვიდროზე და ამ გზით საკუთრებაში დაარეგისტრირა ქ. ზუგდიდში, ყ-ას ქ. №60-ში მდებარე უძრავი ნივთი;

2. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 20 იანვრის განაჩენით, საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, ლ. ჭ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. განაჩენი შესულია კანონიერ ძალაში. განაჩენის მიხედვით, ლ. ჭ-ამ კანონსაწინააღმდეგოდ მიიღო ს. ჭ-ას სხვა მემკვიდრეების წილი;

3. ს. ჭ-ა გარდაიცვალა 2002 წლის 22 აპრილს. შესაბამისად მის ქონებაზე სამკვიდრო ამ დღეს გაიხსნა;

4. საქმის მასალების მიხედვით კანონით დადგენილ ვადაში სამკვიდრო მიიღეს ს. ჭ-ას კანონით პირველი რიგის შემდეგმა მემკვიდრეებმა: ლ. ჭ-ამ, რ. ჭ-ამ, ო. ჭ-ამ და მ. ჭ-ამ. მათ მონაწილეობა მიიღეს მამის დაკრძალვაში, გარდაცვალების დღიდან ჯერ კიდევ დაკრძალვამდე დაეუფლნენ მამის უძრავ-მოძრავ ქონებას და ურთიერთშეთანხმებით ლეზულობდნენ გადაწყვეტილებებს მამის ქონებასთან დაკავშირებით;

5. პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხვისას მემკვიდრეების ჩვენებების შინაარსიდან ცალსახაა, რომ არ არსებობდა მათი მხრიდან კანონით დადგენილ ვადაში სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის წინამძღვრე-

ბი. მათი ურთიერთდამოკიდებულება და იმ პერიოდისთვის განხორციელებული მოქმედებები სწორედ რომ გამოხატავდა მემკვიდრეების მიერ სამკვიდროს მიღების სურვილს;

6. ლ. ჭ-ას გარდა, არცერთ სხვა მემკვიდრეს სამკვიდრო მონაშთის მისაღებად ნოტარიუსისთვის არ მიუმართავს;

7. მამკვიდრებელ ს. ჭ-ას ჰყავდა სხვა შვილიც – მ. ჭ-ა, რომელიც არ იყო ცოცხალი ლ. ჭ-ას მიერ სამკვიდრო მონაშთის მიღებისას. მის მიერ სამკვიდროს მიღება არ წარმოადგენს მტკიცების საგანს, რადგან მხარეები ამ გარემოებაზე არ მიუთითებენ;

8. ლ. ჭ-ას მიერ სამკვიდრო მონაშთის მისაღებად კანონით გათვალისწინებული პროცედურების გავლისას ს. ჭ-ას მემკვიდრეებიდან რ. ჭ-ამ და მ. ჭ-ამ გამოხატეს იმგვარი ნება, რომლითაც სურდათ სამკვიდროდან მათ წილზე ლ. ჭ-ას საკუთრების უფლების აღიარება (გადაცემა), თუმცა ამ ნების გამოხატვისას მთლიანად მიენდნენ ნოტარიუსის და ლ. ჭ-ას წარმომადგენლის კონსულტაციებს და ხელი მოაწერეს მათ მიერ შედგენილ დოკუმენტებს იმ მიზნით, რომ ამ ხელმოწერების შედეგად, მათი წილი ქონება მამის სამკვიდროდან გადასულიყო ლ. ჭ-ას საკუთრებაში;

9. პირველი ინსტანციის სასამართლოში ნოტარიუსმა მონაშთის სახით დაკითხვისას (29.11.12 სხდომის ოქმი 18:56:45-დან), განმარტა, რომ ჰქონდა წარმოდგენილი მემკვიდრეების მიერ ფაქტობრივი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, მემკვიდრეებს სურდათ სამკვიდრო მონაშთა და საკუთრება მათ წილზეც მიეღო ლ. ჭ-ას და ვინაიდან სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის ვადა გასული იყო, სანოტარო მოქმედებათა შესრულების შესახებ ინსტრუქციის მიხედვით შეადგინა დოკუმენტი სამკვიდროს მიუღებლობის შესახებ, რასაც ხელი მოაწერა მ. ჭ-ამ და რ. ჭ-ას რწმუნებით ნ. კ-ამ. ანუ ამ გზით მემკვიდრეები შეთანხმდნენ მამის სამკვიდროს გაყოფის წესზე და დათმეს თავიანთი უფლებები ერთ-ერთი მემკვიდრის ლ. ჭ-ას სასარგებლოდ.

10. ო. ჭ-ა (პ/ნ ...) გარდაიცვალა 2010 წლის 17 ივნისს, შესაბამისად, ამ დღეს გაიხსნა სამკვიდრო მის ქონებაზე. ო. ჭ-ას ფაქტობრივი დაუფლებით მიღებული ჰქონდა მამის ს. ჭ-ას სამკვიდრო, რის გამოც ო. ჭ-ას სამკვიდრო მასაში შედიოდა ს. ჭ-ას სამკვიდროს შესაბამის ნაწილზე მემკვიდრეობის უფლება, რომელზეც საკუთრება მას სიცოცხლეში არ დაურეგისტრირებია.

11. ო. ჭ-ას კანონით პირველი რიგის მემკვიდრეებმა ბ. ჭ-ამ (შვილმა) და მ. ნ-ამ (მეუღლემ) ფაქტობრივი დაუფლებით მიიღეს ო. ჭ-ას სამკვიდრო. სააპელაციო სასამართლოს მითითე-

ბით, სამოქალაქო კოდექსის 1503-ე მუხლის დანაწესებით სამკვიდრო მონაწილეობა შეიძლება გაიცეს როგორც მთელ სამკვიდროზე, ასევე მის ნაწილზე. მონაწილეობა მიეცემა ყველა მემკვიდრეს ერთად ან თითოეულს ცალ-ცალკე მათი სურვილისამებრ. სამკვიდრო მონაწილეობის მიცემა ერთი მემკვიდრისათვის სამკვიდროს ნაწილზე არ ართმევს უფლებას სხვა მემკვიდრეებს, მიიღონ მონაწილეობა სამკვიდროს დანარჩენ ნაწილზე.

სააპელაციო სასამართლოს მტკიცებით, ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ლ. ჭ-ას წილი 3/4-ით უნდა განსაზღვრულიყო, რადგან ო. ჭ-ას, რომელმაც მამის – ს. ჭ-ას სამკვიდრო ასევე ფაქტობრივი ფლობით მიიღო, თავისი წილი არ დაუთმოა არავის სასარგებლოდ და მისი კუთვნილი წილი ლ. ჭ-ას სამკვიდრო მონაწილეობაში არ უნდა შესულიყო.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება მოსარჩევეებმა საკასაციო წესით გაასაჩივრეს მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 1452-ე მუხლი. გარდა ამისა, სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ ს. ჭ-ას გარდაცვალების შემდეგ მისმა კანონით პირველი რიგის მემკვიდრეებმა ლ. ჭ-ამ, მ. ჭ-ამ და რ. ჭ-ამ მიიღეს მისი სამკვიდრო ფაქტობრივი დაუფლებით, მაშინ, როცა ასეთი წინაპირობები სასამართლო სხდომაზე არ გამოვლენილა. ის, რომ ისინი გასვენებაში იყვნენ და დაესწრნენ სხვა რიტუალებს არ უნდა იქნეს გაგებული მათ მიერ სამკვიდროს დაუფლებად. სასამართლოს არ დაუზუსტებია, მათ მიერ განხორციელებული რომელი მოქმედება უნდა იქნეს მიჩნეული, როგორც სამკვიდროს მიღება. სასამართლომ არასწორად დაადგინა ის ფაქტი, რომ რ. ჭ-ამ და მ. ჭ-ამ თავიანთ წილზე უარის განაცხადეს ლ. ჭ-ას სასარგებლოდ, თითქოს მემკვიდრეები ამ გზით შეთანხმდნენ მამის სამკვიდროს გაყოფის წესზე და დათმეს თავიანთი უფლებები ერთ-ერთი მემკვიდრის – ლ. ჭ-ას სასარგებლოდ. სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ რ. ჭ-სა და მ. ჭ-ას მამის სამკვიდრო არ მიუღიათ, შესაბამისად, არ გააჩნდათ უფლება, წილი ვინმეს სასარგებლოდ დაეთმოთ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ მ. წ-სა და ბ. ჭ-

ას საკაცაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. 2012 წლის 2 აგვისტოს ლ. ჭ-ამ მიიღო სამკვიდრო მონაწილეობის გარდაცვლილი მამის ს. ჭ-ას სამკვიდროზე და ამ გზით საკუთრებაში დაარეგისტრირა ქ. ზუგდიდში, ყ-ას ქ. №60-ში მდებარე უძრავი ნივთი;

2. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 20 იანვრის განაჩენით, საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, ლ. ჭ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. განაჩენი შესულია კანონიერ ძალაში. განაჩენის მიხედვით, ლ. ჭ-ამ კანონსაწინააღმდეგოდ მიიღო ს. ჭ-ას სხვა მემკვიდრეების წილი;

3. ს. ჭ-ა გარდაიცვალა 2002 წლის 22 აპრილს, შესაბამისად, მის ქონებაზე სამკვიდრო ამ დღეს გაიხსნა;

4. საქმის მასალების მიხედვით კანონით დადგენილ ვადაში სამკვიდრო მიიღეს ს. ჭ-ას კანონით პირველი რიგის შემდეგმა მემკვიდრეებმა: ლ. ჭ-ამ, რ. ჭ-ამ, ო. ჭ-ამ და მ. ჭ-ამ. მათ მონაწილეობა მიიღეს მამის დაკრძალვაში, გარდაცვალების დღიდან ჯერ კიდევ დაკრძალვამდე დაეუფლნენ მამის უძრავ-მოძრავ ქონებას და ურთიერთშეთანხმებით ლეზულობდნენ გადანყვეტილებებს მამის ქონებასთან დაკავშირებით;

5. პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხვისას მემკვიდრეების ჩვენებების შინაარსიდან ცალსახაა, რომ არ არსებობდა მათი მხრიდან კანონით დადგენილ ვადაში სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის წანამძღვრები. მათი ურთიერთდამოკიდებულება და იმ პერიოდისთვის განხორციელებული მოქმედებები სწორედ რომ გამოხატავდა მემკვიდრეების მიერ სამკვიდროს მიღების სურვილს;

6. ლ. ჭ-ას გარდა, არცერთ სხვა მემკვიდრეს სამკვიდრო მონაწილეობის მისაღებად ნოტარიუსისთვის არ მიუმართავს;

7. მამკვიდრებელ ს. ჭ-ას ჰყავდა სხვა შვილიც – მ. ჭ-ა, რომელიც არ იყო ცოცხალი ლ. ჭ-ას მიერ სამკვიდრო მონაწილეობისას. მის მიერ სამკვიდროს მიღება არ წარმოადგენს მტკიცების საგანს, რადგან მხარეები ამ გარემოებაზე არ მიუთითებენ;

8. ლ. ჭ-ას მიერ სამკვიდრო მონაწილეობის მისაღებად კანონით გათვალისწინებული პროცედურების გავლისას ს. ჭ-ას მემკვიდრეებიდან რ. ჭ-ამ და მ. ჭ-ამ გამოხატეს იმგვარი ნება, რომლითაც სურდათ სამკვიდროდან მათ წილზე ლ. ჭ-ას საკუთრების

უფლების აღიარება (გადაცემა), თუმცა ამ ნების გამოხატვისას მთლიანად მიენდნენ ნოტარიუსის და ლ. ჭ-ას წარმომადგენლის კონსულტაციებს და ხელი მოაწერეს მათ მიერ შედგენილ დოკუმენტებს იმ მიზნით, რომ ამ ხელმოწერების შედეგად, მათი წილი ქონება მამის სამკვიდროდან გადასულიყო ლ. ჭ-ას საკუთრებაში;

9. პირველი ინსტანციის სასამართლოში ნოტარიუსმა მონმის სახით დაკითხვისას (29.11.12 სხდომის ოქმი 18:56:45-დან), განმარტა, რომ ჰქონდა წარმოდგენილი მემკვიდრეების მიერ ფაქტობრივი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, მემკვიდრეებს სურდათ სამკვიდრო მონმობა და საკუთრება მათ წილზეც მიეღო ლ. ჭ-ას და ვინაიდან სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის ვადა გასული იყო, სანოტარო მოქმედებათა შესრულების შესახებ ინსტრუქციის მიხედვით შეადგინა დოკუმენტი სამკვიდროს მიუღებლობის შესახებ, რასაც ხელი მოაწერა მ. ჭ-ამ და რ. ჭ-ას რწმუნებით ნ. კ-ამ. ანუ ამ გზით მემკვიდრეები შეთანხმდნენ მამის სამკვიდროს გაყოფის წესზე და დათმეს თავიანთი უფლებები ერთ-ერთი მემკვიდრის ლ. ჭ-ას სასარგებლოდ.

10. ო. ჭ-ა გარდაიცვალა 2010 წლის 17 ივნისს, შესაბამისად, ამ დღეს გაიხსნა სამკვიდრო მის ქონებაზე. ო. ჭ-ას ფაქტობრივი დაუფლებით მიღებული ჰქონდა მამის ს. ჭ-ას სამკვიდრო, რის გამოც ო. ჭ-ას სამკვიდრო მასაში შედიოდა ს. ჭ-ას სამკვიდროს შესაბამის ნაწილზე მემკვიდრეობის უფლება, რომელზეც საკუთრება მას სიცოცხლეში არ დაუფრეგისტრირებია.

11. ო. ჭ-ას კანონით პირველი რიგის მემკვიდრეებმა ბ. ჭ-ამ (შვილმა) და მ. წ-ამ (მეუღლემ) ფაქტობრივი დაუფლებით მიიღეს ო. ჭ-ას სამკვიდრო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). „დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია“ აღნიშნული ნორმის მიზნებისათვის გულისხმობს მხარის მითითებას იმ საპროცესო სასამართლებრივ დარღვევებზე, რის შედეგადაც საქმის ფაქტობრივი გარემოებები არასწორად დადგინდა. განსაკუთრებით ეს ეხება მტკიცებულებათა შეფასების წესების დარღვევას, ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ნორმის დარღვევას, კერძოდ, თუ გააჩივრებულ გადანყვეტილებაში მითითებული არ არის სასა-

მართლოს მიერ დადგენილი გარემოებანი, მტკიცებულებანი, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებანი, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.

მოცემულ შემთხვევაში, კასატორებმა ისარგებლეს სსკ-ის 407-ე მუხლით გარანტირებული შედავების უფლებით და სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ დასაბუთებული და დასაშვები პრეტენზია წარმოადგინეს.

საკასაციო სასამართლომ, შეამოწმა რა შედავების საფუძვლები, მიიჩნევს, რომ კასატორების პრეტენზია მე-4, მე-5, მე-8 და მე-9 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების მიმართ გაზიარებული უნდა იქნეს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ს. ჭ-ას სამკვიდრო მიიღო მისმა ოთხმა პირველი რიგის მემკვიდრემ: ლ. ჭ-ამ, მ. ჭ-ამ, რ. ჭ-ამ და ო. ჭ-ამ, ამასთან ერთად, სააპელაციო სასამართლოს არ დაუსაბუთებია, რომელ მტკიცებულებებზე დაყრდნობით მივიდა ამგვარ დასკვნამდე. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე და 394-ე მუხლებიდან გამომდინარე, სასამართლოს ვალდებულებაა სრულყოფილად დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რაც გულისხმობს თითოეული მტკიცებულების შეფასებასა და მათზე მითითებას კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების დადგენისას. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანობის და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

აღნიშნული საერთაშორისო აქტით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას, დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. პროცესის მონაწილეებისათვის, ისევე როგორც საზოგადოებისათვის, ნათელი უნდა იყოს განსჯის ის პროცესი, რომელიც სასამართლომ გაიარა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე. გადაწყვეტილებაში ასახული უნდა იყოს სასამართლოს მოსაზრებები და სამართლებრივი დასკვნები, რომლებ-

მაც დავის სწორედ ამგვარი გადაწყვეტა გამოიწვია.

საქმეებზე „დევიერი ბელგიის წინააღმდეგ“ და „დელეკური ბელგიის წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ „ადამიანის უფლებათა“ ევროპული კონვენციის ფრანგულ ტექსტში, მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი შეიცავს ტერმინს „დასაბუთებული“ (Bien-fonde), რაც ნიშნავს, რომ განაჩენი კარგად უნდა იყოს დასაბუთებული, როგორც სამართლებრივი, ისე ფაქტობრივი თვალსაზრისით, მართალია, აღნიშნულ საქმეებში საუბარია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ განაჩენზე, მაგრამ ეს პრინციპი ვრცელდება სამოქალაქო დავებზე მიღებული გადაწყვეტილებების მიმართაც.

სააპელაციო სასამართლომ, მიიჩნია რა, რომ სამკვიდრო ოთხმა პირველი რიგის მემკვიდრემ მიიღო, არასწორად განმარტა მ. ჭ-ას ჩვენება. კერძოდ, პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმედ დაკითხვისას მ. ჭ-ამ განმარტა, რომ მამის დაკრძალვის შემდეგ, რ. ჭ-ას გარდა, ყველა მემკვიდრე წავიდა სამკვიდრო მასაში შესული საცხოვრებელი სახლიდან და გასაღებს რ. ჭ-ას უტოვებდნენ, რომელიც იმავე ეზოში მის მიერ აშენებულ სახლში ცხოვრობს. ასევე მოსარჩელის წარმომადგენლის შეკითხვაზე მოწმემ უპასუხა, რომ წლისთავამდე წილი არავის მოუთხოვია და არც რომელიმე მემკვიდრის სასარგებლოდ დათმობაზე ყოფილა საუბარი. მ. ჭ-ა ასევე ადასტურებს, რომ მამის გარდაცვალების შემდეგ წილი არ მოუთხოვია, 40 წელია ოჯახიდან წასულია და მისი აზრით, სამკვიდრო იმ პირმა უნდა მიიღოს, ვინც მამას უვლიდა, კერძოდ, ლ. ჭ-ამ, ვინაიდან, თავად არ ჰქონდა საშუალება მამას დახმარებოდა. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული განმარტებები საერთოდ არ გაითვალისწინა და დაასკვნა, რომ სამკვიდრო ყველა მემკვიდრემ მიიღო.

სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილის თანახმად, მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მონიშნავს, რომ მან სამკვიდრო მიიღო. თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ნაწილის ფლობას, ითვლება, რომ მან მთლიანად მიიღო სამკვიდრო, რაშიც უნდა გამოიხატებოდეს და სადაც უნდა იყოს იგი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მტკიცებას, რომ სამკვიდრების დაკრძალვასა თუ ორმოცზე დასწრება არ შეიძლება შეფასდეს, როგორც სამკვიდროს მიღება, არამედ ამ შემთხვევაში, აუცილებელია, მხარის ნება, მიმართული სამკვიდ-

რო ქონებაზე უფლების მოპოვებისაკენ, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს მთლიანი ქონების ან მისი ნაწილის დაუფლებაში.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ მართალია, სამოქალაქო კოდექსის 1439-ე მუხლის მიხედვით, მემკვიდრეს შეუძლია უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე სხვა პირთა სასარგებლოდ კანონით ან ანდერძით მემკვიდრეთა რიცხვიდან, იმავე კოდექსის 1421-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით კი, თუ ერთ-ერთი მემკვიდრე სამკვიდროდან წილის მიღებაზე უარს იტყვის სხვა მემკვიდრის სასარგებლოდ, ასეთი მოქმედება ჩაითვლება სამკვიდროს მიღებად, მაგრამ აღნიშნული უფლების განხორციელება შეზღუდულია კანონით დადგენილი ვადით, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1424-ე მუხლის მიხედვით, სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან, ხოლო 1434-ე მუხლის მიხედვით კი, მემკვიდრეს შეუძლია უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე სამი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა მან შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი მოწვევის შესახებ სამკვიდროს მისაღებად. საპატიო მიზეზის არსებობისას ეს ვადა შეიძლება გააგრძელოს სასამართლომ, მაგრამ არა უმეტეს ორი თვისა. უარის თქმა სამკვიდროს მიღებაზე უნდა გაფორმდეს სანოტარო ორგანოში. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში, ს. ჭ-ას მემკვიდრეებს სწორედ ამ ვადაში და წესით უნდა გამოევილინათ სამკვიდროს მიღების, ან უარის თქმის ნება, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მტკიცებულებები ამ თვალსაზრისით უნდა შეესწავლა და შეეფასებინა, რაც, მოცემულ შემთხვევაში, არ განხორციელებულა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ ლ. ჭ-ას მიერ სამკვიდრო მონაწილის მისაღებად კანონით გათვალისწინებული პროცედურების გავლისას ს. ჭ-ას მემკვიდრეებიდან რ. ჭ-ამ და მ. ჭ-ამ გამოხატეს იმგვარი ნება, რომლითაც სურდათ სამკვიდროდან მათ წილზე ლ. ჭ-ას საკუთრების უფლების აღიარება (გადაცემა), თუმცა ამ ნების გამოხატვისას მთლიანად მიენდნენ ნოტარიუსის და ლ. ჭ-ას წარმომადგენლის კონსულტაციებს და ხელი მოაწერეს მათ მიერ შედგენილ დოკუმენტებს იმ მიზნით, რომ ამ ხელმოწერების შედეგად, მათი წილი ქონება მამის სამკვიდროდან გადასულიყო ლ. ჭ-ას საკუთრებაში. პირველი ინსტანციის სასამართლოში ნოტარიუსმა მოწმის სახით დაკითხვისას განმარტა, რომ ჰქონდა წარმოდგენილი მემკვიდრეების მიერ ფაქტობრივი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, მემკვიდრეებს სურდათ სამკვიდრო მონაწილეობა და საკუთრება მათ წილზეც მიე-

ლო ლ. ჭ-ას და ვინაიდან სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის ვადა გასული იყო, სანოტარო მოქმედებათა შესრულების შესახებ ინსტრუქციის მიხედვით შეადგინა დოკუმენტი სამკვიდროს მიუღებლობის შესახებ, რასაც ხელი მოაწერა მ. ჭ-ამ და რ. ჭ-ას რწმუნებით ნ. კ-ამ. ანუ ამ გზით მემკვიდრეები შეთანხმდნენ მამის სამკვიდროს გაყოფის წესზე და დათმეს თავიანთი უფლებები ერთ-ერთი მემკვიდრის ლ. ჭ-ას სასარგებლოდ.

საკასაციო სასამართლო, პირველ რიგში, ხაზს უსვამს, რომ ნოტარიუსის მიერ მითითებული დოკუმენტები (სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობის შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გაცემული ცნობა, რ. ჭ-სა და მ. ჭ-ას განცხადებები) საქმეში წარმოდგენილი არ არის, შესაბამისად, დავის გადანაცვეტისას სასამართლო მათ არსებობაზე ვერ მიუთითებს, ვინაიდან მხოლოდ მოწმის ჩვენება დოკუმენტის შინაარსის დადგენისა და შეფასებისათვის საკმარისი არ არის. სამოქალაქო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. აღნიშნული ნორმიდან ცალსახად გამომდინარეობს სასამართლოს ვალდებულება, უშუალოდ თავად შეაფასოს ყველა მტკიცებულება და განსაზღვროს მათი მნიშვნელობა, დავის გადანაცვეტისათვის. საქმესთან დაკავშირებული ყოველი მტკიცებულება უშუალოდ სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს, რის შედეგადაც დაადგინოს წერილობითი დოკუმენტების საფუძველზე მხარეთა მიერ გამოვლენილი ნება და არ უნდა გაიზიაროს აღნიშნულის თაობაზე სხვა პირის, მათ შორის ნოტარიუსის, შეფასება. დაუშვებელია, გადანაცვეტილება ემყარებოდეს მტკიცებულებებს, რომლებიც საქმეში არაა წარმოდგენილი და სასამართლოს არ გამოუკვლევია. სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ „მემკვიდრეები შეთანხმდნენ მამის სამკვიდროს გაყოფის წესზე და დათმეს თავიანთი უფლებები ერთ-ერთი მემკვიდრის, ლ. ჭ-ას, სასარგებლოდ“, არ ემყარება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, მით უფრო, რომ თავად მ. ჭ-ას ჩვენებიდან არ დასტურდება, მის მიერ სამკვიდროს დადგენილ ვადაში მიღების ფაქტი. საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ საპროცესო კანონმდებლობით პირდაპირაა განსაზღვრული, რა შემთხვევაში თავისუფლდება პირი მის მიერ მითითებული ფაქტების მტკიცებისაგან (პრეიუდიცია, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები, მეო-

რე მხარის აღიარება), მხარე ასევე თავისუფლდება კონკრეტული მტკიცებულების წარდგენის ვალდებულებისაგან იმ შემთხვევაში, თუ ეს მტკიცებულება მის მოწინააღმდეგე მხარესთან იმყოფება და იგი უარს ამბობს წარდგენაზე, ყველა სხვა შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეული მხარე ვალდებულია სათანადოდ დაადასტუროს მირ მიერ მითითებული გარემოებების ნამდვილობა, მოცემულ შემთხვევაში, სარჩელის პასუხად, ლ. ჭ-ა ამტკიცებდა, რომ სამკვიდრო ყველა მემკვიდრემ მიიღო, მაგრამ რ. ჭ-ამ და მ. ჭ-ამ უარი თქვეს თავიანთ წილზე მის სასარგებლოდ, შესაბამისად, სწორედ მას ევალებოდა აღნიშნული გარემოებების დადასტურება და იგი გათავისუფლებული არ ყოფილა, შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენისაგან, რაზეც სასამართლოს არ უმსჯელია.

ფაქტობრივი ფლობით სამკვიდროს მიღებასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო იმ გარემოებაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ, თავად ნოტარიუსის ჩვენების მიხედვით, მემკვიდრეების მიერ ფაქტობრივი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი არსებობდა მხოლოდ რ. ჭ-სა და ლ. ჭ-ას სახელზე. ის გარემოებაცაა შესაფასებელი, რომ ნოტარიუსის აღნიშნული განმარტება, ერთადერთი მტკიცებულებაა, პრაქტიკულად, რაც ლ. ჭ-ას მიერ სამკვიდროს მიღებას ადასტურებს, ზემოაღნიშნული ცნობა კი, როგორც აღინიშნა, საქმეში არ მოიპოვება.

საკასაციო სასამართლო იმ ფაქტზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ საქმის მასალებით არც ის გარემოება ირკვევა უტყუარად, ო. ჭ-ამ მიიღო თუ არა სამკვიდრო კანონით დადგენილ ვადაში, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხე ლ. ჭ-ა აღიარებს მოსარჩელეთა უფლებას სამკვიდრო მასის j -ზე, იგი ო. ჭ-ას მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტსაც ადასტურებს.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ ს. ჭ-ა 2002 წელს გარდაიცვალა, ხოლო სამკვიდრო მოწმობა გაიცა 2012 წელს. სამოქალაქო კოდექსის 1433-ე მუხლის თანახმად, მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან. იმ შემთხვევაში, თუ რ. ჭ-ა და მ. ჭ-ა ფაქტობრივი ფლობით დაეუფლნენ მამის დანაშთ ქონებას (რაც საქმეში არსებული მტკიცებულებებით უნდა დასტურდებოდეს), 2012 წლისათვის ისინი სამკვიდროს მისაღებად მიწვეული მემკვიდრეები კი არ აიყვნენ, არამედ ამ ქონების შესაბამისი წილის მესაკუთრეები და შეეძლოთ მისი განკარგვა, მათ შორის ლ. ჭ-ის საკუთრებაში გადაცემა, რაც ასევე უნდა გამოეყვლია სააპელაციო სასამართლოს (იხ. მაგ. სუსგ №ას-377-357-2011).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის თანახმად, მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა ან არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა შეაფასოს საქმეში არსებული მტკიცებულებები, გამოარკვიოს, ს. ჭ-ას რომელმა მემკვიდრებმა მიიღოს სამკვიდრო კანონით დადგენილ ვადაში, დაასაბუთოს, რომელ მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიდის ამგვარ დასკვნამდე, გაითვალისწინოს წინამდებარე განჩინების დასაბუთება და დავა აღნიშნული გარემოებების შესაბამისად გადაწყვიტოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 412-ე მუხლებით და

დასაბუთება:

1. მ. ნ-სა და ბ. ჭ-ას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 20 თებერვლის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამკვიდროს მიღება

ბანრინება

№ას-1183-1112-2012

7 მარტი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: სამკვიდრო ქონება

აღწერილობითი ნაწილი:

ზ. ბ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. მ-სა და ე. ბ-ის წინააღმდეგ და მოითხოვა ა. მ-ის დანაშთ ქონებაზე, თბილისში, რ-ის ქ. №11-ში მდებარე სახლის 1/3 ნაწილზე ს. მ-ის სასარგებლოდ 1988 წლის 2 აგვისტოს გაცემული სამკვიდრო მონაწილის ბათილად ცნობა, იმავე ქონების S ნაწილზე, როგორც ს. მ-ის სამკვიდროზე ნ. მ-ის სასარგებლოდ 1998 წლის 29 სექტემბერს გაცემული სამკვიდრო მონაწილის ბათილად ცნობა და თბილისში, რ-ის ქ. №11-ში მდებარე სახლის 1/3 ნაწილის მემკვიდრედ და მესაკუთრედ ზ. ბ-ის აღიარება.

მოპასუხეებმა – ე. ბ-მა და ნ. მ-მა სარჩელი არ ცნეს და აღნიშნეს, რომ მათ კანონით დადგენილი წესით აქვთ მიღებული სამკვიდრო ქონება. სასამართლოს 1999 წლის გადაწყვეტილებით მათ მიიღეს სამკვიდროდან შესაბამისი წილი, რაც ცნობილია ზ. ბ-ს აც. მოსარჩელე წლებია არ ცხოვრობს სადავო ბინაში და მისი აღნიშნული მოთხოვნა არის უსაფუძვლო და ხანდაზმული.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით ზ. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. ბ-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებით ზ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გა-

დანყვეტილება, ზ. ბ-ი ცნობილ იქნა თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივის მონაცემების შესაბამისად, ს. მ-ის საკუთრებად რეგისტრირებული, რ-ის ქ. №11-ში მდებარე სახლის 2/18 ნაწილის მესაკუთრედ, ხოლო ე. ბ-ს მიეკუთვნა ს. მ-ის დარჩენილი 1/18 ნაწილი შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ა. მ-ის დანაშთი ქონებიდან – თბილისში, რ-ის ქ. №11-ში მდებარე სახლის 1/3 ნაწილიდან ნ. მ-ის 1998 წლის 29 სექტემბრის სამკვიდრო მონაშთით გადაცემული 1/2 ნაწილის (მთლიანი სახლის 1/6 ნაწილი) მიკუთვნების შესახებ სასარჩელო მოთხოვნაზე შეწყდა წარმოება და შესაბამისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმდა გასაჩივრებული გადანყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 1 მაისის საოქმო განჩინებით.

სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 1 მაისის სხდომაზე ნ. მ-ის მიმართ წარდგენილ სასარჩელო მოთხოვნაზე ზ. ბ-მა განაცხადა უარი, რაც საფუძვლად დაედო ზემოაღნიშნულ საოქმო განჩინებას.

ა. მ-ის დანაშთი ქონებიდან – თბილისში, რ-ის ქ. №11-ში მდებარე სახლის 1/3 ნაწილიდან 1/2 ნაწილი (მთლიანი სახლის 1/6 ნაწილი) ზ. ბ-მა ფაქტობრივი ფლობით მიიღო.

თბილისში, რ-ის ქ. №11-ში მდებარე უძრავი ნივთის 1/3 ნაწილზე 1959 წლიდან 1988 წლის 2 აგვისტომდე ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს მიერ რეგისტრირებული იყო ა. მ-ის საკუთრების უფლება. დასახელებული გარემოება დასტურდება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ გაცემული ინფორმაციით.

ა. მ-ი გარდაიცვალა 1983 წლის 20 სექტემბერს.

1983 წლის 27 მაისს ა. მ-მა შეადგინა ანდერძი, რომლითაც მთელი თავისი ქონების მემკვიდრედ დაასახელა ზ. ბ-ი. დასახელებული ანდერძის ნამდვილობა მხარეებს სადავოდ არ უხდიათ.

ზ. ბ-ი ა. მ-ის გარდაცვალების შემდეგ დედასთან – ე. ბ-სა და ბებიასთან – ს. მ-ან ერთად ცხოვრობდა ა. მ-ის დანაშთ სახლში, მდებარე, თბილისში, რ-ის ქ. №11-ში. დასახელებული გარემოება დასტურდება გლდანის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 29 მარტის გადანყვეტილებით საქმეზე, №81-99 ნ. მ-ის სარჩელის გამო, ე. ბ-ის მიმართ სამკვიდრო ქონებიდან წილის მიკუთვნების თაობაზე.

პალატამ მიუთითა ა. მ-ის გარდაცვალების პერიოდისათვის (1983 წელი) მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის 556-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ ა. მ-ის დანაშთ ქონებაზე – თბილისში, რ-ის ქ. №11-ში მდებარე უძრავი ნივთის 1/3 ნაწილზე (32,60 კვ.მ საცხოვრებელი ფართი და 9,84 კვ.მ დამხმარე ფართი) სამკვიდრო მონაწილეობა გაიცა ს. მ-ის სასარგებლოდ 1988 წლის 2 აგვისტოს. 1998 წლის 26 მარტს ს. მ-ის გარდაცვალების შემდეგ მის სახელზე რიცხული ქონების – თბილისში, რ-ის ქ. №11-ში მდებარე უძრავი ნივთის 1/3 ნაწილის ნახევარი – 1/6 ნაწილი 1998 წლის 29 სექტემბრის სამკვიდრო მონაწილეთა აღირიცხა ნ. მ-ის საკუთრებად. საკუთრების უფლების შესაბამისი რეგისტრაცია განხორციელდა ტექნიკური ინვენტარიზაციის სამსახურის მიერ, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ინფორმაციით. შედეგად, თბილისში, რ-ის ქ. №11-ში მდებარე უძრავი ნივთის 1/6 ნაწილი აღირიცხა ნ. მ-ის საკუთრებად, ხოლო 1/6 ნაწილი დარჩა რეგისტრირებული ს. მ-ის საკუთრებად.

გლდანის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით (საქმეზე №81-99) დადგენილ იქნა, რომ ე. ბ-მა ა. მ-ის დანაშთი სამკვიდრო მიიღო 1983 წლის 7 მაისს შედგენილი ანდერძის საფუძველზე, ხოლო ნ. მ-ს ამ ქონების ნახევარზე წარმოემვა უფლება, როგორც დედის – ს. მ-ის დანაშთ ქონებაზე კანონისმიერ მემკვიდრეს. ვინაიდან ანდერძი შედგენილი იყო ზ. ბ-ის სასარგებლოდ, რომელიც ა. მ-ის გარდაცვალების პერიოდში იყო არასრულწლოვანი და დედასთან ერთად ცხოვრობდა ა. მ-ის დანაშთ სახლში, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ე. ბ-მა ფაქტობრივი ფლობით მიიღო სამკვიდრო, როგორც ზ. ბ-ის კანონიერმა წარმომადგენელმა (დედამ). აღნიშნული გარემოება დასტურდება ასევე საქმეზე №81-99 ე. ბ-ის მიერ წარდგენილი შეგებებული სარჩელით, რომლითაც იგი აღიარებს, რომ მისმა შვილმა – ზ. ბ-მა ფაქტობრივად მიიღო ა. მ-ის სამკვიდრო ანდერძის საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ ს. მ-ის სასარგებლოდ გაცემული სამკვიდრო მონაწილეობა 1999 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნა მხოლოდ ა. მ-ის სამკვიდრო ქონების 1/2-ის (თბილისში, რ-ის ქუჩა №11-ში მდებარე სახლის 1/6 ნაწილის) გადაცემის ნაწილში, ხოლო ქონების დანარჩენ ნაწილში (თბილისში, რ-ის ქ. №11-ში მდებარე სახლის 1/6 ნაწილი) ა. მ-ის მემკვიდრედ მიჩნეულ იქნა ე. ბ-ი, როგორც ზ. ბ-ის კანონიერი წარმომადგენელი;

ე. ბ-ს გლდანის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 22 ოქ-

ტომბრის გადაწყვეტილებით მიკუთვნებული უძრავი ქონება ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროსა და შემდგომში, საჯარო რეესტრში თავის სახელზე არ აღურიცხავს. პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის 1-ლი ნაწილზე და მიიჩნია, რომ მითითებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ე. ბ-ი თავის უფლებას გლდანის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მიკუთვნებულ უძრავ ქონებაზე ველარ დაირეგისტრირებდა. პალატა დაეყრდნო რა იმ შეგებებულ სარჩელს, რომელიც ე. ბ-მა ნ. მ-ის წინააღმდეგ დავაში წარადგინა, დადასტურებულად მიიჩნია ის ფაქტი, რომ ა. მ-ის დანაშთი ქონება მან, როგორც ზ. ბ-ის კანონიერმა წარმომადგენელმა, ფაქტობრივი ფლობით მიიღო. უფრო მეტიც, ე. ბ-ს კიდევ რომ არ განეხორციელებინა არასრულწლოვანი ზ. ბ-ის უფლებები და არ მიეღო მისი არასრულწლოვანი შვილისათვის ანდერძით დატოვებული ქონება, ზ. ბ-ს სრულწლოვანების მიღწევისთანავე აღნიშნული ქონების მემკვიდრეობით მიღების უფლება გონივრულ ვადაში ჰქონდა შენარჩუნებული. როგორც ე. მ-მა შეგებებულ სარჩელში განმარტა, „ჩემმა ვაჟიშვილმა ფაქტიურად მიიღო მემკვიდრეობა და ჩემთან ერთად ცხოვრობს სახლში დღევანდელი დღის ჩათვლით“.

პალატამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით განმტკიცებულ მხარეთა დისპოზიციურობის პრინციპზე და აღნიშნა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზ. ბ-მა ა. მ-ის დანაშთი ქონებიდან – თბილისში, რ-ის ქ. №11-ში მდებარე სახლის 1/6 ნაწილიდან უარი განაცხადა 1/3 ნაწილზე დედის – ე. ბ-ის სასარგებლოდ, რაც ცხადყოფდა, რომ არსებობდა სადავო სამკვიდრო ქონების ზ. ბ-სა და ე. ბ-ს შორის განაწილების საფუძველი ზ. ბ-ის მიერ გამოხატული ნების შესაბამისად, რის გამოც ზ. ბ-ის საკუთრებად უნდა აღირიცხულიყო მის მიერ ფაქტობრივი ფლობით მიღებული სამკვიდრო ქონებიდან – თბილისში, რ-ის ქ. №11-ში მდებარე სახლის 1/6 ნაწილიდან 2/3 ნაწილი (2/18 ნაწილი), ხოლო ე. ბ-ის სასარგებლოდ – 1/3 ნაწილი (1/18 ნაწილი). შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ ახალი გადაწყვეტილების მიღებით ზ. ბ-ის დაზუსტებული სარჩელი დაკმაყოფილებას ექვემდებარებოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ე. ბ-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას

არასწორად დაეყრდნო ზ.ბ-ის ჩვენებებზე, თითქოს იგი ვერ იცავდა თავის კანონიერ უფლებებს და მიიღო უძრავი ქონება ფაქტობრივი ფლობით არასრულწლოვანების დროს. ზ. ბ-ი დაიბადა ... წლის ... თებერვალს. დედამ – ს. მ-ბ-მა თავისი მეუღლის ა. მ-ის გარდაცვალების შემდეგ 1988 წელს მიიღო მემკვიდრეობა და იმ დროისთვის მონინალმდეგე მხარე იყო 20 წლის, ანუ სრულწლოვანი, პასუხს აგებდა თავის მოქმედებაზე და არ გაუსაჩივრებია სანოტარო აქტი, რომლითაც დედა მეუღლის გარდაცვალების შემდეგ გახდა ბინის წილის მესაკუთრე, ე.ი. ის დასთანხმდა იმ გადაწყვეტილებას, ამასთან, ე. ბ-მა და მისმა ძმამ ნ. მ-მა მისცეს წერილობითი თანხმობა, რომ ს. მ-ი გამხდარიყო 1/3 ბინის მესაკუთრე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების „ფაქტიურ სასამართლებრივ დასაბუთებაში“ – სასამართლო უთითებს, თითქოს საქმის განხილვისას (1999 წ.) ვიყავი არასრულწლოვან ზ. ბ-ის კანონიერი წარმომადგენელი. 30 წლის ახალგაზრდას რისთვის სჭირდება კანონიერი წარმომადგენელი, თუ ის არ არის შეურაცხადი და, თუ იყო არასრულწლოვანი, როგორც უთითებს სასამართლო, როგორ მართავდა და ფლობდა ბინას, როდესაც იქ არასდროს უცხოვრია. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ „ფაქტობრივი ფლობით მივიღე სამკვიდრო, როგორც ზ. ბ-ის წარმომადგენელი“ – არასწორია.

კასატორი აღნიშნავს, რომ მან და მისმა მეუღლე მ, ბ-მა თემქის დასახლებაში მიიღეს 5-ოთახიანი ბინა, სადაც მონინალმდეგე მხარე დაიბადა და იზრდებოდა. აღნიშნული ფაქტი დასტურდება მამის ა. მ-ის 1983 წლის ანდერძით, რომელშიც აღნიშნულია, რომ ზ. ბ-ი ცხოვრობდა თ-ის დასახლების მე-4 მ/რ-ის მე-7 კორპუსის ბინა №312-ში (იხ. ანდერძი) ამ საბუთით დგინდება, რომ ზ. ბ-ის მუდმივი საცხოვრებელი ადგილია თ-ა და არა სადავო ქონების ადგილსამყოფელი, ასევე მან პირადობის მონიშნობა აიღო გლდანის-ნაძალადევის შს სამმართველოში.

სააპელაციო სასამართლოს პოზიცია, რომ ზ. ბ-მა ფლობით მიიღო მემკვიდრეობა, არამართებულია, ვინაიდან გლდანის რაიონის სასამართლოს 1999 წლის გადაწყვეტილებით (საქმე №81/99) აღიარებულია I რიგის მემკვიდრედ, როგორც რ-ის ქ. №11-ის სახლის მესაკუთრე და ამ დროს ზ. ბ-ი იყო – 31 წლის და მისთვის ცნობილი იყო ანდერძის არსებობა.

დადგენილია, რომ 1999 წელს ზ. ბ-ის ცნობილი გახდა ანდერძის არსებობის შესახებ, რაც დადასტურდა განხილული 1999 წ. საქმის მასალებით. დღეს არის 2012 წელი, ე.ი. სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 128-129 და 1142-ე მუხლები.

ბის მოთხოვნები მოწინააღმდეგე მხარის მიმართ და დაარღვია ხანდაზმულობის ვადები. გაურკვეველი მიზეზით ფლობის ფაქტის საფუძველზე საკუთრების უფლებით მიეკუთვნა ბ-ს სადავო ფართის სახლის 2/18 წილი ისე, რომ არ იყო გაუქმებული დედის, ს. მ-ის 1988 წელს გაცემული კანონისმიერ მემკვიდრეობის უფლების მონაწილე ნოტარიუს მ. მ-ის მიერ. (იხ.მემკვიდრეობის უფლების მონაწილეობა – 1988) №81.

კასატორის განმარტებით, იგი არ ითხოვდა დედამისის კუთვნილი სახლის 1/8 წილის აღიარებას, ვინაიდან 1999 წლიდან სახლის თანამესაკუთრეა და ეს გადაწყვეტილება ძალაშია, სასამართლომ კი, დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლი.

თავის სარჩელში ზ. ბ-ი აღნიშნავს: „წლების მანძილზე ოჯახთან ერთად ვცხოვრობ ქირით, რადგან ნათესავებთან აქვს რთული ურთიერთობა“, რაც ცხადყოფს, რომ წლების მანძილზე არასდროს არ უცხოვრია სადავო ბინაში და ცხოვრობს თ-ის IV მ/რ კ.7, ბ. 125-ში და რ-ის ქ. №11 ბინასთან კავშირი არ აქვს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ე. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამ ურთიერთობებზე ვრცელდება 1964 წლის 26 დეკემბრის სამოქალაქო კოდექსი. მაგრამ მათ შორის ურთიერთობა უნდა მონესრიგდეს მოქმედი კოდექსით, რადგან პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს მხარეები შეთანხმდნენ მოქმედი კოდექსით ურთიერთობის მონესრიგებაზე, კერძოდ, მითითებული ნორმის თანახმად, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების გამო ძალადაკარგული ნორმატიული აქტების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობების მიმართ გამოიყენება ეს ნორმატიული აქტები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ურთიერთობის მონაწილეებს სურთ ერთმანეთს შორის ურთიერთობა ამ კოდექსით მოანესრიგონ, ან, თუ სამოქალაქო კოდექსი უძრავი ნივთების შესახებ ახალ წესებს ითვალისწინებს.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოე-

ბებზე:

ე. ბ-მა ა. მ-ის დანაშთი სამკვიდრო მიიღო 1983 წლის 7 მაისს შედგენილი ანდერძის საფუძველზე, ხოლო ნ. მ-ს ამ ქონების ნახევარზე წარმოეშვა უფლება, როგორც დედის – ს. მ-ის დანაშთ ქონებაზე კანონისმიერ მემკვიდრეს. ამდენად, დადგენილია, რომ ე. ბ-მა მიიღო ა. მ-ის დანაშთი ქონება 1983 წლის 07 მაისის ანდერძის საფუძველზე, რომელიც შედგენილ იქნა ე. ბ-ის შვილის – ზ. ბ-ის სასარგებლოდ. ამასთან ერთად, საკასაციო პალატა ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომლის თანახმად ზ. ბ-ი, ა. მ-ის გარდაცვალების პერიოდში იყო არასრულწლოვანი და დედასთან ერთად ცხოვრობდა ა. მ-ის დანაშთ სახლში. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ დავას არ იწვევს ე. ბ-ის მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტი. ამდენად, მითითებული ფაქტობრივი გარემოებები მიუთითებენ იმაზე, რომ ა. მ-ის დანაშთი ქონება ანდერძის საფუძველზე მიიღო ზ. ბ-მა თავისი კანონიერ წარმომადგენლის, ე. ბ-ის მეშვეობით.

მითითებული ფაქტობრივი გარემოებები სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი მტკიცებულებების საფუძველზე, კერძოდ, გლდანის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებისა და ე. ბ-ის მიერ წარდგენილი შეგებებული სარჩელით, რომლითაც იგი აღიარებს, რომ მისმა შვილმა – ზ. ბ-მა ფაქტობრივად მიიღო ა. მ-ის სამკვიდრო ანდერძის საფუძველზე. აღნიშნულ მტკიცებულებებთან მიმართებით საკასაციო საჩივარი არ შეიცავს პრეტენზიას, რაც მითითებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებების სავალდებულო ძალაზე საკასაციო სასამართლოსათვის.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის მიერ არ არის წარმოდგენილი დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში, დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების დაუდგენლობა ან არასათანადო დადგენა და შეფასება.

კასატორი არ უთითებს სააპელაციო სასამართლოში მტკიც-

ცებულებების შეფასების კანონიერებაზე, რომლითაც დადგენილ იქნა ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები, ხოლო კასატორის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ზ. ბ-ი 1999 წელს იყო სრულწლოვანი და, ამდენად, ის (ე. ბ-ი) ვერ იქნებოდა ზ. ბ-ის კანონიერი წარმომადგენელი, არ გამორიცხავს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ დასძენს, რომ სააპელაციო სასამართლომ შეაფასა გლდანის რაინული სასამართლოს 1999 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება და ე. ბ-ის მიერ წარდგენილი შეგებებული სარჩელი, რომლის საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ ა. მ-ის გარდაცვალების პერიოდში (და არა 1999 წლისათვის) იყო არასრულწლოვანი და დედასთან ერთად ცხოვრობდა ა. მ-ის დანაშთ სახლში. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობიდან არ გამომდინარეობენ კასატორის მიერ მითითებული პრეტენზიები.

კასატორი, ასევე აღნიშნავს, რომ ზ. ბ-ი ვერ მიიღებდა სამკვიდროს, რადგან ის სამკვიდროს გახსნის პერიოდისათვის ცხოვრობდა თ-ის დასახლებაში.

აღნიშნულთან მიმართებით საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ ე. ბ-მა მიიღო ა. მ-ის სამკვიდრო ქონება და ამ უკანასკნელის გარდაცვალების პერიოდში ცხოვრობდა სამკვიდრო სახლში. მითითებული ფაქტობრივი გარემოება კასატორის მიერ სადავოდ არ გამხდარა, ხოლო იმ დროს არასრულწლოვანი ზ. ბ-ის სხვა მისამართზე რეგისტრაციის ფაქტი არ აქარწყლებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას იმის თაობაზე, რომ ზ. ბ-ი დედასთან (ე. ბ-ან) ერთად ფაქტობრივად ცხოვრობდა სადავო ბინაში და მიიღო სამკვიდრო ქონება, რაც დადგენილია კანონიერ ძალაში შესული 1999 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით და ე. ბ-ის შესაგებლით, რომლის წინააღმდეგ კასატორი არ უთითებს, შესაბამისად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ე. ბ-ის მიერ 1983 წლის 7 მაისის ანდერძის საფუძველზე (რომლითაც მემკვიდრედ დასახელდა ზ. ბ-ი), სამკვიდროს მიღებით მემკვიდრეობა მიიღო, ასევე ზ. ბ-მა, რადგან ამ დროს იგი იყო არასრულწლოვანი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მიხედვით, სამკვიდროს მიღება წარმოადგენს ცალმხრივ გარიგებას, რომლის განხორციელება შეუძლიათ ქმედუნარიან პირებს.

ამავე კოდექსის 1422-ე მუხლის თანახმად, სამკვიდროს მიღება შეუძლია ქმედუნარიან პირს. ქმედუნარო და შეზღუდუ-

ლი ქმედუნარიანობის მქონე პირები სამკვიდროს იღებენ მათი კანონიერი წარმომადგენლების მეშვეობით.

სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო. ამდენად, განსახილველი ნორმის თანახმად, სამკვიდროს მიღების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენდა, თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგებოდა სამკვიდრო ქონების ფლობას ან მართვას. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან (ამავე კოდექსის 1433-ე მუხლის თანახმად). ამდენად, სამკვიდროს მიღების ფაქტს, განსახილველი ნორმის თანახმად, გააჩნდა უკუძალა, ე.ი, მემკვიდრემ, რომელმაც მიიღო სამკვიდრო ქონება, ითვლება მის მესაკუთრედ სამკვიდროს გახსნის დღიდან და, შესაბამისად, სამკვიდრო ქონების მოცულობა განისაზღვრება სამკვიდრო გახსნის დღეს არსებული ქონებით, ასევე, გასათვალისწინებელია, რომ სამკვიდროს მიღება შეუქცევადია, რაზედაც მიუთითებს მითითებული კოდექსის 1447-ე მუხლი, რომლის თანახმად, მემკვიდრეს, რომელიც ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ფლობას ან მართვას, სამკვიდროს მისაღებად დადგენილი დროის განმავლობაში შეუძლია, უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე, რის შესახებაც განცხადებით უნდა მიმართოს სანოტარო ორგანოს. ამდენად, მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან ექვს თვეში ფაქტობრივი ფლობით სამკვიდროს მიღება ნიშნავს, რომ მემკვიდრეს სამკვიდრო უკვე მიღებული აქვს და მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან.

საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ ზ. ბ-ის 1999 წლიდან ცნობილი გახდა ანდერძის არსებობის შესახებ, რაც მიუთითებს მისი მოთხოვნის ხანდაზმულობაზე.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ მემკვიდრის მიერ სადავო უძრავი ქონების მიღება ფაქტობრივი ფლობით ან მართვით აყენებს მას განსაკუთრებულ სამართლებრივ რეჟიმში. ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლებით (კონკლუდენტური მოქმედებებით) მემკვიდრე ხდება სამკვიდრო ქონების მესაკუთრე.

ამ მომენტიდან ის მამკვიდრებლის ურთიერთობების კრედიტორად და მოვალედ მიიჩნევა.

ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ უძრავი ქონებაზე საკუთრების უფლება, როგორც რეგისტრაციასავალდებულო უფლება, მოითხოვს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას, შესაბამისად, ზ. ბ-ი წარმოადგენს ანდერძისმიერ მემკვიდრეს და, მიუხედავად იმისა, რომ მან ამ ანდერძის თაობაზე გაიგო 1999 წელს, მას წარმოეშვა მიღებული უძრავი ნივთის საკუთრების უფლების რეგისტრაციის უფლება, მაგრამ ამ რეგისტრაციის განუხორციელებლობა არ ნიშნავს იმას, რომ მან არ მიიღო ეს ქონება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1433-ე მუხლის თანახმად მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან.

სამკვიდროს მიღების ფაქტის არსებობის შემთხვევაში, მას აქვს უფლება, დაიცვას მიღებული სამკვიდრო სხვა დანარჩენი მემკვიდრეებისაგან, მათ შორის, იმ მემკვიდრეებისაგან, რომლებმაც განახორციელეს საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს კასატორის მოსაზრება სასამართლოს მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საპროცესო სასამართლომ ზ. ბ-ი ცნო არა მთელი ქონების მესაკუთრედ, არამედ, მოსარჩელის მოთხოვნის ფარგლების გათვალისწინებით მხოლოდ 2/18 ნაწილის მესაკუთრედ, შესაბამისად დანარჩენი 1/18 ნაწილი მიეკუთვნა ე. ბ-ს, ამდენად, სასამართლომ სამკვიდრო ქონება გაყო ორ მემკვიდრეს შორის, რაც კანონით არის განსაზღვრული.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საკასაციო საჩივარში მოყვანილი ახალი ფაქტობრივ გარემოებებზე საკასაციო სასამართლო ვერ იმსჯელებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნებიდან გამომდინარე, კერძოდ, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება, მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ე. ბ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამკვიდროს მიღება

განჩინება

№ას-1585-1488-2012

1 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავეიძე**

დავის საგანი: სამკვიდრო მონუმობის გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. მ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. დ-ის წინააღმდეგ და მოითხოვა 2003 წლის 27 თებერვლის №2-11 სამკვიდრო მონუმობის გაუქმება სამტრედიაში, წ-ის ქ. №5-ში მდებარე სამკვიდროს ქონების S ნაწილში და აღნიშნული წილის მისთვის მიკუთვნება შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელის განმარტებით, 1973 წლიდან რეგისტრირებულ ქონწინებაში იმყოფებოდა ან გარდაცვლილ თ. დ-ან. მითითებული დროიდან ისინი ცხოვრობდნენ მამამთილის – ა. კ. ძე დ-ის საცხოვრებელ სახლში, რომელიც გარდაიცვალა 1983 წლის 26 აგვისტოს. დედამთილი – ე. დ-ე გარდაიცვალა 2000 წლის ივნისში, ხოლო მეუღლე – 2002 წლის 5 მაისს. მის მეუღლეს მიღებული აქვს მშობლების სამკვიდრო, შესაბამისად, მოსარჩელე დაეუფლა მეუღლის დანაშთ ქონებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისმა მაზლიშვილმა სამკვიდრო მონუმობა უკანონოდ მიიღო მთლიან სამკვიდრო ქონებაზე.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მოსარჩელის შვილებმა 2009 წელს მიმართეს სასამართლოს იმავე მოთხოვნით, რაც არ დაკმაყოფილდა, ვინაიდან მათ ვერ შეძლეს სამკვიდრო ქონების დადგენილ ვადაში დაუფლების ფაქტის დადასტურება. აღნიშნულ საქმეში გ. მ-ი მისი ქალიშვილების წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით იყო აღჭურვილი. მოპასუხეს მიაჩნია, რომ მოსარჩელემ გაუშვა სამოქალაქო კოდექსის 1450-ე მუხლით გათვალისწინებული სამკვიდროს მიღებაზე შედაგების 2-თვიანი ვადა.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით გ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ქ.სამტრედიის № 5-ში მდებარე, ა. კ. ძე დ-ის დანაშთი ქონების □ ნილზე გაუქმდა ქ.სამტრედიის ნოტარიუს ქ.ჭ-ის მიერ 2003 წლის 27 თებერვალს გაცემული №2/11 სამკვიდრო მოწმობა, გ. მ-ს მიეკუთვნა ქ. სამტრედიის, №-ის 5-ში მდებარე სამკვიდრო ქონების ანუ საცხოვრებელი სახლის (მინის ნაკვეთთან ერთად).

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. დ-ემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით ა. დ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

გ. მ-ი 1973 წლის 20 ოქტომბრიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა თ. დ-ან;

თ. დ-ე და ზ. დ-ე იყვნენ ა. დ-სა და ე. დ-ის შვილები, ანუ პირველი რიგის მემკვიდრეები;

ა. დ-ე გარდაიცვალა 1983 წლის 26 აგვისტოს, შესაბამისად, სამკვიდრო გაიხსნა მითითებულ დღეს; ა. დ-ის დანაშთი ქონებას წარმოადგენდა ქ.სამტრედიის, №-ის №5-ში მდებარე მთლიანი საცხოვრებელი სახლი.

ა. დ-ის სამკვიდროს გახსნის შემდეგ მის დანაშთი ქონებას დაეუფლნენ მეუღლე ე. დ-ე და შვილები თ. და ზ.დ-ი.

თ. დ-ე გარდაიცვალა 2002 წლის 5 მაისს;

ზ. დ-ე გარდაიცვალა 2002 წლის 21 მაისს;

ზ. დ-ის გარდაცვალების დროს მისი დანაშთი ქონება შედგებოდა მამის – ა. დ-ან მემკვიდრეობით მიღებული ქონებით. ზ. დ-ის ძმის – თ. დ-ის მიერ ასევე მემკვიდრეობით მიღებული წილის გათვალისწინებით, ზ. დ-ის კუთვნილი წილი მთელ საცხოვ-

რებელ სახლზე შეადგენდა 1/2-ს, შესაბამისად, ზ. დ-ის პირველი რიგის მემკვიდრეს ერგებოდა არა მთლიანი საცხოვრებელი სახლი, არამედ საცხოვრებელი სახლის 1/2 ნაწილი.

2003 წლის 27 თებერვლის სამკვიდრო მოწმობით დადგენილია, რომ ზ. დ-ის პირველი რიგის მემკვიდრემ ა. დ-ემ მიიღო როგორც მისი კუთვნილი 1/2 წილი, ასევე, მისი ბიძის დანაშთი ქონება, რომლის მესაკუთრეს სამკვიდროს ფაქტობრივად მიღების საფუძველზე წარმოადგენდა გ. მ-ი.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ გ. მ-მა სამკვიდროს ფლობით მიიღო, თავისი ქმრის, თ. დ-ის, სამკვიდრო ქონება, კერძოდ, მან მიიღო სამკვიდრო, როგორც მოძრავი ნივთების ფლობით, ისე, საცხოვრებელი სახლის ნაწილის ფლობით, რაც დადასტურებულია საქმეზე დაკითხული მოწმეთა ჩვენებებითა და მხარეთა ახსნა-განმარტებებით.

პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1336.1-ე მუხლზე და საქმეში არსებული მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ თ. დ-ე და ზ. დ-ე არიან ა. დ-ის პირველი რიგის მემკვიდრეები, რომლებმაც ფაქტობრივი ფლობით მიიღეს მამის დანაშთი ქონება.

სამოქალაქო კოდექსის 1421.1-ე, 1424-ე მუხლებზე მითითებით, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ გ. მ-ი დაეუფლა მეუღლის დანაშთ ქონებას და ეს გამოიხატა, როგორც საცხოვრებელი სახლის ნაწილის, ასევე, მოძრავი ნივთების დაუფლებაში.

სამოქალაქო კოდექსის 1433-ე მუხლზე მითითებით, პალატამ განმარტა, რომ ქ.სამტრედიაში, წ-ის №5-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის (მიწის ნაკვეთთან ერთად) 1/2-ის მესაკუთრე 2002 წლის 5 მაისიდან არის გ. მ-ი და, შესაბამისად, აღნიშნულ ქონების სხვა პირის, კერძოდ, ზ. დ-ის სამკვიდრო მასაში შეტანა დაუშვებელი იყო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 16 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. დ-ემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით:

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ გადაწყვეტილებაში არ მიუთითა მტკიცებულებები, რომლებიც საფუძველად დაუდო სასამართლო დასკვნებს, რაც საბოლოოდ გახდა არასწორი გადაწყვეტილების გამოტანის მიზეზი. კასატორმა ა. დ-ემ წარადგინა მტკიცებულებები, რომლებიც უტყუარად ადასტურებდნენ მის უფლებას სამკვიდრო ქონებაზე, თუმცა სასამარ-

თლომ ისინი არ გამოიკვლია. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში არ ასახა ა. ზ. ძე დ-ის მიერ წარდგენილი რომელიმე მტკიცებულება უარყო და რის საფუძველზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად თ. დ-ის მიერ სამკვიდროს ფლობით მიღების ფაქტი, რაც შემდეგ საფუძველად დაედო გ. მ-ის მიერ მემკვიდრეობის მიღების უფლების არსებობას. აღნიშნული საკითხის განხილვა და თ. დ-ის მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტის აღიარება გ. მ-ს არ მოუთხოვია. გაურკვეველია, თუ რის საფუძველზე მივიდა სასამართლო ამ ფაქტობრივი გარემოების დადგენილად მიჩნევის დასკვნამდე, რადგან აღნიშნულის შესახებ სასამართლოს არც უმსჯელია და არც რაიმე მტკიცებულება იქნა წარდგენილი სასამართლოში. სასამართლოს აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დადგენისას არათუ ყოველმხრივ, არამედ საერთოდ არ განუხილავს და გამოუკვლევი იგი, რაც კანონის თანახმად, უნდა ასახულიყო გადაწყვეტილებაში. სასამართლომ სსკ-ის 249-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნათა დარღვევით მიიღო გადაწყვეტილება, რადგან გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული თუ რა მტკიცებულება იქნა დადებული თ. დ-ის მიერ სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღების საფუძველად და რომელი კონკრეტული მტკიცებულების გამოკვლევის შედეგად მივიდა ასეთ დასკვნამდე.

სასამართლომ კანონის დარღვევით დატოვა უცვლელად პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება, რადგან მოსარჩელე გ. მ-მა დაარღვია სამკვიდროს მიღებაზე შედავების უფლების ხანდაზმულობის ვადა. აღნიშნული გარემოება დასტურდება იმით, რომ 2009 წლის 25 ივნისს სამტრედიის რაიონული სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება იგივე სამკვიდრო ქონებასთან დაკავშირებით, ისევე ა. ზ. ძე დ-ის მიმართ მიმდინარე სამოქალაქო საქმეზე, რომლითაც გ. მ-ის ქალიშვილებს – ნ. და ნ. დ-სა და ა. ზ. ძე დ-ის ნახევარდა ნ. დ-ეს, უარი ეთქვათ სარჩელის დაკმაყოფილებაზე და თავად გ. მ-ი სასამართლო წარმოებაში მონაწილეობდა როგორც მისი შვილების წარმომადგენელი. ამით, ცალსახად დასტურდება ის ფაქტი, რომ ა. ზ. ძე დ-ის მიერ სამკვიდრო ქონების სრულად მიღების ფაქტი მისთვის ცნობილი იყო 2009 წლის ივნისში, მან კი აღნიშნული ფაქტი სადავოდ გახადა 3 წლის შემდეგ – 2012 წლის 16 მარტს, როდესაც სარჩელი შეიტანა სამტრედიის რაიონულ სასამართლოში უკვე თავისი სახელით. აშკარაა, რომ სამკვიდრო ქონების მიღებაზე შედავების უფლების კანონით დადგენილი ხანდაზმულობის 2-თვიანი ვადა გ. მ-მა დაარღვია. მეტიც, 2012 წლის

7 მაისს გამართულ სასამართლო სხდომაზე გ. მ-ის წარმომადგენელმა კ. ნ-ემ აღიარა, რომ მოსარჩელეს ნამდვილად გაშვებული ჰქონდა სამკვიდრო ქონების მიღების თაობაზე შედაგების ვადა და აღნიშნულის შესახებ რაიმე საპატიო მიზეზის არსებობა არ დაუსახელებია.

სასამართლომ არასწორად შეაფასა და გაანალიზა მონმეთა ჩვენებები, რადგან მათი ლოგიკური შეფასების შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლო გააუქმებდა სამტრედიის რაიონულ სასამართლო გადაწყვეტილებას.

2012 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილების 4.2 პუნქტით სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად ის ფაქტი, რომ გ. მ-ი 1973 წლის 20 ოქტომბრიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა თ. დ-ან.

სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად ის ფაქტი, რომ ა. კ. ძე დ-ის სამკვიდროს გახსნის შემდეგ მის დანაშთ ქონებას დაეუფლნენ მისი მეუღლე და ე. დ-ე და შვილები თ. და ზ. დ-ი. სასამართლომ არასწორად დაადგინა ასევე, რომ ზ. დ-ის წილი მთელ საცხოვრებელ სახლზე შეადგენდა მხოლოდ 1/2-ს და, რომ კასატორმა ა. დ-ემ მიიღო, როგორც მამის, ზ. დ-ის აგრეთვე, მისი ბიძის – თ. დ-ის დანაშთი ქონება. სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ გ. მ-მა ფაქტობრივი ფლობით მიიღო თავისი ქმრის თ. დ-ის სამკვიდრო ქონება, რაც, სასამართლოს აზრით, დასტურდება მონმეთა ჩვენებებითა და მხარეთა ახსნა-განმარტებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. დ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ:

ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა;

ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული

ლი საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლო არ გამოიკვლია რიგი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც აუცილებელია მოთხოვნის საფუძვლიანობის შესამოწმებლად, კერძოდ, სააპელაციო სასამართლო ადგენს, რომ გ. მ-მა სამკვიდროს ფლობით მიიღო, თავისი ქმრის, თ. დ-ის, სამკვიდრო ქონება, როგორც მოძრავი ნივთების ფლობით, ისე საცხოვრებელი სახლის ნაწილის ფლობით, აღნიშნული დადასტურებულია საქმეზე დაკითხული მოწმეთა ჩვენებებით და მხარეთა ახსნა-განმარტებებით.

ამასთან ერთად, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე იმის შესახებ, რომ ა. დ-ის სამკვიდროს გახსნის შემდეგ მის დანაშთ ქონებას დაეუფლნენ მისი მეუღლე ე. დე და შვილები თ. და ზ. დ-ი. კონკრეტულ შემთხვევაში, დავას ინვესს თ. დ-ის მიერ მისი მამის ა. დ-ის, ქონების ფაქტობრივად დაუფლების ფაქტი. სააპელაციო გადაწყვეტილებიდან არ ირკვევა, რომელი მტკიცებულებების შეფასების შედეგად მივიდა სასამართლო ამ დასკვნამდე. ამასთან ერთად სააპელაციო სასამართლო არ მსჯელობს და არ იკვლევს თ. დ-ის მიერ მამამისის, ა. დ-ის, სამკვიდრო ქონების ფაქტობრივად მიღების საკითხს.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გ. მ-ის მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმება განპირობებულია თ. დ-ის მიერ სადავო სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ფაქტის დადგენით.

აქედან გამომდინარე, კონკრეტული დავის სწორად გადწყვეტისათვის აუცილებელია პასუხი გავცეთ შემდეგ კითხვას: მიიღო თუ არა თ. დ-ემ ა. დ-ის დანაშთი ქონება მდებარე ქ. სამტრედიამი, წ-ის №5-ში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების გამო ძალადაკარგული ნორმატიული აქტების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობების მიმართ გამოიყენება ეს ნორმატიული აქტები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ურთიერთობის მონაწილეებს სურთ ერთმანეთს შორის ურთიერთობა ამ კოდექსით მოაწესრიგონ, ან, თუ სამოქალაქო კოდექსი უძრავი ნივთების შესახებ ახალ წესებს ითვალისწინებს.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ა. დ-ე გარდაიცვალა 1983 წლის 26 აგვისტოს. შესაბამისად, დასმულ

კითხვაზე პასუხის მიღებისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს 1964 წლის 26 დეკემბრის სამოქალაქო კოდექსი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ (1964 წლის რედაქციის) სამოქალაქო სამართლის კოდექსის 556-ე მუხლის მეორე აბზაცის თანახმად, სამკვიდროს მიღების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენდა, თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგებოდა სამკვიდრო ქონების ფლობასა ან მართვას. ამავე მუხლის ბოლო აბზაცის თანახმად, მიღებული სამკვიდრო მიიჩნეოდა მემკვიდრის საკუთრებად მემკვიდრეობის გახსნის დღიდან (ანალოგიურად წესრიგდება სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 1433-ე მუხლით).

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომელშიც მითითებულია, რომ თ. დ-ის მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტი დგინდება მოწმე ნ. დ-ის ჩვენებით, რომლის თანახმად პაპის (ა. დ-ის) გარდაცვალების შემდეგ ის ცხოვრობდა დედ-მამასთან ერთად.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ნ. დ-ე წარმოადგენდა მოსარჩელეს სხვა დავაში იგივე სამკვიდრო ქონებასთან დაკავშირებით (მონაწილეობდა კანონიერი წარმომადგენელი, გ. მ-ის მეშვეობით, ხოლო განსახილველ დავაში ეს უკანასკნელი წარმოადგენს მოსარჩელეს), სადაც მოპასუხე იყო ა. დ-ე და ითხოვდა სამკვიდრო მონაწილეობის ცვლილებების შეტანასა და კანონისმიერი მემკვიდრეთ ცნობას, რაც არ დაკმაყოფილდა 2009 წლის 25 ივნისის სამტრედიის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით. სააპელაციო სასამართლო არ იკვლევს და არ აფასებს ამ მოწმის ჩვენებას სხვა მტკიცებულებებთან ერთობლივად.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ ამ მოწმის ჩვენების შეფასებისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაითვალისწინოს გარემოებები, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს მის დაინტერესებაზე, ასევე სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს სადავო ფაქტობრივი გარემოებების წარმოშობის პერიოდში ნ. დ-ის ასაკზე, რამდენად სწორად შეიძლება აღექვა საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც ა. დ-ის გარდაცვალების პერიოდს (1983 წლის 26 აგვისტო) უკავშირდება.

ამასთან ერთად გასათვალისწინებელია შეფასების მატერიალურ-სამართლებრივი მხარე, კერძოდ, (1964 წლის რედაქციის) სამოქალაქო სამართლის კოდექსის 556-ე მუხლის მეორე აბზაცის თანახმად, სამკვიდროს მიღების ერთ-ერთ სახეს წარ-

მოადგენდა, თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგებოდა სამკვიდრო ქონების ფლობასა ან მართვას. ამავე მუხლის მესამე აბზაცის თანახმად, აღნიშნული მოქმედები შესრულებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან. სამკვიდროს მიღება წარმოადგენს ცალმხრივ გარეგებას, ამდენად, სამკვიდროს გახსნიდან ექვსი თვის განმავლობაში მემკვიდრემ უნდა განახორციელოს მოქმედებები, რომლებიც მიუთითებენ სამკვიდრო ქონების ფლობასა ან მართვაზე, ანუ მისი მოქმედებები უნდა მიუთითებდნენ მესაკუთრის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელებაზე.

აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო არ იკვლევს ფაქტებს ა. დ-ის გარდაცვალებიდან ექვსი თვის ვადაში სამკვიდროს დაუფლების თაობაზე და არ აფასებს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, რაც აუცილებელია ზემომითითებული ფაქტების დადგენისა ან უარყოფისათვის.

იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს თ. დ-ის მიერ ა. დ-ის სამკვიდროს მიღების ფაქტს, მნიშვნელობა ენიჭება გ. მ-ის მიერ მისი მეუღლის, თ. დ-ის, სამკვიდროს მიღებასთან დაკავშირებული გარემოებების გამოკვლევას (რომელზეც უნდა გავრცელდეს მოქმედი 1997 წლის 26 ივნისის სამოქალაქო კოდექსი). საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივ გარემოებებზე იმის თაობაზე, რომ გ. მ-ი 1973 წლის 20 ოქტომბრიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა თ. დ-ან.

აქედან გამომდინარე, თ. დ-ის მიერ ა. დ-ის სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით ან მართვით მიღების შემთხვევაში (მაგალითად, თუ თ. დ-ე ცხოვრობდა მამამისის სახლში სამკვიდროს გახსნიდან ექვსი თვის განმავლობაში) უნდა დაეუშვათ პრეზუმფციას, რომ თ. დ-ის გარდაცვალებით სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვსი თვის განმავლობაში გ. მ-მა მიიღო თავისი მეუღლის და, შესაბამისად, სადავო სამკვიდრო. ივარაუდება, რომ ქორწინებაში მყოფი მეუღლეები ეწევიან ერთიან საოჯახო მეურნეობას. მეუღლეთა კავშირი ატარებს სამისდღემშიო ხასიათს და წარმოადგენს მათი სულიერი, ფიზიოლოგიური, ყოფით-მეურნეობრივი თუ სხვა მისწრაფებების რეალიზაციის საშუალებას. ამდენად, თუ საწინააღმდეგო არ დასტურდება (მაგალითად, მეუღლეები ფაქტობრივად წლების მანძილზე არ ცხოვრობდნენ ერთად და ა.შ.) ივარაუდება, რომ გ. მ-მა ფაქტობრივი ფლობით მიიღო თავისი მეუღლის ქონება, შესაბამისად, მტკიცების ტვირთი ეკისრება მხარეს, რომლის ინტერესს წარმოად-

გენს ამ პრეზუმფციის გაქარწყლება.

რაც შეეხება კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1450-ე მუხლი, რომლის თანახმად, მოსარჩელის მოთხოვნა ხანდაზმულია, არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ თ. დ-ე გარდაიცვალა 2002 წლის 5 მაისს. ამდენად, გ. მ-ის მიერ თ. დ-ის სამკვიდროს მიღების ფაქტის დადგენაზე უნდა გავრცელდეს მოქმედი (1997 წლის 26 ივნისის) საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (1507-ე მუხლის თანახმად), კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მონიშნავს, რომ მან სამკვიდრო მიიღო. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ მემკვიდრე ფაქტობრივად შეუდგა სამკვიდროს ნაწილის ფლობას, ითვლება, რომ მან მთლიანად მიიღო სამკვიდრო, რაშიც უნდა გამოიხატებოდეს და სადაც უნდა იყოს იგი. ამავე კოდექსის 1433-ე მუხლის თანახმად მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან. ამდენად, სამკვიდროს მიღების ფაქტს, განსახილველი ნორმის თანახმად, გააჩნდა უკუძალა. ე.ი, მემკვიდრემ, რომელმაც მიიღო სამკვიდრო ქონება, ითვლება მის მესაკუთრედ სამკვიდროს გახსნის დღიდან და, შესაბამისად, სამკვიდრო ქონების მოცულობა განისაზღვრება სამკვიდრო გახსნის დღეს არსებული ქონებით, ასევე, გასათვალისწინებელია, რომ სამკვიდროს მიღება შეუქცევადია, რაზეც მიუთითებს მითითებული კოდექსის 1434-ე მუხლი, კერძოდ, მემკვიდრეს შეუძლია, უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე სამი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა მან შეიტყო ან უნდა შეეცყო თავისი მოწვევის შესახებ სამკვიდროს მისაღებად. საპატიო მიზეზის არსებობისას ეს ვადა შეიძლება გააგრძელოს სასამართლომ, მაგრამ არა უმეტეს ორი თვისა. უარის თქმა სამკვიდროს მიღებაზე უნდა გაფორმდეს სანოტარო ორგანოში.

ამდენად, მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან ექვს თვეში ფაქტობრივი ფლობით სამკვიდროს მიღება ნიშნავს, რომ მემკვიდრეს სამკვიდრო უკვე მიღებული აქვს და მიღებული სამკვიდრო მემკვიდრის საკუთრებად ითვლება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1433-ე მუხლი).

ყოველივე ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული მასალების საფუძველზე უნდა გამოიკვლიოს თ. დ-ის მიერ ა. დ-ის სამკვიდრო ქონების მიღების, ხოლო შემდეგ გ. მ-ის მიერ თ. დ-ის სამკვიდროს მიღების ფაქტები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. დ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 16 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამკვიდროს მიღება

განჩინება

№ას-515-489-2011

17 აპრილი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი**

დავის საგანი: სამკვიდროს გაყოფა, სამკვიდრო მონაწილისა და ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა, სამკვიდროს მიღების ვადის აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

ა. გ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. ნ-ისა და ვ. ნ-ის მიმართ ქ.თბილისში, ა-ის ქ. №14-ში კ. გ-ის სახელზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ქონების 1/18-ის, ნ. გ-ის სახელ-

ზე რეგისტრირებული 1/9-ის მესაკუთრედ და ვ. ნ-ის სახელზე რეგისტრირებული 1/3-ის ნახევრის მესაკუთრედ ცნობის, ნოტარიუს ი. ნ-ის მიერ 2003 წლის 14 თებერვალს (რეესტრის №2მ-3) და 2003 წლის 1 მაისს (რეესტრის №2მ-15) ა. გ-ის სამკვიდროზე, მ. ნ-ის სახელზე გაცემული კანონისმიერი სამკვიდრო მონაწილის ბათილად ცნობის, მ. და ვ. ნ-ს შორის დადებული, 2004 წლის 4 მარტს ნოტარიუს ლ. გ-ის მიერ დამოწმებული №1-733 ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

მოსარჩელის განმარტებით, ის ცხოვრობს ქ.თბილისში, ა-ის ქ. №14-ში. მითითებულ მისამართზე მდებარე ქონება წარმოადგენს სამკვიდრო ქონებას, მთლიანი სამკვიდროდან 1/2 ნაწილი ამჟამად ირიცხება ვანდა გაბიროვას სახელზე, რასაც მოსარჩელე სადავოდ არ მიიჩნევს, ხოლო მთლიანი სამკვიდრო ქონების 1/3 ირიცხება ვ. ნ-ის სახელზე, 1/18 – კ. გ-ის, 1/9 – ნ. გ-ის სახელზე. ან გარდაცვლილი კ. და ნ. გ-ების სახელზე რეგისტრირებული წილები მთლიანობაში შეადგენს მთლიანი სამკვიდროს 1/6-ს. მოსარჩელემ განმარტა, რომ ის სადავოდ ხდის ვ. ნ-ის სახელზე რეგისტრირებულ სამკვიდროს 1/3-ის ნახევარს, რომელიც მთლიანი სამკვიდროს 1/6 ნაწილია.

მოსარჩელის პაპა – კ. გ-ი, რომლის სახელზეც ირიცხება სამკვიდროს 1/18 გარდაიცვალა 1949 წელს, რომელსაც დარჩა 5 მემკვიდრე, შვილები: ა.ი, მ., ვ., ი. და ი. გ-ები. ნ. გ-ი, რომლის სახელზეც რეგისტრირებულია სახლის 1/9, გარდაიცვალა 1942 წელს და მას მემკვიდრეები არ დარჩენია.

კ. გ-ის მემკვიდრეებმა ფაქტობრივი ფლობით მიიღეს სამკვიდრო 1949 წელს. ამ მემკვიდრეთაგან მოსარჩელის მამა – ა. გ-ი გარდაიცვალა 1961 წელს და მას დარჩა სამი მემკვიდრე, შვილები: მ., გ. და ა. გ-ები. ა. გ-ს სამკვიდრო მის სახელზე აღრიცხული არ ჰქონდა, თუმცა მის მიერ ფაქტობრივი ფლობით ქონების მიღებას ადასტურებს ის, რომ კ. გ-ის გარდაცვალების შემდგომ რეგისტრირებული იყო სადავო ბინაში და გარდაცვალების დროისათვის ითვლებოდა ქონების მესაკუთრედ. ა. გ-ის გარდაცვალების შემდგომ მოსარჩელემ სადავო ბინა მიიღო ფაქტობრივი ფლობით, რაც დასტურდება მისი აღნიშნულ მისამართზე რეგისტრაციის ფაქტით და ამას არც მხარეები ხდიან სადავოდ.

მ. ნ-ი არის მოსარჩელის და, იმავდროულად ა. გ-ის პირველი რიგის მემკვიდრე, თუმცა, მას სამკვიდრო არც ფაქტობრივი ფლობით და არც სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანის გზით არ მიუღია, რადგანაც გათხოვდა 1950 წელს, მამის გარ-

დაცვალებამდე 11 წლით ადრე და ცხოვრობს სხვა მისამართზე.

კ. გ-ის სამკვიდრო ა. გ-ის გარდა ასევე მიიღო მისმა დამ – ი.მ. მ. გ-ი გარდაიცვალა 1937 წელს, ხოლო ვ. გ-ი – 1974 წელს, ისე, რომ შთამომავალი არ დარჩენია.

ი. გ-ი გარდაიცვალა 1975 წელს და მისი სამკვიდროს 1/4 მიიღო შვილმა – ლ.მა. იგი გარდაიცვალა 1983 წელს და რადგან ამ უკანასკნელებს სხვა მემკვიდრეები არ დარჩენიათ, თითოეული მათგანის 1/4 წილი განაწილდა სხვა მემკვიდრეებზე, საბოლოოდ ი. გ-ის წილი განისაზღვრა 1/2-ით, ხოლო დარჩენილი სამკვიდრო ქონების 1/2 უნდა განაწილებულიყო ა. გ-ის მემკვიდრეებზე.

მოსარჩელემ მიუთითა ასევე მ. და ვ. ნ-ებს შორის დადებულ ჩუქების ხელშეკრულებაზე და განმარტა, რომ, ვინაიდან მ. ნ-ს სამკვიდრო არ მიუღია და სასამართლო გადაწყვეტილება გაუქმებულია, რომლის საფუძველზეც გაიცა სამკვიდრო მონაწილეობა, მ.ნ-ი არ იყო უფლებამოსილი განეკარგა ქონება. თავის მხრივ, ვ. ნ-მა იცოდა რომ გამჩუქებელი – დედა არაკეთილსინდისიერად დაეუფლა ქონებას, ასევე იცოდა, რომ მისი ბიძა – ა. გ-ი ფაქტობრივად ფლობდა სამკვიდროს, აღნიშნული ადასტურებს ჩუქების ხელშეკრულების მოწვევებითობას, რაც ბათილია თანახმად სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და ამავე კოდექსის 185-ე მუხლით გათვალისწინებული გარანტია ვ. ნ-ის მიმართ არ ვრცელდება. ის ფაქტი, რომ ა. გ-ი საჯარო რეესტრში ქონების მესაკუთრედ არ იყო აღრიცხული არ გამორიცხავს სადავო ხელშეკრულების ბათილად ცნობასა და ვ. ნ-ის არაკეთილსინდისიერებას.

მ. ნ-მა ასევე მიმართა სასამართლოს სარჩელით და მოითხოვა პაპის – კ. გ-ის სამკვიდრო ქონების მიღების ვადის გაგრძელება იმ საფუძველით, რომ პაპის გარდაცვალების შემდგომ ბინა არავის სახელზე აღრიცხულა და მისი მემკვიდრეობა უნდა მიეღოთ კ-ს შვილებს. მ. ნ-ს არ ჰქონდა უფლება მათ სიცოცხლეში მიემართა ნოტარიუსისათვის მემკვიდრეობის მიღების თაობაზე, რამაც გამოიწვია სამკვიდროს მიღების ვადის საპატიო მიზეზით გაშვება.

მ. ნ-მა და ვ. ნ-მა ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და სამკვიდრო ქონებიდან მ. ნ-ის წილის მოსაჩეღისათვის მიკუთვნების ნაწილში სარჩელი არ ცნეს იმ საფუძველით, რომ მ. ნ-მა ფაქტობრივი ფლობით მიიღო რა მამის სამკვიდრო, უფლებამოსილი იყო, როგორც სადავო ქონების მესაკუთრეს განეკარგა თავისი კუთვნილი წილი. ამდენად, უსაფუძველოდ მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა.

ა. გ-მა ასევე არ ცნო მ. ნ-ის სარჩელი უსაფუძვლოების გამო. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით ა. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ა. გ-ი ცნობილი იქნა ქ.თბილისში, ა-ის ქ. №14-ში კ. გ-ის სახელზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული 1/18 წილის, ნ. გ-ის სახელზე რეგისტრირებული 1/9 წილის მესაკუთრედ და ვ. ნ-ის სახელზე რეგისტრირებული 1/3 ნაწილიდან – 1/4-ის მესაკუთრედ, რაც შეადგენს მთლიანი ქონების 1/12 წილს, ბათილად იქნა ცნობილი ნოტარიუს ი. ნ-ის მიერ 2003 წლის 14 თებერვალს (რეესტრის №2მ-3) ა. გ-ის სამკვიდროზე, მ. ნ-ის სახელზე სამკვიდრო ქონების – ქ.თბილისში, ა-ის ქ. №14-ში მდებარე ქონების 1/3 წილიდან – 1/18 წილზე გაცემული კანონისმიერი სამკვიდრო მონაწილეობა 1/2 ნაწილში, ბათილად იქნა ცნობილი ნოტარიუს ი. ნ-ის მიერ 2003 წლის 1 მაისს (რეესტრის №2მ-15) ა. გ-ის სამკვიდროზე, მ. ნ-ის სახელზე სამკვიდრო ქონების – ქ.თბილისში, ა-ის ქ. №14-ში მდებარე ქონების 1/3 წილიდან – 1/9 წილზე გაცემული კანონისმიერი სამკვიდრო მონაწილეობა 1/2 ნაწილში, ბათილად იქნა ცნობილი მ. ნ-სა და ვ. ნ-ს შორის 2004 წლის 4 მარტს დადებული ჩუქების ხელშეკრულება 1/2 ნაწილში (რეგისტრაციის №1-733, ნოტარიუსი ლ. გ-ი).

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მ. და ვ. ნ-ებმა.

ამავე გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ა. გ-მა, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 დეკემბრის განჩინებით მ. ნ-ის, ვ. ნ-ისა და ა. გ-ის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოება, რომ ქ.თბილისში, ა-ის (ყოფილი ს-ოს) ქ. №14-ში მდებარე უძრავი ქონება ტექნიკური აღრიცხვის ბიუროში რეგისტრირებული იყო და-ძმების: კ. გ-ის, ნ. გ-ისა და ლ. გ-ის სახელზე. ნ. გ-ი გარადაიცვალა 1942 წლის 3 მარტს, ლ. გ-ი – 1948 წლის 2 აპრილს, ხოლო კ. გ-ი – 1945 წლის 25 თებერვალს. ლ. და ნ. გ-ებს მემკვიდრე არ დარჩენიათ. ლ. გ-

ის სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით მიიღეს ძმებმა, ხოლო ნ. გ-ის გარდაცვალების შემდეგ მისი სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით მიიღო ძმამ – კ. გ-მა.

კ. გ-ს ჰყავდა 5 შვილი, რომელთაგან საბოლოოდ დარჩა ორი სამკვიდროს მიმღები მემკვიდრე, შვილები – ა-ი და ი. გ-ები, რომელთაც ფაქტობრივი ფლობით მიღებული ჰქონდათ მამის სამკვიდრო. ამდენად, კ. გ-ის სამკვიდრო გაიყო ორ ნაწილად, რომლის 1/2 წილი, ვ. გ-მა, როგორც ი. გ-ის შვილმა მიიღო მემკვიდრეობით და საჯარო რეესტრში აღირიცხა მესაკუთრედ, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ ამ ქონების მესაკუთრე გახდა შვილი ვანდა გარიბოვი. ი. გ-ის და, შესაბამისად, მისი მემკვიდრეების მიერ მიღებული ქონების S მხარეების მიერ სადავოდ არ არის გამხდარი. ა. გ-ი გარდაიცვალა 1961 წლის 18 ნოემბერს. მას ჰყავდა სამი შვილი: მოპასუხე მ. ნ-ი, მოსარჩელე ა. გ-ი და გ. გ-ი. მხარეები სადავოდ არ ხდია ა. გ-ის და გ. გ-ის მიერ მამის სამკვიდროს მიღების ფაქტს. გ. გ-ის მიერ მამის სამკვიდროს მიღების საკითხი დავის საგანს არ წარმოადგენს. გ. გ-ი გარდაიცვალა 2002 წლის 26 მარტს, მას დარჩა მემკვიდრეები. ა. გ-ს მამის სამკვიდროს მიღების მიზნით სამკვიდროს გახსნის ადგილის ნოტარიუსისათვის არ მიუმართავს. სადავო მისამართზე დღემდე ცხოვრობს ა. გ-ი. განსახილველი დავის საგანს წარმოადგენს მ. ნ-ის მიერ მამის სამკვიდროს მიღების ფაქტი, კერძოდ, მამის გარდაცვალების შემდეგ დაუფლა თუ არა იგი ა. გ-ის სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით, ასევე არსებობს თუ არა მ. ნ-ის მიერ 2002 წლის 25 სექტემბერს აღძრული სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლები.

2002 წლის 3 ოქტომბერს მ. ნ-მა, 1949 წლის 25 თებერვალს გარდაცვლილი მამის – ა. გ-ის მემკვიდრეობის მიღების მიზნით მიმართა ნოტარიუს ი. ნ-ს, რომელმაც 2002 წლის 7 ოქტომბრის დადგენილებებით უარი უთხრა მას სამკვიდრო მონაწილის გაცემაზე, მემკვიდრეობის მიღების ვადის გაშვების გამო. 2002 წლის 25 სექტემბერს მ. ნ-მა სარჩელი აღძრა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში თბილისის ჩუღურეთის რაიონის ნოტარიუს ი. ნ-ის მიმართ, პაპის – კ. გ-ის სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების თაობაზე, რომელიც დაკმაყოფილდა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებით. საქმეში წარმოდგენილი ჩუქების ხელშეკრულებით დასტურდება და მხარეები სადავოდ არ ხდია იმ გარემოებას, რომ 2004 წლის 4 მარტს, ნოტარიუს ლ. გ-ის მიერ დამონებული ჩუქების ხელშეკრულების (რეესტრის №1-733) საფუძველზე, მ. ნ-მა აჩუქა

შვილს – ვ. ნ-ს ქ.თბილისში, ა-ის ქუჩა №14-ში მდებარე უძრავი ქონებიდან მისი კუთვნილი 1/6 ნაწილი, რომელიც მან მიიღო-ნოტარიუს ი. ნ-ის მიერ 2003 წლის 14 თებერვალს (რეესტრის №2მ-3) და ამავე ნოტარიუსის მიერ 2003 წლის 1 მაისს (რეესტრის №2მ-15) გაცემული კანონისმიერი სამკვიდრო მონაწილეობის საფუძველზე. ვ. ნ-ი საჯარო რეესტრში აღირიცხა სადავო ქონების მესაკუთრედ და მისი წილი დღევანდელი მონაცემებით შეადგენს აღნიშნულ მისამართზე მდებარე უძრავი ქონების 1/3 ნაწილს. მხარეები სადავოდ ხდიან საჯარო რეესტრში ვ. ნ-ის სახელზე რეგისტრირებული 1/3 წილიდან, მხოლოდ ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე ვ. ნ-ისათვის გადაცემული ქონების 1/6 ნაწილს. საქმეში წარმოდგენილი ნოტარიუს ი. ნ-ის 2003 წლის 14 თებერვლის (რეესტრის №2მ-3) სამკვიდრო მონაწილეობის თანახმად, მ. ნ-მა მიიღო მამის – ა. გ-ის სამკვიდრო (რომელსაც ფაქტობრივი ფლობით მიღებული ჰქონდა მამის – კ. გ-ის სამკვიდრო). კერძოდ, ა. გ-ის სამკვიდრო მასაში შემავალი – ქ.თბილისში, ა-ის (ყოფილი ს-ოს) ქ. №14-ში მდებარე ქონების 1/3 ნაწილის 1/18 წილი, ხოლო ნოტარიუს ი. ნ-ის 2003 წლის 1 მაისის (რეესტრის №2მ-15) სამკვიდრო მონაწილეობის თანახმად, მ. ნ-მა მიიღო მამის ა. გ-ის სამკვიდრო (რომელსაც ფაქტობრივი ფლობით მიღებული ჰქონდა მამის – კ. გ-ის სამკვიდრო, ხოლო კ-ს ძმის ნ. გ-ის სამკვიდრო), კერძოდ, ა. გ-ის სამკვიდრო მასაში შემავალი – ქ.თბილისში, ა-ის (ყოფილი ს-ოს) ქ. №14-ში მდებარე ქონების 1/3 ნაწილის 1/9 წილი. აღნიშნულ სამკვიდრო მონაწილეობაში, მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების საფუძველად მითითებულია მ. ნ-ის მიერ 2002 წლის 3 ოქტომბერს სანოტარო ბიუროში შეტანილი განცხადება, რომლითაც 2002 წლის 7 ოქტომბრის ნოტარიუსის დადგენილებებით უარი ეთქვა მამის მემკვიდრეობის მიღებაზე და თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება, მ. ნ-ისათვის გაშვებული მემკვიდრეობის ვადის აღდგენის შესახებ. 2004 წლის 17 დეკემბერს, ა. გ-მა განცხადებით მიმართა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს 2002 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით, რაც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 3 ივლისის განჩინებით დაკმაყოფილდა და განაზღვრა საქმის წარმოება. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 25 თებერვლის საოქმო განჩინებით, არასათანადო მოპასუხე ნოტარიუსი, შეიცვალა სათანადო მოპასუხით და საქმეში ჩაერთო ა. გ-ი.

სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე მხარის პოზიცია, რომ მ. ნ-ი დაეუფლა მამის სამკვიდრო მასაში შემავალ ნივთებს, კერძოდ, ფლობდა სადავო საცხოვრებელი სახლის ერთ ოთახს, მოძრავ ნივთებს, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლისა და ამავე კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად მტკიცების ტვირთი მხარეებს მათ მიერ მითითებული გარემოებების დადასტურებისა ანევეთ თანაბრად. შესაბამისად, როგორც მოსარჩელე, ასევე მოპასუხე ვალდებულია, დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც ისინი ამყარებენ თავიანთ მოთხოვნასა და შესაგებელს. მოპასუხე მხარეს ზემოაღნიშნული გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები, ანუ მტკიცებულებები იმისა, რომ მ. ნ-ი ა. გ-ის გარდაცვალებიდან ექვს თვეში დაეუფლა მამის სამკვიდროს, სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია. საქმეში მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით კი დასტურდება სანიხაალმდეგო. სასამართლომ მიუთითა საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე: საბინაო წიგნსა და გადასახადის გადახდის ქვითრებზე, რომლებიც ადასტურებენ ა. გ-ის მიერ სამკვიდროს ფლობის ფაქტს. აღნიშნული მტკიცებულებებით მ. ნ-ის მიერ სადავო ქონების ფლობის ფაქტი არ დადგინდა, ხოლო საქმეში რაიმე იმის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულება, რომ მ. ნ-მა მიიღო მამის სამკვიდრო არ მოიპოვება. სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების, მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენის, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობაში მიღებისა და მათი სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე, დადგენილად მიიჩნია, რომ მ. ნ-ი სამკვიდროს, მამის გარდაცვალებიდან ექვს თვეში ფაქტობრივი ფლობით არ დაუფლებია.

სააპელაციო სასამართლომ ასევე გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი შეფასება და ჩათვალა, რომ სასამართლომ სწორად მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლებზე, სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის 1-ლ და მე-3 ნაწილებზე, 1504-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ნ., კ., ლ. და ა. გ-ები გარდაიცვალნენ 1942, 1945, 1948, 1961 წლებში, სამკვიდრო გაიხსნა ახალი სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე და ზემოთ მითითებული მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით, სამკვიდროს მიღებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები უნდა მოწესრიგებულიყო სამკვიდროს გახსნის დროისათვის მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის შესაბამისი ნორმებით.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო სამართლის (1923 წლის რედ.) კოდექსის 418-ე მუხლით, 420-ე მუხლით, 432-ე მუხლით და დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. გ-ი გარდაიცვალა 1942 წლის 3 მარტს, ლ. გ-ი გარდაიცვალა 1948 წლის 2 აპრილს, ხოლო კ. გ-ი – 1945 წლის 25 თებერვალს. ლ. და ნ. გ-ებს პირველი რიგის მემკვირე არ დარჩენიათ. ლ. გ-ის სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით მიიღეს ძმებმა, ხოლო ნ. გ-ის გადაცვალების შემდეგ მისი სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით მიიღო ძმამ – კ. გ-მა. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ იგი ქ.თბილისში, ა-ის (ყოფილი ს.) ქ. №14-ში მდებარე ქონების მესაკუთრეს წარმოადგენდა, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ ფაქტობრივი ფლობით მიიღეს შვილებმა ა. და ი. გ-ებმა, შესაბამისად, თითოეული მეკვიდრის წილი განისაზღვრა 1/2-ით. 1961 წელს გარდაიცვალა ა. გ-ი, რომლის სამკვიდრო მასას შეადგენდა ქ.თბილისში, ა-ის (ყოფილი ს-ოს) ქ. №14-ში მდებარე ქონების S ნაწილი. მას დარჩა სამი მემკვიდრე, შვილები: მ. ნ-ი, ა. და გ. გ-ები, რომელთა წილები სამკვიდროს მიღების შემთხვევაში განისაზღვრებოდა თითოეულის 1/6-ით. მხარეები სადავოდ არ ხდიან ა. და გ. გ-ების მიერ მამის სამკვიდროს მიღებას. რაც შეეხება მ. ნ-ის მიერ კანონით დადგენილი წესით სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღებას, სასამართლომ დადგენილად არ მიიჩნია.

მ. ნ-ის სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ არც კ. გ-ისა და არც ა. გ-ის სამკვიდროს გახსნის დროს მოქმედი სამოქალაქო სამართლის (1923 წლის რედ.) კოდექსი სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელებას არ ითვალისწინებდა. ამასთან, როგორც იმ დროს მოქმედი, ასევე, დღეს მოქმედი კანონის თანახმად, კ. გ-ის კანონით მემკვიდრედ, იმ ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, რომ კ. გ-ის გარდაცვალების შემდეგ ცოცხალი იყო მისი შვილი ა. გ-ი, მ. ნ-ი ვერ მიიჩნეოდა, შესაბამისად, მისი მოთხოვნა პაპის სამკვიდროზე ვადის გაგრძელების თაობაზე, მოკლებული იყო სამართლებრივ საფუძველს და მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებები, სამკვიდროს მიუღებლობის საპატიოობის საფუძვლად ვერ განიხილებოდა ზემოაღნიშნული არგუმენტაციის გათვალისწინებით, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 1336-ე, 1421-ე, 1426-ე (1997 წლის რედ.) მუხლებისა. სასამართლოს განმარტებით, მოქმედი სამოქალაქო კოდექსი ადგენს სამკვიდროს მიღების კონკრეტულ ვადას, მაგრამ ამავე დროს ითვალისწინებს სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების შესაძლებლობასაც, ვადის გაგრძელების საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში, ამავე კოდექსის 1426-ე მუხლის 1-ლი ნაწილის

შესაბამისად. მართალია, კანონმდებელი საპატიოობის კრიტერიუმებს არ აკონკრეტებს და იგი სასამართლოს შეხედულებით წყდება, მაგრამ აღნიშნული საკითხის განხილვის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ყოველი კონკრეტული შემთხვევის თავისებურება, რაც უნდა ეფუძნებოდეს საქმის იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც სარწმუნოს ხდიან, რომ მემკვიდრეს, ობიექტური მიზეზების გამო, არ შეეძლო ფაქტობრივად დაუფლებოდა სამკვიდრო ქონებას ან მიემართა სანოტარო ორგანოსათვის, რაც, მოცემულ შემთხვევაში, არ დასტურდება. მ. ნ-ს მამის სამკვიდრო ქონების მიღების თაობაზე კანონით დადგენილ ვადაში სანოტარო ორგანოსათვის განცხადებით არ მიუმაართავს და სამკვიდროს არც ფაქტობრივი ფლობით დაუფლებია, არ არსებობს ასევე სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების საპატიო საფუძველი. სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. ნ-ი მამის სამკვიდროს 1/6 წილის მესაკუთრედ ვერ მიიჩნეოდა და, შესაბამისად, არსებობდა სადავო სამკვიდრო მონმობების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო სამართლის (1923 წლის რედ.) კოდექსის 420-ე მუხლზე და განმარტა, რომ მითითებული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, იმ მემკვიდრის წილი, რომელსაც კანონით დადგენილი წესით არ მიუღია სამკვიდრო, თანაბრად ნაწილდება სამკვიდროს მიმღებ მემკვიდრეთა შორის. ა. გ-ის სამკვიდრო მიიღეს მისმა შვილებმა გ. და ა. გ-ებმა, ხოლო მ. ნ-ის მიერ სამკვიდროს მიღება საქმის მასალებით არ დასტურდება, ამდენად მისი წილი სადავო ქონების 1/6 ნაწილი უნდა გაიყოს ორ ნაწილად, რაც შეადგენს 1/12-ს, ამიტომ ა. გ-ს ზემოაღნიშნული ნორმების თანახმად, პრეტენზია შეიძლება ჰქონდეს მ. ნ-ის მიერ სადავო სამკვიდრო მონმობებში მითითებული წილის ნახევარზე. სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლზე და განმარტა, რომ მოსარჩელის იურიდიული ინტერესის გათვალისწინებით სადავო სამკვიდრო მონმობები უნდა გაბათილებულიყო ნაწილობრივ, კერძოდ, 1/2 ნაწილში. ასევე, ზემოაღნიშნული არგუმენტაციის შესაბამისად, არსებობდა ჩუქების ხელშეკრულების 1/2 ნაწილში ბათილად ცნობის საფუძველი. სამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე მხარის განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ ვინაიდან ვ. ნ-ი, სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად, წარმოადგენდა კეთილსინდისიერ შემძენს, არ არსებობდა ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი. სასამართლომ განმარტა, რომ ზემოაღნიშნული ნორმა იცავს კეთილსინდისიერი მესამე პირის ინტერესებს, რომელმაც სადავო უძ-

რავი ქონება შეიძინა (იყიდა), ჩუქების ხელშეკრულების ძირითად თავისებურებას კი წარმოადგენს მისი უსასყიდლო ხასიათი, ამ გარიგებას მესაკუთრისათვის – მჩუქებლისათვის, სარგებლობა არ მოაქვს (სკ-ის 524-ე მუხლის თანახმად, ჩუქების ხელშეკრულებით, მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებად მისი თანხმობით). ვინაიდან მოპასუხე მ. ნ-მა განკარგა ქონების ის ნაწილი, რომელზეც მოსარჩელეს უფლება ჰქონდათ მოპოვებული, უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულება სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელის იურიდიული ინტერესის ფარგლებში ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი. სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე და მიიჩნია, რომ სადავო ჩუქების ხელშეკრულების ძალით, მ. ნ-მა განკარგა ნივთი, რომელზეც ა. გ-ს გააჩნდა თანასაკუთრების უფლება და მისი განკარგვა შესაძლებელი იყო მხოლოდ მოსარჩელის ნებართვით. სასამართლომ ასევე მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 62-ე მუხლზე და სადავო ჩუქების გარიგება ბათილად მიიჩნია იმ ნაწილში, რომლითაც მ. ნ-მა განკარგა მოსარჩელის კუთვნილი წილი, კერძოდ, ჩუქების ხელშეკრულებით მ. ნ-მა განკარგა სამკვიდრო ქონების 1/6 ნაწილი, საიდანაც ა. გ-ის წილი შეადგენს ნახევარს, შესაბამისად, სასამართლომ ჩუქების ხელშეკრულება ბათილად მიიჩნია ამ ნაწილში და მოსარჩელე ა. გ-ი ცნო ქ.თბილისში, ა-ის ქ. №14-ში ვ. ნ-ის სახელზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული 1/3 ნაწილში შემავალი 1/6 ნაწილის ნახევრის (რაც შეადგენს მთლიანი ქონების 1/12 წილს) მესაკუთრედ. მითითებული გარემოებიდან გამომდინარე კი, ასევე საფუძვლიანად იქნა მიჩნეული მოთხოვნა ქ.თბილისში, ა-ის ქ. №14-ში კ. გ-ის სახელზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული 1/18 წილის, ნ. გ-ის სახელზე რეგისტრირებული 1/9 წილის, რაც შეადგენს ქონების 1/6 ნაწილს, მესაკუთრედ ცნობის თაობაზე და მოსარჩელე ა. გ-ის წილი ზემოაღნიშნული ქონებიდან განისაზღვრება $1/6 + 1/12 = 1/4$ ნაწილით.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტების – მ. და ვ. ნ-ების არგუმენტი, რომ ა. გ-ის მიერ სარჩელით გასაჩივრებული იყო მხოლოდ ერთი მემკვიდრეობის მონაწილეობა – ნოტარიუს ი. ნ-ის მიერ 2003 წლის 14 თებერვალს გაცემული სამკვიდრო მონაწილეობა, სასამართლომ კი გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში მიუთითა, რომ ა. გ-ი სასარჩელო განცხადებით ითხოვდა, როგორც 2003 წლის 14 თებერვლის, ასევე, 1 მაისს გაცემული მემკვიდრეობის მონაწილეობის ბათილად ცნობას, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე

მუხლი და ამავე კოდექსის მე-3 და მე-4 მუხლებით დადგენილი პრინციპები, ვინაიდან სასამართლომ დააკმაყოფილა ის მოთხოვნა, რომელი მოთხოვნაც მხარეს არ ჰქონია წამოყენებული საამისოდ განსაზღვრული წესითა და ფორმით. პალატამ მითითებული გარემოების საწინააღმდეგოდ მიუთითა ა. გ-ის წარმომადგენელ თეიმურაზ მაისურაძის 2004 წლის 17 დეკემბერს განცხადებაზე, სადაც დაზუსტებულ იქნა სასარჩელო მოთხოვნა, რომელიც საბოლოოდ ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: ა) 2003 წლის 1 მაისის სამკვიდრო მონუმობის; ბ) 2003 წლის 14 თებერვლის კანონისმიერი უფლების მონუმობის; გ) 2004 წლის 4 მარტის უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულების და დ) 2004 წლის 29 აპრილის საჯარო რეესტრის № 14746/2004 ამონაწერის გაუქმება, რაც გამოორიცხავდა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის დარღვევას.

სასამართლოს მიერ ასევე არ იქნა გაზიარებული მ. და ვ. ნების სააპელაციო პრეტენზია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებასთან მიმართებით, რომ მოპასუხეები სადავოდ არ ხდიდნენ ა. გ-ის მიერ მამის სამკვიდროს მიღების ფაქტს და აღნიშნულის საწინააღმდეგოდ მიუთითა 2010 წლის 23 თებერვლის სხდომის ოქმზე, სადაც მოპასუხეები სადაოდ არ ხდიან ა. გ-ის მიერ მამის სამკვიდროს მიღების ფაქტს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლების შესაბამისად, დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული ამ უკანასკნელთა მოსაზრებაც, რომ მ. ნ-ი დაეუფლა მამის სამკვიდრო მასაში შემავალ ნივთებს, კერძოდ, ფლობდა სადავო საცხოვრებელი სახლის ერთ ოთახს, მოძრავ ნივთებს. ამასთან, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად არ გაიზიარა მოპასუხის განმარტება, რომ, ვინაიდან ვ. ნ-ი, სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად, წარმოადგენდა კეთილსინდისიერ შემძენს, არ არსებობდა ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი.

პალატამ, სამოქალაქო კოდექსის 380-ე მუხლის შესაბამისად, ვინაიდან არ არსებობდა ამავე კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საპატიო მიზეზი, არ გაიზიარა აპელანტ ა. გ-ის მითითება ახალ გარემოებაზე – მემკვიდრეთა წილებში ახალ მემკვიდრეზე – ი. გ-ის შვილ ლ. ე-ის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. გ-მა, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო სასამართლომ დაარღვია როგორც მატერიალური, ისე საპროცესო სამართლის მოთხოვნები, სასამართლომ არასწორად გამოიყენა კანონი, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლი და მხოლოდ ამ ნორმაზე დაყრდნობით არასწორად მიიჩნია სააპელაციო საჩივრის საფუძვლები ახალ გარემოებებად, რადგანაც, როგორც სარჩელით, ისე სააპელაციო საჩივრით ა.გ-ი მოითხოვდა დამატებით სამკვიდროს იმ 1/6-ს, რომელიც არასწორად განკარგა მ. ნ-მა, სასამართლომ მემკვიდრეთა არსებული წრის გათვალისწინებით, სამკვიდრო ქონების მათზე მონაცვლეობის გადასვლის ნაწილში არასწორად განსაზღვრა და არასწორად დაიანგარიშა ის ქონება, რომელიც ექვემდებარებოდა ა. გ-ის სასარგებლოდ დაბრუნებას. საქმის პირველი ინსტანციის წესით განხილვისას წარმოდგენილ იქნა სასამართლო გადაწყვეტილება, რომლითაც დასტურდება კასატორის ძმის – გ. გ-ის მიერ სამკვიდროს 1979 წლამდე მიღების ფაქტი, სასამართლომ არ შეაფასა მითითებული მტკიცებულება იმგვარად, რომ 1979 წლამდე სადავო სამკვიდროში ცხოვრება 1978 წლის ჩათვლით შესაბამისი იურიდიული მოქმედების განხორციელებას გულისხმობს, ამავე სასამართლოში წარმოდგენილი გარდაცვალების მოწმობით დასტურდება ისიც, რომ ი. გ-ის შვილი ლ. ე-ი გარდაიცვალა 1979 წელს, მაშინ, როდესაც გ. გ-ი სადავო სამკვიდროში არ ცხოვრობდა და მას არც სხვა გზით ჰქონდა მიღებული სამკვიდრო.

კასატორის განმარტებით, მისი იურიდიული ინტერესი შეეხებოდა არა სადავო სამკვიდროს 1/6-ის ნახევრის – 1/12-ის მიღებას, არამედ დამატებით 1/6-ის მიღებას, სასამართლომ კი მას 1/12 მიაკუთვნა და დარჩენილი 1/12-ის მიკუთვნებაზე უარი უთხრა იურიდიული ინტერესის არარსებობის მოტივით. სასამართლომ არასწორად ჩათვალა, რომ სადავო სამკვიდრო მიღებული ჰქონდა გ. გ-ს, რადგანაც ლ. ე-ი გარდაიცვალა მას შემდეგ, რაც გ. გ-ი აღარ ცხოვრობდა ზემოაღნიშნულ მისამართზე, მითითებული გარემოება (სამკვიდროს მიღების ფაქტი) არც სხვა მტკიცებულებებით დასტურდება. მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, ვინაიდან კასატორი სარჩელითვე აცხადებდა პრეტენზიას მთელ სამკვიდროზე, სასამართლომ არასწორად ჩათვალა ახალ გარემოებად ლ. ე-ის წილზე მითითება, ამდენად, სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლზე მითითებით, ამ ნაწილში მიიღო გადაწყვეტილება, რომლის იურიდიული საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც მისი გაუქმების საფუძველია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების შესაბამისად.

ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა არ გაიზიარეს კასატორის განმარტებები, ასევე ზემოაღნიშნული გარემოებები, რომელთა თანახმადაც სასამართლოს ა. გ-ისათვის უნდა მიეკუთვნებინა 1/3: სამკვიდროს 1/6 – კასატორის მიერ მიღებული წილი, 1/6 – მ. ნ-ის მიერ ვ. ნ-ისათვის უკანონოდ გადაცემული სამკვიდრო წილი.

კასატორმა დამატებით განმარტა, რომ მას საკუთარი უფლების დაცვის შესაძლებლობა არ მიეცა, რადგანაც მისი წარმომადგენლები (ადვოკატები) არასწორად განმარტავდნენ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, მოსარჩელე პრეტენზიას აცხადებდა როგორც მ. ნ-ის, ისე გ. გ-ის წილზე. ამ უკანასკნელთაგან არც ერთს მიუღია სამკვიდრო, რაც გამორიცხავს მათ ქონებაზე უფლების წარმოშობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 12 აპრილის განჩინებით ა.გ-ის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად დასაშვებობის შესამოწმებლად, ამავე განჩინებით კასატორს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის საფუძველზე გადაუვადდა სახელმწიფო ბაჟის გადახდა საქმის საბოლოო განხილვამდე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, საკასაციო პრეტენზიის მართებულობისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. გ-ის საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულია ის შემთხვევები, თუ რა მიიჩნევა კანონის დარღვევად, ხოლო მესამე ნაწილი აზუსტებს საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევის შედეგებს, კერძოდ, საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. აღნიშნული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევა შეიძლება მდგომარეობდეს სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა არასწორ შეფა-

სებაში, რასაც საქმის გარემოებების არასწორი დადგენა მოჰყვა, რამაც საბოლოოდ გავლენა იქონია საქმის შედეგზე. სხვა შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, ხოლო ამ გარემოებების ხელახლა გადამონმების საფუძველს ქმნის კასატორის მიერ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზიის (შედავების) წარმოდგენა.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ქ.თბილისში, ა-ის (ყოფილი ს-ოს) ქ. №14-ში მდებარე უძრავი ქონება ტექნიკური აღრიცხვის ბიუროში რეგისტრირებული იყო და-ძმების: კ. გ-ის, ნ. გ-ისა და ლ. გ-ის სახელზე.

ლ. გ-ის გარდაცვალების შემდეგ სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით მიიღეს ძმებმა, ხოლო ნ. გ-ის გადაცვალების შემდეგ მისი სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით მიიღო კ. გ-მა.

კ. გ-ს ჰყავდა ხუთი შვილი, რომელთაგან საბოლოოდ დარჩა ორი სამკვიდროს მიმღები მემკვიდრე, შვილები – ა-ი და ი. გ-ები, რომელთაც ფაქტობრივი ფლობით მიღებული ჰქონდათ მამის სამკვიდრო. ამდენად, კ. გ-ის სამკვიდრო გაიყო ორ ნაწილად, ი. გ-ის და, შესაბამისად, მისი მემკვიდრეების მიერ მიღებული ქონების S მხარეების მიერ სადავო არ გამხდარა.

ა. გ-ი გარდაიცვალა 1961 წლის 18 ნოემბერს. მას ჰყავდა სამი შვილი: მოპასუხე მ. ნ-ი, მოსარჩელე ა. გ-ი და გ. გ-ი. მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ა. გ-ის და გ. გ-ის მიერ მამის სამკვიდროს მიღების ფაქტი.

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მ. ნ-ის სარჩელი ნოტარიუს ი. ნ-ის მიმართ, პაპის – კ. გ-ის სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების თაობაზე.

2004 წლის 4 მარტს, ნოტარიუს ლ. გ-ის მიერ დამონმებული ჩუქების ხელშეკრულების (რეესტრის №1-733) საფუძველზე, მ. ნ-მა აჩუქა შვილს – ვ. ნ-ს ქ.თბილისში, ა-ის ქ. №14-ში მდებარე უძრავი ქონებიდან მისი კუთვნილი 1/6 ნაწილი, რომელიც მან მიიღო-ნოტარიუს ი. ნ-ის მიერ 2003 წლის 14 თებერვალს (რეესტრის №2მ-3) და ამავე ნოტარიუსის მიერ 2003 წლის 1 მაისს (რეესტრის №2მ-15) გაცემული კანონისმიერი სამკვიდრო მონმობების საფუძველზე. ვ. ნ-ი საჯარო რეესტრში აღირიცხა სადავო ქონების მესაკუთრედ და მისი წილი დღევანდელი მო-

ნაცემებით შეადგენს აღნიშნულ მისამართზე მდებარე უძრავი ქონების 1/3 ნაწილს.

2004 წლის 17 დეკემბერს, ა. გ-მა განცხადებით მიმართა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს 2002 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით, რაც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 3 ივლისის განჩინებით დაკმაყოფილდა და განახლდა საქმის წარმოება.

სასამართლოს დასკვნით, საქმეში იმის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, რომ მ. ნ-მა მიიღო მამის სამკვიდრო არ მოიპოვება. შესაბამისად, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მ. ნ-ი სამკვიდროს, მამის გარდაცვალებიდან ექვს თვეში ფაქტობრივი ფლობით არ დაუფლებია.

როგორც საკასაციო საჩივრის შინაარსიდან ირკვევა, კასატორი მიუთითებს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან მხოლოდ საპროცესო ნორმების დარღვევაზე, რაც მისი მოსაზრებით გამოიხატა შემდეგში: სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლი, ვინაიდან კასატორი სარჩელითვე აცხადებდა პრეტენზიას მთელ სამკვიდროზე, შესაბამისად, სასამართლომ არასწორად ჩათვალა ახალ გარემოებად ლ. ე-ის წილზე მითითება. გარდა ამისა, მოსარჩელე პრეტენზიას აცხადებდა როგორც მ. ნ-ის, ისე გ. გ-ის წილზე, რაც არ იქნა მხედველობაში მიღებული; სასამართლომ მემკვიდრეთა არსებული წრის გათვალისწინებით, სამკვიდრო ქონების მათზე მონაცვლეობის გადასვლის ნაწილში არასწორად განსაზღვრა და არასწორად დაიანგარიშა ის ქონება, რომელიც ექვემდებარებოდა ა. გ-ის სასარგებლოდ დაბრუნებას, რაც მიუთითებს სასამართლოს მხრიდან საპროცესო ნორმების დარღვევაზე; სასამართლომ არასწორად შეაფასა კასატორის იურიდიული ინტერესი

საკასაციო სასამართლო კასატორის პრეტენზიის გათვალისწინებით, მიუთითებს კასატორის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე გაკეთებულ ახსნა-განმარტებაზე, რომლის მიხედვითაც ა. გ-ი აცხადებს შემდეგს: „...სამართლებრივად სამკვიდრო ქონება მიღებული აქვს მხოლოდ ი.ს და ა.ს, ი.ს არაფერი არ მიუღია და ის არც არის რეგისტრირებული იქ...“, „...ი. გ-მა მიიღო სამკვიდროს 1/2 წილი, რომელიც შემდეგ მისმა შვილმა ვ-მ მიიღო, რადგან მისი მეუღლე გარდაცვლილია, ჩვენ მათ წილს არ ვხდით სადავოდ. ა. გ-ს მიღებული აქვს ა-ის სამკვიდრო ქონება, მ-ს უკანონოდ აქვს მიღებული მემკვიდრეობა, ხოლო გ-ის მიერ სამკვიდროს მიღებას სადაოდ არ ვხდით.“

საკასაციო პალატა კასატორის ყურადღებას გაამახვილებს იმ საკითხზე, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული პრინციპის საკანონმდებლო გამოხატულებაა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის თანახმად, მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყო ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. ამავდროულად ფაქტების წარდგენის უფლება არ არის აბსოლუტური საპროცესო უფლება და მისი რეალიზაცია კანონით დადგენილ შემთხვევაში შეიძლება შეიზღუდოს. ასეთი შეზღუდვის მოწესრიგებას შეიცავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლი, რომლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც მხარეს შეეძლო წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არ წარადგინა. როგორც ზემოთ იქნა მითითებული კასატორის ახსნა-განმარტებაზე, კასატორმა სადავო არ გახადა ი. გ-ის და მისი მემკვიდრეების, ასევე გ. გ-ის მიერ სამკვიდრო ქონების მიღების ფაქტი, ამასთან, კასატორმა უარყო ი. გ-ის მიერ სამკვიდრო ქონების მიღების ფაქტი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-სამე კარით რეგლამენტირებულია სასამართლო მტკიცებულებებთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორისაა მხარეთა ახსნა-განმარტების, როგორც მტკიცებულების მიღების, შფასების და განკუთვანდობის რეგულაციები. აქედან გამომდინარე, ა. გ-ის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში მიცემული ახსნა-განმარტება სასამართლოს შეეძლო გამოეყენებინა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების დადგენის საფუძვლად. ამდენად, კასატორის პრეტენზია იმის თაობაზე, რომ გ. გ-ს არ მიუღია სამკვიდრო და ამ უკანასკნელის წილი უნდა მიეკუთვნოს ა. გ-ს, ასევე ი. გ-ის შვილმა ლ. ე-მა მიიღო სამკვიდრო და მისი წილი უნდა მიეკუთვნოს ა. გ-ს, წარმოადგენს არა მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევას, არამედ, 83-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევასაც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმი-

სათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები დადგენილია მათ საფუძვლად არსებული მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვა-შემოწმების შედეგად. შესაბამისად კასატორის მიერ საკასაციო საჩივარში ჩამოყალიბებული პრეტენზია არ შეიძლება განვიხილოთ როგორც დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შდავება).

რაც შეეხება მ. ნ-ის მიერ მისაღები სამკვიდრო წილიდან დარჩენილი 1/12-ის მიკუთვნებაზე უარის თქმას, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა მატერიალური სამართლის ნორმები და სწორად მოახდინა ნორმათა განმარტება. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ მ. ნ-ს მამის სამკვიდრო სამვიდროს მიღების ვადაში ფაქტობრივი ფლობით არ მიუღია, ასევე არ მიუმართავს ნოტარიუსისთვის. აქედან გამომდინარე მ. ნ-ის მიერ მისაღები სამკვიდრო წილი შედიოდა ა. გ-ის სამკვიდრო მასაში. იმ ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, რომ მამის – ა. გ-ის სამკვიდრო მიიღო როგორც კასატორმა ა. გ-მა, ასევე მისმა ძმამ გ. გ-მა, კასატორის მოთხოვნა სადავო 1/12 წილზე სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია. გარდა ამისა, სავსებით მართებულია სააპელაციო სასამართლოს მითითება სამკვიდროს განხნის დროისათვის მოქმედ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 420-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც იმ მემკვიდრის წილი, რომელსაც კანონით დადგენილი წესით არ მიუღია სამკვიდრო, თანაბრად ნაწილდება სამკვიდროს მიმღებ მემკვიდრეთა შორის. ა. გ-ს ზემოაღნიშნული ნორმების თანახმად, პრეტენზია შეიძლება ჰქონდეს მ. ნ-ის მიერ სადავო სამკვიდრო მონაწილეობაში მითითებული წილის ნახევარზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლით დადგენილია, რომ იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განუღებ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს ამ კო-

დექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა. ამავე ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად კი, ზემოაღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ საკასაციო სასამართლოს 2011 წლის 12 აპრილის განჩინებით ა. გ-ს სახელმწიფო ბაჟის გადახდა გადაუვადდა საქმის საბოლოო განხილვამდე, დადგენილია, რომ ა. გ-ის საკასაციო პრეტენზია სადავო სამკვიდრო ქონების 1/12 ნაწილს შეეხება. საქმის სააპელაციო წესით განხილვისას აპელანტი მ. ნ-მა სამკვიდროს 1/12 ნაწილის საბაზრო ღირებულება 5000 ლარით განსაზღვრა. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის 1-ლი ნაწილით დავის საგნის ღირებულების განსაზღვრის უფლება მხარეს გააჩნია, ხოლო სასამართლო გონივრული განსჯის შედეგად ეთანხმება ან არ ეთანხმება მითითებულ ოდენობას, პალატა თვლის, რომ მოცემული საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულებაც სწორედ ზემოაღნიშნული თანხის შესაბამისად უნდა იქნას განსაზღვრული. ამასთან, რადგანაც საქმის განხილვის შედეგად დადგინდა, რომ მოცემული საკასაციო საჩივრი უსაფუძვლოა, ხოლო კასატორს სახელმწიფო ბაჟის გადახდა გადავადებული აქვს, პალატა მიიჩნევს, რომ ა. გ-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 5000 ლარის 5%-ის, არანაკლებ 300 ლარის გადახდა, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ა. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. ა. გ-ს (პ/№...) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს საკასაციო პალატის 2011 წლის 12 აპრილის განჩინებით გადავადებული სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის გადახდა.
4. სახელმწიფო ბაჟი ჩარიცხულ იქნას შემდეგ ანგარიშზე: სს

ბანკი „რესპუბლიკა“ ბანკის BIC კოდი: REPLGE22, მიმღების IBAN ანგარიშის №GE79 BR00 0000 0033 0500 01.

5. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საკვალდებულო წილი

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1577-1480-2012

6 ივნისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
თ. თოდრია,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: სამკვიდრო მონუმობის ბათილად ცნობა, სა-
ვალდებულო წილზე მესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ბ-ემ და ე. ბ-ის კანონიერმა წარმომადგენელმა ქ. ბ-ემ სარ-
ჩელი აღძრეს სასამართლოში გ. ს-ის კანონიერ წარმომადგე-
ნელ მ. ს-ის მიმართ სამკვიდრო მონუმობის ბათილად ცნობისა
და სამკვიდროდან სავალდებულო წილის მესაკუთრედ ცნობის
შესახებ შემდეგი საფუძვლებით:

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარე-
გისტრაციო სამსახურის ტექნიკური აღრიცხვის არქივში ქ.თბი-
ლისში, გ-ის ქ. №26-ში მდებარე სახლის 1/4 აღრიცხულია ა. ბ-
ის, 1/4 – ქ. ბ-ის, ხოლო 1/2 – ე. გ-ის სახელზე.

ა. ბ-ე და ე. გ-ე არიან მოსარჩელე მ. ბ-ის მშობლები, ხოლო ე.
ბ-ის ბებია და ბაბუა მისი ან გარდაცვლილი მამის – ს. ბ-ის მხრი-
დან. ქ. ბ-ე წარმომადგენს მ. ბ-ის რძალს და ე. ბ-ის დედას, ხოლო
მოპასუხე გ. ს-ი კი მ. ბ-ის შვილიშვილია.

2004 წლის 23 დეკემბერს ე. გ-ემ შეადგინა ანდერძი, რომ-
ლითაც კუთვნილი ქონება უანდერძა გ. ს-ს. 2005 წლის 15 თე-
ბერვალს მამკვიდრებელი გარდაიცვალა. 2010 წლის 5 მაისს მო-
პასუხემ თავისი კანონიერი წარმომადგენლის – მ. ს-ის მეშვეო-
ბით მიიღო სამკვიდრო მონუმობა მთლიან ქონებაზე. სამკვიდრო

მონმოზა ბათილია, რადგან სამკვიდრო ქონების გადაცემისას გათვალისწინებული არ ყოფილა მოსარჩელეთა სავალდებულო წილები. აღსანიშნავია, რომ მოსარჩელეებმა სადავო სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით მიიღეს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ე. ბ-ე სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტი არ არის, ვინაიდან იგი მამკვიდრებელ ე. გ-ის შვილიშვილია, რომლის მამა სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის გარდაცვლილი იყო. მ. ბ-ის კი ცნობილი იყო ანდერძის არსებობის შესახებ და მას კანონით დადგენილ ვადაში სამკვიდრო არ მიუღია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ნოტარიუს ნ. ბ-ის მიერ გ. ს-ის სახელზე გაცემულ 2010 წლის 5 მაისის ანდერძისმიერ სამკვიდრო მონმოზაში (რეესტრში რეგისტრაციის №100426275) შევიდა ცვლილება და მ. ბ-ე ცნობილ იქნა ქ.თბილისში, გ-ის ქ. №26-ში მდებარე გ. ს-ის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონების 1/4 წილის მესაკუთრედ, ე. ბ-ის კანონიერი წარმომადგენლის სარჩელი ნოტარიუს ნ. ბ-ის მიერ გ. ს-ის სახელზე გაცემულ 2010 წლის 5 მაისის ანდერძისმიერ სამკვიდრო მონმოზის (რეესტრში რეგისტრაციის №100426275) ბათილად ცნობისა და ქ.თბილისში, გ-ის №26-ში მდებარე უძრავი ქონების 1/8 წილის (გ. ს-ის სახელზე რეგისტრირებული 1/4 წილის) მესაკუთრედ ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ე. ბ-ის კანონიერმა წარმომადგენელმა ქ. ბ-ემ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ე. ბ-ის კანონიერი წარმომადგენლის ქ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, სადავო უძრავი ქონების 1/8 ნაწილის გ. ს-ის მიკუთვნების ნაწილში ბათილად იქნა ცნობილი ნოტარიუს ნ. ბ-ის მიერ გ. ს-ის სახელზე გაცემული 2010 წლის 5 მაისის ანდერძისმიერ სამკვიდრო მონმოზა (რეესტრში რეგისტრაციის №100426275) და ე. ბ-ე ცნობილ იქნა ქ. თბილისში, გ-ის №26-ში მდებარე უძრავი ქონების 1/8 ნაწილის (გ. ს-ის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონების 1/2 ნაწილის 1/4 წილი) მესაკუთრედ შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გა-

რემოებანი:

ე. გ-ე გარდაიცვალა 2005 წლის 16 თებერვალს. გარდაცვალების დროისათვის მის საკუთრებას წარმოადგენდა ქ.თბილისში, გ-ის ქ. №26-ში მდებარე სახლთმფლობელობის S ნაწილი. 2010 წლის 5 მაისს ე. გ-ის მთელი სამკვიდრო ქონება ანდერძის საფუძველზე მიიღო გ. ს-მა და ანდერძისმიერი სამკვიდრო მონაწილის საფუძველზე ქ. თბილისში, გ-ის ქ. №26-ში მდებარე სახლთმფლობელობის 1/2 ნაწილზე საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა მისი საკუთრების უფლება.

ე. გ-ის დანაშთ სამკვიდრო ქონებაზე სავალდებულო წილის მიღების თაობაზე პირველი რიგის მემკვიდრეთა წრიდან პრეტენზია განაცხადეს მ. ბ-ემ და ე. ბ-ემ. მ. ბ-ე წარმოადგენს ე. ბ-ის შვილს, ხოლო ე. ბ-ე კი ე. ბ-ის შვილიშვილს ანუ, ან გარდაცვლილი ს. ბ-ის შვილს.

თავად ს. ბ-ე გარდაიცვალა 1996 წლის 27 დეკემბერს, უფრო ადრე, ვიდრე დედამისი – მამკვიდრებელი ე. გ-ე. შესაბამისად, სადავო არ არის, რომ ე. გ-ის გარდაცვალების მომენტისათვის მოსარჩელე ე. ბ-ის მამა – ს. ბ-ე ცოცხალი აღარ იყო.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ე. ბ-ე წარმოადგენს ე. გ-ის დანაშთ სამკვიდრო ქონებაზე სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილ პირს.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1306-ე მუხლით, 1371-ე, 1374-ე მუხლებით და განმარტა, რომ სავალდებულო წილის ინსტიტუტის შემოღებით კანონმდებელმა შეზღუდა რა ანდერძის თავისუფლება, გაითვალისწინა პირველი რიგის კანონით მემკვიდრეთა ინტერესები და, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, პირველი რიგის კანონით მემკვიდრეებს მიაკუთვნა იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა.

პალატის მითითებით, სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლი განსაზღვრავს კანონით მემკვიდრეთა წრეს, რომელთა შორისაა იმ პირველი რიგის მემკვიდრეთა ჩამონათვალი, რომლებსაც უფლება აქვთ, მიიღონ 1371-ე მუხლით გათვალისწინებული სავალდებულო წილი.

სამოქალაქო კოდექსის 1371-ე და 1336-ე მუხლების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ შვილიშვილი წარმოადგენს პირველი რიგის კანონით მემკვიდრეს და, შესაბამისად, სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილ პირს, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის მისი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო.

კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ დაადგინა, რომ ე. გ-ის გარდაცვალებით გაიხსნა სამკვიდრო და, შესაბამისად, სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე მემკვიდრეებს – 1336-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრულ სუბიექტებს შეეძლოთ, სავალდებულო წილის მიღების უფლებით ესარგებლათ. აღნიშნული ნორმა კი, როგორც ზემოთ აღნიშნა, ადგენს პირველი რიგის კანონისმიერ მემკვიდრეთა წრეს, რომელშიც შედიან შვილიშვილებიც, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო.

ამდენად, სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ მოსარჩელე ე. ბ-ის მოთხოვნა სავალდებულო წილის მიღების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან ს. ბ-ე (ე. ბ-ის მამა) ცოცხალი რომ ყოფილიყო, მიუხედავად 2004 წლის 23 დეკემბრის ანდერძის არსებობისა, მას ეკუთვნოდა სავალდებულო წილი – ე. გ-ის დანაშთი სამკვიდრო ქონების $\frac{1}{2}$ ნაწილი, ხოლო სამსონ ბ-ის გარდაცვალების გამო მისი წილი სამკვიდროში გადავიდა მის შვილ ე. ბ-ე.

სასამართლომ დაადგინა, რომ ე. ბ-ემ ე. გ-ის დანაშთი სამკვიდრო ქონება ფაქტობრივი ფლობით მიიღო.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ არასრულწლოვანი ე. ბ-ის კანონიერ წარმომადგენელ ქ. ბ-ის (ქორწინებამდელი გვარი – ჯ-ე) საკუთრებას წარმოადგენს ქ. თბილისში, გ-ის ქ. №26-ში მდებარე სახლთმფლობელობის $\frac{1}{4}$. ამასთან, ე. ბ-ე დედასთან – ქ. ბ-ან ერთად მამკვიდრებლის გარდაცვალებამდეც და მას შემდეგაც ცხოვრობს სადავო საცხოვრებელ ბინაში. აღნიშნული გარემოება მოპასუხეს თავისი შესაგებლით სადავოდ არ გაუხდია.

მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას. ამავ ეკედექსის შესაბამისად, სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილი და 1424-ე მუხლი სამკვიდროს მიღებას უკავშირებს მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 6 თვის განმავლობაში მემკვიდრის მიერ სამკვიდროს დაუფლების სურვილს, რისი ერთ-ერთი გამოხატულებაცაა დანაშთი ქონების ფაქტობრივად მიღება და მართვა. ამდენად, სამკვიდრო ქონების ფაქტობრივად დაუფლების დროს განმსაზღვრელია

იურიდიული მნიშვნელობის მქონე ელემენტები: სამკვიდროს მართვა-დაუფლებიკენ მიმართული ნება და ამგვარი ნების მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 6 თვეში გამოვლენა.

სასამართლომ განმარტა, რომ სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობა შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა გზით, კერძოდ: მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრის ცხოვრება სამკვიდრო სახლში ყოველთვის განიხილება, როგორც სამკვიდროს მიღება გარდაცვლილის ნივთის ფლობით. ამავე დროს, მნიშვნელობა არ აქვს სამკვიდრო სახლში ცხოვრების ხანგრძლივობას.

კონკრეტულ შემთხვევაში მხარეებს სადავოდ არ გაუხდით მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე და მას შემდეგაც ე. ბის და მისი კანონიერი წარმომადგენლის ცხოვრების ფაქტი სადავო საცხოვრებელ ბინაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ე. ბ-ე დადგენილ ვადაში დაეუფლა სამკვიდრო ქონებას, რითაც მან გამოხატა ნება სამკვიდრო ქონების მიღების თაობაზე, რაც სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გ. ს-ის კანონიერმა წარმომადგენელმა მ. ს-მა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო სასამართლოში საქმე განიხილა არაკანონიერმა შემადგენლობამ, რადგან ერთ-ერთ მოსამართლედ ჩაერთო ადმინისტრაციული პალატის მოსამართლე თ. ძ-ი. სხვა პალატიდან მოსამართლის მონვევა ემსახურებოდა სასამართლო შემადგენლობის შევსებას, რაც ადასტურებს, რომ საქმე განხილულ იქნა ზერელედ.

სააპელაციო პალატამ კანონის დარღვევით მიიჩნია, რომ ე. ბ-ე წარმოადგენს ე. გ-ის დანაშთ სამკვიდრო ქონებაზე სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილ პირს. ასეთ დასკვნამდე სააპელაციო სასამართლო მივიდა სამოქალაქო კოდექსის 1306-ე, 1336-ე, 1371-ე და 1374-ე მუხლების არასწორი განმარტების შედეგად და 1372-ე მუხლის სწორი ანალიზის გვერდის ავლით.

სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 1336-ე, 1371-ე მუხლების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ შვილიშვილი წარმოადგენს პირველი რიგის კანონით მემკვიდრეს და სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილ პირს, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის მისი

მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო. სასამართლოს მსჯელობა წინააღმდეგობრივია და მისი ასეთი დასკვნა არ გამომდინარეობს დასახელებული ნორმების სწორად განმარტებიდან.

უპირველესად, სასამართლომ გამოიყენა კანონით მემკვიდრეობის მომწესრიგებელი ნორმები, რომლებიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა ანდერძით მემკვიდრეობის მომწესრიგებელი ნორმები, რომლებიც უნდა გამოეყენებინა.

მოცემულ შემთხვევაში სადავო ანდერძიდან და არა კანონით მემკვიდრეობიდან გამომდინარე ურთიერთობები და უფლებები, რადგან სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება სუბიექტს უჩნდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს ანდერძი. სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლში ერთმნიშვნელოვნად ესმება ხაზი, რომ შვილიშვილებს ეკუთვნით მხოლოდ ის წილი, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობელს ერგებოდა. საუბარია სწორედ კანონით მემკვიდრეობის დროს მისაკუთვნიებელ წილზე.

მოცემულ შემთხვევაში სადავო არა კანონით მემკვიდრეობის დროს მისაკუთვნიებელი წილი, არამედ ანდერძით მემკვიდრეობის გამო ტრანსმისიით სავალდებულო წილის მიკუთვნების საკითხი. ამასთან, ხსენებული ნორმიდან გამომდინარე, შვილიშვილები ამორიცხულნი არიან კანონით მემკვიდრეობის წილიდან და მათი მოწვევა სამკვიდროს მისაღებად გამონაკლის შემთხვევაში ხდება, ისიც მხოლოდ კანონით მემკვიდრეობის დროს, როცა ცოცხალი აღარ არის მათი მშობელი. ამიტომ არასწორია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა პირველი რიგის მემკვიდრეებისადმი შვილიშვილების მიკუთვნების საკითხში. სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის შემოღებისა და საგამონაკლისო შემთხვევებში კანონით მემკვიდრეობისას კანონით სამკვიდრო წილზე შვილიშვილების მოწვევის მიზანი არის არა სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე სუბიექტების განსაზღვრა შვილიშვილების სახით, როგორც ეს სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, არამედ მამკვიდრებლის დანაშაულის მის მემკვიდრეებზე გადასვლის შესაძლებლობის მაქსიმალური გაფართოება ისეთ შემთხვევებში, როცა მამკვიდრებელს ანდერძი არ დაუტოვებია. მამკვიდრებლის დანაშაულის მემკვიდრედ დარჩენის ასაცილებლად, ხოლო ანდერძის არსებობის პირობებში სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტების წრის გაფართოება შვილიშვილების ხარჯზე, სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლზე დაყრდნობით,

ყოვლად გაუმართლებელი და დაუშვებელია. შესაბამისად, ანდერძის ისედაც შეზღუდული თავისუფლების კიდევ უფრო შეზღუდვა სხვა სუბიექტებით, ეწინააღმდეგება სავალდებულო წილის ინსტიტუტის არსსა და მემკვიდრეობის სამართლებრივ პრინციპებს.

მოცემულ შემთხვევაში მონადერძემ, ანდერძის თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, თვითონ განსაზღვრა თავისი ქონების ბედი გარდაცვალების მომენტისათვის და სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის მისადაგება სადავო შემთხვევისადმი სამართლებრივად სრულიად აბსურდულია.

დაუსაბუთებელია სასამართლოს მიერ თავისი დასკვნის დასაბუთებლად სამოქალაქო კოდექსის 1374-ე მუხლის მოხმობა, რადგან ამ ნორმის მიზანია სავალდებულო წილის ოდენობის სწორად განსაზღვრა კანონით მემკვიდრეთა რიცხვის გათვალისწინებით და არა სავალდებულო წილზე უფლების მქონე სუბიექტების განსაზღვრა, როგორც ეს სასამართლოს მიაჩნია. სასამართლოს მსჯელობის მიხედვით, სამკვიდროზე უფლებით უნდა აღიჭურვონ უღირსი მემკვიდრეებიც.

ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 1336-ე და 1372-ე მუხლების მიზანი და მონესრიგების სფერო სრულიად სხვადასხვაა და სავალდებულო წილზე უფლების მქონე სუბიექტთა წრის გაფართოება დაუშვებელია. ამ წრის განვრცობა რომ არ შეიძლება, ამას ადასტურებს სამოქალაქო კოდექსის 1430-ე მუხლიც, რომელიც მემკვიდრეობით ტრანსმისიას უშვებს მაშინ, თუ მემკვიდრე სამკვიდროს გახსნის შემდეგ, მაგრამ სამკვიდროს მიღებამდე გარდაიცვალა.

მოცემულ შემთხვევაში ე. ბ-ის მამა – ს. ბ-ე სამკვიდროს გახსნამდე, კერძოდ, 1996 წლის 17 დეკემბერს გარდაიცვალა, ამიტომ სამოქალაქო კოდექსის 1372-ე მუხლის საფუძველზე ის არც შეიძლება ჩაითვალოს სავალდებულო წილზე მოთხოვნის უფლების მქონე პირად. სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლით დადგენილი უფლებაუნარიანობის ერთი შეხედვით აბსტრაქტული ინსტიტუტის პრაქტიკული მნიშვნელობა ამავე კოდექსის 1372-ე მუხლის განმარტების დროს ცხადად ვლინდება. უფლებაუნარიანი არის ცოცხალი სუბიექტი. უფლებაუნარიანობა ნიშნავს სამართლის სუბიექტად ყოფნის შესაძლებლობას. გარდაცვლილი კი ვერ ჩაითვლება სამართლის სუბიექტად. სამოქალაქო კოდექსის 1372-ე მუხლში საუბარია მოთხოვნის უფლების წარმოშობაზე. გარდაცვალების ფაქტით კი წყდება უფლებაუნარიანობა და, მაშასადამე, ის მოთხოვნის უფლება, რაზეც საუბარია ამ მუხლში.

სასამართლომ დაარღვია 1507-ე მუხლიც სამოქალაქო კოდექსის დროში მოქმედების შესახებ. სასამართლოს უნდა გამოეყენებინა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედაქცია), რომელიც არ გამოიყენა. ამ საკითხში გადამწყვეტია ის, რომ ს. ბ-ე, ე. ბ-ის მამა გარდაიცვალა 1996 წლის 27 დეკემბერს, ამ პერიოდში კი მოქმედებდა სსრ-ის სამოქალაქო სამართლის (1964 წლის რედაქცია).

მართალია, ს. ბ-ის გარდაცვალების დროისათვის ე. გ-ის ანდერძი ჯერ კიდევ ძალაში არ იყო, მაგრამ სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლი სამკვიდრო ქონებად მიიჩნევს იმ აქტივსა და პასივს, რომლებიც გარდაცვალების დროისათვის ეკუთვნოდა მამკვიდრებელს.

ე. ბ-ის მამკვიდრებელი არის მისი მამა – 1996 წელს გარდაცვლილი ს. ბ-ე, რომლის სავალდებულო წილზე მოთხოვნის უფლების მემკვიდრეობაზეც დავობს ე. ბ-ე. 1996 წელს მოქმედი სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი კი (1964 წლის რედაქცია) მამკვიდრებლის მხოლოდ არასრულწლოვან და არაშრომისუნარიან შვილებს მიიჩნევდა სავალდებულო წილის უფლების მქონე პირებად. ამდენად, ს. ბ-ე, მისი გარდაცვალების დროისათვის იმ დროს მოქმედი სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მიხედვითაც, არ წარმოადგენდა სავალდებულო წილის უფლების მქონე სუბიექტთა წრეში შემავალ პირს.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო კოდექსის 1306-ე, 1336-ე მუხლების გამოყენება-განმარტებისას დავა უნდა გადაწყვიტა არა მემკვიდრეობის სამართლის ზოგადი ნორმებითა და კანონით მემკვიდრეობის მომწესრიგებელი სპეციალური ნორმებით, არამედ ანდერძით მემკვიდრეობის მომწესრიგებელი სპეციალური ნორმებით, რადგან სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პრიორიტეტი ენიჭება სპეციალური ნორმების გამოყენებას. ამასთან, ანდერძით მემკვიდრეობის მომწესრიგებელი ნორმები სამოქალაქო კოდექსში მათი განთავსების ადგილის მიხედვით, მოსდევს კანონით მემკვიდრეობის მომწესრიგებელ ნორმებს და, მაშასადამე, მათი გამოყენების უპირატესობა მოცემულ შემთხვევაში უდავოა.

გ. ს-ის მითითება მის მიერ წარდგენილ შესაგებლებში ე. ბ-ის მიერ სამკვიდროს მიმართ აქტიური მოქმედებების განუხორციელებლობაზე სასამართლოს ისე უნდა განემარტა, რომ ე. ბ-ეს არ მიუღია სამკვიდრო, რადგან სამკვიდროს მიღება ხდება მხოლოდ აქტიური მოქმედებებით. ამდენად, სასამართლომ არასწორად ჩათვალა, რომ სამკვიდროს მიღების ფაქტი მოპა-

სუხეს შესაგებელში სადავო არ გაუხდია.

ე. ბ-ეს სამკვიდროს მიღების ფაქტი, საკუთარი განმარტების გარდა, სხვა მტკიცებულებით არ დაუდასტურებია, აღნიშნული კი მითითებული გარემოების სამტკიცებლად საკმარისი არ იყო. რაც შეეხება ე. ბ-ის დედის საკუთრების უფლებას, ეს გარემოება ვერ გახდება ე. ბ-ის მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტის დამადასტურებელი არგუმენტი, რადგან მამკვიდრებელია ე. ბ-ის მამა, ბებია და არა დედა. საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება, რომ ე. ბ-ის დედა თავის კუთვნილ სახლში ცხოვრობს და რეგისტრირებულია ამ მისამართზე.

სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია არა მხოლოდ ე. ბ-ე, არამედ არასრულწლოვანი გ. ს-იც. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ სახელმწიფო ბაჟის გადახდა მას უკანონოდ დააკისრა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთება და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ:

მამკვიდრებელი ე. გ-ე გარდაიცვალა 2005 წლის 16 თებერვალს. გარდაცვალების დროისათვის ე. გ-ის საკუთრებას წარმოადგენდა ქ.თბილისში, გ-ის ქ.№26-ში მდებარე სახლთმფლობელობის S ნაწილი.

2010 წლის 5 მაისს ე. გ-ის მთელი სამკვიდრო ქონება ანდერძის საფუძველზე მიიღო გ. ს-მა და ანდერძისმიერი სამკვიდრო მონუმბის საფუძველზე ქ.თბილისში, გ-ის ქ.№26-ში მდებარე სახლთმფლობელობის S ნაწილზე საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა მისი საკუთრების უფლება.

ე. გ-ის დანაშთ სამკვიდრო ქონებაზე სავალდებულო წილის მიღების თაობაზე პირველი რიგის მემკვიდრეთა წრიდან პრეტენზია განაცხადეს მ. ბ-ემ (შვილმა) და ე. ბ-ემ (შვილიშვილმა).

ს. ბ-ე (ე. ბ-ის მამა და იმავდროულად ე. გ-ის შვილი) გარდაიცვალა 1996 წლის 27 დეკემბერს, ანუ, უფრო ადრე, ვიდრე მამ-

კვიდრებელი ე. გ-ე.

კასატორს ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების მიმართ დასაბუთებული პრეტენზია არ წარმოუდგენია. კასატორი სადავოდ ხდის ე. ბ-ის სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლიანობას და არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას იმასთან დაკავშირებით, რომ ე. ბ-ე წარმოადგენს ე. გ-ის დანაშთ სამკვიდრო ქონებაზე სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილ პირს.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგინილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ ე. ბ-ეს ფაქტობრივი ფლობით მიღებული აქვს ე. გ-ის სამკვიდრო ქონება. კასატორი სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ამ გარემოებასთან დაკავშირებით მიუთითებს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან საპროცესო სამართლის ნორმების ისეთ დარღვევაზე, რასაც შედეგად არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა მოჰყვა.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ვიდრე გაირკვეოდა მატერიალური კანონმდებლობით პირისათვის მინიჭებული უფლების რეალიზაციის საკითხი, აუცილებელია იმის დადგენა, არის თუ არა კონკრეტული პირი ამ უფლების სუბიექტი. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად თვლის, პირველ რიგში პასუხი გასცეს კასატორის მიერ დასმულ კითხვას იმის შესახებ, არის თუ არა ე. ბ-ე სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილი პირი, რაც სავსებით შესაძლებელია საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების პირობებში.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ე. ბ-ის სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით, პირველ რიგში სწორად უნდა განიმარტოს სავალდებულო წილის მომწესრიგებელი ნორმები.

სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრულია იმ პირთა წრე, რომელთაც აქვთ სავალდებულო წილის მიღების უფლება, კერძოდ, მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას იმის შესახებ, რომ სავალდებულო წილის ინსტიტუტის შემოღებით, კანონმდებელმა შეზღუდა რა ანდერძის თავისუფლება, გაითვალისწინა პირველი რიგის კანონით მემკვიდრეთა, მათ შორის შვილიშვილების ინტერესები, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ

არის მისი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ქვემოთაღნიშნული ინსტანციის სასამართლოს ამგვარი დასკვნა არ შეესაბამება როგორც კანონის სიტყვა-სიტყვით, ასევე ლოგიკურ და სისტემურ განმარტებას. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს შემდეგი:

კანონით მემკვიდრეობის და სავალდებულო წილის მომწესრიგებელი ნორმები მოცემულია სამოქალაქო კოდექსის სხვადასხვა თავში და ისინი წარმოადგენენ სპეციალურ ნორმებს. ამასთან, გამორიცხული არ არის, რომ ისინი გარკვეულ შემთხვევებში ავსებდნენ ერთმანეთს. მაგალითად: სამოქალაქო კოდექსის 1374-ე მუხლის თანახმად, თითოეული მემკვიდრის სავალდებულო წილის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა კანონით მემკვიდრე, რომლებიც მოწვეული იქნებოდნენ სამკვიდროს მისაღებად, ანდერძი რომ არ ყოფილიყო. კანონით მემკვიდრეთა წრე კი მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლში. შესაბამისად, ამ ორი ნორმის ერთობლიობაში გამოყენება-განმარტების გარეშე შეუძლებელია გადაწყვეტილ იქნეს სავალდებულო წილის მოცულობის საკითხი.

კანონით მემკვიდრეობის მომწესრიგებელი ნორმები (სამოქალაქო კოდექსის 1336-ე-1343-ე მუხლები) არ შეიცავს რაიმე დათქმას სავალდებულო წილზე, ხოლო რაც შეეხება სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლის შინაარსს, მასში აღწერილია სავალდებულო წილზე უფლების მქონე პირები არა ზოგადად კანონით მემკვიდრეთა წრიდან, არამედ კონკრეტულად, სხვა ნორმაზე მითითების გარეშე, ხოლო მათ შორის მამკვიდრებლის შვილიშვილები მოხსენიებული არ არის.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის გამოყენებას განსახილველი შემთხვევისათვის აფერხებს ასევე ამავე კოდექსის 1306-ე მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსი, რომლის თანახმადაც, კანონით მემკვიდრეობა, გარდაცვლილის ქონების გადასვლა კანონში მითითებულ პირებზე მოქმედებს, თუ მამკვიდრებელს არ დაუტოვებია ანდერძი, ან თუ ანდერძი მოიცავს სამკვიდროს ნაწილს, ან თუ ანდერძი მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად იქნება ცნობილი. მიუხედავად იმისა, რომ დასახელებული ნორმა მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს არ შეიცავს, იგი, როგორც ზოგადი ნორმა, სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლის ლოგიკური განმარტებისათვის შემოწმებას მოითხოვს. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მამკვიდრებლის მიერ დატოვებული ანდერძი მო-

იცავს მთელ სამკვიდროს, ამასთან, ანდერძი არ არის შეცილებული მოსარჩელის მიერ. აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო ნათელი ხდება ის ფაქტი, რომ სავალდებულო წილის უფლების დადგენისათვის არ შეიძლება იქნეს გამოყენებული კანონით მემკვიდრეობის ნორმები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქმის მასალებით დადგენილია, რომ მამკვიდრებლის, ე. გ-ის გარდაცვალებას წინ უსწრებდა სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე პირის, ე. ბ-ის მამის – ს. ბ-ის გარდაცვალება. სამოქალაქო კოდექსის 1372-ე მუხლის 1-ლი წინადადების მიხედვით, სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა სამკვიდროს გახსნის მომენტიდან. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სავალდებულო წილთან დაკავშირებული მემკვიდრეობითი ურთიერთობის წარმოშობისათვის აუცილებელია ისეთი იურიდიული ფაქტის დადგომა, ანუ მამკვიდრებლის გარდაცვალება ან სასამართლოს მიერ მისი გარდაცვლილად გამოცხადება, რაც იწვევს სამკვიდროს გახსნას. ე. გ-ის ქონებაზე სამკვიდრო გაიხსნა მისი გარდაცვალების შემდეგ, 2005 წლის 16 თებერვალს, შესაბამისად, სავალდებულო წილის მიღების უფლებით შეედლოთ ესარგებლათ მხოლოდ ამ მომენტისათვის ცოცხლად მყოფ სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე მემკვიდრეებს. ვინაიდან ე. ბ-ის მამა გარდაიცვალა 1996 წლის 27 დეკემბერს, ლოგიკურია მოსარჩელის მამას ვერ წარმოეშობოდა სავალდებულო წილის მიღების უფლება.

მართალია სამოქალაქო კოდექსის 1372-ე მუხლის მე-2 წინადადება ითვალისწინებს სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების ტრანსმისიას, თუმცა, ამავე ნორმის თანახმად, ტრანსმისია დასაშვებია თუ სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე მემკვიდრე გარდაიცვალა სამკვიდროს გახსნის შემდეგ, ისე, რომ მან ვერ მოასწრო სავალდებულო წილის მიღება, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ აქვს. შესაბამისად, სპეციალური ნორმის არსებობისას, შეუძლებელია გამოყენებულ იქნეს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლით გათვალისწინებული წარმოამდგენლობითი ტრანსმისია.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, ვინაიდან მოსარჩელე ე. ბ-ე არ წარმოადგენს სავალდებულო წილის მიღებაზე უფლების მქონე სუბიექტს, აზრს მოკლებულია საკასაციო სასამართლოს მიერ სამკვიდროს მიღებასთან მიმართებაში საკასაციო საჩივარში გამოთქმული პრეტენზიების დასაბუთებულობის შემოწმება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწი-

ლის 1-ლი წინადადების თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. ვინაიდან საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორის მონინაალმდევე მხარეს უნდა დაეკისროს კასატორის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება ამ უკანასკნელის სასარგებლოდ, რაც შეადგენს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილ – 516 ლარს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. გ. ს-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება გაუქმდეს და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.
3. ე. ბ-ის კანონიერი წარმომადგენლის – ქ. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.
4. ე. ბ-ეს დაეკისროს გ. ს-ის სასარგებლოდ 516 ლარის გადახდა.
5. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

წილთა გათანაბრება

განჩინება

№ას-321-306-2013

16 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავეიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: S ნაწილზე სამკვიდრო მონაწილის გაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

დ. წ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ახალციხის ნოტარიუს ც. წ-ის წინააღმდეგ და მოითხოვა, ც. წ-ის დავალდებულება, მოსარჩელის მამის, ი. წ-ის სამკვიდრო უძრავ-მოძრავი ქონების 1/3 ნაწილზე გაცეს სამკვიდრო უფლების მონაწილე იმ საფუძვლით, რომ მამამისი ი. წ-ი გარდაიცვალა 2007 წლის 8 მაისს; იგი არის პირველი რიგის მემკვიდრე და სამკვიდროს მიღების კანონიერ ვადაში მიმართა ნოტარიუსს.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 26 იანვრის განჩინებით მოპასუხედ ჩაერთო თ. წ-ი, რომელმაც სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ არსებობდა 4 პირველი რიგის მემკვიდრე, რომელთაგან ერთ-ერთმა რ-ე. ქ-მა მიღებული სამკვიდრო დაუთმო თ. წ-ს და მისი წილი განისაზღვრა 1/2-ით, მ. წ-ის 1/4-ით, ხოლო დ. წ-ის წილიდან შეგებებულ სარჩელში მითითებული მოთხოვნა უნდა გაიქვითოს. მოპასუხე ნოტარიუსმა ც. წ-ემ სარჩელი არ ცნო, რადგან მისთვის ცნობილია სამი მემკვიდრის არსებობა. მას, როგორც ერთ-ერთ მემკვიდრეს, ეკუთვნის სამკვიდროდან შესაბამისი წილი, რომელიც დგინდება ან შეთანხმებით, ან სასამართლოს მიერ.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 26 იანვრის განჩინებით საქმეში მოპასუხედ ჩაერთო მ. წ-ი, რომელმაც სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ არსებობდა 4 პირველი რიგის მემკვიდრე, რომელთაგან ერთ-ერთმა რ. ე. ქ-მა მიღებული სამკვიდრო დაუთმო თ. წ-ს, შესაბამისად, თ. წ-ის სამკვიდრო წილი განისაზღვრა 1/2-ით, მანანა წ-ის, 1/4-ით.

თ. წ-მა შეგებებული სარჩელით მოითხოვა ი. წ-ის სამკვიდრო ქონების გაყოფისას მოხდეს წილთა გათანაბრება, სამკვიდროს სამართლიანი გაყოფა, სახლის აღდგენა რეკონსტრუქციით

სა და მშობლების დაკრძალვისათვის განეული დანახარჯები გამოაკლდეს სამკვიდრო მასას და მიემატოს მის მიერ მისაღებ ნილს. ამასთან, მიუთითა, რომ მოთხოვნას თანხობრივად და წილობრივად დააზუსტებდა ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ. 2012 წლის 7 ივნისს სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე თ. წ-ის წარმომადგენელმა დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მიუთითა, რომ, ვინაიდან განეული ხარჯები აღემატება სამკვიდრო მასას, შესაბამისად, ან გარდაცვლილი ი. წ-ის დანაშთი სამკვიდრო სრულად, კერძოდ, ახალციხეში, კ-ის №11-ში მდებარე უძრავი ქონება, ასევე მიღება ჩაბარების №66 აქტში მითითებული ორივე მიწის ნაკვეთი, მდებარე ახალციხის რაიონში, სოფელ უ-ი მიეკუთვნოს თ. წ-ს და დაეკისროს მოპასუხეებს საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯები: ექსპერტიზის ჩატარებისას განეული დანახარჯი და გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

მოპასუხე დ. წ-მა თ. წ-ის შეგებებული სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ წილთა გათანაბრება არ უნდა მოხდეს, სამკვიდრო ქონება უნდა გაიყოს სამ თანაბარ ნაწილად, აქედან 1/3 ნაწილი ეკუთვნის მას.

2012 წლის 31 მაისს სასამართლო სხდომაზე თ. წ-ის შეგებებულ სარჩელში მოპასუხედ ჩაერთო მ. წ-ი, რომელმაც თ. წ-ის შეგებებული სარჩელი ცნო და მიუთითა, რომ თ. წ-მა რეალურად გასწია ხარჯები, რომელშიც მემკვიდრეებს სავალდებულო წესით მონაწილეობა უნდა მიეღოთ, როგორც მას, ასევე დ. წ-ს. რადგან არც ერთ მათგანს არ მიუღია მონაწილეობა, ამიტომ ეთანხმება თ. წ-ის მოთხოვნას წილთა გათანაბრების შესახებ.

მ. წ-მა შეგებებული სარჩელით მოითხოვა ი. წ-ის დანაშთი სამკვიდროდან, მათ შორის ახალციხეში, კ-ის ქ. №11-ში მდებარე უძრავი ქონებიდან 1/4 წილი მიეკუთვნოს მას, რადგან ი. წ-ის გარდაცვალების შემდეგ დარჩა 4 პირველი რიგის მემკვიდრე, კერძოდ, შვილები: მ. წ-ი, თ. წ-ი, დ. წ-ი და მეუღლე რ-ე. ქ-ი.

მოპასუხე დ. წ-მა სარჩელი არ ცნო, რადგან თითოეულს ეკუთვნის 1/3 წილი.

2012 წლის 31 მაისს სასამართლო სხდომაზე მ. წ-ის შეგებებულ სარჩელში მოპასუხედ ჩაერთო თ. წ-ი, რომელმაც მ. წ-ის შეგებებულ სარჩელი არ ცნო, რადგან მან გასწია მნიშვნელოვანი დანახარჯები, რომელმაც გაზარდა სამკვიდროს მოცულობა და სამკვიდრო უნდა განაწილდეს წილთა გათანაბრებისა და სასამართლიანი განაწილების პრინციპით, ამიტომ სამკვიდრო მასა სრულად უნდა მიეკუთვნოს თ. წ-ს.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით დ. წ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მ. წ-ის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა, თ. წ-ის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა, დადგინდა, რომ ი. წ-ის დანაშთი სამკვიდრო ქონების გაყოფისას წილები გათანაბრდეს და ი. წ-ის მთელი სამკვიდრო ქონება: საცხოვრებელი სახლი, მდებარე ქ. ახალციხეში, კ-ის ქ. №11-ში და მიღება-ჩაბარების აქტ №66-ში მითითებული ორი მიწის ნაკვეთი მიეკუთვნოს თ. წ-ს.

ახალციხის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. წ-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებით დ. წ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ახალციხის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება დ. წ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და თ. წ-ის სარჩელის სრულად დაკმაყოფილების ნაწილში და აღნიშნულ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, დ. წ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, დ. წ-ი ცნობილ იქნა უძრავი ქონების, მდებარე, ქ. ახალციხეში, კ-ის ქ. №11-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: ...) 1/8 ნაწილისა და №66 მიღება-ჩაბარების აქტით გათვალისწინებული ორი მიწის ნაკვეთის, თითოეულის 1/4-1/4 ნაწილის მესაკუთრედ, თ. წ-ის შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თ. წ-ი ცნობილ იქნა ი. წ-ის დანაშთი ქონებიდან, ქ. ახალციხეში, კ-ის ქ. №11-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: ...) 7/8 ნაწილისა და №66 მიღება-ჩაბარების აქტით გათვალისწინებული ორი მიწის ნაკვეთის 3/4-3/4 ნაწილის მესაკუთრედ.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1336-ე, 1424-ე, 1319-ე, 1421-ე, 1433-ე მუხლებით და აღნიშნა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მამკვიდრებელ ი. წ-ს დარჩა ოთხი პირველი რიგის მემკვიდრე: მეუღლე – რ-ე. ქ-ი, შვილები – დ., თ. და მ. წ-ი, რომლებმაც კანონით დადგენილი წესით მიიღეს სამკვიდრო. საქმის მასალებით დადგენილია ასევე, რომ რ-ე. ქ-მა მისი კუთვნილი წილი გარდაცვლილი მეუღლის, ი. წ-ის სამკვიდროში დაუთმო შეიღს – თ. წ-ს. თ. წ-ის სასარგებლოდ მისი შეგებებული სარჩელი ცნო ასევე ი. წ-ის პირველი რიგის მემკვიდრემ, მ. წ-მა, ამდენად, პალატის მოსაზრებით, მითითებული გადანაწილებით ი. წ-ის პირველი რიგის მემკვიდრეს, დ. წ-ს, ლეგიტიმური უფლება ჰქონდა სამკვიდროს 1/4 ნა-

წილზე, ხოლო დანარჩენ 3/4 წილზე უფლება მოპოვებული აქვს თ. წ-ს.

პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1475-ე, 1477-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ თ. წ-ის მიერ მშობლების დაკრძალვისა და შემდგომი ტრადიციული რიტუალებისათვის განეული ხარჯი ვერ იქნებოდა გათვალისწინებული სამკვიდროს გათანაბრების თაობაზე დავის განხილვის ფარგლებში, ვინაიდან მითითებული ხარჯები არ ემსახურებოდა სამკვიდრების ქონების ღირებულების გაზრდასა და შენარჩუნებას. შესაბამისად, აღნიშნული თანხა თ. წ-ის სამკვიდრო წილის გათანაბრების მიზნებისათვის მხედველობაში ვერ მიიღება.

პალატამ ყურადღება გაამახვილა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1475-ე მუხლის გამოყენების ფარგლებსა და მიზანშეწონილობაზე ამავე კოდექსის 1477-ე მუხლის კონტექსტში, რომელიც აწესებს სამკვიდრო წილის გათანაბრების სტანდარტს სამართლიანობის საწყისებზე დაყრდნობით და მიიჩნია, რომ ხშირად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1477-ე მუხლით დაწესებული გაანგარიშებით, რომლის მიხედვითაც, სამკვიდროს გაყოფისას გათანაბრების თანხა გამოაკლდება სამკვიდროს საერთო თანხას და მიემატება იმ თანამემკვიდრის წილს, რომელსაც გათანაბრების მოთხოვნის უფლება აქვს, შეიძლება, დაირღვეს ამავე მუხლით დაწესებული წილთა გათანაბრების სამართლიანობის სტანდარტი, ვინაიდან ერთი მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მასის გაუმჯობესების მიზნებისათვის გაღებული ხარჯი იმ ოდენობით, რომელიც მეორე მემკვიდრეს წილთა გათანაბრების საწყისებზე დაყრდნობით სამკვიდროს მიღების უფლებას სრულად აკარგვინებს, ეწინააღმდეგება სამართლიანობის სტანდარტს და ასევე სამემკვიდრეო სამართლის ძირეულ პრინციპებს.

მოცემულ შემთხვევაში, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ თ. წ-მა მნიშვნელოვანი ხარჯების განევით განსაკუთრებული წვლილი შეიტანა სამკვიდრებელ ი. წ-ის სამკვიდროში შემავალი ქონების – ქ. ახალციხეში, კ-ის ქ. №11-ში მდებარე უძრავი ნივთის შენარჩუნებასა და მისი ღირებულების გაზრდაში, რაც ამ უძრავ ნივთზე ი. წ-ის მემკვიდრეთა შორის წილთა გათანაბრების საფუძველია. თუმცა, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1475-ე მუხლის შესაბამისად, წილთა გათანაბრების პრინციპი არ უნდა გაიგივდეს უკვე მიღებულ სამკვიდროზე მემკვიდრეობის უფლების სრულად ჩამორთმევასთან. ამ მხრივ საყურადღებოა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლი, რომელიც ნათლად გამო-

ხატავს კანონმდებლის მიზანს, ანდერძით მემკვიდრეობის შემთხვევაშიც მიაკუთვნოს წილი მამკვიდრებლის პირველი რიგის მემკვიდრეებს. პალატამ მიიჩნია, რომ განსაკუთრებით დიდი ხარჯის განწევის პირობებშიც კი, პირველი რიგის მემკვიდრეს მემკვიდრეობით მიღებული საკუთრების უფლება უნდა შეუნარჩუნდეს იმ წილის ნახევარზე მაინც, რაც კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა.

პალატამ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 20.03.1952წ. დამატებითი ოქმის პირველი მუხლით და მემკვიდრეობის უფლების სპეციფიკიდან გამომდინარე, მიიჩნია, რომ, მიუხედავად თ. წ-ის მიერ მნიშვნელოვანი ხარჯების განწევით განსაკუთრებული წვლილის შეტანისა მამკვიდრებელ ი. წ-ის სამკვიდროში შემავალი ქონების – ქ. ახალციხეში, კ-ის ქ. №11-ში მდებარე უძრავი ნივთის შენარჩუნებასა და მისი ღირებულების გაზრდაში, დაუშვებელი იყო დ. წ-ს წილთა გათანაბრებით სამკვიდროზე საკუთრების უფლება სრულად ჩამორთმეოდა, ვინაიდან აღნიშნული სახით წილთა გათანაბრება გამოინვევდა დ. წ-ის მემკვიდრეობის უფლების შელახვას თ. წ-ის ქონებრივი უფლებების დაცვის ხარჯზე, რაც ეწინააღმდეგება ამავიე მიზნით მოქმედ სამართლიანობის სტანდარტს. შესაბამისად, დ. წ-ს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1477-ე მუხლით განსაზღვრული გათანაბრების სამართლიანობის პრინციპებიდან გამომდინარე, უნდა მიკუთვნებოდა იმ წილის ნახევარი, რაზეც მას, როგორც ი. წ-ის პირველი რიგის მემკვიდრეს, გააჩნდა სამკვიდროს მიღების ლეგიტიმური უფლება, ანუ აღნიშნული უძრავი ქონების 1/8 ნაწილი, ხოლო დანარჩენი 7/8 ნაწილის მესაკუთრედ უნდა ცნობილიყო თ. წ-ი, ანუ, მიუხედავად იმისა, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება ის ფაქტი, რომ სამკვიდროს გაუმჯობესების მიზნებისათვის თ. წ-ის მიერ განუხლები ხარჯი ბევრად აღემატება გაუმჯობესებამდე ი. წ-ის სამკვიდრო მასაში შემავალი ქონების ღირებულებას, დ. წ-ს უნდა შეუნარჩუნდეს აღნიშნული ქონებიდან სავალდებულო წილის მიღების უფლება.

რაც შეეხება ი. წ-ის სამკვიდროში შემავალ ორ მიწის ნაკვეთს, რომელიც ი. წ-ს გადაეცა 1995 წლის 11 იანვრის №66 მიღება-ჩაბარების აქტით, იმის გათვალისწინებით, რომ არ დგინდება ამ მიწის ნაკვეთებზე თ. წ-ის მიერ მნიშვნელოვანი ხარჯების განწევა უძრავი ნივთის შენარჩუნებისა და მისი ღირებულების გაზრდისათვის, პალატის მოსაზრებით, მათზე უნდა გავრცელებულიყო მემკვიდრეობის უფლების საერთო რეჟიმი და

დ. ნ-ს უნდა მიკუთვნებოდა 1995 წლის 11 იანვრის №66 მიღება-ჩაბარების აქტით გადაცემული ორი მიწის ნაკვეთის 1/4-1/4 წილი. შესაბამისად, თ. ნ-ი უნდა ცნობილიყო 1995 წლის 11 იანვრის №66 მიღება-ჩაბარების აქტით გადაცემული ორი მიწის ნაკვეთის 3/4-3/4 ნაწილის მესაკუთრედ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. ნ-მა, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

კასატორის განმარტებით, სასამართლოს განმარტება მასზე, რომ მშობლების დაკრძალვისა და შემდგომი ტრადიციული რიტუალებისათვის განუვლი ხარჯი (32 000 ლარი) არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სამკვიდროს გათანაბრების თაობაზე დავის განხილვის ფარგლებში, ვინაიდან მითითებული ხარჯები არ ემსახურებოდა მამკვიდრებლის ქონების ღირებულების გაზრდასა და შენარჩუნებას, არასწორია, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, დაკრძალვის ხარჯი წარმოადგენს სწორედ იმ ხარჯს, რომლის დაკმაყოფილებაც უპირატესად უნდა მოხდეს სამკვიდრო ქონებიდან, მისი ღირებულებიდან, შესაბამისად, მაშინ, როდესაც საუბარია წილთა გათანაბრებაზე, სასამართლომ გამოსათანაბრებელ თანხაში უნდა მოაქციოს მათ შორის მშობლების დაკრძალვა-დასაფლავების ხარჯიც.

კასატორის აზრით, სააპელაციო პალატამ დ. ნ-ის არსებული სახლის 1/8 წილის მიკუთვნებით სრულად უგულებელყო კანონის მოთხოვნები და შელახა სამართლიანობის პრინციპი, ნორმას მისცა არასწორი ინტერპრეტაცია, კერძოდ, კანონმდებლის ნების არსებობის შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსის 1475-ე მუხლს ექნებოდა დანაწესი, რომელიც მიუთითებდა შემთხვევებს, როდესაც არ იქნებოდა შესაძლებელი სრული გათანაბრება, რაც მოქმედ ნორმაში არ არსებობს.

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლოს მიერ სავალდებულო წილზე მითითება არასწორია, ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს ის ურთიერთობა, რომლის დროსაც საკითხი დგება მემკვიდრის მიერ სავალდებულო წილის მიღების შესაძლებლობისა. აღნიშნულთან მიმართებით, იქიდან გამომდინარე, რომ წილთა გათანაბრება წარმოადგენს სამართლებრივი თვალსაზრისით სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლისგან სრულიად განსხვავებულ ურთიერთობას და, ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 1475-ე და 1477-ე მუხლებში არ არის მითითება რაიმე სახის გამონაკლისზე, სასამართლოს აღნიშნუ-

ლი არგუმენტაცია უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ დ. წ-ს არასწორად მიაკუთვნა სამკვიდრო მასაში შემავალი ორი მიწის ნაკვეთის 1/4-1/4 წილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თ. წ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე იმის თაობაზე, რომ თ. წ-მა მნიშვნელოვანი ხარჯების განევით განსაკუთრებული წვლილი შეიტანა მამკვიდრებელ ი. წ-ის სამკვიდროში შემავალი ქონების – ქ. ახალციხეში, კ-ის ქ. №11-ში მდებარე უძრავი ნივთის შენარჩუნებასა და მისი ღირებულების გაზრდაში.

სააპელაციო სასამართლოს მიერ, ასევე დადგენილია, რომ ი. წ-ის დარჩენილმა ოთხი პირველი რიგის მემკვიდრეებმა: მე-უღლე რ-ე. ქ-მა და შვილებმა – დ., თ. და მ. წ-მა კანონით დადგენილი წესით მიიღეს მამკვიდრებელ ი. წ-ის სამკვიდრო.

მითითებული ფაქტების წინააღმდეგ არ არის აღძრული საკასაციო საჩივარი, ამდენად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ეს ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის.

თ. წ-ის შეგებებული სარჩელი, რომლითაც იგი ითხოვს წილთა გათანაბრების პრინციპიდან გამომდინარე სრულად მიეკუთვნოს მამის, ი. წ-ის სამკვიდრო, ეფუძნება იმ გარემოებას, რომ ხანძრის შედეგად დაზიანებული სახლის აღდგენა-რეკონსტრუქცია თ. წ-მა მთლიანად საკუთარი ხარჯით განახორციელა და განეული ხარჯის ოდენობა აღემატება სამკვიდრო მასას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1475-ე და 1477-ე მუხლები და მიიჩნია, რომ ამ მუხლებით დაწესებული გაანგარიშებით, შეიძლება, დაირღვეს დაწესებული წილთა გათანაბრების სამართლიანობის სტანდარტი, ვინაიდან ერთი მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მასის გაუმჯობესების მიზნებისათვის გაღებული ხარჯი იმ ოდენობით, რომელიც მეორე მემკვიდ-

რეს ნილთა გათანაბრების საწყისებზე დაყრდნობით სამკვიდროს მიღების უფლებას სრულად აკარგვინებს, ეწინააღმდეგება სამართლიანობის სტანდარტს და ასევე სამემკვიდრეო სამართლის ძირეულ პრინციპებს.

აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მემკვიდრეობის უფლების სპეციფიკიდან გამომდინარე, მიუხედავად თ. წ-ის მიერ მნიშვნელოვანი ხარჯების განევით განსაკუთრებული წვლილის შეტანისა, მამკვიდრებელ ი. წ-ის სამკვიდროში შემავალი ქონების – ქ. ახალციხეში, კ-ის ქ. №11-ში მდებარე უძრავი ნივთის შენარჩუნებასა და მისი ღირებულების გაზრდაში, დაუშვებელია დ. წ-ს ნილთა გათანაბრებით სამკვიდროზე საკუთრების უფლება სრულად ჩამოერთვას, ვინაიდან აღნიშნული სახით ნილთა გათანაბრება გამოიწვევს დ. წ-ის მემკვიდრეობის უფლების შელახვას თ. წ-ის ქონებრივი უფლებების დაცვის ხარჯზე, რაც ეწინააღმდეგება ამავე მიზნით მოქმედ სამართლიანობის სტანდარტს. სააპელაციო სასამართლომ, ასევე აღნიშნა, რომ დ. წ-ს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1477-ე მუხლით განსაზღვრული გათანაბრების სამართლიანობის პრინციპებიდან გამომდინარე, უნდა მიეკუთვნოს იმ წილის ნახევარი, რაზეც მას, როგორც ი. წ-ის პირველი რიგის მემკვიდრეს, გააჩნდა სამკვიდროს მიღების ლეგიტიმური უფლება. ამ დასკვნამდე სააპელაციო სასამართლო მიდის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლის ანალოგიის გამოყენების გზით, რომლის თანახმად მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა (სავალდებულო წილი).

აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსაკუთრებით დიდი ხარჯის განევის პირობებშიც კი, პირველი რიგის მემკვიდრეს მემკვიდრეობით მიღებული საკუთრების უფლება უნდა შეუნარჩუნდეს იმ წილის ნახევარზე მანც, რაც კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა.

სააპელაციო პალატამ ასევე მიიჩნია, რომ, რაც შეეხება ი. წ-ის სამკვიდროში შემავალ ორ მიწის ნაკვეთს, რომელიც ი. წ-ს გადაეცა 1995 წლის 11 იანვრის №66 მიღება-ჩაბარების აქტით, იმის გათვალისწინებით, რომ არ დგინდება ამ მიწის ნაკვეთებზე თ. წ-ის მიერ მნიშვნელოვანი ხარჯების განევა უძრავი ნივთის შენარჩუნებისა და მისი ღირებულების გაზრდისათვის, მათზე უნდა გავრცელდეს მემკვიდრეობის უფლების საერთო რეჟიმი.

მიუხედავად ამისა, რომ სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა თ. წ-ის შეგებებული სარჩელი საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ შეგებებული მოსარჩელის, თ. წ-ის მიერ მითითებული გარემოებებიდან არ გამომდინარეობს შედეგი, რომელიც მას ჩამოყალიბებული აქვს მოთხოვნის სახით, რაც მიუთითებს ამ მოთხოვნის უსაფუძვლობაზე, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ საკასაციო სასამართლოში კასატორს წარმოადგენს თ. წ-ი, საკასაციო სასამართლო, საუარესოდ შებრუნების დაუმეგობლობის პრინციპის გათვალისწინებით (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე მუხლი), მოკლებულია შესაძლებლობას, უარი უთხრას შეგებებულ მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე. ამასთან ერთად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას, რაც საჭიროებს შესაბამის განმარტებას. ყოველივე ზემოაღნიშნული, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენს საკასაციო საჩივარზე უარის თქმის საფუძველს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკასაციო სასამართლოში განხილვის საგანს წარმოადგენს ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების საკითხი. საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ ამხვილებს ყურადღებას სააპელაციო სასამართლოს შეფასებაზე, რომლის მიხედვით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1475-ე და 1477-ე მუხლების თანახმად წილთა გათანაბრება გამოიწვევს დ. წ-ის მემკვიდრეობის უფლების შელახვას თ. წ-ის ქონებრივი უფლებების დაცვის ხარჯზე, რაც ეწინააღმდეგება ამავე მიზნით მოქმედ სამართლიანობის სტანდარტს. შესაბამისად, ამ დასკვნამ განაპირობა სააპელაციო სასამართლოს მიერ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლის გამოყენება.

აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ პასუხი უნდა გაიცეს შემდეგ კითხვებზე: გამოიწვევს თუ არა წილთა გათანაბრება დ. წ-ის მემკვიდრეობის უფლების შელახვას თ. წ-ის ქონებრივი უფლებების დაცვის ხარჯზე? არსებობს თუ არა კანონის (1371-ე მუხლის) ანალოგიის გამოყენების აუცილებლობა?

ამ კითხვებზე უნდა გავცეთ უარყოფითი პასუხი, კერძოდ, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა წილთა გათანაბრების პრინციპი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1475-ე და 1477-ე მუხლების კონტექსტის მიხედვით. აქედან გამომდინარე, არ უნდა გამოე-

ყენებინა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლი (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო სასამართლო პირდაპირ არ უთითებს ანალოგიის პრინციპზე, მან გააგრძელა სადავო ურთიერთობაზე 1371-ე მუხლის (სავალდებულო წილი) მოქმედება, რითაც ფაქტობრივად გამოიყენა კანონის ანალოგია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად კანონში პირდაპირ გაუთვალისწინებელი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენება ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმა (კანონის ანალოგია).

განსახილველი ნორმის საფუძველზე კანონის ანალოგიით ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმა გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დარწმუნდა იმაში, რომ კანონში პირდაპირ არ არის გათვალისწინებული მოსაწესრიგებელი ურთიერთობა.

კონკრეტულ ურთიერთობაზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სამკვიდრო ქონების გაყოფის ინსტიტუტი, კერძოდ, 1475-ე და 1477-ე მუხლების დანაწესი. საკასაციო პალატის აზრით, მითითებული ნორმების განმარტება გვაძლევს შესაძლებლობას, დავარეგულიროთ სადავო ურთიერთობა, რაც გამორიცხავს კანონის ანალოგიის გამოყენების პრინციპს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1475-ე მუხლის თანახმად, გათანაბრებისას შთამომავალს (დამავალი ხაზის ნათესავს), რომელმაც საოჯახო მეურნეობაში განეული შრომით, მამკვიდრებლის პროფესიულ და კომერციულ საქმიანობაში მონაწილეობით, თავის მხრივ მნიშვნელოვანი ხარჯების განევიტ ან სხვა სახით განსაკუთრებული წვლილი შეიტანა მამკვიდრებლის ქონების შენარჩუნებასა და გაზრდაში, სამკვიდროს გაყოფისას უფლება აქვს, მოითხოვოს გათანაბრება იმ ნათესავებთან, რომლებიც მასთან ერთად კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან და ითხოვენ სამკვიდროს.

განსახილველი ნორმის თანახმად, გათანაბრების უფლება აქვს შთამომავალს (დამავალი ხაზის ნათესავს), რომელმაც საოჯახო მეურნეობაში განეული შრომით, მამკვიდრებლის პროფესიულ და კომერციულ საქმიანობაში მონაწილეობით, თავის მხრივ მნიშვნელოვანი ხარჯების განევიტ ან სხვა სახით განსაკუთრებული წვლილი შეიტანა მამკვიდრებლის ქონების შენარ-

ჩუნებასა და გაზრდაში.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გათანაბრების უფლება მიმართულია სამკვიდროს სამართლიანი განაწილების, გაყოფის პრინციპის უზრუნველყოფისაკენ. ამ პრინციპის დაცვის უფლებამოსილ პირს ეძლევა შესაძლებლობა, დაიცვას საკუთარი ქონება და არ დაუშვას ამ ქონებით სხვა მემკვიდრეების უსაფუძვლო გამდიდრება.

განსახილველი ნორმის თავისებურება ისაა, რომ მოცემული ფაქტობრივი სიტუაციის ნორმატიული აღწერილობით რეგულირდება მამკვიდრებლის ქონების შენარჩუნებასა და გაზრდასთან დაკავშირებული ურთიერთობები. ამ ნორმის განმარტებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს იმ ფაქტობრივი გარემოებების თავისებურებები, რომლებიც მოითხოვენ სამართლებრივ შეფასებას. კონკრეტულ შემთხვევაში სამკვიდრო ქონება, რომლის შენარჩუნებასა და მისი ღირებულების გაზრდაში მნიშვნელოვანი ხარჯების გაწევით განსაკუთრებული წვლილი შეიტანა თ. წ-მა, წარმოადგენს უძრავ ნივთს. თ. წ-ის განსაკუთრებული წვლილი გამოიხატა ხანძრის შედეგად განადგურებულ სახლის აღდგენა-რეკონსტრუქციაში. კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვის სამსახურის 2011 წლის 20 ივნისის ცნობით დგინდება, რომ 2001 წლის 22 დეკემბერს ი. წ-ის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლში გაჩნდა ხანძარი და გამოძახებულ იქნა სახანძრო სამსახურის ორი ერთეული. მხარეთა შორის სადავო არაა, რომ ხანძრის შედეგად მნიშვნელოვნად დაზიანდა ი. წ-ის კუთვნილი საცხოვრებელი სახლი. თ. წ-ის განმარტებით, ხანძრის შედეგად სრულად განადგურდა საცხოვრებელი სახლის სახურავი, და მიწისპირა სართულის ზედა სართული, რომელიც გამოიყენებოდა საცხოვრებელი დანიშნულებით და ფაქტობრივად, მთელი სახლიდან დარჩა მხოლოდ მიწისპირა სართული და მისი ზედა სართულის შემომსაზღვრელი კედლები. ამასთან, ხანძრის დიდმა მოცულობამ დალი დაასვა გადარჩენილ ნაწილსაც, ვინაიდან მიწისპირა სართული მთლიანად დაიტბორა და წყლით გაიჟლინთა. 2001 წლის 22 დეკემბერს, ხანძრის შედეგად საცხოვრებელი სახლის მნიშვნელოვან დაზიანებებზე უთითებს დ. წ-ი, რომელიც განმარტავს, რომ მთლიანად განადგურდა სახლის მეორე სართული და ისინი იძულებული იყვნენ, ეცხოვრათ სახლის პირველ სართულზე. დ. წ-ის მითითებით, სწორედ იმის გამო, რომ ვინროდ ცხოვრობდნენ, ძმამ მას შესთავაზა გასულიყო სახლიდან გარკვეული პირობის სა-

ნაცვლოდ და ის, თავის ოჯახთან ერთად ხანძრის შემდგომ საცხოვრებლად გადავიდა მეუღლის ბინაში (იხ.: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 06.11.2012წ. სხდომის ოქმი CD დისკზე, 10:53:36-10:58:22).

ახალციხის რაიონული სასამართლოს 24.05.2012წ. სხდომაზე დაიკითხნენ მოწმეები, რომელთა შორის იყვნენ ხელოსნები, რომელთაც უშუალოდ მიიღეს მონაწილეობა დამწვარი სახლის რეკონსტრუქცია-აღდგენაში. მოწმედ დაკითხული ხელოსნები განმარტავენ, რომ ხანძრისას მთლიანად დაინვა სახლის სახურავი და დარჩენილი იყო მხოლოდ სახლის კედლები. მოწმეთა ჩვენებით, მათთან სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს აწარმოებდა მხოლოდ თ. წ-ი, მოჰქონდა სახლის აღსადგენად საჭირო მასალა და მანვე გადაუხადა შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ აღნიშნული გარემოებები, რომლის შედეგად სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია თ. წ-ის მიერ მნიშვნელოვანი ხარჯების განვეით განსაკუთრებული წვლილის შეიტანის ფაქტი, რაც დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს წარმოადგენს საკასაციო სასამართლოსათვის, მიგვითითებენ ისეთ შემთხვევებზე, როდესაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1475-ე მუხლიდან გამომდინარე, უფლებამოსილ პირს გააჩნია საკომპენსაციო სახის მოთხოვნები.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლო მითითებული ნორმის განმარტებას აფუძნებს გათანაბრების უფლების მქონე მემკვიდრის წილის გაზრდის პრინციპზე და განმარტავს, რომ, რადგან, აღნიშნული სახით წილთა გათანაბრება გამოიწვევს დ. წ-ის მემკვიდრეობის უფლების შელახვას თ. წ-ის ქონებრივი უფლებების დაცვის ხარჯზე სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა სავალდებულო წილის მიღების წესები.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას და განმარტავს, რომ სამკვიდრო ქონების გაყოფისას მემკვიდრეების უფლებები უნდა შეესაბამებოდნენ სამემკვიდრეო წილების თანაზომიერებას. განსახილველი ნორმა იცავს მემკვიდრეებს სამკვიდრო მასის უთანასწორო გაყოფისაგან. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ თანაზომიერების აღდგენა სამკვიდრო ქონებიდან ქონების ნაწილის შემატების გზით შეიძლება იყოს შეუძლებელი ამ ქონების განუყოფელი თვისების გამო (მხედველობაში არ არის სამოქალაქო კოდექსის 1459-ე მუხლის შემთხვევა, არამედ ამავე კოდექსის 1475-ე

მუხლის მიხედვით, როდესაც გათანაბრების უფლება ეხება განუყოფელ ქონებას). ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1475-ე მუხლით განსაზღვრული გათანაბრების უფლების რეალიზაციის წესი, რაც მოცემულია ამავე კოდექსის 1477-ე მუხლით, ითვალისწინებს არა წილის შემცირების და, შესაბამისად, წილის მიმატების სამართლებრივ რეგულაციას, არამედ სამკვიდროს საერთო თანხიდან გამოკლებული გათანაბრების თანხის გათანაბრების უფლების მქონე მემკვიდრის წილზე მიმატების წესს.

ამდენად, ასეთ შემთხვევებში გათანაბრება უნდა განხორციელდეს შესაბამისი საკომპენსაციო თანხის ანაზღაურების გზით. ამაზე მიგვითითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1477-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, სამკვიდროს გაყოფისას გათანაბრების თანხა გამოაკლდება სამკვიდროს საერთო თანხას და მიემატება იმ თანამემკვიდრის წილს, რომელსაც გათანაბრების მოთხოვნის უფლება აქვს. საკომპენსაციო თანხის მოთხოვნას, ასევე ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, სამკვიდროში შედის საერთო საკუთრების წილი, რომელიც მამკვიდრებელზე მოდიოდა, ხოლო, თუ ქონების გაყოფა ნატურით შეუძლებელია, მაშინ – ამ ქონების ღირებულება. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია, რომ ამ უკანასკნელი დანაწესით რეგულირდება საერთო საკუთრების რეჟიმი, რომლის წილი ეკუთვნოდა მამკვიდრებელს, მაგრამ საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველი ნორმის მსგავსად 1477-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს საკომპენსაციო თანხის გადახდის ინსტიტუტს. ამდენად, არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს კასატორის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ გათანაბრების თანხა სრულად უნდა გამოაკლდეს სამკვიდრო ქონებას (კასატორი გულისხმობს თავისი წილის გაზრდას სხვა მემკვიდრეთა წილის ხარჯზე). ამდენად, საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ დასძენს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1475-ე მუხლით განსაზღვრული გათანაბრების პრინციპის რეალიზაციის სამართლებრივი მექანიზმი მოცემულია ამავე კოდექსის 1477-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს არა წილის შემატებას სხვა მემკვიდრეთა წილების ხარჯზე, არამედ საკომპენსაციო თანხით უფლების დაკმაყოფილებას.

ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ, განსახილველი ნორმიდან გამომდინარე, გათანაბრების თანხაში იგულისხმება ყველა ის მნიშვნელოვანი ხარჯი ან სხვა სახით განსაკუთრებული წვლილი, რომლითაც შენარჩუნებული და გაზრდი-

ლი იქნა მამკვიდრებლის ქონება. შესაბამისად, გათანაბრების თანხა უნდა გამოაკლდეს სამკვიდროს საერთო და არა გაუმჯობესებამდე ან დანარჩენი მემკვიდრეების მიერ მისაღები ქონების თანხას. ამრიგად, ამ ქონების შენარჩუნებისა და გაზრდის (გაუმჯობესების) ღირებულების გამოკლებით უნდა გაიყოს სამკვიდრო ქონება, ხოლო გამოკლებული თანხა უნდა მიეცეს გათანაბრების მოთხოვნის უფლების მქონე პირს, ანუ, „მიემატება იმ თანამემკვიდრის წილს, რომელსაც გათანაბრების მოთხოვნის უფლება აქვს“ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1477-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ამასთან ერთად საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ, რადგან ორ მინის ნაკვეთზე არ დგინდება თ. წ-ის მიერ მნიშვნელოვანი ხარჯების გაწევა უძრავი ნივთის შენარჩუნებისა და მისი ღირებულების გაზრდისათვის, მათზე უნდა გავრცელდეს მემკვიდრეობის უფლების საერთო რეჟიმი. ამასთან მიმართებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამკვიდრო გაყოფის ინსტიტუტი 1475-ე და 1477-ე მუხლებით მოცემულ გათანაბრების პრინციპს ავრცელებს მთელ სამკვიდრო ქონებაზე და არა მის ცალკეულ ნაწილებზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სამკვიდრო (სამკვიდრო ქონება) შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდრო აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდრო პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამკვიდროში შედის საერთო საკუთრების წილი, რომელიც მამკვიდრებელზე მოდიოდა, ხოლო, თუ ქონების გაყოფა ნატურით შეუძლებელია, მაშინ – ამ ქონების ღირებულება.

ამასთან ერთად ყურადსაღებია ამავე კოდექსის 1477-ე მუხლის დანაწესი, რომლითაც სამართლიანი განაწილების მოთხოვნა უკავშირდება სამკვიდროს საერთო თანხას და არა ამ სამკვიდროს ცალკეული ნივთების ღირებულებას. გათანაბრების გზით სამართლიანი განაწილების პრინციპის დაცვა შესაძლებელია მთელი სამკვიდრო მასის გათვალისწინებით. ზუსტად ამ პრინციპის დაცვას ემსახურება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1475-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს მამკვიდრებლის ქონების, ანუ სამკვიდრო ქონების გაზრდა-შენარჩუნებას.

აქედან გამომდინარე გათანაბრების უფლება მოიცავს მთელი სამკვიდრო ქონებას, შესაბამისად, გათანაბრების უფლების მქონეს შეუძლია მოითხოვოს გათანაბრების თანხის გამოკ-

ლება საერთო (მთელი) სამკვიდრო ქონებიდან გამოკლებით და მისი წილზე მიმატების გზით.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას და, შესაბამისად, სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას იმის თაობაზე, რომ მშობლების დაკრძალვისა და შემდგომი ტრადიციული რიტუალებისათვის განეული ხარჯი (32 000 ლარი) არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სამკვიდროს გათანაბრების თაობაზე დავის განხილვის ფარგლებში, ვინაიდან მითითებული ხარჯები არ ემსახურებოდა მამკვიდრების ქონების ღირებულების გაზრდასა და შენარჩუნებას. დამატებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება თ. წ-ის შეგებებულ სარჩელს, რომლითაც იგი ითხოვს წილთა გათანაბრების პრინციპიდან გამომდინარე, მამის, ი. წ-ის, სამკვიდრო ქონების სრულად მიკუთვნებას და არა ხარჯების ანაზღაურებას.

ამასთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეექვსე წიგნის (მემკვიდრეობითი სამართალი) მეთერთმეტე თავით მოცემულია სამკვიდროს გაყოფის ინსტიტუტი. შესაბამისად, ამ ინსტიტუტით განსაზღვრული 1475-ე მუხლი ითვალისწინებს სამკვიდროს გაყოფის განსაკუთრებულ წესს. ამავე კანონის 1452-ე მუხლით მოცემულია სამკვიდროს გაყოფის ცნება, რომლის თანახმად სამკვიდროს გაყოფა ხდება სამკვიდროს მიმღები მემკვიდრეების შეთანხმებით იმ წილის კვალობაზე, რაც თითოეულ მათგანს კანონით ან ანდერძით ერგებათ, ანუ, მითითებული ინსტიტუტის მიხედვით, შესაძლებელია იმ ქონების გაყოფა, რომელიც მამკვიდრებელს ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). მშობლების დაკრძალვისა და შემდგომი ტრადიციული რიტუალებისათვის განეული ხარჯი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ქონებად, რომელიც მამკვიდრებელს გააჩნდა სიკვდილის მომენტისათვის, ანუ მითითებული ხარჯები არ შეადგენენ სამკვიდრო მასას. იმის გათვალისწინებით, რომ თ. წ-ის (შეგებებული სარჩელის ავტორის) მოთხოვნა ეხება არა ხარჯების ანაზღაურებას, არამედ სამკვიდრო ქონების მისთვის მიკუთვნებას სააპელაციო სასამართლომ მართებულად უარი უთხრა მას და არ მიიღო მხედველობაში მითითებული ხარჯები, რადგან ისინი არ ემსახურებოდა მამკვიდრების ქონების ღირებულების გაზრდასა და შენარჩუნებას.

ყოველივე ზემოაღნიშნული გამომდინარე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თ. წ-ის საკასაციო საჩივარი სამართლებრივ

საფუძველს მოკლებულია, რაც გამორიცხავს მის დაკმაყოფილებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის „გ„ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. თ. წ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საკიეპელი

ზიანი, რომელზეც ვრცელდება ანაზღაურების მოვალეობა	3
ვალდებულების დარღვევა	17
არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება	35
საქონლის მიყიდვა რამდენიმე პირისათვის	48
ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება	66
საიჯარო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება	78
საიჯარო ქონების დაუბრუნებლობით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება	90
იჯარის ხელშეკრულების მოშლა	104
საკუთრების მინდობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	118
სამისდღეშო რჩენის ხელშეკრულება	129
მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვით მიღებული სარგებლის მოთხოვნა	138
სამკვიდროს მიღება	152; 164; 174; 183;
სავალდებულო წილი	201
წილთა გათანაბრება	214